

წელიწადის დრონი

გაზაფხული

როგორ გადიოდა ჩვენს სოფელში მთელი წელიწადი, პირველი კვირტის გაღვივებიდან შემოდგომის ყვითელი ფოთლების ჩამოცვენამდე, რასაც ფეხდაფეხ თეთრი ზამთარიც მოყვებოდა?

ამქვეყნად ყველას თავისი სოფელი აქვს. მეც ჩემს სოფელს გავიხსენებ, ძველებურს, ჩემდროინდელ სოფელს. რა ვქნა, თუ ზოგჯერ დავღონდები კიდეც, სევდაც მომეძალება. ადამიანს სევდა არ გაემტყუნება. სევდას მოგონებები იწვევს და მეც ხომ მოგონებას ვიწვევ, ჩემი სოფლის მოგონება მინდა.

თუ ქალაქელები ბრძანდებით, ვინატრებდი, თქვენცა გქონდეთ თქვენი სოფელი... როგორ არა გვაქვსო, — მეტყვით გაამაყებულნი და გაკვირვებულნიც. აბა ზაფხულობით რად დავდივართ ხან სად, ხან სადაო.

მაგრამ ზოგჯერ გული რომ არ მიგიწევთ იმ სოფელში? ზოგჯერ უფრო სხვაგან რომ გინდათ გაფრენა? საკუთარი სოფელი მაშინ გექნებათ, როცა იქითკენ წასვლა ხშირად მოგინდებთ, როცა უიმისოდ ვეღარ გასძლებთ, იშოვით თუ არა ერთ-ორ დღეს, იმ სოფლის გზას დაადგებით, შეგიყვარდებთ ის სოფელი და, როცა თქვენც კარგა ხნისა მოიყრებით, მოიგონებთ იქაურ გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას, და ბოლოს, როგორც გითხარით, თეთრ ზამთარს.

მეც ასე ვიგონებ...

ეს ჩვენი ბავშვობის სოფელია. ჩვენი ბავშვობის სოფელი კი სხვა იყო. ბევრი რამ მაშინდელი დაიკარგა, ბევრი რამ გაქრა. ჩვენ გვეგონია, რომ ნამდვილი სოფელი ის იყო, დღეს კი სოფლად ქალაქის მაგვარი რაღაც შეიქმნა, რომელიც ვერც იმას იტყვის ქალაქი ვარო და ვეღარც სოფლობას დაიხმებ. გავა ხანი, დღევანდელი სოფელიც მოსაგონარი გახდება და თქვენც დღევანდელმა ყმაწვილებმაც, შეიძლება თქვათ, ნამდვილი სოფელი ჩვენ დროს იყო, ახლა კი ვეღარ გაიგებ რა არის, სოფელი თუ ქალაქი.

ამგვარია ცხოვრება.

მაგრამ ხსოვნაში არაფერი არ უნდა გაქრეს. თუ ჩვენ არ გიამბუთ ჩვენეულ სოფელზე, თქვენ კი ოდესმე თქვენეულზე არ მოუთხრეთ მომავალ თაობას, ხსოვნაში სიცარიელე დაისადგურებს. ხსოვნის სიცარიელისა კი გეშინოდეთ! ყველაფერში, რაც მომავალში უნდა შეიქმნას, გუშინდელი და დღევანდელი იგულისხმება, გუშინდელი და დღევანდელი საძირკვლის გარეშე მომავალი არ აშენდება.

ამიტომაც მოგიუთხრობთ ჩემი დროის სოფელზე.

ამიტომ იქნება ალაგ-ალაგ სევდით შეფერილი ეს მოგონება, თუკი შევძელი და მოგონებისათვის აუცილებელი სევდა თქვენც გადმოგვცით.

ჯერ ვიდრე წარმოვიდგენთ, რომ უკვე იქა ვართ, ჩემს სოფელში და ჰა, საცაა გაზაფხული დადგება, გაიხსენეთ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში“ დაბეჭდილი ერთი მოთხრობა, რომელსაც „ოთხი სურვილი“ ჰქვია. აი, რა წერია ამ მოთხრობაში:

ნიკომ ყინულზედ პატარა ცივით ბევრი იცურავა. მერე, გაწითლებულმა და გახარებულმა, მამასთან მიიღობინა და უთხრა: ახ, რა კარგია ზამთარი! ნეტავი სულ ზამთარი იყოსო. შენი სურვილი ჩემს ჯიბის წიგნაკში ჩააწერეო, უთხრა მამამ.

ნიკომ ჩაწერა.

დადგა გაზაფხული. ნიკომ პეპლებს ბევრი სდია, ბევრი ყვავილები მოკრიფა და ლამაზი კონები შეკრა. მერე მამასთან მიიღობინა და უთხრა: რა მშვენიერია ეს გაზაფხული, ნეტავი სულ გაზაფხული იყოსო.

მამამ ნიკოს ეს სურვილი თავის ჯიბის წიგნაკში ჩააწერინა.

მოვიდა ზაფხული. ნიკო და მამა ყანაში წავიდნენ. ნიკო მთელ დღეს დიდ სიხარულში იყო: ხან წყალში ბანაობდა, ხან მარწყვს ჰკრეფდა და ხან მწყერებს დასდევდა, საღამოზედ, მამასთან რომ მივიდა, უთხრა: რა კარგი იქნებოდა სულ რომ ზაფხული ყოფილიყო!

ეს სურვილიც მამამ თავის ჯიბის წიგნაკში ჩააწერინა.

დადგა შემოდგომა. ბაღები მწიფე ხილით იყო სავსე. ვენახებში დამკვრახული მტევნები დნებოდა. ნიკომ რთველში აკიდოები აჭრა და საღამოთი მამას უთხრა: შემოდგომა ყველა დროს სჯობნებიან!

მაშინ მამამ ჯიბიდან წიგნი ამოიღო და ნიკოს წააკითხა იმისი ჩაწერილი სიტყვები.

ნიკო ცხადად მიხვდა, რომ ყველა დრო თავის რიგზე კარგი ყოფილა;

ყველას თავისი მომხიბვლელობა აქვს, ყველას თავისი სიკეთე მოჰყვება.

სოფელი ერთი დიდი სკოლაა ბავშვებისათვის. აკაკი წერეთელი, როგორც კი დაბადებულა, სოფელში გაუძიძავევებიათ. „ძიძობა“ და ყმაწვილის სოფელში გაბარება ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაშიო, — წერს შემდგომ აკაკი თავის „ჩემ თავგადასავალში“ და განაგრძობს: „არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“. „ხუთი-ექვსი წლისამ ძალიან კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურის-გდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშამის მზადება, გაცრა-გამტკიცვა, გამოცხობა, სხვადა-სხვა გვარი შეჭამადის მომზადება და სხვანი. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხენა-თესვა, თოხნა, მკა, სხვა და სხვანი, ასე რომ, ჩემი შესაფერი ხელსაწყო რომ მქონოდა, ყველაფერს მოვახერხებდი, არ ვიცოდი მხოლოდ წინდა-პაჭიჭის ქსოვა და კერვა, და ისიც იმიტომ, რომ ამბობდნენ: „ქალის ხელ-საქნარი კაცისთვის დიდი ცოდვა არისო“, და მეც მეჯერა“.

ამით ყველაფერია ნათქვამი.

ახლა კი გავეყვით წელიწადის ოთხ დროს და დავტკებთ ამ სიკეთით. ვნახოთ, როგორ გაივლის ჩვენს თვალწინ — გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი — და როგორ აიკინძება ერთ გრძელ წელიწადად.

ამ წელიწადს თავისი დასაწყისი ექნება და თავისი დასასრული, რადგან ამქვეყნად ყველაფერი იბადება, იზრდება, ბერდება და ქრება. მარადიულია მხოლოდ უსახლვრო სამყარო, უთვალავი ვარსკვლავებით და პლანეტებით მოჭედილი. მარადიულია მხოლოდ სიცოცხლე, რომელიც ამ უსახლვრო სამყაროში ხან აქ, ხან იქ, ხან ერთ პლანეტაზე, ხან მეორეზე, აღმოცენდება, განვითარდება და ასე, დაუსრულებლივ...

სამყარო ვრცელია, ჩვენი დედამიწა კი — მზის ერთი პატარა პლანეტა.

ვისაც ჩვენი პლანეტისაკენ, ანუ დედამიწისაკენ შორიდან გამოუხედავს, და ამგვარ ხალხს კოსმონავტებს ეძახიან, ერთხმად ამბობენ, რომ დედამიწა ცისფერ სამოსელში გახვეული ულამაზესი პლანეტაა. კოსმოსში გაფრენილმა პირველმა ადამიანმა, როგორც კი შორიდან გამოხედა დედამიწას, თითქოს მთელი სამყაროს გასაგონად დაიძახა: „რა სილამაზეა!“

და, აი, ამ ულამაზეს პლანეტაზე, სადაც ჩვენ, ქართველებიც ვცხოვრობთ, ერთმანეთს ენაცვლებიან წლები, წლებს კი დრონი — გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

რავა თქმა უნდა, ეს ჩვენი მოთხრობაც — წელიწადის დროებზე, ერთ ვრცელ წელიწადზე, სოფლად რომ გაივლის, გაზაფხულით უნდა დავიწყოთ.

გაზაფხულია ყველაფრის დასაბამი. გაზაფხულზე იღვიძებს ბუნება, იწყება სიცოცხლე. გაზაფხულს მოჰყვება მზიანი დღეები და სითბო. ასე უნდა ვთქვათ, ასეა ოდითგანვე ნათქვამი, თორემ თვითონ გაზაფხული მოჰყვება მზეს, მზიდან მოდის სითბოც და აღერსიც. „მზე დედაა ჩვენიო“, ხალხური ლექსი ამბობს. ჩვენ, ყველანი, მზის შვილები ვართ, მზის სითბო გვათბობს, გვკვებავს და გვზრდის. მზე განაგებს მონაცვლეობას დროისა და თანაც მუდამ ზუსტად და შეუმცდარად.

აი, წელსაც დიდი ზამთარი იყო, დიდი ყინვები და სიცივეები გამოვიარეთ, და ჰა, თებერვალი მიიწურა, ზამთრის უკანასკნელი თვე, და გაზაფხულს ველით. საცაა მოვა, მოვა უჩინრად („თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო“, — ამბობს ხალხური ლექსი). იქნებ უკვე მოსულა კიდეც და ჩვენ, ქალაქის მკვიდრნი, ჯერ ვერაფერს ვგრძნობთ, ჯერ ვერაფერს მივმხვდარვართ. იქნებ სოფლელები უკვე მიხვდნენ კი არა, კარგადაც ხედავენ გაზაფხულს... არა, ჯერ ქალაქამდე, ეტყობა, არ მოუღწევია... მაშინ ისღა დაგვრჩენია, რომ ჩვენ წავიდეთ გაზაფხულის შესახვედრად. ის ხომ გზაშია, მოდის და ჩვენც ისე შევხვდეთ, როგორც მის მობრძანებას ეკადრება. შევხვდეთ სადმე ქალაქიდან შორს, ტყეში, ჭალაში ან მინდორში.

გაზაფხულის მოახლოებას ზოგი როგორ ხატავს, ზოგი როგორ. უმეტესობა გაზაფხულის მახარობლად ენძელებს და ყოჩივარდება მიიჩნევს. თხელ თოვლზე, ოღნავ,

ცისფერი რომ დასდებია (ხალხი ლილო-ჭრილოს ეძახის), ალაგ-ალაგ რომ უკვე გამქრალა და მიწიდან თავწამოყოფილი ბალახი მწვანედ ხასხასებს, ალაგ კი თეთრად შერჩენია, ხო, სწორედ ამ თეთრად თუ მოცისფროდ შემორჩენილ სიფრიფანა თოვლში, თავს ამოჰყოფენ ცისფერი, ყელმოდერებულები ყვავილები, რომლებსაც ენძელა ჰქვიათ, ჩვეულებრივად კი გაზაფხულის მახარობლებს ვეძახით.

ზოგი გაზაფხულის მახარობლად მოშიების მოფრენას მიიჩნევს. აბა გავისხენოთ ლექსი:

„რად მოფრენილხარ, მოშიავ,
შენ ასე ადრიანადა,
რა ვქნა, ვერ ვძლებდი უთქვენოდ,
ვიყავი დარდიანადა“.

ამას თქვენოდენა ყმაწვილებს ეუბნება ადრიან გაზაფხულზე თბილი ქვეყნიდან მობრძანებული მოშია. თბილ ქვეყანაში რად წავიდა? ზამთარს გაერიდა. ზოგი ფრთოსანი ზომ ზამთარს სხვა ქვეყანაში ატარებს, შემოდგომაზე გაფრინდება სხვებთან ერთად და გაზაფხულზე ისევ ჩამობრძანდება. მაგრამ ამაზე ცოტა მერე ვთქვათ, გაზაფხული რომ მართლა დადგება და თბილ ქვეყნებში წასული ფრინველებიც მართლა ჩამობრძანდებიან. ჯერ გაზაფხული არ დამდგარა, ჯერ ბუნება და ჩვენც (ჩვენც ხომ ბუნების შვილები გვქვია) მხოლოდ გაზაფხულის მოლოდინში ვართ. ზამთარი წასვლას აპირებს და გაზაფხული უნდა მობრძანდეს, ჯერ კი არ მობრძანებულა, უნდა მობრძანდეს. ჯერ მხოლოდ სახურავებიდან ჩამოდის წვეთები. ეს თოვლი დნება სახურავზე. მზეც ცოტათი გვათბობს, ვერ ერევა ზამთრის სუსსს, თითქოს ტირის ზამთარი და „ცრემლებიც“ დაბა-ღუპით ჩამოსდის (სახლებიდან ჩამონადენი წვეთები).

იქნებ ეს არის გაზაფხულის დადგომა? ან იქნებ ყველაზე ადრე აი, იმ მოხუცებულა — ბერიკაცებმა და დედაბრებმა — იგრძნეს გაზაფხულის მოახლოება, სახლიდან გამოვიდნენ, ჭიშკართან, მზის გულზე, სამფეხა დაბალი სკამი გამოიტანეს (ამგვარ ადგილზე იტყვიან, მყუდრო ადგილიაო, მყუდროზე გავიდეთო), ჩამოსხდნენ და მზეს მიეფიცხნენ. ბერიკაცი თავისივე გათლილ ჯოხს ჩამოყრდნო და გამგლეღ-გამომგლეღის თვალიერება დაიწყო (შარაზე კი მიჰქრიან და მოჰქრიან მანქანები, ათასში ერთხელ გაჭენდება ცხენი, ან ქვეითად მომავალი სადამს უბოძებს მოხუცებს), დედაბრმა თითისტარი ამოიღო, კვირისტავი მოარგო (კვირისტავი იმას ჰქვია, თითისტარს ბოლოში მრგვალად რომ წამოაცმევენ, რათა დართული ბაწარი არ ჩამოიხვეწოს ტარიდან და არ დაიშალოს) და დართვა დაიწყო. ალბათ შვილიშვილს მოუქსოვს წინდას ან თბილ ხელთათმანებს, თუ აქვე ჰყავს, აქვე გაახარებს, თუ ქალაქში — ქალაქში გაუგზავნის. იტყვიო, ზამთარი აკი გადის და თბილი წინდა-თათმანიც კარგა ხანს არ დაგვჭირდებაო, მაგრამ ბებო სწორედ იმიტომ არის ბებო, რომ თადარიგი ამთავითვე დაიჭიროს. ზამთარი გადისო? გავიდეს! აღარ მოვა? ბებომ ხომ სხვებზე კარგად იცის, რომ გაზაფხულს ზაფხული მოჰყვება, ზაფხულს შემოდგომა და შემოდგომას ისევ ზამთარი. მომავალ ზამთარში კი ხელთათმანიც ისევ დაგვჭირდება და წინდაც. ან ამ თბილ მყუდროზე, უსაქმოდ რა გააჩერებს ქვეყანასაც თვალს გაადევნებს და საქმესაც არ მოსცდება... და ართავს ბებო ბაწარს თბილი წინდებისათვის, მომავალი ზამთრისათვის.

ეს ზამთარი კი ჯერაც არ გასულა...

მაშ, სად ვეძებოთ ის ადგილი, სადაც გაზაფხულს შევხვდებით, შევეგებებით, როგორც ცოცხალს და ვეტყვიო, რომ მისი მოსვლა ძალზე გავვიხარდა? ამგვარი ადგილი, ბევრიც რომ ვეძებოთ, არსად არ შეგვხვდება. გაზაფხული ერთ ადგილზე, ერთი სახით, არა დგას. იგი ყველაფერშია, ერთიანად მოდის და მისი ჩურჩული ხან სად გაისმის, ხან სად, მისი სახე ხან სად გამოკრთება, ხან სად. ეს ჩვენზეც არის დამოკიდებული, რაში დავინახავთ გაზაფხულს, რომელი სურათი მოგვახარებს მის მობრძანებას, აკი უკვე გითხარით, გაზაფხულის მოსვლას ზოგი როგორ ხატავს, ზოგი როგორ-მეთქი.

ერთი პაპა გვყავდა მეზობლად ჩვენს სოფელში, (ილია ერქვა, ილია პაპას ვეძახდით), მისთვის გაზაფხული მაშინ დგებოდა, როცა ხელში სასხლავს აიღებდა (სასხლავი მაკრატელია, რითაც ვაზს ხედმეტ რტოებს აჭრიან და საგაზაფხულოდ ამზადებენ, რომ მოდონივრდეს და ყურძენიც ბლომად დაისხას); ხო, ხელში სასხლავს აიღებდა და ვენახისაკენ გასწევდა. ჩვენ ამ პაპას მერეც შევხვდებით და, მაშინაც, რაღა თქმა უნდა, ვენახში ან ტყეში. ილია პაპას ხომ თეთრი დარბაისლური წვერი ეფინა, სახე მზისაგან,

ქარისაგან და იმ წლებისაგან დადაროდა, ამქვეყნად რომ გაატარა (დიდ ხანს კი იცოცხლა, ოთხმოცისა იქნებოდა, დიდის პატივით რომ გავაცილებთ და დაგვრძალებთ სოფლის პატარა სასაფლაოზე), ხელები კი ჯაფისაგან დაკოჸრებოდა. აი, ამ დაკოჸრებულ ხელში აიღებდა სასხლავს და ვენახის გზას დაადგებოდა. ხალხი მისძახოდა, ილია პაპავ, რა დროს სხვლა არი, ჯერ ისევ თოვლი დევს, ყინვამ არ მოუჭიროს გასხლულ ვაზს, არ გაგიფუჭოსო, რა გეჭარებო? ჩემი საქმისა მე ვიციო, პასუხს კი არ იძლეოდა, გულში ფიქრობდა ილია პაპა, მუშაობა გეზარებათ, ზამთრის ნეტარყუჩობა და ძილღვიძილობა გაგიტებათ, არკი იცით, რომ ვენახი რახანია გელოდებათო. აი, ილია პაპა რომ ვაზთან მივიდოდა და პირველ ყლორტებს (ანუ ლერწებს, უკვე გაფიჩხიანებულებსა და გამაგრებულებს, ზამთარგამოვლილსა და ქერეჭდამსკდარს) ჩასჭრიდა, იმ ჩამონატრევიდან რომ პირველი თაფლისფერი სუფთა წვეთი ჩამოიღვენთებოდა და გამდნარ თოვლზე დაეცემოდა, ალბათ ილია პაპასავით სწორედ იმ წამს იწყებოდა გაზაფხული. ის წამი ბერიკაცისათვის დიდებული იყო, ვაზის ტირილის დაწყების წამი. ხო, ასე ეძახდნენ და ახლაც ეძახიან ვაზის ყლორტის გადანატრევიდან ჩამოსულ წვეთებს, ჩამოსულ ცრემლს — „ვაზის ტირილს“.

ვაზი ტირის, ვაზის ტირილით მოდის გაზაფხული...

ან იქნებ სხვაგვარად?

იქნებ, მაგალითად, ქალაქში ვერცა გრძნობთ, როგორ მობრძანდება გაზაფხული. ისე ჩაივლის მთელი თებერვალი, ისე მიიღევა მარტი, რომ მანქანების გრიალსა და ხმაურში, ბოლოსდა, პატარა ბაღის კუთხეშიდა შენიშნავთ აყვავებულ ხეს (ვერც იტყვით, რა ხეა, რადგან, ჩვენდა სამწუხაროდ, თავის დროზე ვერც ეს ხე გაგაცანით და ვერც მისი სახელი დაგამახსოვრეთ) და გაოცებული გაიფიქრებთ, რომ გაზაფხული უკვე კარგა ხანია მოსულა.

თუ ასეა, თქვენს თავს გამოუტყდით, რომ ერთმა გაზაფხულმა ისე ჩაიარა, ეს გაზაფხული თვალითაც არ გინახავთ.

ეს კი არცთუ ისეთი პატარა უბედურებაა...

ამაზე ცუდი რაღა ბევრი რამ უნდა მოხდეს? ისედაც ხანმოკლე წუთისოფელში (აბა დააკვირდით ამ ერთ სიტყვას: ადამიანის სიცოცხლეს, მართლაც ხანმოკლეს, საშუალოდ რაღაც სამოცდაათ ან დიდი-დიდი ოთხმოც წელიწადს, ხალხმა წუთისოფელი, ანუ ერთ წუთში გავლილი სიცოცხლე უწოდა, ერთ წუთში გასავლელი ცხოვრება) ისე გავიდა ერთი გაზაფხული, თვალიც ვერ მოგკარით, მისი არსებობაც ვერ გავიგეთ, მარტო ის ვიკმარეთ, რომ ქურქი გავიძრეთ და ხალათის ანაბარა დავრჩით. ჩვენს ცხოვრებას ერთი ძალზე ნათელი ფურცელი ჩამოვაგლიჯეთ, ან სულაც არ გადავშაღეთ ეს ფურცელი, შიგ თვალიც არ ჩაგვიკრავს, არაფერი წავგიკითხავს.

ხო, ვისთვის როგორ დგება გაზაფხული, ვისთვის როგორ...

ამ წიგნის დამწერისათვის რომ ეკითხათ, გაზაფხული მაშინ დგება, როცა სადღაც, ტყეში... თუმცა ჯერ, მოდით, ტყის გზას გაუყვეთ და იმ ტყეში, სადაც „გაზაფხული უნდა დადგეს“, ერთად წავიდეთ... გზაზე ჯერ ისევ თოვლი დევს, მაგრამ მზე ანათებს და თოვლის ქვეშიდანაც პატარა, ამღვრეული რუები გამოდიან, ერთმანეთს უერთდებიან, ჩუმად კისკისებენ და ბოლოს კისრისტეხით ჩარბიან დეღეში. მზე ცხრათვალაა, ასე ეძახდნენ წინათ, ვითომცდა ისე კაშკაშებს, ისე დაგვნათის, ცხრა თვალი უბრწყინავსო. რატომ ცხრა და არა ათი, ან რვა? ცხრა რიცხვი იდუმალია, ამ რიცხვში რაღაც სხვა, უფრო დიდი შინაარსი ჩადო ხალხმა და დროთა მდინარებამ. „ცხრა“ მარტო „ცხრა“ არ არის, იგი უფრო ბევრს, მნიშვნელოვანს და რაღაც იდუმალებით მოცულს იტყვს. ამიტომაც, ამადლებულსა და განზოგადებულს, ხშირად „ცხრას“ უკავშირებენ — „ცხრაწყარო“, „ცხრამუხაო“, „ეგენი ცხრანი არიანო“, „კვირაში ცხრა პარასკევი აქვსო“. შეიძლება წყარო ცხრა არც იყოს, არც მუხა იყოს ცხრა, არც ისინი არ არიან ცხრანი (რომელიმე ოჯახი იგულისხმება ალბათ) და, ცხადია, კვირაში არც ცხრა პარასკევია, მაგრამ ცხრა მაინც სხვაგვარად, უფრო დაფარულად და განსაკუთრებული შინაარსით, საგანგებო მნიშვნელობით ითქმება. ეს, ისე, სიტყვამ მოიტანა („სიტყვამ მოიტანა“ — ეს არი: ერთ სიტყვაზე სხვაც რომ გაგახსენდება, დროებით მთავარ ამბავს შეგაწყვეტინებს და სხვა ამბავზე გადაგიყვანს. ჩვენც ცხრათვალა მზე ვახსენეთ და „ცხრის“ მნიშვნელობასა და შინაარსზე გადავიტანეთ სიტყვა). დავუბრუნდეთ ისევ იმას — „ცხრათვალა მხეს“...

ცხრათვალა მზე ანათებს და ჩვენ ჯერ ისევ თოვლით დაფარულ გზას მივუყვებით, ტყის გზას. ცხადია, მზე ისე არ აცხუნებს, როგორც მართლა ცხრა თვალს ეკად-

რება, ჯერ ხომ გაზაფხული არ დამდგარა, მაგრამ მაინც სითბო იგრძნობა. აგერ, თითქოს კვირტებიც გამობერილან ხის ტოტებზე, იმათაც უგრძნობიათ, რომ სადღაც ახლომასლოს გაზაფხული ტრიალებს და საცაა, აქაც მოვა. და უცებ, ხის გაშიშვლებულ ტოტზე შემოსკუპდება პატარა ტყის ჩიტი. ჩვენ არ ვიცით, რა ჰქვია ამ ჩიტს. ტყეში მრავლად არიან ამგვარი ერთი ბეწო ჩიტები, ტყის ჩიტები. აი, შემოსკუპდა ტოტზე, რაღაც დასტვინა და ბოლოც ხალისით შეათამაშა. განა რა მოხდა ისეთი, ჩიტი ტოტზე ზის და ზემოთ, მზისკენ იყურება. თითქოს თვალებიც მინაბა, ისევე დასტვინა და მაინც არ ვიცით რატომ, ერთბაშად ვიგრძენით: ჩიტი გაზაფხულს ელოდება. ეს პატარა ტყის ჩიტი გაზაფხულის მოსვლას განიცდის, მსუბუქ რტოზე ნაზად ირწევს, დრო და დრო რაღაცას დასტვენს და კვლავ ზემოთ, ცისკენ იყურება.

აღბათ ციდან უნდა ჩამოვიდეს გაზაფხული.

დავიმახსოვროთ ის ჩიტი, საამო მოლოდინით შეპყრობილი.

დავიმახსოვროთ ის მარტივი, რაღაც დიდი სიხარულით გამოთბარი მელოდიაც, ჩიტი რომ უსტვენს. ჩვენ ამ ჩიტს კარგა ხნის მერე, შემოდგომაზეც შევხვდებით. ჩიტი მაშინ აღბათ სხვაგვარი იქნება და მოლოდინიც — სხვაგვარი. ახლა მხოლოდ ასე ვთქვათ:

ტყის პატარა ჩიტი მარტოდმარტო ზის მოქანავე ტოტზე.

უსტვენს. გაჩუმდება და სმენას თითქოს სამყაროს მიაპყრობს.

გაზაფხული მოდის.

გიყვართ ცხოველები და ფრინველები, გიყვართ ტყეები და ჭალები? ძაღლთან თუ ვითამაშიათ ან კატასთან? ცხენზე თუ მჯდარხართ და ჭენებით ხეობაზე ჩაგიქროლიათ? სახედარი თუ გეოლიათ, აი, ისეთი, ძაღზე ნაღვლიანი თვალები რომ აქვს და თუ გაქირზე დადგა (თუ გაჯიუტდა და ადგილიდან ფეხი აღარ მოიცვალა), თქვენს მტერს, გული გვიან მოუბრუნდება, რაღაცაზე შემოგწყრათ, რაღაცაზე ატკინეთ გული. ცხვარი თუ გიმწყემსიათ, თხები თუ წაგიყვანიათ ნეკერზე?

რამდენი კეთილი საქმე გაუკეთებიათ იმ ფრინველებს და ცხოველებს, რამდენჯერ გამოსდგომიან ადამიანებს გასაჭირში. ძაღლი ხომ თქმულა და თქმულა ადამიანის მეგობრად? ახლა კატა? აბა ის რა სახლია, კატა თუ არ კრუტუნებს, მზის გულზე თუ არ გაიზმორება და თათით პირს არ დაიბანს, დილაადრიან, თქვენზე და ჩემზე უფრო ადრე. ის რა ეზოა, მამალი თუ არ შეხტება მედიდურად ღობეზე და არ დაიყვილებს — გაგათენეთ. მერე მამლის ყვილზე ბომბორა ძაღლი არ გამოვა მეფურად ეზოში და თავის ძველისძველ „მტერს“, კატას არ დაუწყებს ძებნას, თუ დაინახავს, დატუქსავს, დაუყეფს, თუ ვერ დაინახა, რაღაც გულნაკლულობას იგრძნობს, სევდიანად მიწვება საჩუხის ძირში (საჩუხს ერთსართულიანი სახლის აივანს ეძახდნენ, თიხა მიწით კოხტად გადაგლეხილს, ზაფხულში გრილს და ფეხშიშველად საამოდ სასიარულოს), კატა კი შორიდან ჩუმად უთვალთვალებს და ფიქრობს, ჯერ არ გამოეჩნდება, ცოტა ხანს იყოს გერე, თავს მოვანატრებო... და თუ სახლის საწვეთქვეშ, მუხის ღირეზე მერცხლის ბუდეც არის მიკრული, აი, მაშინ იქნება მართლა სახლი, სადაც მართლა დიდი ოჯახი ცხოვრობს.

მერცხლებს მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე გაუდით ჭიკჭიკი და ჟღერტული. დიდი მისვლა-მოსვლა აქვთ, დიდი ძიება სარჩო-საბადებლისა. ბოლოს ბარტყები წამოიზრდებიან, ყვითელი ნისკარტები გაუხუნდებათ, ერთ მშვენიერ დღეს კი ისე ისწავლიან ფრენას, გაგიკვირდებათ, როდის მოასწრეს, რატომ ჩვენ ვერაფერი შევნიშნეთ. აგვისტოს ბოლოს კი... თუმცა ამაზეც მერე ვილაპარაკოთ, მერცხლების ბუდეს მერე დავაკვირდეთ. ჯერ ხომ არც კი ჩამოსულან თბილი ქვეყნიდან, ჯერ ხომ მხოლოდ ერთი ბეწო ტყის ჩიტი ქანაობს გაშიშვლებულ რტოზე და გაზაფხულს ელოდება.

მაგრამ ვინც ქალაქშია? ვინც მეოთხე ან მეთოთხმეტე სართულზე ცხოვრობს და არც ჩუქურთმიანი აივანი აქვს, არც ეზოში ძაღლი დაუდის?

იმასაც თვალი მაინც სოფლისკენ უნდა ეჭიროს!

თუ სოფელი არ გიყვარს, არც ადამიანი ხარ.

ადამიანი ხომ ბუნების შვილია.

სოფელი კი სწორედ ბუნებაა.

სოფლისკენ წასვლა მშობლიურ ფესვებთან დაბრუნებას ნიშნავს. მოდით, ხშირად დაეუბრუნდეთ ამ ფესვებს. ხშირად ვესტუმროთ ბებოს, დეიდას, მამიდას, ბიძას... თუ არც ბებო გვეგულება სოფელში და არც მამიდა, კეთილი ხალხი რამ გამოლია ქვეყანაზე, სოფელი მაინც ჩვენად უნდა ვიგულოთ და ცხოველებიც და ფრინველებიც, წე-

დან რომ ვახსენებდით, ჩვენს მეგობრად გავიხადოთ. მეგობრობამ ხომ არც სიშორე იცის, არც მოუცლევლობა, არც უდროობა...

რა თქმა უნდა, თუ ქალაქელი ხარ, ყოველკვირა სოფელში ვერ ირბენ, მაგრამ ტელევიზორი რას გვეყოფა. ტელევიზორს თუ წიგნიც არ შეაშველეთ (უფრო მართალნი ვიქნებით თუ ვიტყვი — წიგნს შევაშველოთ ტელევიზორით), ისე არაფერი გამოვა. მერე რამდენი კარგი წიგნია ქვეყანაზე! ასი სიცოცხლეც არ გვეყოფა იმათ წასაკითხად. და მათ შორის ბევრზე ბევრი სწორედ სოფელზე მოგვითხრობს, სოფელს გვიხატავს, გვეუბნება, რომ ჩვენ, ყველანი, სადაც არ უნდა დავიბადოთ და გავიზარდოთ, ასფალტზე თუ ქვანახტზე, მაინც სოფლის შვილები ვართ... თუ ეს დაგვაფიქვდა, უკვე ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე და ხსნაზე უნდა ვიფიქროთ. ხო, წაიკითხეთ ის წიგნები და მთელი სოფელი თვალწინ დაგიდგებათ, ხან თოვლით დაიბარდნებით, ხან ზაფხულის გვაღვიან დღეებში, დამსკდარ გზაზე გასულებს, გადახრუკულ ველზე წყარო მოგენატრებათ. თქვენს თვალწინ ჩაივლის წელიწადის ოთხი დრო — თავისი ფერისცვალებით, თავისი ხვნითა და თესვით, რთვლითა და კაკლის ბერტყვით, ის ოთხი დრო, რამაც მეც თქვენთან ერთად დამსვა და ერთ დიდ წელიწადზე, წელიწადის ამ „ოთხთავზე“ ლაპარაკი დამაწყებინა.

გადაშლი წიგნს და წაიკითხავე:

„ზამთარია, უბერავს,
სიცვიით ვიბუზებით,
თუ გაგვიღებთ კარებსა,
თქვენთან შემოფერინდებით,
და თუ არა, ბავშვებო,
მით მაინც გაგვახარეთ,
გამოაღეთ ფანჯარა,
საკენკი დაგვიყარეთ“.

ამას ბელურები ამბობენ, ზამთრობით ჩვენთან დარჩენილი, ერთგული ბელურები.

„არ გრცხვენია, უმიზეზოდ
ქვას რომ მესვრი, ბიჭო, სესე“...

ამას მერცხალი ჩივის, პატარა ბიჭს არცხვენს, ჩემი დაბრიყვება რა დიდი ვაჟკაცობააო.

„პაწაწა ვარ, ობოლი, ბედმა დამიბრიყვა; ცუდ დროს დავობლდი. ტანზე მაცვია პატარა, მოკლებეწვიანი, თეთრი თვლებით მოწინწკლული თხელი ქათიბი“. — ამას შგლის ნუკრი შემოგვჩივის, ვაჟა-ფშაველას შგლის ნუკრი.

ხალხის საუკუნეობრივი სიბრძნე დაბეჯითებით გვეუბნება, რომ გვიყვარდეს დედაბუნება, რომ ადამიანთა ცხოვრება, გარეშე ბუნებისა, არც შეიძლება და არც წარმოიღვინება; რომ ადამიანი თვითონაც ბუნების შვილია და განა შეიძლება შვილმა თავის დედას უმტროს, მარტო იმაზე იფიქროს, აბა რა წავართვა, რას გამოვრჩეო, თვითონ კი ხელიც არ გაანძროს მის მოსაველეად და დასაცავად? ამიტომ გვითხრა ვაჟა-ფშაველამ, ჩვენი მთის შვილმა, ბუნების დიდმა მგოსანმა და მესაიდუმლემ, რომ ბუნება კეთილიც არის და გაბოროტებაც იცის. კეთილი მაშინ, როცა დედაშვილობის სიკეთით გაახარებ, გაბოროტებული მაშინ, როცა მის უფლებას ხელჰყოფ და უდიერად მოექცევი.

ვისაც ბუნება უყვარს, უფრო ლაღად და თავისუფლად სუნთქავს, რადგან იცის, ეს მთა და ბარი მისია. ისინი ამ მთისა და ბარის შვილები არიან. დედაბუნებაც მზად არის, თავის შვილებს ერთგულების კალთა გადააფაროს. და როცა მათ ჩაესმით საიდანაც მოსული ხმა, ვისიც არ უნდა იყოს ეს ხმა — ფრინველისა თუ ნადირისა, ხმელი წიფლისა თუ ვერხვისა, იისა თუ ენძელისა, შგლისა თუ ირმისა, თუ მათი სახლის წინ აჟიჟივდნენ ზამთრის ყინვისაგან გათოშილი ბელურები, ისინი თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს ეტყვიან:

— გამოაღეთ ფანჯარა...

გაზაფხული კი მოდის.

ის ჩიტი, რომელიც მარტოდმარტო მივატოვეთ ტყეში, შიშველ ტოტზე, კვლავ გაზაფხულს ელოდება. და თუ კარგად მივიხედ-მოვიხედავთ, იმ ტყის გზაზე, ორღობის ძი-

რებში, შეიძლება იაც შევნიშნოთ. იამ კი შეიძლება გაგვახსენოს, უპირველესი წიგნი ჩვენს წიგნთა შორის, რომელსაც „დედა ენა“ ეწოდება და ქართველი ყმაწვილებისათვის იაკობ გოგებაშვილმა — მწერალმა და მასწავლებელმა შექმნა. აბა წარმოვიდგინოთ, დიდი ზამთრის მერე თოვლი რომ დნობას იწყებს და გაზაფხული მოაწევს, გაზაფხულის მახარობლად ბუნების ძირებს მოეფინება ლურჯთვალა ია. გამოჩნდება ია და თითქოს მასთან ერთად იწყება ბუნების გამოღვიძება. ეს პატარა ყვავილი მთელ ყვავილეთს წინ მოუძღვის. მერე და მერე მოდიან სხვებიც — უფრო მაღლებიც, უფრო ძლიერნიც, უფრო თავმომწონენიც, მაგრამ იას მაინც ვერაფერს ჯაბნის, იას ვერაფერს უტოლდება, სხვა ყვავილი ია ვერ იქნება.

„აი, ია“, ეს არის თავდაპირველი სიტყვა ყველა ქართველისა, ვინც პირველად გადაშლის „დედა ენას“, რათა ქართული ანბანი გაიცნოს... მერე კი მთის წყაროსავით წამოვა ცოდნა, გაჰყვება ნაკადულს, შეერთდება მდინარეებს, გავა ენის დიდ ზღვაში, სიბრძნის უკიდურესო ოკეანეში.

ახლა კი კვლავ ბუნების წიგნს დავუბრუნდეთ.

მიხედვ-მოხედვაც ვერ მოვასწართ და გაზაფხული მოსულა.

ხალხური ლექსია:

„თებერვალი დადგაო,

ხეში წყალი ჩადგაო;

ჩიტმა ჩიორამაო

საძირკველი გადგაო“.

თებერვალი ზამთრის თვედ ითვლება, მაგრამ, როგორც ეს პატარა ხალხური ლექსი გვარწმუნებს, ხეში წყალი სწორედ თებერვალში დგება, ანუ გაზაფხული თებერვლიდან იწყებს მოსვლას. ხეში წყლის ჩადგომაც თოვლის დნობასთან და ხის გამოღვიძებასთან არის დაკავშირებული. ხე თითქოს იზმორება, ზამთრის ძილის ბურანიდან გამოდის და, მსგავსად ცოცხალი არსებისა, მის ძარღვებში „სისხლი“ იწყებს მოძრაობას. აბა იმ დროს კარგად დააკვირდით თქვენი ეზოს ხეებს. თუ ქალაქში ხართ, მოწადინებული კაცი ქალაქშიც იპოვის ხეს და გაზაფხულის მოსვლა თუ გინდათ ნახოთ, ხშირად შეხედეთ. ჯერ თითქოს ისევ თოვლი დევს, მაგრამ შეირხა ტოტი და თოვლის ერთი ფთილა ძირს წამოვიდა. მერე მეორე ტოტი შეირხა. თვითონ ხის ტანიც თოვლის ნაღრობისაგან დანამულა. ხე თითქოს ტირის, თუმცა სატირალი რა აქვს, გაზაფხული მოდის, სიცოცხლე თავიდან იწყება. მაგრამ ჩავა მზე და ხე ისევ თვლემას მიეცემა, რადგან მზე უყვარს, მით უფრო ახლა, როცა ნაზამთრალ ტოტებს ჯერ ისევ სიცვიისაგან აურქოლებთ. და თუ ხვალაც მზიანი თებერვლის დღე დადგა, ხე კვლავ გამოცოცხლდება, ისევ გაზაფხულის შესახვედრად დაიწყებს მზადებას. ყველაზე უფრო მაინც ნუში და ტყემლები არიან გულუბრყვილონი. საკმარისია ორიოდე დღით გამოანათოს და, იანვარიც რომ იყოს, მაშინვე დაიჯერებენ, ვიჩქართო, გაზაფხული მოსულაო, ტოტებს სიხარულით გაშლიან და ისე დაიკვირტებიან, თითქოს ჯერ იანვრის მიწურული კი არა, მარტის დამდეგი იყოს. თუ ერთი-ორი თბილი დღეც კვლავ დაემატა, კვირტებიდან ყვავილები გამოვლენ და ნუშის ხეც ამაყად გამოანათებს; მამლისა არ იყოს, რომ იყივლა და დაიჯერა, მე გავათენეო, ნუშსაც ჰგონია, რომ გაზაფხული მოიყვანა. ნეტამც ასე იყოს, მაგრამ თებერვალი ჯერ კიდევ არ არის გაზაფხული, მარტიც კი, გაზაფხულის თვედ რომ ითვლება, ზოგჯერ ისეთი ჭირვეულია, იმასთან ზამთარი როგორ მოვა?! აი, წამოვა კვლავ შავი ღრუბლები, დაუბერავს ქარი („თებერვალი ბერავდაო, მარტი კაბას კერავდაო, აპრილი გაცხარებული სახნის-საკვეთს კვრავდაო“ — ამბობს ხალხური ლექსი) და ამაყად გაბრდღვიალებული ნუშიც ტოტებს ფრთებივით ჩამოუშვებს, ყვავილები მოიბუხებიან და ისევ კვირტების ძებნას დაიწყებენ, იქნებ უკან დავბრუნდეთ და ჩავთბეთო. მაგრამ უკვე გვიანია, საწყაღმა ნუშმა გაზაფხული ვერ მოიყვანა...

მაინც რომ ჰყვავიან ნუშები?

მაინც რომ არ გაწყდა ნუშების მოდგმა?

ეს კი ნებაა სიცოცხლის დიდი ძალისა.

სიცოცხლე ხომ მუდმივ მოძრაობას, ბრძოლას, არსებობის უფლების მოპოვებას ნიშნავს.

ნუშიც ცოცხალია და იბრძვის.

და ჩვენდა სასიხარულოდ, ეს ბრძოლა უმეტესწილად გამარჯვებით მთავრდება, თუ, რა თქმა უნდა, უთანასწორო არ გამოდგა. იმ ყვაილებიდანაც ზოგი იღუპება და ძირს ცვივა, ზოგი ჯიუტად ეჭიდება დედა-ხეს, არ თმობს სიცოცხლეს და იმარჯვებს კოლეც.

სიცოცხლე იმარჯვებს...

და, კაცმა რომ თქვას, თავად გაზაფხულიც სიცოცხლის ხელახლა დაწყებას, სიცოცხლის გამარჯვებას ნიშნავს.

ნუშმა დაიყვავილა.

ტყემლებიც ჰყვავიან.

შოშიები უკვე მოფრენილან და ჩვენ ვერც კი შევნიშნეთ. ან როგორ შენიშნავ ფრინველთა მოფრენას? ერთ მშვენიერ დღეს გაიხედავ და უკვე აქ არიან. იმ წუთს კი, როცა ისინი „ფეხს შემოდგამენ“ და იტყვიან, „უკვე მოვედითო“, ძნელად თუ მოიხელთებს ვინმე კაცთაგანი. ასე მოფრინავს მერცხალი. შოშიაზე გამოთქმული ლექსი უკვე გაგახსენეთ („რად მოფრენილხარ შოშიავ, შენ ასე ადრინადა“) და ვიდრე „მერცხლის ლექსებსაც“ გაგახსენებდეთ, თავად მერცხლებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა:

გინახავთ მერცხლის ბუდე?

თუ არ გინახავთ, აუცილებლად უნდა ნახოთ.

თუ არ გინახავთ, ვერც ვერაფერს შევადარებთ, რომ ცხადად წარმოიდგინოთ.

მერცხლის ბუდე მხოლოდ მერცხლის ბუდეს ჰგავს და ამიტომაც, ლამაზი, სხვებისაგან გამორჩეული. ჯერ საერთოდ ჩიტის ბუდეზე ვთქვათ... არც ჩიტის ბუდე გინახავთ? ამისი დაჯერება კი აღარ შეიძლება. ტყეში ერთხელ მაინც არავის წაუყვანიხართ, არც დედ-მამას, არც უფროს და-ძმებს, არც პაპა-ბებიებს? თუ არ წაუყვანიხართ, ახლავე გადადეთ ეს წიგნი და ხმამაღლა თქვით, რომ ხვალ ტყეში აპირებთ წასვლას, რომ, თუ გამოგყვებიან, ხომ კარგი, თუ არადა ვინმე ტოლ-მეგობარს გაიყოლებთ და მაინც წახვალთ, აუცილებლად წახვალთ, არ უნდა ლაპარაკი! და ვიდრე მართლა წახვიდოდეთ, ვილაპარაკოთ მერცხალზე, მერცხლის ბუდეზე, ჩიტის ბუდეზე. აბა, დააკვირდით, შემოდგომის გაშიშვლებულ ტყეში ხეზე დარჩენილ ბუდეს. კარგად დააკვირდით და შეიძლება სევდაც კი მოგერიოთ. მიტოვებულ სახლსა ჰგავს ჩიტის ბუდე, გამოკეტილ სახლს. ახლა იქ არავინ ცხოვრობს. ზაფხულში კი სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა. იყო ერთი ჟღერტული, სტვენა, გალობა, სხვა ბუდეებში გადაფრენ-გადმოფრენა. შემოდგომაზე ჩიტის ბუდე მიტოვებულ სოფელსაც ჰგავს. ერთი ბუდე, მეორე, მესამე და უკვე სოფელიც იქნება... ყველაფერი ერთად კი სიცოცხლის ხსოვნას ინახავს: აქ ცხოვრობდნენ, დაიზარდნენ, ფრენა ისწავლეს და გაფრინდნენ, რათა გაზაფხული რომ დადგება, კვლავ მობრუნდნენ, ან ახალი ბუდეები აშენონ. მჭიდროდაა ნაგები ეს ბუდეები... ვის როგორ ჭირდება... ზოგი ბუდე ნაზია და სათუთი, რბილი ჩალისაგან და ბუმბულისაგან ნაგები, ზოგი უფრო კაჭაჭებიდან და ეკალ-ბარდებიდან მოტანილი „მასალით“. დიდ, უხეშ ბუდეებში დიდი ფრინველები სახლობენ. პატარა ბუდეებში — წვრილ-წვრილი ჩიტები. მერცხლის ბუდე კი მაინც სულ სხვა არის. მერცხალი ტყეში არ ცხოვრობს, ადამიანის გვერდით უყვარს უმეტესად ყოფნა, სახლის სახურავებს, სახლის კედლებს ეტანება. სახურავქვეშ, აივნის აქეთ რომ ცოტაზე გადმოშვერილა კოხტად ნათალი ფიცრები (კოჭებს რომ ეძახიან), სწორედ იმ კოჭებზე უყვარს მერცხალს „სამოსახლო ადგილის“ შერჩევა.

აი, თბილი დღეები დაიჭირა და იმ ერთ მშვენიერ დღესა თუ სადამოს, მერცხლებიც მოფრინდნენ. ზოგს შარშანდელი ბუდე ხელუხლებლად ხვდება. ზოგმა ახლა უნდა ააშენოს, ოჯახი გამრავლდა და ახალი ბუდე გამხდარა საჭირო; ზოგი თავის ძველ პატრონს, ანუ სახლის მობინადრეს გაბუტვია, რაღაცა აწყენინეს, რაღაცით ატკინეს გული, ან ბუდე არ დახვდა იმგვარად, როგორადაც დატოვა, ან სულაც ჩამოუშლიათ ონავარ ბაეშეებს. ახლა სხვაგან უნდა იპოვოს ადგილი, სხვაგან უნდა ეძიოს კეთილი ოჯახი.

მერცხალს კეთილი ხალხი უყვარს, ისეთი, სულ რომ არ შეეშინდება იმათი, ხელს რომ არ აუქშევენ, თავს რომ თვითონაც ოჯახის წევრად იგრძნობს. ჯერ რამდენიმეჯერ მოფრთხილდებიან დედალ-მამალი მერცხლები და იქაურობას კარგად დაზვერავენ. თუ მასპინძელს სიკეთე შეამჩნიეს, გაფრინდებიან, მაგრამ ისევ მალე მობრუნდებიან, მერე იქვე ჩამოჯდებიან და ჭიკჭიკს გააბამენ, ჩვენზე „საუბრობენ“, მასპინძლებზე — აბა, რა ხალხი ვართ, შეიძლება თუ არა ჩვენს გვერდით ყოფნა, ან უკვე გვემას აწ-

ყობენ, სად რა იშოვონ, საიდან რა მოიტანონ, რომ ბუდე მკვიდრადაც ააგონ და ლამაზადაც. მერცხლის ბუდე აუცილებლად ლამაზი უნდა იყოს.

მერე იწყება შენება.

მოაქვთ ბუმბული, ბალახის ღეროები, ნამჯა.

„უერიან“ საძირკველს (ანუ მკვიდრად აშენებენ), ხისა და კედლის კუთხეში, მიყუჟულ ადგილზე ამოჰყავთ „კედლები“. კედლები თითქოს გვირისტადაა ნაგები, თითქოს უწვრილესი აგურით ამოუყვანიათ და მერე აყალო მიწით შეუღლესიათო. ამოდიან კედლები და ბუდე ნელ-ნელა ემსგავსება ძველისძველ ციხის გოდოლს. თუ აქვე, ბუდის წინ, ჩამოსაჯდომი ლურსმანი ან ჯოხია, ხომ მთლად კარგი, ჩამოსხდებიან მერცხლები და ჭიკჭიკებენ, თვითონვე ტკბებიან თავიანთი ოსტატობით.

ბუდე მზად არის!

ღამდამობით ამ ბუდეში არხეინად სძინავთ და ვინ იცის, უთუოდ კვერცხებიც გაჩნდნენ ბუდის ბუმბულიან ძირში.

დედა-მერცხალი ბუდიდან ფეხს აღარ იცვლის.

და ერთ დღეს, როცა ჯერ კიდევ არაეინ ელოდა, ბუდიდან ისმის ჭყიპინი.

ეს პატარა მერცხლების — ბარტყების ხმაა.

მერცხლებმა ბარტყები დაჩეკეს.

ორიოდე დღეც და ბარტყები ჭყიპინით იკლებენ იქაურობას. ჯერ ბუდიდან კარგად არც ჩანან, მარტო მათ ყვითელ ნისკარტსა და ფართოდ დაფხენილ პირს ვხედავთ. მოფრინდება დედა მერცხალი და რაღაც „ნუგბარს“ აუცილებლად მოიტანს. ისინიც გააღებენ ყვითელ ნისკარტს და ჭყიპინებენ არა მე, არა მეო, ერთმანეთს ეცილებიან; ცოტაც და ერთმანეთს მუჯღუგუნებს ურტყამენ, დავასწრო და მე ჩავიკოკლოხინო ყელიო. ამასობაში, ამ ჟივილ-ხივილში, ამ ჭყიპინში, ამ დატუქსვასა და ალერსში (მერცხლებიც მშობლები არიან და ალერსიც იციან და დატუქსვაც), ბარტყები იზრდებიან.

და რადგან მერცხალიც ფრინველია, ცხადია, თავდაპირველად ფრენა უნდა ისწავლოს.

ჯერ გაუბედავად ტოვებენ პატარები ბუდეს.

მშობლებიც დელავენ, როგორც დელავს დედ-მამა, როცა პატარა პირველად გადადგამს ფეხს. რაღა თქმა უნდა, მარცხიც ხდება და ზოგჯერ სასაცილო ამბებიც. ბოლოს კი მაინც ყველაფერი კეთილად მთავრდება, ყველა წყენა და ფათერაკი, მღელვარება და ფიქრი ფერმკრთალდება და ბარტყებიც ფრენას სწავლობენ.

სახლის აივანზე მიკრული ბუდე და იქ ჩასახლებული მერცხლის ოჯახი მშვენებაა მთელი კარ-მიდამოსი.

მახსოვს, ჩვენს სოფელში, ჩვენი სახლის გვერდით, ორი მეზობელი ცხოვრობდა, ორი ოჯახი. ომის დრო იყო და დიდი გაჭირვება იდგა. ხალხს ლუკმა პურიც კი არ ჰქონდა ხშირად და ამ ორ ოჯახსაც ძალზე უჭირდა. ერთი ოჯახი დიდი იყო, რომ იტყვიან, წვრილ-შვილიანი — დედ-მამა და ხუთი მოზრდილი შვილი.

მეორე ოჯახი პატარა და უმწეო, — მოხუცი ცოლ-ქმარი, შვილი კი — ომში წასული და შინმოუსვლელი.

წლითიწლამდე თავი ძლივს გაჰქონდათ.

სარჩოს შოვნა უჭირდათ, მაგრამ ერთი დიდი სიმდიდრე ჰქონდათ: მთელს ჩვენს უბანში მერცხლები ბუდეს მხოლოდ იმათ მარანში და სახლის ერდოზე იშენებდნენ.

ამ სიმდიდრით ორივე ოჯახი დიდად ამაყობდა და, ალბათ, არჩევანზე რომ მიმდგარიყო საქმე სხვა სიმდიდრეზე ვერც გაცვლიდნენ.

ისინი შეჰხაროდნენ ციხის გოდოლივით თუ პატარა აივანივით გადმოკიდებულ მერცხლის ბუდეს.

მაშინ სოფელიც უფრო ჰგავდა სოფელს, ვიდრე დღესა ჰგავს. მიწას გუთნით ხნავდნენ და ყანასაც ნამგლით მკიდნენ. გლეხ-კაცს ხარ-კამეჩი დაუდიოდა, ცხენი ოჯახის ნუგეში და ძალა იყო, ძროხა და ცხვარი — ოჯახის ბარაქა... ჭირნახული მართლა ჭირნახული იყო, მკა — ვაჟკაცობის გამოცდა, რთველი — დღესასწაული. ენდეთ ჩემს მეხსიერებას, მით უფრო, რომ ყმაწვილის მეხსიერება უტყუარია. ყველაფერს ისე მოვიყვებით, როგორც ნამდვილად იყო და როგორადაც ჩარჩა ხსოვნაში.

გინახავთ ყვითელი, ბუმბულა წიწილები თქვენსა, ან მეზობლის ოჯახში? სად წიწილები, სად გაზაფხულიო, — იფიქრებთ და მართალნიც იქნებით, თუ ოდესღაც ბავშვობა სოფელში არ გაგიტარებიათ.

ის წიწილებიც გაზაფხულის მახარობლები იყვნენ, როგორც ადრე მოფრენილი შოშიები და მერცხლები, როგორც ლილოჭრილოზე ამოწვერილი ცისფერი ენძელები, როგორც შორეულ კავკასიონზე აჭრელებული თოვლის საფარი. კრუს თებერვლის ბოლოს ან შუა რიცხვებში დასვამდნენ საბუდარში (მოზრდილი, მრგვალი კალათი იყო, შიგ თბილად ჩაგებული თივით). წინასწარ კვერცხებს ჩაალაგებდნენ, საგულდაგულად შერჩეულებს და რომელიმე დროულ დედალს საგანგებოდ დასვამდნენ, რომ მოკრუსებულიყო და საბუდარში დაესვათ. დედალი ჯიუტობდა და ინაზებოდა, აქაოდა დედობისათვის სადა მცალიაო, ან რა დროს ჩემი დედობააო. ბოლოს მაინც დაიყაბულებდნენ და დედალიც საგანგებო სიდარბაისლით (ამიერიდან დედობისათვის ემზადებოდა და ამსუბუქება აღარ შეშვენოდა) ჩაჯდებოდა საბუდარში. იჯდა და იმისი არსებობა თითქოს ყველას ავიწყდებოდა, ათასში ერთხელ თუ მიხედავდნენ, რაიმეს მიაწვდიდნენ. ხანი გავიდოდა და ჯერ ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ერთ მშვენიერ დღეს კი, როგორც მერცხლებზე გითხარით, ატყდებოდა წივწივი. კრუსი გამოჩეკას იწყებდა. შიგნიდან წიწილები კაწრავდნენ კვერცხებს და ფართხალით ცდილობდნენ გარეთ გამოსვლას, გარედან დედალი უნისკარტებდა. ბოლოს წივწივი მცირე ხნით მიწყდებოდა და საბუდარი წიწილებით გაივსებოდა. მცირე ხანიც კიდევ და საბუდარიდან ფრთხილად ცვიოდნენ ყვითლად და თეთრად გაბუმბლული წიწილები. ჯერ შიშით ებლაუჭებოდნენ საბუდრის წნულ კედლებს, ბოლოს მოეფინებოდნენ ოთახს და დედაც, საგანგებოდ გაამაყებულნი და ყელმოღერილი, გაუძღვებოდა თავის ამაღას.

ოთახში თბილად ბუხარი ან ღუმელი ღაღღაღებდა. იატაკი მიწური იყო და წიწილები თავიანთ ყვითელ ნისკარტს თიხაზე სცემდნენ. გარეთ კი ციოდა, ან თოვდა ისევ, ან ქარი ქროდა. ჯერ გაზაფხული შორს იყო და კრუს-წიწილასაც აქვე, ამ ოთახში, ჩვენთან ერთად, ემაწვილებთან ერთად უნდა გამოეზამთრებინა. ცოტა მოსულიერებულიყო და ისე გასულიყო ახლად ამშრალელებულ ეზოში, ან მზის გულზე.

მაგრამ აი, ქარი დაცხრა, ღრუბლები მცირე ხნით მთებისკენ წავიდნენ და თებერვლის მზიანი დღე დადგა. როგორც გითხარით, ეს ჯერ გაზაფხული არ იყო, მაგრამ გაზაფხულის სუნი მაინც ტრიალებდა. მაშინ აიღებდა დიდება თავის საჩქეფს ან სართავს, გავიდოდა მყუდროზე და თავის კრუს-წიწილასაც გაირეკავდა. წივწივებდნენ შებუმბლული წიწილები მომთენთავ სითბოზე და იწყებოდა მათ ცხოვრებაში სრულიად ახალი დრო. მათთვის იმ წუთში უკვე გაზაფხული იდგა.

დიდებას ახლა სხვებიც შემოუერთდებოდნენ.

ახლა კაცებიც მოდებოდნენ საიდანღაც და იწყებოდა საუბარი ამინდზე, გაჭიანურებულ ზამთარზე, გაზაფხულზე, ყველაფერზე, რაც მზის გულზე პირველად გამოსულმა, ზამთრისაგან დაღლილმა ადამიანმა შეიძლება თქვას.

მერე მზე დასავლეთისაკენ იხრება, კვლავ სიცოცხლე წამოვა და დიდებაც, თავის კრუს-წიწილებიანად, შინისაკენ მიდის.

იქით ბიჭები რაღაცას თლიან.

ბიჭები კარგა მოზრდილები არიან და სიცოცხლე არ ეშინიათ.

ორი გრძელი ჯოხი უკვე გაუთლიათ.

იმ ჯოხებს თავში ორკაპები აქვთ, გან-განზე გაწვდილი. ბოლოში კი, სადაც ჯოხია გადაჭრილი, ბიჭები ახლა ოთხკუთხა ღრუს აკეთებენ... მერე ამ ორივე ჯოხის ღრუებში კოხტად გამოთლილ მაგარ საფეხურს გაუყრიან.

შორიასხლოს ემაწვილები დგანან და შესცქერაინ.

იცინან, რაც კეთდება და სიხარულით ელიან იმ ნანატრ დღეს, როცა ის „ემაკის მანაქანა“ მათ ხელში ჩავარდება.

ბიჭები ახლა წნელებს გრეხენ, მაგარ, სქელ წნელებს და ჯოხებს ორკაპა თავებზე ჩამოაცმევენ.

ჯოხები ისე მაგრად ეჭიდებიან წნელებს, რომ კაცის სიმძიმეც ვეღარ ჩამოგლეჯს.

წნელები თავში მომრგვალებულია და იმ მომრგვალებულშიც თითო მაგარ კეტს გაუყრიან.

ყველაფერი მზად არი?

არა, ჯერ არ არი მზად.

ბიჭები ახლა კაკლის დიდ ხეზე და განზე გაწვდილ ყველაზე ღონიერ ტოტზე საგანგებოდ მოწნულ ორ წნელს შემოახვევენ. წნელს ისე გაამაგრებენ, რომ სიმაგრეც მართლა ჰქონდეს და ტოტზეც თავისუფლად იმოძრაოს. ბოლოს ასწევენ იმ ორკაპა ჯო-

ხებს თავის საფეხურიანად და ერთ ჯოხს (წინასწარ საგანგებოდ მორგებული კეტი) ერთი წნელის გორგალზე ჩამოაცმევენ, მეორეს — მეორეზე.

ვინც ქვემოთ დგანან, ჯოხებს მოეჭიდებიან და ეგრევე ერთად დაიხუნძლებიან, აბა, გავიგოთ, მაგარია თუ არა, გაგვიძლებს თუ არაო და როცა დარწმუნდებიან, რომ ყველაფერი მყარად გაკეთდა, იქვე ჩამოსხდებიან.

საქანელა!

ბიჭებმა კაკლის ტოტზე საქანელა ჩამოჰკიდეს!

ხვალ ყველიერი იწყება და ყველიერის დღესასწაულს აუცილებლად საქანელათი უნდა შეხვდეს უბანი. ერთ უბანში ერთი საქანელა ჩამოიბმება მეორეში — მეორე, და როგორც კი ყველიერის კვირა დაიწყება, ყოველ საღამოს ამ საქანელასთან გაიმართება ტაშ-ფანდურა, ცეკვა-თამაში, დაინთება დიდი კოცონი, იქნება შეჯიბრი სიტყვასა და ჯომარდობაში. ვიდრე გეტყოდეთ, რას ნიშნავს ყველიერი, თვალი ვადევნოთ დიდედას, ხშირად რომ სადღაც მიდის (ეს უმეტესად საღამოობით ხდება) და მოუსვენრობაშია. ჩვენ არ ვიცით რა აშოთებს, რატომ სურს, რომ მალე დაგვწვით და დავიძინოთ, რა ხდება ამ გაზაფხულის პირას შაბათ-კვირაობით. აბა თვალი მოვატყუოთ, დიდედას ეგონოს, რომ დავიძინეთ და კარიც გაიხუროს... თუ დიდედას არ ეწყინება (დიდედას წყენინება კი არამც და არამც არ შეიძლება), ფრთხილად წამოვდგეთ, ფეხაკრეფით მივიდეთ კართან და კარის ღრიტოში ან გასადების ჭუჭრუტანაში შევიჭვრიტოთ.

დიდება აქეთ-იქით ფრთხილად იხედება, მერე ზანდუკიდან რაღაც ამოაქვს და კამოდის თავზე დებს.

ხატი!

ეს ის ხატია, რომელზედაც ამას წინათ მოკრძალებული ჩურჩულით თქვა: ღვთისმშობლის ხატი...

მერე დიდდა უჯრიდან სანთელს იღებს, ანთებს, პირჯვარს იწერს და სანთელს ღვთისმშობლის ხატის წინ ამაგრებს. სანთლის ალი მკრთალად ანათებს იღუმალ ხატს. დიდდა რაღაცას ბუტბუტებს და ჩვენც სუნთქვა გვიგუბდება.

თქვენც უნდა იცოდეთ:

ყოველი ხალხი თავის რელიგიას მისდევს.

ქართველები ქრისტიანული რელიგიის მიმდევრები, ანუ ქრისტიანები ვართ.

გადმოცემით ქრისტე რწმენისათვის ჯვარზე აცვეს. სიკვდილის შემდეგ კი მაინც მკვდრეთით აღდგა.

ვინ იყო ქრისტე? ნამდვილად არსებობდა თუ რწმენისათვის წამებულზე ხალხის საუკუნეობრივმა ოცნებამ შეთხზა იგი?

ამაზე დღესაც დავობენ და ჩვენც სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მარტო დავით გურამიშვილის სტრიქონებს გაგახსენებთ, რომელიც იესო ქრისტეს ეძღვნება:

„ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,
მაცხოვრებელი შენ მათი წამწყმედლად მიგიჩნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!“

დიდებაც ქრისტიანია, ქრისტეს რჯული სწამს და პატივი ვცეთ მის რწმენას, ხელს ნუ შეეუშლით, სიმშვიდეს ნუ დაგურღვევთ, დაე, თავის გულში ესაუბროს ღვთისმშობელ მარიამს და შესთხოვოს რაც სურს.

რა სურვილი ექნება დიდედას?

ჩვენი კარგად ყოფნა.

ქვეყნიერების კარგად ყოფნა.

ჩვენი გამრავლება და გახარება...

ქრისტეს შობის დღე ოცდახუთი დეკემბერია.

ქრისტეს აღდგომის დღე კი ხან აპრილში მოდის, ხან მაისში.

აღდგომამდე მრავალი რელიგიური დღესასწაულია.

დღესასწაული მირქმისა.

კვირა ყველიერისა.

დიდმარხვა, და კიდევ მრავალი.

ახლა ყველიერის კვირა დგება და დიდდა ამიტომ ღოცულობს ჩვენზე.

ყველიერი დიდმარხვის წინა კვირაა.

დიდი მარხვა ნიშნავს მკაცრ ცხოვრებას. ხორცისაგან განდგომას, სულზე ფიქრს. ადამიანი მხოლოდ მცენარეულს ეკარება, ცოდვათაგან თავს შორს იჭერს და ასე ემზადება ქრისტეს აღდგომის შესახვედრად.

ყველიერის კვირა კი სწორედ ამ მკაცრი ცხოვრების წინაკვირაა, ლაღი, მხიარული, თავისუფალი, სახალხო ზეიმების კვირა... ის ზეიმები საქართველოში ქრისტეს სჯულის შემოღებამდეც იმართებოდა და მაშინდელმა უძველესმა წეს-ჩვეულებებმა ახალ რელიგიაშიც გადმოინაცვლა.

მათ შორის ერთ-ერთი ზეიმი, ანუ სანახაობაა ყვენობა.

„ყვენობა“ ყველიერში იმართებოდა. სოფელში დიდი მზადება იყო, როგორც წარმოდგენისათვის ემზადებიან ხოლმე და „ყვენობა“ მართლაც ხალხურ სანახაობად, ხალხურ წარმოდგენად, ნამდვილ თეატრის წინამორბედადაც ითვლება. აქ არიან მსახიობები (აღბათ „რეჟისორიც“ იგულისხმება ანუ ის, რომელსაც მთელი ეს სანახაობა წესრიგში მოჰყავს, ანაწილებს როლებს, განსაზღვრავს წარმოდგენის ხასიათს) არის „პიესაც“, ხალხის მიერ ოდითგანვე შეთხზული, დაკანონებული სიუჟეტით და სასაცილო ამბებით. მაყურებლები „წარმოდგენის“ მონაწილენი არიან, შეუძლიათ ჩაერიონ მოქმედებაში, თავადაც გაუსწორდნენ ყვენს, ამოიყარონ საუკუნეობრივი ჯვარი.

„ყვენი დამპყრობლის სიმბოლური სახეა, დამპყრობლის ნიღაბი. იგი ცხენზე ზის, თანაც უკუღმა და თანაც მართლა კაცი კი არ არის, ფიტულია, საფრთხობელაა, მუთაქისაგან გაკეთებული და თავზეც გამურული ქოთანი ადგას ნაცვლად ტრადიციული აღმოსავლური ჩაღმისა.

და აი, ყვენი უნდა გასასაცილოვდეს.

ზოგი გოროხებს ესვრის.

ზოგი წყალს ასხამს.

ზოგი შოლტს გადააწნავს.

არის ერთი სიხარული და სიცილ-ხარხარი.

და, რაღა თქმა უნდა, რომ ყვენი აუცილებლად უნდა დამარცხდეს, სამართლიანობამ უნდა იზეიმოს, გაიმარჯვოს უძველესმა ხალხურმა მორალმა, რომელიც ბოროტზე კეთილის უთუო გამარჯვებას ქადაგებს.

ახლა ჩიტიფაფობა?..

ზამთარი ჩიტებისათვის მშვერი დროა, არემარე თოვლით არის დაფარული და საკეები არსად მოიძეება. ამ დროს ადამიანი ვაღდებუღია, ფრინველებს

ხელი გაუწოდოს, ანუ, როგორც დასაწყისში ვითხარით, „გამოაღოს ფანჯარა“. ჩიტიფაფობისთვისაც საგანგებოდ ემზადებიან, ყმაწვილებს ავალებენ, ნატეხები შეაგროვეთო (ნატეხარი თიხის და ფაიფურის ჭურჭლის ნატეხებია), ბაღლებიც დიდის ხალისით აგროვებენ ნატეხებსა. მოჰფენენ ეზოში, გზისპირებზე და შიგ საკენეს და საჭმლის ნარჩენებს ყრიან, რათა ჩიტებმა აკენკონ და მადლიერნი დარჩნენ. უნდა ნახოთ მაშინ ფრინველები... რა მადლიერნი არიან ადამიანისა. რა ნდობით მოდიან ნატეხებთან, აღარაფრისა ეშინიათ, რადგან ეს დღე მათი დღეა, „ჩიტიფაფობა“.

სოფელში ვაშლის ნაფცქვენსაც კი არ გადააგდებდნენ, ცეცხლზე დაწვავდნენ და როცა საამო სურნელება ვაშლისა დადგებოდა, იტყოდნენ, ჩიტებს უყვართ, ზოგიერთი ჩიტი ამისი სუნით ცოცხლობსო.

ახლა ჭიაკოკონა? დიდი კოცონი და მის ირგვლივ გაჩაღებული მხიარულება? ჭიაკოკონობისთვისაც საგანგებოდ ემზადებიან.

ჭიაკოკონას დანთებას რა სამზადისი სჭირდებაო — იტყვიოთ თქვენ.

ჭიაკოკონასაც თავისი აზრი აქვს, ბაღებსა და ბოსტნებში დარჩენილი კაჭაჭი, სიმინდის ფუჩქი, ხეხილისა და ვაზის ნახსლავი უნდა შეგროვდეს და დაიწვას, რათა მავნე მწერები და ჭია-ღუებიც თან მიჰყვნენ. ეს თავისთავად, ისე კი ჭიაკოკონა საგაზაფხულო მხიარულების საბაბია.

აი, შეგროვდა ბლომად კაჭაჭ-ფუჩქი.

აიზვინა ერთად.

მოგროვდა ხალხიც. ცხადია, უმეტესად გოგო-ბიჭები და წვრილფეხობა ჭარბობენ, მაგრამ არც დარბაისელი მოხუცები დარჩენილან შინ, შორიახლოს დგანან და ახალგაზრდობის ფაცი-ფუცს თვალს ადევნებენ, თან თავისას იგონებენ, თან რაღაცას არიგებენ. აი, აინთო ცეცხლი და ყიჟინიც დასცეს, ცეცხლის ალი ცას სწვდება და ვიღაცამ უკვე დაიძახა ის, რაც ამ დროს აუცილებლად უნდა დაიძახონ:

— ალიღული კუდიანებს!

აღილული ეშმაკსაო!

გაბედული ბიჭები ცეცხლს ზედ ახტებიან.

და ყველას სჯერა, ამ წელიწადს ეშმაკი ვერავის ვედარაფერს დააკლებს, იქნება მოსავლის სიუხვე და სიკეთის ზეიმი.

როგორც გითხარით, საქანელებიც უკვე ჩამოუბამთ. ყველიერში საქანელა აუცილებელია, უამისოდ ყველიერი არ იქნება. უამისოდ ყველიერს ფერი დააკლდება. საქანელას მთელი უბანი ახვევია. დიდდაც კი მოსულა. ჯერ ისევ ცივა, ბინდლება კიდევ, მაგრამ შინ როგორ გაჩერდებოდა, თბილ შალში (თავისივე ხელითაა ნაქსოვი) ჩაფუთნულა და მოდის.

ცეცხლი უკვე გაჩაღებულა, დიდი ჭიაკოკონა ანთია და დიდდას აქეთ-იქიდან ეძახიან, ახლოს მოდი, ცეცხლთან, გათბიო. დიდდაც მოდის და პატარა, დანაოჭებულ ხელებს ცეცხლისკენ იწვდის. საქანელაზე გოგო-ბიჭები ცვლიან ერთმანეთს, უფრო მეტად კი — ბიჭები. ბუქნას ჩაჰკრავენ, საქანელა წინ გაიწევს და თუ გაბედული ბიჭი შედგა, საფეხურს ხის რომელიმე ტოტს მიაწვდენს. აი, ეს ითვლება ვაჟკაცობად. ამ დროს ბიჭი თითქოს ცაში დაფრინავს, თუმცა საქანელას ხელნები ღონივრად ჩაუბღუჯავს. და როცა გაოფლილი ბიჭი დაცხრება და საფეხურიდან გადმოსტება, გოგობმა უკვე კარგად იციან, ვინ არის ყველაზე გაბედული და უშიშარი. მერე საიდანღაც ფანდური მოაქვთ. ფანდური სათამაშოს უკრავს და ახლა მეფანდურეს ირგვლივ შეიკვრება წრე (ოღონდ ისე, რომ ჭიაკოკონა მოელ წრეს ანათებდეს). ჯერ ვიღაცა გადმოვა გაუბედავად. იმ ვიღაცას გაამხნევენ, ნუ გრცხვინია, გაუბედე, დაიწყეო და მალე ერთმანეთს მიჰყვებიან ცეკვის მსურველნი. გოგობიც, რა თქმა უნდა, ჯერ გაინახებიან, მერე კი, თუ დედ-მამისა და განსაკუთრებით უფროსი ძმების დამყოლი მხერაც იგრძნეს, გაბედულად გადადიან წრეში. და თუ ამ დროს მედოლე და მეგარმონეც გამოჩნდნენ, (მედოლე და მეგარმონე მაინც იშვიათი იყო სოფელში და თანაც ყველა საქანელა უნდა ჩამოეველოთ, ყველგან შეეწიათ თავიანთი საცეკვაო), მართლა ყველიერი იქნება, მართლა ჯანსაღი და მხიარული კვირა, მაუწყებელი გაზაფხულისა...

*

ის სოფელი, სადაც ჩვენი წელიწადის „ოთხთავი“ გათამაშდება, კახეთშია, საქართველოს ერთ ლამაზ და ღონიერ კუთხეში. კახეთს თავზე კავკასიონის მთები დასცქერიან. ქვემოთ ცისფრად გადაშლილი ალაზნის ველია, ზემოდან კი გადმომხობილა მთები. დევებივით მთებიო, — იტყვიან ხოლმე. გალაკტიონ ტაბიძემ ამგვარ მთებზე თქვა — დაბინდული ქლიავის ფერიაო („გინახავთ ფერი დაბინდულ ქლიავის, ეს ჩემი სამშობლოს მთებია“). ცისფერს კი, ალბათ, სივრცე ქმნის, ღრმა სივრცე, რომელიც შორიდან ცისფრად აღიქმება.

სწორედ ამ მთებზე კითხულობს გლეხკაცი წელიწადის დროთა ცვალებადობას. მთებს „დიდი კალენდარი“ უწოდოთ. არ იქნება მთლად ლამაზი შედარება, მაგრამ ზუსტი კი იქნება. ზაფხულში მთები მოკრიალებულია, მწვანე ბალახსაც კი გაარჩევს თვალი. მერე მთა ნელ-ნელა ფერს შეიცვლის, თითქოს ზაფხულის მხეზე გადახუნდება და ასე გასტანს შემოდგომის შუა ხანებამდე. თუ შემოდგომა ცივი დაიჭირა და ზამთარმაც ადრე მოიწადინა მობრძანება, ნოემბერში, ერთ მშვენიერ დღეს, დავინახავთ, რომ ქედის წვერები პირველ თოვლს დაუფარავს. მზიან დღეში ეს წვერები თეთრად ქათქათებენ და იმას გვაუწყებენ, რომ ზამთარი უკვე შორს ადარ არის, წამოსულა, დაძრულა და ახლა, ქედის თავზე წამომდგარი, თავის დროს ელის, რომ ნელ-ნელა ქვემოთ ჩამოვიდეს. ეს დღე, კავკასიონის ქედზე პირველი ჩამოთოვლისა, შეუნიშნავი არავის დარჩება. განსაკუთრებით მოხუცებს უყვართ იქით გახედვა და თქმა, რომ კავკასიონზე უკვე ჩამოთოვა და სადაცაა ზამთარი მოვა. ეს თოვლი ნიშანია და ამ ნიშანზე, სოფელში რა ხდება, მაშინ გეტყვით, როცა შემოდგომამდე მივალთ, როცა შემოდგომა დადგება. ახლა მარტო ის გავისხენოთ, რომ ყველანი ერთმანეთს ეუბნებიან, თოვლი გამოჩნდაო. მერე და მერე თოვლი უფრო ქვემოთ ჩამოდის, მთებისა მარტო წვერები კი არა, კალთებიც იფარება, ბოლოს სულ ქვემოთ, ალაზნის ველამდე ჩამოსდევს და ჰა, საცაა ჩვენამდეც მოვა. აი, მაშინ დგება ზამთარი.

მთელი ზამთარი, რაღა თქმა უნდა, კავკასიონი თოვლითაა დაფარული (ანუ კავკასიონის ის ნაწილი, რომელიც კახეთიდან მოჩანს და რომელსაც ზოგჯერ დაღესტნის მთებს უწოდებენ). გაზაფხულზე კი თოვლი დნობას იწყებს და ახლა გაზაფხული ქვემოდან ზემოთ მიიწევს. ჯერ ველი გადამწვანდება, მერე ნელ-ნელა ტყეებს აჰყვება, ბო-

ლოს ქედის კალთები გადაჭრელდება, ლილოჭრილოები ქედის წვერებსაც მისწვდება და იენისის ბოლოსათვის თოვლი უკვე აღარ მოჩანს. კალენდრის ერთმა ციკლმა, კავკასიონის ბუმბერაზ (ესეც ძველი ეპითეტია) ქედზე აღბეჭდილმა ჩვენს თვალწინ ჩაიარა.

ახლა სწორედ ის დროა, როცა ქედი აჭრელდა, ფერდობებზე თოვლმა დნობა იწყო, მდინარეები აიძვრა...

ახლა სახნის-საკვეთი უნდა გავმართოთ, გავაფხიანოთ, რათა მინდვრად ისე გავიდეთ, იარაღმა არ გვიდალატოს. სახნის-საკვეთს კი ჩვენს ბავშვობაში სამჭედლოში აფხიანებდნენ და, რაც უფრო ცნობისწადილს აღგვიძრავს, ცხენებსაც იქ ნალავდნენ.

მოდით, გავსწოთ სამჭედლოურისაკენ.

ჯერ შორიდან ხალხს დავინახავთ.

უმრავლესობა კაცები იქნებიან.

გაზაფხულზე სოფელი მუდამ გარეთ გამოეფინება ხოლმე. ზამთარმა მაინც სახლებში გამოკეტა ხალხი, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა კი იყო, მაგრამ თითო-ოროლად თუ შეხვდებოდა სოფლელი სოფელს. ახლა ცოტა თბილა, გარეთ დგომა შეიძლება. შეიძლება კი არა, გულმა გაგვიწია გარეთ და რაკი სამჭედლოურიც სწორედ სოფლის შუაგულშია, სწორედ იქ, სადაც სალაყბო ეწყობა (სალაყბო, ანუ ადგილი, სადაც ხალხი იკრიბება სამასლაათოდ და იმიტომაც, რომ გაიხედ-გამოიხედოს, როგორც იტყვიან, თვალს წყალი დააღვინოს). ამ გახსენებაზე, აქვე ახლოსაა წყაროც. იქით, მოშორებით, სოფლის ძველი ეკლესია მოჩანს, ძველი კი არა, ძველთაძველი, ბაზილიკა, ანუ უგუმბათო ეკლესია.

ხალხი მოგროვილია სამჭედლოურის წინ. ახლოს მივდივართ და უკვე წკარა-წკურიც გვესმის, დრო და დრო კი ურო მიძიმედ დაეცემა გრდემლზე. გრდემლი გახურებულ ფოლადია. ურო თქვენც იცით, რა არის და ამ გავარვარებულ ფოლადს ღონიერი მჭედლები კვერთა და უროთი ებრძვიან, რათა ფორმა მისცენ, იმად აქციონ, რაც თავად სურთ, რაც სოფელს გამოადგება. სოფელს კი, გაზაფხულდა და, ბევრი რამ სჭირდება: თოხი, ბარი, ნამგალი, გუთანო. უამათოდ ვერვინ გავა ვერც ვენახში და ვერც მინდორში. აკი გითხარით, რომ მჭედელი ღონიერი კაცი უნდა იყოს, რკინას რომ დაღეწავს ხელით, იმგვარი, და მხიარული კაციც. მჭედელი იღიმება და სახეზე თეთრი, ქათქათა კბილები მოუჩანს. ჯანსაღი კაცია, რკინისმკენეტი. ათასში ერთხელ შუბლზე ოფლს ჩამოიწმენდს წინსაფრით (თუმცა წინსაფარიც, ცხადია, გახურებული აქვს) და სახეს უფრო ჩამოითხვრის. მერე რა, გავა დღე, ნაჯაფს და ნაოფლარს ჩამოირეცხავს და ერთი კარგი ვაჟკაცი მოგვევლინება, ნამდვილი შრომის კაცი, გამოეწყობა და ან ქორწილში წავა, ან ნათლობაში, ან დღეობაზე. მაგრამ ახლა მჭედელს არც ერთისთვის სცადია, არც მეორისთვის, მჭედელი თავის ვალს ასრულებს: შრომობს, რაღაცას ქმნის და ყალიბად ასხამს. ის იმისთვისაა დაბადებული.

გარეთ კი კაცები ბჭობენ.

მჭედელი ფარდულშია. ამ ფარდულს ჰქვია სამჭედლოური.

ეუბნებიან, გეყოფა, დაისვენეო, ხვალაც ამ თვისააო.

მაგრამ მჭედელმა იცის, რომ დასვენება მაშინ შეერგება, როცა საქმეს მოათავებს, „ხვალე“ კი ყოველთვის არ არის ამ თვისა...

დავანებოთ თავი მჭედელს, სანამ საქმეს არ მორჩება, მაინც სიტყვას ვერ ვათქმევინებთ და იქვე, ეზოში გავიდეთ.

აი აქ, ამ შემოღობილში, რომელსაც ბაკს ვეძახით, ცხენი უნდა დანალონ.

ესეც მთელი ამბავია, ვეება ცხენის დანალვა.

ამ ამბისთვისაც თითქოსდა საგანგებოდ ემზადებიან, თითქოსდა დელავენ ცხენის პატრონიც და ნალბანდიც.

აი, ნელ-ნელა მიუახლოვდნენ...

ერთმა ცხენს ფაფარზე გადაუსვა ხელი და მიუალერსა, სწორედ იმან, ვისთანაც უფრო შეჩვეულია ცხენი.

ცხენს უყვარს ალერსი.

ის ერთგულია ადამიანისა და შენგანაც ერთგულებას მოითხოვს.

ცხენიც, ისევე როგორც ყველა სულდგმული, კარგად გრძნობს, სამტროდა ხარ მისული თუ სამოყვროდ.

მერე რა, რომ ფეხი აუკრეს და არც ნალის დაკვრაა სასიამოვნო, ალბათ ასეა საჭირო, ამქვეყნად რა არ ხდება. აქვეა ცხენის პატრონი. ეს ბიჭებიც არც თუ ის შორეულები არიან, ცხენი ყველას იცნობს, რაც უნდათ, ის გააკეთონ...

ამას ფიცხი ცხენი ფიქრობს, უმეტესად ახალგაზრდა, ჯერ ისევ მოუთოკავი და მიუჩვეველი, თორემ ხანდაზმულმა, ვისაც ქვეყნად რა არ გადახდენია, ნალიც კარგად იცის და არც დანაღვა აწუხებს.

თუ ცხენი გიყვარს, თუ მრავალ ცხენზე მჯდარხარ, თუ ერთხელ მაინც გიოცნებია ამხედრება და დიდ, მწვანე ველზე ან მთის ბილიკებზე ჭენება, გეცოდინება, რომ ხანდაზმული ცხენი ჭირვეულობას არ იკადრებდა, ის მშვიდად დაანებებდა ცალ ფეხს ნალბანდს (ნალბანდი სწორედ იმას ჰქვია, ვინც ცხენს ნალს აჭედებს), თავად სამ ფეხზე დგომას ირჩევდა და ან ფიქრიან მოგონებებში წავიდოდა (ბებერ ცხენს კი რამდენი რამ აქვს მოსაგონარი), ან ზანტად დაუწყებდა თვალიერებას ყველაფერს, რაც სამჭედლოში ხდებოდა.

ცხენი ადამიანის დიდი მეგობარია.

ცხენით ჩამოდიოდა ჩარგლიდან ვაჟა ფშაველა და ხურჯინით მოჰქონდა ის მოთხრობები, დღესაც რომ ვკითხულობთ და ძალიან მოგეწონს: „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „სათაგური“, „ჩხიკთა ქორწილი“, და რომელი აღარ.

აი, რას იგონებს ცხენის თაობაზე ვაჟა ფშაველას შვილი ვახტანგ რაზიკაშვილი.

„მამას ყოველთვის კარგი ცხენი ჰყოლია. ცუდ, ჯაგლაგ ცხენს შინ არ გააჩერებდა. მე ნიკორი მახსოვს, შავი, იორღა ცხენი, მხოლოდ ჩემს ხსოვნაში უკვე ბებერი იყო, იმდენად ბებერი, რომ ზამთარში გომურის წინ წყლიდან მოსული დაეცა და ვეღარც ადგა. მამამ ბევრი უტრიალა, მაგრამ ვეღარაფერი უშველა. მამას ცრემლი მოერიო იმ ცხენის სიკვდილზე. შეახვია ფარდაგში და ისე დამარხა.

ვერ გავიმეტე ადრევე გასაყიდად, — იტყოდა ხოლმე მამაჩემი, — დიდი ამაგი ჰქონდა ჩემზეო!

ნიკორის შემდეგ კვიცი იყიდა, წითელი ფერისა იყო და სახელად „ცეცხლას“ ეძახდა. „ცეცხლა“ თვითონ გახედნა. შეჯდა შეუკაზმავ ცხენზე და არბენინა. დედაჩემმა და სხვებმაც დაუშალეს: ქვიანი ხურჯინი აჰკიდე და ისე მიაჩვიე უნაგირსაო, მაგრამ არ დაიშალა, სახე და ხელები სულ დაუსისხლიანდა, მაინც არ გაანება თავი, სანამ არ მოღალა“...

ასეთი იყო დიდი პოეტი ვაჟა ფშაველა: ცხენის სიკვდილის გამო თვალზე ცრემლი მოერიო.

იტირა დიდმა ვაჟაკაცმა.

და ვიდრე ცხენის ამბავს დავამთავრებდეთ, ბარემ იმასაც გეტყვი, რომ ვაჟაკის ზოგჯერ ცრემლიც შვენის.

უცრემლოდ ვერ დაწერდა ვაჟაკი ამგვარ სტრიქონებს: „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“.

მოდით, ისევ სოფლის შარაზე გავიდეთ, იქნებ იქაც შევხვდეთ გაზაფხულს. ხეები გზისპირებზეც გამოკვირტულან. ნუშები თეთრად გადაპენტილან, მაგრამ ამისი ნახვა სხვაგანაც შეიძლება. სოფლის შარაგზა სხვაა, გაზაფხული იქ ადამიანის სახეებზე უნდა ამოვიკითხოთ. საგაზაფხულო განწყობილებას აქ ადამიანები ისე გამოხატავენ, ამაზე არცა ფიქრობენ. განწყობილება თავისთავად იბადება, გაზაფხულს თავისი გააქვს და წინ ვერაფერი დაუდგება.

სოფლის მოედანზე დარბაისელი კაცები შეყრილან.

წყაროსთან ისევ დედაკაცები ლაპარაკობენ.

ჯეელი ბიჭები ცალკე დგანან და გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებენ.

მზე ათბობს მიდამოს და ყველას ქურჭი გადაუძვრია.

დედაბერი სადღაც მიიჩქარის.

ბერიკაცს სახედრით საფქვავი მოაქვს წისქვილიდან.

ეზოს გადაღმიდან ცულის ხმა ისმის.

ეგ რა არიო, რას აკეთებო, — იძახიან კაცები და ღობეს მიადგებიან.

ვერა ხედავთ, რას ვაკეთებთო? — იცინიან ღობის გადაღმიდან და სხვა პასუხს აღარ იძლევიან.

რას აკეთებენ და ხეხილსა სხლავენ: ხმელ ტოტებს აჭრიან და ტოტები კვნესით ემხოებიან მიწას. დედაბერი ღობესთან დგას და ქალებს ეუბნება, როცა ხესა სჭრიან, ასე მგონია, ცოცხალივით ტირისო. მაშ არ მოჭრან, თუ გახმაო? — იცინიან ქალები. ტოტები კი მართლა, დედაბრის თქმისა არ იყოს, ცოცხლებივით კვნესიან.

ჩვენ ყმაწვილები ვართ. ვდგევართ და შევცქერით. იქით გადით ბაღლებიო, — გვეძახიან კაცები — ემანდ თავში ტოტი არ დაგეცეთ, ცოდვაში არ ჩაგვაყენოთო, მაგ-

რამ რა წაგვიყვანს? აქ „რადაცა“ ხდება, სწორედ ის, რაც გაზაფხულზე შეიძლება მოხდეს და თუ კარგად არ ვნახეთ, არ იქნება. კაცები ისევ გვიწყობებიან, მოშორდით მაქედან, ვერ გაიგონეთ, რა გითხარითო?

ამის თქმა და გზიდან ყიჟინა ისმის.

(ეს მართლა გაზაფხულის ყიჟინია).

გზაზე უნდა გავვარდეთ, იქ უფრო დიდი ამბავი ხდება.

აგერ, ცხენოსანი მოაჭენებს ცხენს.

თითქოს ვიღაცას ეჯობებო, მიუშვია ცხენი და თან დასჭყვივის, აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო.

მჭედლის შეგირდია...

თმები ქარზე გასჩქვია.

გული გადაუღვლია და პირდაპირ მოფრინავს, ხალხს აინუნშიაც არ აგდებს, ის კი არა, ხალხის დასანახად იგიჟიანებს თავსა, შემომხედეთ, რა ბიჭი ვარო.

ხალხი მომდგარა გზაზე და ქარივით ჩაქროლილ მხედარს გასძახის:

— მოშინაურდი, არსენ!

ვითომდა, რომელი არსენა შენა გვეყვება, და თუ მართლა არსენა გგონია თავი, რა გარე-გარე დადიხარ, რაღა დროს ეგ არი, მოშინაურდიო.

მაგრამ მჭედლის შეგირდის მოშინაურება, ვიდრე თვითონ მჭედელი არ გადაუდგება გზაზე და თვალებს არ დაუბრიალებს, ძნელი იქნება.

ჩაიქროლა და ველოდებით...

ვიცით, ისევ ამოიქროლებს.

ცოტა ხანიც და გზის ბოლოში ისევ ავარდება მტვერი. ჯერ ცხენი გამოჩნდება, მერე მხედრის გაჩქილი თმა. მოჰქრის და მოაქვს მთელი გზა. ხალხი ახლა უფრო მეტ ყიჟინას სცემს (ნამდვილი გაზაფხულია) და ლამის არი გზაზეც ჩაუხტნენ, აბა, შენ იცი, გული არ დაგვწყვიტო.

მხედარი თვალს ეფარება და ისევ ველოდებით.

ნახეთ, თუ კვლავ არ ჩამოიქროლოსო, — ამბობენ ბერიკაცები, — შარშანაც ეგრე არა ქნაო? კაცები მჭედელს ეძახიან, გამოდი, თავი გაანებე მაგ უროს, აბა ნახე, შენი შეგირდი რა დღეშიაო. მჭედელი თავს არ იღებს, რადაცას ბურღუნებს და ეტყობა, უკვე იმუქრება. მაშ რა? სიგიჟესაც თავისი ბოლო აქვს. გაგიჟდა? ახლა უნდა დაწყნარდეს. მაგრამ მჭედლის შეგირდმა არ იცის, რას ფიქრობს ოსტატი და ახლა ისევ გზის თავში ავარდება მტვერი, გაგიჟებული ცხენი და იმისი მხედარი ისევ გამოჩნდებიან.

ხალხიც უკვე გიჟდება:

— აბა, შენ იციო!

— არავინ დაგეწიოს, იცოდე, მოგდევნო!

ჩააქროლა და ჩააქროლოს...

მაშინ გამოდის მჭედელი შარაზე (ჯერ წყლით ხელებს გადაიბანს), შუა გზაზე გაჩერდება და ელოდება.

ხალხი ახლა მჭედელზე იცინის:

რაღა დროსია, თავის გულის ჭია მოიკლაო.

აი, ნახეთ, თუ კიდევ ჩამოიქროლოსო.

მჭედელი დგას და ვიცით, გულში რასაც ფიქრობს.

სოფელმაც იცის:

ნეტავი აღარ ჩამოიქროლებდესო...

მჭედელი მაინც მჭედელია და თავის შეგირდზე და თავის ხელობაზეც საკუთარი აზრი აქვს:

ლამაზად დაჰქრის, თქმა არ უნდა. გაზაფხულის მზიან დღესაც უხდება ეს ცხენზე გასული გადარეული ბიჭი. მაგრამ მჭედლის შეგირდი ხვალ მაინც მჭედელი უნდა გახდეს და სიდარბაისლე მართებს. რას ვიზამთ, ძმაო, ამგვარია ჩვენი ხელობა.

— სამჭედლოში შედი, აღარ ჩამოივლის. — ისევ იცინის ხალხი.

— ნეტავი მართლა არ ჩამოივლიდეს. — ისევ ფიქრობს მჭედელი.

მჭედლის შეგირდი აღარსადა ჩანს...

ახლა ვფიქრობ: არ ვიცი რატომ და იმ ცხენის ქროლვაც გაზაფხულის მაუწყებელი იყო.

ეს ხმა კი მართლა პირველად გავიგონეთ.

ჯერ გვეგონა, რომ რომელიღაც ჩიტი უსტვენდა და ერთმანეთს ვეუბნებოდით, აბა ყური დაუგდე, ეს რა ჩიტი მოფრინდა, ამისთანა ხმა ჯერ არ გვესმენიაო. დედამ გაიციინა და თქვა, ჩიტი კი არა, სალამურიო, სალამურს უკრავს ვიღაცაო. ბებომ თქვა, ეს გიჟი მახარე იქნებაო. პაპამ საჩხიდან დაატანა, გიჟი ეძახეთ და ვერა თლის სალამურებს და ვერ აკენესებსო? ადვილი ხომ არ გგონიათ ან გამოთლა სალამურისა, ან დაკვრაო. ჩემ ბიჭობაში მთელ სოფელში ერთი მესალამურე გვეყავდა, სოსანას ეძახდნენ და ისიც მგონი მახარეს პაპად ერგებოდაო. ახლა ბებო იძახის, აკი სოსანასაც გიჟს ეძახდნენ, მაგრამ არც ის იყო გიჟი, დიანბეგი რომ ჩვენს სოფელზე ჩამოივლიდა, დამხვდურებში სალამურს მარტო სოსანა უკრავდაო.

ჩვენც გვინდა ვნახოთ ეს სალამური.

საიდან მოდის ეს ხმა, მაინც სად იქნება ეს მხარე, ნეტავი ერთი, როგორ უკრავს.

მახარე სოფლის თავში კუნძზე იჯდა და სალამურს იქ უკრავდა.

აქედან სალამურის ხმა მთელ სოფელს ედებოდა.

მოციინარი ბიჭი იყო მახარე და ჩვენც ადვილად შევბედეთ. გარშემო მოვუსხედით და ისევ დაუკარიო, ვთხოვეთ. იმანაც აიღო სალამური, ერთი ჩაჰბერა და დაიწყო...

გარშემო მზე იდგა. ახლად ამოსული ჯგჯილი მწვანედ ხასხასებდა. ბუნჩქებში იები ჰყვოდნენ. მთებს უკვე ლურჯი ფერი დასდებოდათ. მწვერვალებზე შერჩენილი თოვლი თეთრად ქათქათებდა და მახარეს სალამურის ხმა მთელ ამ არე-მარეს წკრიალით ედებოდა. ასე გვეგონა, მართლა ჩიტი კენესისო და აქეთ-იქით ვიყურებოდით. არა გვეჯეროდა, რომ ამ მახარეს, ჩვენსავით ახალუხი რომ ემოსა, ქალამნები რომ ეცვა და ნაბდის ქუდი ეხურა, ამგვარი სასწაულის მოხდენა შეეძლო. ჩვენ გაოცებული შევცქეროდით და გვსურდა, რომ ეს სასწაული დიდ ხანს გაგრძელებულიყო. ეს რა არიო, თავი გამოიღო მახარემ, თქვენ ისიც ვერ შენიშნეთ, როცა ვუკრავდი, ფრთოსნები გაჩუმდნენ, მზემ სწორედ მაშინ გამოიხედა ღრუბლებიდან და ნაკადულებმაც სული განაბესო. ნაკადულები როდის გაჩუმდნენო, — ვდავობდით ჩვენ და მახარეს ვთხოვდით, აბა ერთიც დაუკარი, მართლა გაჩუმდებიან ნაკადულებიო?

მაგრამ მახარემ აღარ დაუკრა.

როგორც ახლა ვატყობ, თავისი ხელოვნება არ გააუფასურა, სამაგიეროდ გუდაში ხელი ჩაყო და სტვირები და სალამურები ამოალაგა, ზოგი დუდგულისა (მცენარეა დუდგულა და იმით სტვირებს აკეთებენ), უმეტესობა კი ლერწმისა.

ჩვენც მოგვეციო, ვთხოვეთ და თავი დაიფასა, ჯერ პატარები ხართ, როგორ იქნებაო, ვერ ისწავლითო.

— თუ არ გვექნება, როგორ ვისწავლითო, — თქვა ჩვენში ყველაზე უფროსმა.

მაშინ მახარემ დუდგულას სტვირები ამოიღო და ჩამოგვირიგა. სხვას უკეთესს ვის მივცემ, თქვენთვის გავაკეთე და აბა შინ გაიქეციოთო.

ჩვენ მართლა გავიქეციოთ. სტვირები გვქონდა და მთელი სოფლისათვის უნდა გვეჩვენებინა. მახარე კი ისევ ჩამოჯდა ჯირკზე, გახედა სოფელს და სალამური ააკენესა („აკენესაო“ — მერე გავიგეთ, სალამურზე ამბობდნენ ხოლმე ამგვარად).

მაშინ კი მახარემ მართლა დაგვაჯერა, რომ, როცა ის სალამურს უკრავდა, ფრინველები გაჩუმდნენ, მზემ სწორედ მაშინ გამოიხედა ღრუბლებიდან და ნაკადულებმაც სული განაბეს.

*

სტვირის დანახვაზე შინ ყველას გაახსენდა, რომ ამოდენები მოვიყარეთ და ჯერ ერთი ხეირიანი სიმღერაც არ ვიცოდით. დედამ საქმიდან თავი აიღო და თქვა: მახარე მართლა ჭკვიანია. გიჟები ეს ბაღლები არიან, სიმღერა არ იციან, სადმე ლხინში რომ ეგრე გამოჩნდნენ, თავს შეირცხვენენ, რამე უნდა ვიღონოთო.

ჩვენც გვეწყინა:

რატომ არ ვიცითო?!

პაპა იცინის და ამბობს:

აბა, დაიწყეთო...

ჩვენ სულსა ვნაბავთ, დაბნეულები ერთმანეთს გადავხედავთ (მართლა გუნდით კი ვდგევართ) და ვიღიმებით უსაქციელო ღიმილით. არ ვიცით, რა უნდა დავიწყოთ...

მაშინ ისევ პაპა იცინის და ზურგს უკან ჩუმად ბუბუნებს:

„მრავალუუუ!“

ჩვენ გვიხარია და ეგრევე, კატკატებით ვიმეორებთ: „მრავალუფუ“... — ჯერ გაუბედავად, მერე და მერე უფრო თამამად.

მთელი ოჯახი ხარხარებს.

„მრავალუფუ!“ — კვლავ გავიძახით და აღარ ვიცით, ამ „მრავალუს“ მერე რა მოვაცილოთ.

ისევ ხარხარებს ყველა და ისევ გვირჩევნია სადმე გადავიკარგოთ.

როცა სიცილი დაცხრება, მამა გვერდით მოგვისვამს და თვითონ იწყებს:

„მრავალუფუ!“ — და თან გვანიშნებს, ამყევითო.

ჩვენც ვყვებით.

მამა გვაჩერებს და ჯერ გვამეორებინებს, მერე ერთად ვმღერით: მამაც, დედაც, ჩვენც...

ბებო პაპას ეჩხუბება, შენც აჰყევით და პაპაც გვიერთდება.

ყველანი „მრავალუფამიერს“ ვმღერით.

როცა სულს მოვითქვამთ, მამა ამბობს, ხშირად უნდა ვიმღეროთო.

ესეც ახალი ამბავი:

თურმე უსიმღეროდ ცხოვრება არ შეიძლება.

ეს რამდენი რამე ყოფილა სასწავლი, ან იმგვარი, რის გარეშეც ცხოვრება არ შეიძლება. მაინც რა არის ეს „ცხოვრება“, რად უნდა ვიცოდეთ ყველაფერი? რა მოხდება, დიდები რომ გავიზრდებით, მამასავით გავჭადრაკდებით და პაპასავით დავბერდებით? ან ამათ რათ უნდათ, რომ ყველაფერი გვასწავლონ და ჩვენც ისეთივენი გავხდეთ, როგორებიც თვითონ არიან?

თვითონ გვასწავლიან „ცხოვრებას“ თუ ჩვენით ვისწავლით?

ხო, მართლა, ეს ხომ გუშინაც გვითხრეს, ყველაფერი უნდა იცოდეთო, პატარა გოგიას ნათლობაში რომ ვიყავით და ხელი ვერ გაგვაშლევინეს, ატყდა სიცილ-ხარხარი, ცეკვა არა გცოდნიათო. უკრავდა დოლ-გარმონი, ჩვენ ხელი გვეკრეს, წრეში შეგვაგდეს და ეგრევე ავიტუხებით, ხელი ვერ გავშალეთ, დოლ-გარმონს ფეხი ვერ ავაყოლეთ.

შეგვრცხვა, არ ვიცოდით, სად გავქცეულიყავით.

მამა გაგვიწყრა. დედა მამას შეება, რას ეჩხუბები, ვასწავლეთ და არ ისწავლესო?

გადაწყდა: ცეკვა უნდა ვისწავლოთ.

თანაც სხვებმა კი არ უნდა გვასწავლონ, ჩვენით უნდა ვისწავლოთ.

გავდივარ სოფლის შარაზე და ჩვენებიანთ ვანუას ვეძახი, რაღაც მაქვს სათქმელი-მეთქი. ვანუა იმ წუთში ხვდება, რომ საიდუმლო რამ გამომჩენია. ბებო იტყვის ხოლმე, მაგისტანა ეშმაკი ამ არე-მარეში ერთიც არ არიო და ახლა ეს ვანუა სწორედ საეშმაკო საქმეზე მოდის. ცეკვა უნდა ვისწავლოთ-მეთქი, ვეუბნები და ვანუა იცინის, როგორ უნდა ვისწავლოთო? ჩუმიად უნდა ვისწავლოთ-მეთქი — ვპასუხობ და უცებ ვანუა იმედზე წყალს გადამისხამს: მედოლე ვინ იქნებო?

ხო, მართლა, ცეკვას დოლიც სჭირდება.

მაშინ ვანუა ამბობს, რომ ვასიკოსაც დავუძახოთ და დოლი იმან დაუკრასო.

მაგრამ არც დოლი გვაქვს.

ვასიკოს მართლა ვეძახით და ის კი, როცა ყველაფერს შეიტყობს, ღობის იქით გადახტება, იქვე მიგდებულ ჟანგიან ტაშტს აიღებს და სიხარულით ამბობს: დოლი არ არიო?

დოლიც გვაქვს. მედოლეს გვყავს, მოცეკვავეებიც აქა ვართ და ცეკვაც უნდა ვისწავლოთ.

საბძელში გავრბივართ.

გაზაფხულია და საბძელი უკვე ცარიელია.

შიგ შევდივართ, კარს მოვიხურავთ, ვასიკო მართლა მედოლესავით ჩამოჯდება, ტაშტს აიღებს და იწყებს:

დიმიტაური-დამპიტაური...

დიმიტაური-დამპიტაური.

ჩვენ ხელებს ვშლით და ერთბაშად ვვრძნობთ, რომ არაფერი გამოდის.

მთავარი დაგვეიწყნია: ცეკვას გოგო სჭირდება.

მაშინ ვანუა წამოხტება, საბძლიდან გადის და საითკენღაც მირბის.

ჩვენ ველოდებით და არ ვიცით, რა მოხდება.

ვანუამ გოგო უნდა მოიყვანოს...

გადის ხანი და არავინა ჩანს.

ბოლოს ჭუჭყუნი გვესმის, გარეთ ვიხედებით და ჰოი, საწყალო, ვანუა სულ მუჯულუგუნით მოათრევს ჩვენებიანთ თმაგაწეწილ ნათელას. ნათელა ფშრუკუნებს, ინაზება და ამბობს, თავი დამანებეთ, თორემ ამ წუთში დედაჩემს დაგუბახებო, ცეკვა არა ის არ გინდათო? ვანუა თმაში ეჭიდება და საბძლისკენ ექაჩება, რისა გეშინია, გუშინ შენი ბიძაშვილი მაყვალა არა ცეკვაავდა ნათლობაშიო? ის დიდიაო, — ჩურჩულებს ნათელა და თან აქეთ-იქით იხედება, ეტყობა მშვიდდება, ეტყობა ცეკვა, მაყვალას ხსენებაზე, იმასაც მოუნდა და გადაწყვეტით ამბობს:

მაშინ თხილი მაჭამეთო.

ვანუა ერთ ჯამ თხილს ჰპირდება და ნათელაც (ახლა რომ მახსენდება) დედოფლურად შემოდის საბძელში.

ნათელას შემოსვლაა და ვასიკო „დოლს“ დასცხებს.

ჩვენ ხელებს ვშლით და ნათელას წინ სარივით ვშემდებით. (როგორც გუშინ იყო, როგორც გუშინ გაშემდნენ ბიჭები მაყვალას წინ). და თუ ყველაფერი გუშინდელივით უნდა მოხდეს, ასე იყოს, — ნათელაც ინაზება, თავს ძირსა ხრის, გადმოჩეხილ კაწაწებს უკან გადაიყრის, მერე ერთბაშად მოიღერებს ყელს და წრეში გადმოდის.

წრეში ბზის კორიანტელი დგება.

მაშინდა ვფხიზლდებით, როცა შორიდან ისმის:

ნათელ! ნათელ!

ეს ნათელას დედა იბახის.

ნათელა შეშფოთდება, ერთ წამში კაბიდან და კაწაწებიდან ბზეს ჩამოიბერტყავს, საბძლის კარს აღებს და შინისაკენ გარბის.

„დოლიც“ ერთ წამში ჩაწყნარდება. ჩვენ უკვე ვიცით ცეკვა...

გაზაფხული კი მოდის, უფრო და უფრო ახლოვდება, თითქოს მისი ხმა აშკარად გვესმის. თითქოს ყველაფერში სუნთქავს: ყოჩივარდებში და ენძელებში; კვირტებში, სადაცაა რომ დასკდებიან და ფოთლებად გადაიშლებიან.

აბა გავყვეთ სოფლის ორღობეებს და ღობის ძირებში კარგად მივიხედ-მოვიხედოთ, საცაა იებიც გამოჩნდებიან. ცოტადა დარჩა, ორიოდე თბილი დღე და ყველაფერი გადაიშლება. მანამდე კი ერთი სიხარულიც გვეწვია: წუხელ ჩვენს ბოსელში პატარა ფუჩინა დაიბადა, ანუ ძროხამ ხბო მოიგო. ხვალიდან ეზოში მარტო ჩვენი ძროხა კი აღარ გამოვა, თან პატარა შვილიც გამოჰყვება, პატარა ფუჩინა, შუბლი თეთრად რომ შეჰკდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ნიშა ძროხად გაიზრდება. თავად წაბლისფერი ან რუხი იქნება, მარტო შუბლი ექნება ქათქათა თეთრი. ჯერ კი პატარაა, დედამ უკვე მიუაღერსა, თვითონ წამოდგომას ცდილობს და გაოცებული თვალებით შემოგვეცქერის: რა საინტერესო ყოფილა სამყარო, თანაც ის დრო, როცა გაზაფხული დგება! ჩქარა, მივუ-მარჯვეთ სათბილობელი, გარშემო თივის ბულული შემოგუწყვეთ, ჯერ კიდევ ცივა და ჩვენი ფუჩინა არ გაგვიციოდეს! რა დავარქვათ? ფუჩინას აუცილებლად სჭირდება სახელი. „ნიშა!“ თავად ეს ქათქათა შუბლი გვეკარნახობს სახელს.

ჩვენი დედაძროხაც რა ამაყად დგას! შვილის დედაა... რა ღირსეულად შემოგვეცქერის! მალე ამგვარივე ღირსებით გაუძღვება თავის ფუჩინას ბალახისაკენ. დილაობით ძროხა ნახირში წავა, თავის ტოლებს გაჰყვება. დილით მენახირე ჩამოივლის და სხვა ძროხებთან ერთად ჩვენს დედაძროხასაც გაიყოლებს. მთელი დღე ბალახზე იქნება და ფუჩინა შინ მარტო დარჩება, ჩვენთან ითამაშებს, ჩვენ ვიქნებით მისი ერთგული მეგობრები. ხანდახან დაიბლაგვლებს და ჭიშკრისკენ გაიხედავს: გუშინ დილითაც ამ ჭიშკრიდან გავიდა დედა და სადამო ხანს ამავე ჭიშკრით მობრუნდა. და რაკი გუშინ მობრუნდა, დღესაც, შებინდდება თუ არა, აუცილებლად მობრუნდება; ჯერ ჭიშკართან დაიზმუვლებს, მოვედიო, მერე რძით სავსე ცურით პირდაპირ თავის შვილისკენ გამოსწევს.

მაგრამ პატარა ფუჩინას რად უნდა ამდენი რძე. ფუჩინას სულ ცოტაც ჰყოფნის. ჯერ დედაძროხას ხეზე გამოაბამენ, კარდალით ჩამოიტანენ თბილ წყალს და ძუძუებს კარგად ჩამობანენ, მერე ძუძუების ქვეშ შეუდგამენ კარდალს და დაიწყებენ რძის ჩამოწველას. ფუჩინას უყვარს რძე, მაგრამ ბავშვებსაც უყვართ. აი ჩამოდის კარდალში ძაფივით წყრილი, თეთრი, ქაფქაფა, თბილი რძე. კარდალა ნელ-ნელა ივსება. დედაძროხა კი მალიმალ გახედავს თავის ფუჩინას, შიშობს, ვაი თუ აღარაფერი დამრჩეს იმისთვისო. ფუჩინა მიიწევს მისკენ. უკვე გაეშმაკდა და, თავისი წილი რომ ერგება, კარგად იცის. ადამიანები ხომ კეთილები უნდა ვიყოთ. ჩვენც გულს არ დავწყვეტოთ დედაძროხას, გავუშვებთ ფუჩინას და ისიც სიხარულით გარბის, ეცემა დედის თბილ ჯიქანს და

სწოვს, სწოვს, გამალებული სწოვს თბილ, ნოყიერ რძეს, ხანდახან დრუნჩსაც აჰკრავს, ვითომდა არა მყოფნის, ცოტა ბარაქიანად მასვი რძეო. როგორ არ ჰყოფნის, მაგრამ, აკი გითხარით, გაეშმაკდა და რას აღარ იგონებს. თანაც ხედავს, რომ მარტო არ არის, მაყურებლებიც ჰყავს: ძალი, კატა და, რაღა თქმა უნდა, მამალი. მამალი საგანგებოდ არ შებრძანდა საქათმეში, დედლები შერეკა, თვითონ კი გარეთ დარჩა. ახლა დამდგარან და ფუჩინას შენატრიან, ვნახოთ, რა მოხდებაო, ბოლოს და ბოლოს, აღარ იჯერებს გულსაო?

ფუჩინას თამაშს კი მართლა ბოლო აღარ ექნება, თუ ცოტაზე არ მოვქანეთ თო-კი და არ აგუხსენით, რომ ამქვეყნად ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და, დედის რძეც კი, თუ ის ზომიანზე მეტი მიირთვი, არ შეგერგება.

ახლა ფუჩინა დგას და დედას ეალერსება.

დედა კოცნის, პატარა დრუნჩზე ეფერება.

მერე ბინდდება.

თბილი, მომთენთავი საღამოა.

დიდება და პაპა ცას შესცქერეიან.

ცაზე მთვარე ამოდის. მთვარე დიდია, კაკლის კენწეროების გადაღმიდან ისე მო-ჩანს, როგორც დიდი, ყვითელი დაირა, ძველ დროში რომ ჰქონდათ, დოლის მაგვარი და პატარა გარმონთან („ბუზიკას“ ეძახდნენ) ერთად უკრავდნენ, უფრო ძველად კი ფან-დურთან ერთად. ხვალ კარგი დარი იქნება, ნამდვილი გაზაფხულის დღე. ხვალ პირველად დაიწყებს ძახილს გუგული. გუგული კი გაიძახის: „კაფეთესე!“ ანუ თესვა დაიწყეთო, ჯაგნარი გაკაფეთ, მიწა დაბარეთ, თესლი მოაბნიეთ და შემოდგომაზე მოსავალი მოიწიეთო. დაველოდოთ ხვალინდელ დღეს, გუგულის ძახილს.

სოფელი იძინებს და დანამდვილებით ჯერ არავინ იცის, ხვალ დაიწყებს თუ არა გუგული ძახილს. და ვიდრე სოფელი მართლა დაიძინებდეს, ჩვენს პაპას დიდუდასათვის რაღაც მოუშაადებია, ეშმაკურად შესცქერის, კალათისკენ იწვდის ხელს და იების პატარა კონას აწვდის, როგორც ოდესღაც, როგორც ბავშვობაში. დიდუდაც იღიმება. იები აყვავებულა! — გაიძახის ხმამაღლა და ბავშვებს უხმობს. მთელი ოჯახი ძილისპირის თვლემიდან გამოდის და ერთხმად აუიჟივდება: იები აყვავებულა! სად მოჰკრიფე პაპავ, რომელ ორღობეში? განა ამათი მოკრეფა შეიძლებოდა — სინანულით დასცქერის ბებო და თან ეამაყება, რომ იები მოართვეს. ეს ერთხელ ვაპატოთ პაპასაც, ბოლოს და ბოლოს იები ბებოს მოართვა, როგორც დიდი ხნის წინათ, როგორც მაშინ, როცა ახალ-გაზრდა იყო. ხვალ კი გოგო-ბიჭები თვითონ გასწევენ ორღობისაკენ იების სანახავად.

მაგრამ რატომ დადონდა დედა?

იების სევდამ დააღონა... მიხვდა და ჩვენც მიგვახვედრა, რომ ამქვეყნად ყველა-ფერს იმაზე მაღალი აზრი აქვს, ვიდრე ზოგჯერ ჩვენ წარმოგვიდგენია. თვით იის ამოს-ვლაშიც დიდი მიზანი ჩაუქსოვია ბუნებას.

პატივი ვცეთ ბუნების ამ დიდ მიზანს...

გუგულმა „კაფეთესე“ დაიძახა. დადგა ის დრო, როცა მთელი სოფელი გარეთ უნდა გამოვიდეს. აკი ლექსადაც ითქვა: „ბაღლებს უხარით, დარბიან, პაპას გაუთბა ძვლებია“. ას წელს მიღწეული პაპა თბილ მზეს მიფიცხებია, და იქვე დიდუდაც ჩამომ-ჯდარა მიწაზე გაშლილ ნაბდის ძველაზე. უფრო მხნე და მუხლჩაუხრელი პაპა კი გზა-ზე მიიჩქარის, ვენახი უხმობს, ნახსლავს უნდა დახედოს, აკი ჯერ კიდევ მაშინ გასხლა ვაზი, როცა აქა-იქ ისევ თოვლი იდო. გახსოვთ, მაშინ ვაზი ტიროდა...

და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვენახიდან პაპა ყანაში ჩაივლის, ყანას უნდა გა-დახედოს, შემოდგომაზე რომ დაითესა და ახლა ჯეჯილად იქნება აბიბინებული. ხო, ხორბალი შემოდგომაზე დათესეს, მოხნეს მიწა, დაფარცხეს (ანუ გააფხვიერეს) და მე-რე ხორბალი მოაბნიეს, რათა ჯეჯილად ამოსულიყო. ჯეჯილი მერე, ზაფხულისთვის იქცევა ნამდვილ ყანად და ჩვენც სხვებთან ერთად დავესწრებით ყანის მკას. ჯერ მკა შორსაა. ჯერ მხოლოდ გაზაფხულია და პაპამაც ის გააკეთა, რაც გაზაფხულზე უნდა გაკეთდეს: ნერგები ჩაყარა. ორმოები თვითონვე გათხარა და ღობის პირებზე ჩაარივა ხეხილის ნერგი. გაივლის წლები და ჩვენი მოხუცი პაპა უკვე ამქვეყნად აღარ იქნება. ეს თავადაც კარგად იცოდა, როცა ნერგებს ყრიდა. ნაყოფს მე თვითონ მოვესწრებით, ამაზე არც უფიქრია, ნერგები თქვენთვის ჩაყარა და როცა წარმოიდგინა, როგორ შეექ-ცევით პაპის დარგულ ხეხილზე მოსხმულ გემრიელ ნაყოფს, სიხარულისაგან გაიბადრა. რა თქმა უნდა, სევდაც მოეძალა, თვითონ ხომ თქვენთან ერთად აღარ იქნება, მაგრამ თქვენზე ზრუნვის სიხარულმა მაინც აჯობა სევდას. არა, როგორც ერთ არაკშია თქმუ-

ლი, გზად არავის ჩაუვლია და არც პაპასთვის უკიხავს, შენ ხომ მაინც ვერ მოესწრები მაგის ნაყოფს, რაზე წვალობო, მაგრამ პაპამ ეს თავადვე გაიფიქრა, ერთი წამით გაიფიქრა და, როგორც გითხარით, ის სევდაც მცირე ხნით მოერია.

მოდით, წამით გაეჩუმდეთ და ყური მივაპყროთ გაზაფხულის მზიანი დღის მუსიკას, არა ფრინველთა ჭიკჭიკს, არა ფუტკრების ზუზუნს, არამედ სხვა მუსიკას. მოუსმინეთ, შორიახლოდან რაღაც კაკუნი ისმის, რიტმული, ერთ აზრში მოქცეული კაკუნი. თითქოს დასარტყმელ ინსტრუმენტზე იქმნება მუსიკალური ბგერა. აგერ ზანზალაკებმაც მისცეს ხმა და შეთრთოლდნენ. მერე დოლი და ზანზალაკები ერთად აგრძელებენ რიტმულ ბგერებს, ხან ერთმანეთს ენაცვლებიან, ხან ერთი უსწრებს წინ, ხან მეორე. ეს თოხის ხმაა, თოხი წკარუნობს წვრილ ქვიშაზე, თოხი გამოსცემს ბანსაც. ზოგი ახლოსაა, ღობის გადაღმა (ბოსტანში თავნარგული ქოჩორა ბიჭი თოხნის საბოსტნეს). ზოგი — ცოტა მოშორებით, ორღობის გადასწვრივ, ზოგი კი — შორეულ ფერდობზე. აქეთ ქალი მუშაობს, თეთრდოლბანდიანი, იქით — ისევ ბერიკაცი, ფერდობს კი ბიჭები მიუყვებიან. მოვუსმინოთ ამ მუსიკას, კარგად მოვუსმინოთ და სახელიც თავად დაიბადება. ეს შრომის მუსიკაა! და თუმცა მელოდია არ გვესმის, თუმცა მხოლოდ რიტმული ბგერები ენაცვლებიან ერთმანეთს, მუსიკა ჩვენ თვითონ გვეუბნება, რომ შრომა ადამიანის მაღალი დანიშნულებაა, რომ შრომის გარეშე ამოღენა სამყაროში არაფერი იქმნება. რომ შრომობენ თვით მზეცა და პლანეტებიც, დაუღალავად, ერთი წამის დაუკარგავად შრომობენ. რომ ბარვა, თოხნა, მორწყვა, გაფურჩხნა, შეყვება სჭირდება ყველაფერს, რასაც თითქოს მხოლოდ ბუნება გვთავაზობს. ჩვენ კი ზოგჯერ გვეგონია, რომ სუფრაზე მოტანილი ხილი თუ ბოსტნეული მხოლოდ ბუნების ბოძებული საჩუქარია, მხოლოდ მზისა და მიწის ნობათი. გვეგონია და გვაფიქვდება ხალხში ყველაზე ზუსტად შერქმეული სახელი — „ჭირნახული“. აკი გითხარით ამ სიტყვის მნიშვნელობაზე, და ეს მუსიკაც, ახლა რომ ჩაგესმით, „ჭირნახულის“ მუსიკაა. კიდევ ერთხელ კარგად მოვუსმინოთ და დავიმახსოვროთ, რომ გაზაფხული არ არის მხოლოდ ჩიტების მოფრენა და ჟივილხივილი, არც თბილი მზე და აყვავებული ტყემლები, არც მხოლოდ იები და ყოჩივარდები. ის, რასაც თქვენ ხედავთ, (გარშემო კი მართლაც ყოველივე ჰყვავის და იღვიძებს) გარეგნული სამოსელია გაზაფხულისა. მის იქით კი იგულისხმება სწორედ მიწასთან ჭიდილი, მიწის წიაღში ძებნა ყოველივესი, რამაც შესაძლებელი გახადა ჩვენს პატარა პლანეტაზე სიცოცხლის აღმოცენება.

ვიდრე ჩვენ ყვავილებად ქცეული არე-მარეთი ვტკბებით, მთელი ოჯახი შარავზაზე გასულა, პაპას ხელში ღვინის ხელადა უჭირავს, დიდებას შოთი პურები მოუჩანს თავისი წინსაფრიდან. დედას ჯამი მწნილით გაუვსია. დამდგარა სურნელი ნივრისა, წიწაკისა, კიტრის და პამიდვრის მწნილისა. მამა ამაყად დგას და სუყველანი ერთად რადაციის მოლოდინში არიან. „მოდიან!“ — იძახის ვიღაცა და ჩვენ კიდევ არ ვიცით, ვინ მოდის, რა უნდა, რატომ ელოდებიან ასე ხელდამშვენებულნი, რატომ გამოსულან შარავზე სხვებიც. აბა ჩვენც გავიხედოთ და შეიძლება ჩვენც დავგლანდოთ შორიდან რამე.

მართლა მოდიან!

ცხვრის ფარები მოდიან!

ცხვარი დაძრულა და მთებისკენ მიდის!

ზაფხული მთაში უნდა გაატარონ. როცა ზაფხული დადგება, ჩვენც ვეწვიოთ მთაში, ჩვენც გავათიოთ ერთი ღამე მეცხვარეთა პატარა ქოხში. ახლა კი, ვიდრე ზაფხული დადგებოდეს, მთაში მიმავლები, სხვებთან ერთად, ჩვენც გავაცილოთ. ფარა კი ახლოვდება და ახლოვდება. ფარას წინ რქაგადაგრეხილი ვაცი მოუძღვის, თეთრი, ქათქათა ვაცი. თოვლისფერი წვერი მკერდამდე ჩამოჰყვინია, ამაყად მოდის და საამაყოდაც აქვს საქმე: ამოღენა ფარა მის ფეხის ხმას აჰყოლია; ის გამხდარა თავი და თავი; საცა ის წავა, მორჩილი ფარაც იქით გაჰყვება. ვაცს გვერდით ჭაბუკი მწყემსი მოჰყვება, კომბალი მხრებზე გარდიგარდმო გაუღვია და ორივე ხელით ზედ ჩამოჰკიდებია. თან ვაცს აქეზებს, თან აქეთ-იქით იყურება და ხალხს უცინის. ცოტა მოშორებით სხვა მწყემსებიც მოდიან. ხალხი უკვე შარავზე გამოფენილა და მწყემსებიც მცირე ხნით უნდა შეჩერდნენ. მამა აქამდე დამალულ ჯამს იღებს. პაპა იმ ჯამს ღვინით ავსებს. მამა მწყემსებს გზას ულოცავს და ჯამს (ცხადია, ღვინით სავსეს) ახლა იმათ აწვდის. არის ერთი ხუმრობა, გადაძახილ-გადმოდახილი. რძლებს ხელში ბაღლები აუტატიათ და მწყემსებიც ხან ერთ ბავშვს ჩამოართმევენ, ხან მეორეს, ხან ერთს კოცნიან, ხან მეორეს. ახალგაზრდა მწყემსები გოგოებს გასცქერიან და გოგოებიც დარცხვენინი იჭვრიტებიან ღობის გადაღმიდან. ცხვარი კი გზას განაგრძობს. ვაცი არ ჩერდება, უკან არც კი

იხედება და ფარაც მორჩილად მისდევს. „მე! — გაიძახიან ბატკნები და დედას უხმო-
ბენ. ბაღლებიც გვერდიგვერდ მისდევენ ფარას და იმას ეძახიან, რასაც ბაღლები ასეთ
დროს მუდამ იძახდნენ:

— ყელში დანა ვის უნდა?

— მე! — პასუხობენ ბატკნები და ბაღლების ჟრიაბული ეზოებს ედება.

შეაცდინეს ბატკნები!

ბოლოს კი ფარას ავი ქოფაკები მოსდევენ. მაგრამ ჩვენთვის მოჩანან ავეები, თო-
რემ უამათოდ ფარა ვერ იქნებოდა ფარა. ესენი არიან ამ ცხვრებისა და მეცხვარეთა
მთელი ბინის პატრონნი. ამათი შიშით ფარას მგელი ძნელად თუ მიეტანება და, თუ გა-
ბედავს, ძვირადაც დაუჯდება. ესენი მოჰყვებიან ფარას მშვიდი ღირსებით, ზოგს კისერ-
ზე ბასრი ჩანგლებიანი „მივიცი“ ჰკიდია. სწორედ იმიტომ, რომ მგელი არ ეცეს კისერში
დასახრჩობად და თუ ეცემა, სანანებლად გაუხდეს. მოდიან და თითქოს გვერდზე არც
იხედებიან, ერთხელ თუ მოატარებენ მზერას და ისიც იმიტომ რომ მათი აქ ყოფნა არ
დაგვაგწყდეს.

ჩაივლის ცხვარი და შარავზაზე მტვრის კორიანტელი რჩება. ამ მტვრის კორიან-
ტელში თითქოს ბურუსიდან გამოიკვეთება რამდენიმე ცხენი, დიდი საპაღნეები (ანუ
ბარგი) რომ გადაუკიდიათ, ზოგისათვის კი ხურჯინი. კარგად შეხედეთ ამ ხურჯინს,
ესეც არ დაგავიწყდეთ: ხურჯინის ერთ თვალში თეთრი, ქათქათა ბატკნები სხედან და
გაოცებულნი მზერას არ გვაშორებენ, მეორე თვალში კი — ერთი ბეწო, მურა ლეკვები.
ეს ლეკვები იმ ქოფაკის შვილები არიან, ზანტად რომ ჩაგვიარა წინ და გადმოგვხედა,
ბატკნებიც, ალბათ, გზაში დადლილან, ძალზე პატარებს ამოდენა გზაზე ველარ უვლი-
ათ.

იმ ახალგაზრდა მწყემსს რაღა უჭირავს ხელში, რა მიუხეუტებია გულზე?

ესეც ერთი ციდა, ჭრელი ბატკანი!

ახლა მწყემსის აღერსისა და სითბოს გარდა მას არაფერი უნდა. მიჰხეუტებია
გულზე, გაოცებული თვალებით გვიყურებს და ფიქრობს:

რა დიდი ყოფილა ქვეყნიერება...

— ყელში დანა ვის უნდა?! — კვლავ გაიძახიან გათამამებული ბაღლები (ქოფა-
კებმა უკვე ჩაიარეს). მაგრამ მათ ძახილს აღარაფერ ეხმაურება.

ფარა მთისაკენ დაიძრა...

ვიდრე ფარა მთაში მიდის, ჩვენც გადავხედოთ ჯეჯილს, რომელსაც პაპა იმედით
გადასცქეროდა, კარგა ხანს იდგა ჯეჯილის თავში და ჩვენც, თუ იმდენ ხანს არა, მცი-
რე ხნით მაინც გაგჩერდეთ. აბა ნახეთ, რა სიმწვანეა, რა ხასხასა ფერი. მცირე ხანს
მოითმინეთ და ჯეჯილს ნიავიც ჩამოუქროლებს. აი, ნიავეზე ჯეჯილის ჩამოქროლებას,
ხალხი „მზეკაბანს“ უწოდებს. ამ დროს ჯეჯილი თითქოს ზღვას ჰგავს, მღელვარე
ზღვას კი არა, მშვიდს, რომლის სიმშვიდეც მხოლოდ პატარა სიოს წამოქროლვამ და-
არღვია და ლივლივა ტალღებმა წყალზე უწყინარი, ძლივს გასაგონი შრიალით გადაი-
არეს. „მზეკაბანი“ — ამ სიტყვის დავიწყება არ შეიძლება. აქ ბევრი რამაა ნაგულისხმე-
ვი. თითქოს ჩვენს ჯეჯილს მზემ ახალი, საგაზაფხულო კაბა ჩააცვა და გამოაწყო, რა-
თა მოვსულიყავით და ბუნების სიდიადე ერთხელაც შეგვეგრძნო. მზე აშუქებს მწვანე,
ლივლივა ტალღებს და გულში დიდ იმედებს გვინერგავს.

ჯეჯილი ბევრ რამეს გამოხატავს, იმაზე მეტს, ვიდრე მიწის გულიდან ამოსული
მცენარეა. ჯეჯილი ყანად უნდა იქცეს, ყანამ ხორბალი უნდა მოგვცეს, ხორბალი კი
პურია. პურს ზაფხულში მოვიწევთ. გაზაფხულის ამ დღეს კი, როცა გარშემო ყველაფე-
რი ჰყვავის, როცა გალობენ ფრთოსნები და ჩვენც სიცოცხლის სიდიადე სულს გვიფო-
რიაქებს, აქ, ჯეჯილის პირას მოსულებმა, გავისხენოთ ცნობილი თქმა:

პური ჩვენი არსობისა.

ამ ჯეჯილის პირას, იმ იმედით ვდგავართ, რომ ჯეჯილმა უნდა მოგვცეს სწო-
რედ „პური ჩვენი არსობისა“.

მაგრამ ჩვენ ხომ სხვა რამეც გვითხრეს:

„არა პურითა ერთითა!“ მხოლოდ პური არ კმარაო ადამიანის ცხოვრებისთვის.

ამიტომ გვიფორიაქებს სულს გაზაფხულის სილამაზე.

ამიტომ გუსმენთ ფრინველთა გალობას.

ამიტომ გვსურდა მუსიკის დაჭერა კენტებზე თოხის წკარუნში, რომელიც ხან და-
სარტყმელი ინსტრუმენტის რიტმებს შევადარეთ, ხან ზანზალაკების წკარუნს.

ყოველივე ერთად კი გაზაფხულია!

და რაკი მთელი არემარე უკვე ყვავილებით არის მოფენილი, თეთრი, იისფერი და პირისფერი ყვავილების ფანტელები ათოვს ბაღებს, რაკი გაზაფხულის სურნელით გაჟღენთილა ცა და დედამიწა, ფუტკრები ტოტებს შორის ბზუიან, მზე კი მშვიდი სითბოთი უაღერსებს ყოველივეს, ბარემ დაგუცადოთ მზის ჩასვლასაც და შევიგრძნოთ კიდევ ერთი სასწაული: გაზაფხულის ღამე!

აი, თითქოს ყოველივე მიწნარდა, ფუტკრებმა მონახეს თავიანთი სკები, მიწყდა სოფლის ჟრიაშული და ის დროა, როცა კაკლის კენწეროებს მიღმა უნდა ამოვიდეს გაზაფხულის სავსე მთვარე, აი, გამოჩნდა კიდევ ბრინჯაოსფერი დისკო მთვარისა, თითქოს ნელ-ნელა ვეება კოცონი ენთებაო. „კოცონი“ უფრო და უფრო მალღდება და აღმოსავლეთის ცაზე ამოდის მთვარე, ჩვენი დედამიწის შვილი თუ თანამგზავრი. ახლა მთვარის მკრთალი ნათელი ედება ყველაფერს და თეთრად გადაქათათებული აყვავებული ბაღები იღუმალ მოცისფრო შუქს აღვივებენ. გავიართოთ ბაღში, აყვავებულ ტოტებს შორის, ფრთხილად მივიხედ-მოვიხედოთ, თვალი შევაგლოთ ჩვენს თავზე გადმოხობილ ცას და, თუ ოდნავ მაინც დვივის ჩვენში ბუნების საოცრებათა შეგრძნების უნარი, არ შეიძლება არ გავიფიქროთ:

— არაფერია ქვეყანაზე სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი.

ამგვარ დროს გვავიწყდება ქვეყნის ამაო ფუსფუსი, ათასი წვრილმანი, რითაც სავსეა ყოველდღიური ჩვენი ცხოვრება, გვავიწყდება, რომ არსებობს ბოროტება, შური, მტრობა, რომ ქვეყნიერება ასპარეზია განუწყვეტელი ჭიდილისა, სიკეთესა და ბოროტებას შორის სისხლისმღვრელი ომისა და წამით, ყველაფრისაგან გათავისუფლებულს, გჯერა:

— სამყაროში დიდებული ჰარმონია სუფევს...

დავიმახსოვროთ ჰარმონიით აღსავსე ეს გაზაფხულის ღამე და ეს მთვლემარე, იღუმალი ყვავილები, რომლებიც ჩაგვჩურჩულებენ:

— აღამიანი ამქვეყნად დიდებული ჰარმონიის საძებნელად მოდის...

აგერ მთვარე თავისი გზით ისწრაფვის.

ვარსკვლავებიც თავისი გზით მიდიან და ერთმანეთს არ ეჯახებიან.

გაზაფხულის ამ დიდებულ ღამეს აუცილებლად მოჰყვება გათენება.

ეს არის სამყაროს ჰარმონია, რომელსაც ჩვენ შევიგრძნობთ და რომელიც ჩვენშია.

მაგრამ არის კი ჩვენში?

ამის გარკვევაში თვითონ ბუნება უნდა დაგვეხმაროს.

ჩვენ კი, ჩვენის მხრივ, სულ მის ძიებაში უნდა ვიყოთ, უნდა დავიცვათ, უნდა შევინარჩუნოთ იგი, რადგან თვით აღამიანთა ცხოვრებაა წარმოუდგენელი ჰარმონიის გარეშე.

*

გაზაფხული ვარდობისთვის, ანუ მაისით დასრულდება.

ჩაივლის აღდგომა...

აღბათ, გახსოვთ, იესო ქრისტეს ამბავზე რომ მოგიტხრობდით. და იმ ძველისძველი ამბის თანახმად, იესო ქრისტე სწორედ გაზაფხულზე აღსდგა მკვდრეთით.

მართალია თუ არა ეს ამბავი?

მართალი ის არის, რომ ყოველ ძველთაძველ ამბავში თუ გადმოცემაში დიდი სიბრძნეა ჩაქსოვილი და ხალხის საუკუნეობრივი გამოცდილებაა დაგროვილი.

ყოველ ძველ წეს-ჩვეულებაში და მათ შორის ქრისტიანულშიც, არის დღეისათვის გამოსადეგი სულის, სხეულის და გონების სავარჯიშო რამ, რისი გადაგდებაც არ შეიძლება.

მთავრდებოდა დიდმარხვა, მიიღეოდა უკანასკნელი დღეებიც და მთელი სოფელი აღდგომისათვის ემზადებოდა.

აღდგომა „ქრისტეს აღდგომის“ დღესასწაულია.

ხომ გახსოვთ ჯვარზე გაკრული, რწმენისათვის წამებული ქრისტე?

შემდეგ კი — ქრისტეს აღდგომა?

სწორედ ამ დღის ზეიმია აღდგომის დღესასწაულიც.

აღდგომის კვირა გაზაფხულის ერთ რომელიმე დღეს არ ემთხვევა, იგი მოძრაობს და გაზაფხულის ბუნიობას მოსდევს, ჩვეულებრივად ერთ რომელიმე კვირას, ოთხი აპრილიდან რვა მაისამდე.

დღესასწაული ერთ კვირას გრძელდებოდა და ეს „ნათელ კვირად“ ითვლებოდა, ვიდრე არ დადგებოდა ახალკვირა, ანუ „კვირაცხოველი“.

მზადება დიდი იყო, დიდი ცხოვა პასკებისა, წითლად ღებვა კვერცხებისა. წითლად იმიტომ, რომ ეს იყო ფერი ქრისტეს მიერ დანთხეული სისხლისა. კვერცხი კი, ცხადია იმიტომ, რომ კვერცხია მარადიული ნაყოფიერების სიმბოლო.

კვერცხებს ენდროთი ღებავდნენ. დაბალი მცენარეა, გაზაფხულზე ამოდის, გრძელი, ხორკლიანი ფოთლები მიწაზე აქვს გართხმული. ენდრო რომ ამოგლიჯოთ და ღერო გადატყოსოთ, ხელები წითლად შეგედებებათ. ამ ენდროს ძირებს ხარშავენ და ნახარში მუქ წითელ ფერს იღებს. მერე ამ ნახარში აგდებენ კვერცხებს და იმასაც კარგა ხანს ხარშავენ.

ამ კვერცხებით დავდიოდით აღდგომა დღეს.

ამ კვერცხებით მოგვქონდა თავი...

რაკი კვერცხებზე ჩამოვარდა სიტყვა, „ალილო“, ანუ „ჰონა“ უნდა გავიხსენოთ, ჰონას ღამე... რაღა თქმა უნდა, ღამე თბილი და მთვარიანი უნდა იყოს, იღუმალის მუქით განათებული, რადგან მთელი შინაარსი „ჰონასი“ იღუმალია. ეს წინასააღდგომო ღამეა, ჩამოვლა სოფლისა, მილოცვისა და სიხარულის ღამე. ბიჭები იკრიბებიან, ათიოდენი, ზოგი რომელ უბანში, ზოგი რომელში, და რაც მთავარია, კარგი ხმისანი. „ჰონა“ სიმღერაცაა, მთელი რიტუალი სიმღერით სრულდება და, თუ ვინმემ აურია, სილამაზე „ჰონაობისა“ გაქრება.

ბიჭები მოუთმენლად ელიან დაღამებას, იწყება ჩამოვლა. ჰონას მონაწილეებს ჩვეულებრივად ნიღბებიც უნდა ეკეთოთ და ნიღბები მრავალგვარ ხასიათს უნდა გამოხატავდნენ. ხასიათთა ეს მრავალგვარობა კი სამხიარულო და სახუმარო ელფერს სძენდა ჰონას.

სიმღერა კი მაინც სიმწობრეს მოითხოვდა. დააგუგუნებდნენ ბანები და ორი ხმა დასჭექდა. ამ ხმებში ჯერ მილოცვა ისმოდა, აღდგომის მოსვლას ულოცავდნენ ოჯახს, რომლის ჭიშკართანაც მივიდოდნენ. ბოლოს კი ტექსტი იუმორითაც იფერებოდა: „ალათასა, ბალათასა, ჩამოვიდებ კალათასა, გოგო ერთი კვერცხი ჩადე, ღმერთი მოგცემს ბარაქასა“. და, რაღა თქმა უნდა, გახარებული მასპინძელი, რაკი მეჭონეებმა აღდგომა მიულოცეს, კალათაში წითელ კვერცხებს ჩადებდა, თავადაც დალოცავდა და ახლა სხვა ოჯახისკენ გაისტუმრებდა.

იმ ღამეს არ ეძინა სოფელს. ყველა ჰონას ელოდა, ყველას ყური იქით ჰქონდა მიპყრობილი, რომელ უბანში აიარეს და ვის ჭიშკართან მივიდნენ მომღერლები.

თუ ვინმეს მეჭონეები უნებურად გვერდს აუვლიდნენ, მასპინძელი ნაწყენი რჩებოდა, რაღაც აკლდებოდა იმ წელიწადს მის „აღდგომას“.

და, რაღა თქმა უნდა, მთვარეც შუაღამემდე კარდაკარ დაჰყვებოდა მეჭონეებს.

*

აღდგომა დღე წითელი კვერცხებით იწყებოდა. კვერცხებს ერთმანეთს ვურტყამდით და ვისი ჯილაკვერცხიც უფრო მაგარი გამოდგებოდა, ის იყო მაგარი ბიჭი. დამრეც ადგილას ამ კვერცხებს ვავროვებდით და ვისი კვერცხიც უფრო შორს წავიდოდა, გამარჯვებულიც, ცხადია, ის რჩებოდა. იკვლებოდა სააღდგომო ბატკანი, ისდებოდა სააღდგომო ზედაშე, ანუ ღვინით სავსე ქვევრი, რომელსაც პატრონმა საგანგებოდ ჩაუთქვა (ზოგმა რის გამო, ზოგმა — რისი, ზოგმა სიხარულს დაუკავშირა ეს ჩათქმა, ზოგმა მწუხარებას, ზოგმა თქვა, ოღონდ ჩემი ბიჭი ჯარიდან საღსალამათი ჩამოვიდეს და ერთ ზედაშეს ჩავუთქვამო, ზოგმა ვიღაცის სსოვნისათვის გადაინახა სუფთა, თავანკარა ღვინო). ახლა ამ ზედაშეს მოხდიან და სადღეგრძელოებიც, ცხადია, სადღესასწაულო და საზეიმოა.

მეორე დღეს მივიღვართ სასაფლაოზე.

თან მიგვაქვს ის წითელი კვერცხები.

ჩუმად ვართ. წინაპართა საფლავებს დუმილით უნდა მიეახლოთ. ასევე ჩუმად ვღებთ წითელ კვერცხებს საფლავებზე.

აღდგომის დღესასწაული დასრულდა.

სევდიანად დასრულდა, მამა-პაპათა საფლავებზე...

ჩვენც დავემშვიდობოთ აღდგომას და მალე — თვით გაზაფხულსაც.

ახლა კი იმასლა დავსძენთ, რომ აღდგომა მარტო ქრისტიანულ რელიგიას არ შეუთხზავს.

მსგავსი დღესასწაულები მანამდეც ყოფილა.
ძველი ხალხების რწმენით, ღმერთები კვდებოდნენ და გაზაფხულზე კვლავ ცოცხლდებოდნენ, ანუ აღდგებოდნენ.
ასეთი იყო ოსირისი ეგვიპტეში...
თამუში — ბაბილონში...
მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა.
საუკუნეებმა გადაიარა.
დრო წინ წავიდა.
ჩვენი დროც, ოდესმე კაცობრიობის ხსოვნასღა შემორჩება.

*

ამგვარია ვარდობისთვე, მაისი — მიწურული გაზაფხულისა.
აყვავებულ ყვავილებში ფუტკრები ზუზუნებენ.
მერცხლები თავის ბარტყებს თავს დაჰხარნიან.
ხეზე მღერის მოლალური და, როგორც ჩვენი წინაპრები გვარწმუნებენ, „ბიჭო-გოგიაო“, გაიძახის.
საცაა ბალი და თუთა დამწიფდება.
ქვეყანას წითელი ყაყაჩოები მოსდებია.
ბალახი ათქვირებულა.
გლეხკაცები უკვე თიბვისთვის ემზადებიან.
მაგრამ როცა თიბვა დაიწყება, აღარ იქნება გაზაფხული. თიბვა ზაფხულისაა, თიბვის ამბავი ზაფხულის ამბავი უნდა გახდეს.
ჯერ მაინც ისევ მოლალურს მოვეუძინოთ: მართლა გაიძახის „ბიჭო-გოგიაო?!“
ხომ არ მოგეწყინათ?
ხომ არ გაგვიგრძელდა ჩვენი მოთხრობა?
თუ ბოლომდე ჩაიკითხეთ ეს პირველი თავი, თქვენც, ცნობილი არაკის გმირივით, ერთხელ მაინც ხომ არ გაიფიქრეთ, ნეტავ სულ გაზაფხული იყოსო?
არც მინდა რომ გაიფიქროთ...
სულ გაზაფხული ვერ იქნება...
დრო სწრაფად მიდის, წელიწადის დრონი ერთმანეთს ცვლიან, წლები წლებს მისდევენ, საუკუნეები — საუკუნეებს, ათასწლეულები — ათასწლეულებს.
ისღა დამრჩენია შეგახსენოთ, რომ ჩვენი პატარა პლანეტა, რომელსაც ქართველები დედამიწას ვეძახით (ხედავთ, რა დიდებული სახელია, დედის სახელს უკავშირდება — დედა და მიწა...), მზის ირგვლივ ბრუნავს, უზარმაზარი კაშკაშა ცეცხლის ბურთის ირგვლივ. მზე გვაწვდის სითბოს, სინათლეს, მზის წყალობით იცვლებიან დრონიც და ქართველები მზესაც დედას ვუკავშირებთ. ასეთი ლექსიც არის ხალხში შეთხზული:

„მზე დედაა ჩემი,
მთვარე მამა ჩემი,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი
და და ძმია ჩემი“.

დედამიწა თავისი ღერძის გარშემო ბრუნავს და ერთი შემობრუნება ერთი დღე-ღამეა. დედამიწა მზის გარშემოც ბრუნავს და ერთი შემოვლა მზის ირგვლივ ერთი წელიწადია.

მზე, თავის მხრივ, წელიწადში თორმეტი თანავარსკვლავედს გაივლის. ამ თანავარსკვლავედს ხალხმა ძველთაგან ცხოველების და მისთვის ნაცნობი საგნების სახელები შეარქვა, რაკი დედამიწიდან მათი განლაგება რაღაც საგნებს და ცხოველებს მიაგავსა. ეს სახელებია: ვერძი, კურო, მარჩბივი, კირჩხიბი, ლომი, ქალწული, სასწორი, ღრიანკალი, მშვილდოსანი, თხის რქა, მერწყული, თევზი.

ბერძნებმა ამ თანავარსკვლავედის გზას „ზოდიაქო“, ანუ „ცხოველთა წრე“ შეარქვეს, რაკი მათი უმრავლესობა ცხოველთა ფიგურებს მიაგავსეს.

ყოველ თანავარსკვლავედში, ამ თორმეტთაგან ჩვენი მზე თითო თვეს „დაჰყოფს“ და დედამიწის წელიწადიც თორმეტი თვედ იყოფა.

წელიწადი კი ოთხ დროდ იყოფა.

პირველი უკვე გავიარეთ — გაზაფხული.

საცაა ზაფხულიც დადგება.

და ვიდრე მართლა დადგებოდეს ზაფხული, ბარემ ესეც არ დაგვაფიწყდეს:

გაზაფხულის თვეებია: მარტი, აპრილი, მაისი.

თვეთა სახელების დარქმევასაც, რაღა თქმა უნდა, თავისი მიზეზი ჰქონდა:

მარტი რომაულ ღვთაებას მარსს უკავშირდება, მარსი კი ომის ღმერთად ითვლებოდა, მაინცდამაინც წელიწადის ამ თვეს რატომ დაუკავშირდა ომის ღმერთის სახელი, ალბათ, არავინ იცის.

აპრილი — ლათინურ სიტყვას „აპერირეს“ უკავშირდება. „აპერირე“ — გახსნას ნიშნავს, ალბათ წლის გახსნას, დასაწყისს, რადგან ძველ რომში გაზაფხული სწორედ აპრილიდან იწყებოდა.

„მაისიც“ რომაული წარმოშობის სიტყვაა. ქალღმერთ მაიას უკავშირდება. და არც არის გასაკვირი: მაია განახლებული ბუნების ღვთაებად ითვლებოდა და მაისში ბუნება ხომ მართლაც სრულიად განახლებული სახით წარმოგვიდგება.

ყოველ თვეს ძველ საქართველოშიც თავისი სახელი ერქვა და თავის მხრივ, ხალხური სახელწოდებაც არსებობდა. ასეა გაზაფხულის თვეებიც: მარტს, ძველქართულად „მირკანი“, ხალხურ სახელად კი მაინც „მარტი“ ერქვა; აპრილს „იგრიკა“ ერქვა, ხალხური თქმით, კი მაინც აპრილი; „მაისს“ კი ძველად „ვარდობისა“, ანუ ვარდობის-თვე ერქვა.

ახლა იმასაც გაგახსენებთ, რომ თვეები კვირებისაგან შედგება. თითო თვეში ოთხი კვირაა. თავად სიტყვა „კვირა“ ბერძნული, „უფლისას“, „საუფლოს“ ნიშნავს. ქართულად ითქმებოდა „მსგეფსი“, „შვიდეული“, რაკი კვირაში შვიდი დღეა: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა.

ძველქართულად ორშაბათი იყო „მთოვარისა“, სამშაბათი — „არიასი“, ოთხშაბათი — „ერმისა“, ხუთშაბათი — „აფროდიტისა“, პარასკევი — „დიოსისა“, შაბათი — „კრონოსისა“, თავად კვირადღე — „მზისა“.

რაკი გითხარით, რომ თავისი წრიული მოძრაობის გზაზე ჩვენი მზე ყოველ თვეს ამა თუ იმ თანავარსკვლავედში „იმყოფება“, ამ გაზაფხულზე, ჩვენ რომ თქვენთან ერთად გავიარეთ, მზემ სამი თანავარსკვლავედი მოვლო: „ვერძისა“, „კუროსი“ და „მარჩბივისა“.

მაღე ზაფხული დადგება.

ჩვენი მზე „კირჩხიბის“ თანავარსკვლავედში შედის.

დავემშვიდობოთ ამ ჩვენს გაზაფხულს, რომელიც ერთად გავიარეთ.

მომავალ წელს სხვა გაზაფხული მოვა, მსგავსი ამ გაზაფხულისა და მაინც სხვა.

დრო მუდამ წინ მიისწრაფვის.

მისი შემობრუნება არ შეიძლება.

და ჩვენ, ადამიანებს, ისლა დაგვრჩენია, რომ გაგყვეთ დროთა დინებას.

ზაფხული

„ზურმუხტის ტახტზედ დაჯდა ზაფხული“...

ეს ქართველი პოეტის, დავით გურამიშვილის სიტყვებია, „მხიარული ზაფხულიდან“ ამოღებული. პოეტი ზამთარ-ზაფხულის ბრძოლას აღწერს, რომელიც, ცხადია, ზაფხულის გამარჯვებით მთავრდება.

ძველად, ჩვენში ხშირად იწერებოდა იმგვარი პოემები და ლექსები, რომელშიც წელიწადის დრონი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. იყო თვეების გაბაასება, აპრილი მარტს უმტკიცებდა, მე შენზე უფრო ლამაზი ვარო, აპრილს მაისი ეჯიბრებოდა.

ახლა ზაფხული დგება. ზაფხულში კი უამრავი საზუნავი გვექნება. ყოველდღიურ ხალხურ მეტყველებაში და ზოგჯერ ლიტერატურაშიც, წელიწადი (რაღა თქმა უნდა, პირობითად), ორ დროდაც, ზამთარ-ზაფხულად იყოფა. ამგვარი დაყოფა წელიწადს ორ ნახევრად წარმოგვიდგენს და ალბათ მიხვდით, რომ ზამთარში ის თვეები იგულისხმება, როცა ცივა, ან როცა ჯერ მხოლოდ გამოზაფხულდა (დააკვირდით ამ სიტყვას — გამოზაფხულდა და გაზაფხულდა), ზაფხულში კი დათბობიდან აცივებამდე, რაც კალენდარულ თვეებს შეიძლება არც დაემთხვეს და იმის მიხედვით მერყეობდეს, თავად წელიწადი როგორი გამოდგება (აკი ვიტყვით ხოლმე, ცუდი წელიწადი გამოდგაო —

ანუ ჭირვეული, როცა გაზაფხული გაზაფხულს არ ჰგავს და თითქოს სიცვივებსაც ბოლო არ უჩანს). აბა ახლა ამგვარ გამოთქმებს დააკვირდით: მწყემსის ცოლი იტყვის, „ვენახს ვინ გამოთონის, ჩემი ქმარი ზამთარ-ზაფხულ ცხვარშიაო“. ანდა ფეხშიშველა ბიჭს ეტყვიან, „ზამთარ-ზაფხულ ერთნაირად როგორ დადიხარ ბიჭოო“. თუ ცივა და ცოტა თბილად არ ჩავიცვით, გვისაყვედურებენ, „ზამთარი შენ არ იცი და ზაფხულიო“. ამგვარ გამოთქმებში ორი დრო ბატონობს, ორი მთავარი დრო — ზამთარი (ცივი) და ზაფხული (თბილი, ცხელი). გაზაფხული და შემოდგომა თითქოს ამათ შორის რჩებიან, ამათ მიჯნაზე, რათა ეს ორი მთავარი დრო ერთმანეთთან დააკავშირონ და ერთი დიდი წელიწადი შექმნან.

ახლა დიდი წელიწადის ერთი „მთავარი“ დროა — ზაფხული.

აბა გავხედოთ იმ თვალსაწიერს და ისევ მხერა ჩვენი საქართველოს მთავარ ქედზე კავკასიონზე მოვატაროთ. თუ კავკასიონს ისევ ჩემი სოფლიდან გავხედავთ, ვნახავთ, რომ ქედებზე თოვლი სულ დამდნარა და ყველაფერს ერთი მთავარი ფერი — „დაბინდული ქლიავის ფერი“ დასდებია. მაგრამ თუ ქედებიდან ცოტა ქვემოთაც ჩამოვალთ, ალაზნის ვრცელი ველი დაგვხვდება გადასხვაფერებული. გაზაფხულზე ერთნაირად მწვანედ ხასხასებდა და ამ სიმწვანეს დასდებოდა მოცისფრო ბურუსი, ახლა კი ფერები ერთმანეთში არეულან, მწვანესა და ცისფერში აქა-იქ შემოჭრილა ყვითელი. ეს უკვე ყანების ფერია. მწვანე ჯეჯილმა ყვითელი ფერი მიიღო. დათავთავდა ყანა. დამძიმებული თავი დაბლა დახარა, რაც იმის ნიშანია, რომ მალე ალბათ მკაც დაიწყება. ყანების გარდა, სათიბებმაც ფერი იცვალეს. წითელი ყაყაჩოები სხვა ბალახებში შეერივნენ და მთელმა მინდორმა, მსგავსად საყანეებისა, სხვა ფერი მიიღო. ესეც იმას ნიშნავს, რომ მალე თიბვა დაიწყება. ზამთარში საქონელს თივა სჭირდება საკვებად და თუ ამთავითვე არ მოვითბეთ, უკვე გვიანდა იქნება.

ღიას, გვიანდა იქნება და სოფელიც საცინლად აგვიგდებს.

ზაფხული ახლა დგება და ჯერ მხოლოდ სათიბად გასულან მინდორში. ათიოდე ვაჟკაცი ჩამდგარა ბალახში. ერთ რიგზე გამწკრივებულა. ხელში ცელები უჭირავთ და ყიჟინით მიუყვებიან მინდორს. ბალახი მიწაზე ფეხინება. მცელავების კვალს ქალები მიჰყვებიან, ქალებს ფიწლები უჭირავთ და იმ მოცელილ ბალახს კარგად შლიან, ნესტი რომ არ აიღოს, უფრო კარგად გამოშრეს და დაბულულებული ზვინებად დადგან.

გინახავთ თივის ზვინი, „თივის სახლი“, მინდორში აქა-იქ ამოწვდილი, თითქოს „კარავიაო?“ „კარვის“ თავზე ჯოხის წვერსაც ამოუყვია თავი. ეს გრძელი ჭოკი ამაგრებს ზვინს, ერთ ვეება, ზოგჯერ სახლისტოლა გორგალად აქცევს და იცავს, ქარ-წვიმისაგან რომ არ დაიშალოს. თიბათვისა და მკათათვის მზეში (ანუ ივნის-ივლისში) ბულულები საბოლოოდ გამოშრება.

მერე ჩამოვივლიან სამნე ურმები...

თუმცა რაღა ურმები...

სულ დაგვავიწყდა, რომ დღეს ურმები აღარსად არის, ურმების ნაცვლად მანქანები ჩამოვივლიან, ამ ვეება ზვინებს დაშლიან, თივას მანქანებზე აიტანენ და ფერმებისაკენ წაიღებენ. დღეს ასეა, დღეს ურმებს ვეღარ ნახავთ. ესეც დრომ მოიტანა და ნურავის დავემდურებით. მანქანების დროში ვცხოვრობთ. მანქანებს ვერსად გავუქცევით. ან რატომ უნდა გავუქცევთ? მაგრამ აკი შევთანხმდით, რომ მე ჩემი ბავშვობისდროინდელ წელიწადზე მოგითხრობთ, მაშინდელი წელიწადის ოთხ დროზე, წელიწადის „ოთხთავზე“, რათა თქვენ, თქვენის მხრივ, დღევანდელ დროზე მოუთხროთ თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს.

ჩვენს დროში კი ურემი იყო მთავარი. ურმის დროში ვცხოვრობდით. ყველაფერი ურმით მიჰქონდათ სოფლისკენ.

ამიტომ შეიქმნა ტაატით მიმავალ ურემზე ამდენი ლექსი და სიმღერა.

ამიტომაც ასე ცნობილი, დღემდე შემორჩენილი „ურმული“.

მანამდე რა ხდება სოფელში?

მანამდე დიდი მზადება იქნება და ეს მზადება ყანასთან და მკასთანაა დაკავშირებული. მანამდე ლექსები და სიმღერებიც კი ითხზებოდა, რადგან თაობითვე (ანუ ოდითვე, ანუ დიდი ხნიდან მოკიდებული) ასე ყოფილა: ლექსი და სიმღერა გარჯის გვერდი-გვერდ დაბადებულა. ბევრი ლექსი და სიმღერა ოფლის ღვრის დროს გაჩენილა.

ვიდრე მართლა მკა დაიწყებოდეს, დროა სოფლის რამდენიმე დიდად დაფასებული პიროვნება გაგაცნოთ. ახლა ყველაზე მეტი საქმე ამათა აქვთ. მოსავალი, ვიდრე ბედლებში დაბინავებოდეს, მათ აბარიათ, მათ შესცქერის მთელი სოფელი, და, ცხა-

დია, ლექსებიც ახლა მათზე ითხზება. ამ ლექსებში ისინი გამოჩინებულნი და განდიდებულნიც ჩანან, ალაგ-ალაგ კი ხუმრობითაც ჰკადრებენ იმგვარ რამეს, რაც შეიძლება მართალიცაა, მაგრამ მაინც ხუმრობით უნდა ითქვას.

*

აი, სოფლის გზაზე მენახირე მოდის...

აცვია ქალამნები, თბილი ტყაპუჭი. ახურავს ბოხობა ქული. ხელში სახრე უჭირავს (კონსტად გათლილი), ზურგზე გუდა ჰკიდია. გუდაში, ცხადია, საგზალი აქვს. მთელი დღე მინდორში უნდა იყოს და რაღა თქმა უნდა, მოშივდება კიდევ. მენახირეს სოფლის საქონელი, ანუ ნახირი აბარია. ჩამოივლის მენახირე დილაადრიან და სახლებიდან საძოვარზე გამოდიან ძროხები, რათა თავიანთ მენახირეს საძოვარზე გაჰყვინენ. მთელ დღეს მენახირე მინდორში ატარებს. საქონელს მწყემსავს. თიბათვე იწყება და საქონელმა სათიბები არ უნდა გადათელოს. ყანა უკვე დათავთავებულა და არც ყანებში შეიძლება საქონლის შეშვება. ვენახებში რომ გადავიდნენ, ვენახებსაც გადაკორტნიან, ვაზმა კი ეს-ესაა დაიყვავილა, წვრილი მარცვლები გამოიტანა და ჯერ უმწეო მარცვლები სულის შებერვაზეც კი მიწაზე ცვივიან, (ამაზე იტყვიან — ვაზი ხრიალშიაო). ერთი სიტყვით, მენახირეს ასი თვალი და ასი ყური სჭირდება. ზოგს კი ჰგონია, მენახირე საქონელს მინდორში გაუშვებს, თავად სადმე ჩრდილში მიწვება, თუ სიზარმაცე სძლევს, ძილად მიეგდება, თუ არადა სადამურს ააკენესებსო. შუადღისას, როცა კარგად ჩამოცხება, მენახირე საქონელს მოაგროვებს და ან მდიარის პირას ჩაიყვანს დასარწყულებად, ან ჩრდილში შეჰყრის, რომ არ დაისიცხონ. სადამოხანს კი, როცა მზე უკვე ქედის წვერზე დაეშვება და ზემო ნიაფი ჩამოიქროლებს, მენახირე კვლავ დაადგება სოფლის გზას, ზანტად მიჰყვება თავის ნახირს. ათასში ერთხელ თუ რომელიმე ძროხა ღობეზე შებობდებოდა და ხეხილის ტოტს მისწვდებოდა, შეუძახებს, არ გაძღა შენი მუცელი, ცუდ ბალახზე მყავდიო? და ასე, საკუთარი ღირსების გრძნობით, ვალმოხდილი შედის სოფელში.

აქა-იქ ხალხს მიესალმება.

ვიდაცა რაღაცას ჰკითხავს.

ისიც, თავს არც აიღებს, ისე უპასუხებს.

საქონელი კი ხან ერთ ჭიშკართან აკლდება, ხან მეორესთან.

ნახირი ნელ-ნელა იშლება და მენახირეს ეს აღარ აღარდებს.

საქონელმა თავისი სახლი უიმისოდაც კარგად იცის.

გაგახსენებთ: ამგვარ დროს, შებინდებისას, სოფელში მუდამ დგას ახალი, ქაფქაფა რძის სუნი. ჭიშკრების გადაღმიდან კი ისმის, როგორ წველიან ძროხას, როგორ ჩხრიალებს კარდალაში რძე.

*

მეველე უფრო ავი კაცია, თუმცა ავს ეძახიან, თორემ შეიძლება არც არის ავი.

სოფელს ქარივით ჩამოუქროლებს და ყოველი ჩამოქროლვა კამათითა და აყალმაყალით მთავრდება. გუშინ მინდორში ვიდაცას საქონელს წაასწრო, წანახედზე დაიჭირა (ანუ იმ დროს, როცა საქონელი „საწანახედო“ ცუდ საქმეს აკეთებდა — ვიდაცის ყანაში ან ვენახში გადასულიყო და ძოვდა) და ახლა უნდა გაარკვიოს ტყუილი და მართალი. პატრონი უმტკიცებს, ჩემი არ იქნებოდაო, ძროხა ძროხასა ჰგავსო. როგორ არაო, — დასტეკს მეველე, — შენ ძროხას ვეღარ ვიცნობო, მაშ თვალები არა მქონიაო?! ახლა ჭიშკრიდან ქალი გამოვარდება და დასწყევლის, გაგიხმეს ეგ თვალებიო, რაღა ჩემი საქონელი იცანიო? მერე გაუღიმებს, მოდი, ერთი ჭიქა გადაჰკარო. ეზოში შეიყვანს და ალბათ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება. მაგრამ მეველეს მინდორში მაშინ არ გადაყვართ, როცა მართლა რაიმეს აშავებთ. იმ დროს მეველე შეუპოვარი და უკან დაუხეველია. ჯერ ერთი მაშინ აისვეტება თქვენ თვალწინ, როცა კაცის ჭაჭანებას არ ელოდით, მეორეც, არაფერს დაგიტომობთ, რადგანაც აქ არც სახლის ჭიშკარია, არც დიასახლისის დიმილი და არც ის ერთი ჭიქა, რომელიც მეველემ უნდა „ჩაცეცხლოს“.

ხო, მოდი და ნუ იქნები ავი.

ალბათ ამის გამო არ შეთხზულა მეველეზე ხალხური ლექსები: არავინ ევერება და უმღერის მეველეს.

ამ მხრივ ხალხი და მოლექსეები ორ ვინმეს თუ ანებივრებენ: დამის მეხრეს და გუთნისდედას.

მაგრამ მაინც ყველას ჭირდება მეველე.
გახვალთ შუა ზაფხულის გადახრუკულ მინდორში და აუცილებლად შემოგესმებათ ვიღაცის ძახილი:

— მეველე!

ერთხელ დაიძახებენ, მეორედ და ამ ძახილს როდი-როდის მოჰყვება მეველის პასუხიც:

— ჰე!

ჩემი ხარები ხომ არ შეგხვედრია?

მერე მეველე დუმს.

ან უკვე შეხვდა ხარები და ტყვედ წაასხა, ან ახლა მიდის მათთან შესახვედრად.

*

ღამის მეხრეც მენახირეს ჰგავს. იმასავით მშვიდი და უთქმელია. იმასავით აცვია. იმასავით საქონელთან ატარებს თავის დღე და მოსწრებას. მას ღამით მიჰყავს საძოვარზე საქონელი და ღამის მეხრეც ამიტომ დაუძახეს. დღიური შრომით დაღლილი, ნაჯღაფარი ხარები ღამით სძოვენ ბალახს და ღამით ისვენებენ. ღამის მეხრეა მათი მეგობარი, მეგზური და მანუგეშებელი. ღამის მეხრემ იცის ყველა ბილიკი. იპოვის კარგ ბალახს, მერე მიწვევა ნაბდის ძველაზე და შესცქერის ზეცას. ცაზე, მირიად ვარსკვლავთა შორის, დაეხეტება ღამის მეხრეს ფიქრებიც. ეს ფიქრი უფრო მეტად დარდიანია, ადამიანის ბედ-იღბალზე, საწყალ კაცზე დაფიქრებაა, ძალზე ხშირად კი ფიქრია ზემოთ, სოფელში დარჩენილ ცოლ-შვილზე, რომელთაც ახლა ალბათ ტკბილად სძინავთ. ღამის მეხრეს თვალწინ ჩაივლის მთელი ღამე და როცა ამოვა ცისკრის ვარსკვლავი (ამას ღამის მეხრეს ვარსკვლავსაც ეძახიან), მაუწყებელი განთიადისა, ღამის მეხრეც გამოცოცხლდება, მხნედ მოუხმობს საქონელს, რათა, მსგავსად მენახირისა, სოფლისკენ მიმავალ გზას დაადგეს.

ეს ის დროა, როცა გალობას იწყებენ ტოროლები და ზეცისკენ, მზესთან შესახვედრად მიიჩქარიან.

ამიტომ ამბობს ხალხური ლექსი:

„ტოროლას მაინც არ მოეკლავ,
ბევრიც რომ მქონდეს წამალი,
საწყალი ღამის მეხრისა
ის არის კარგი მამალი“.

სოფელში მამლები ყივიან, აქ კი, მინდორში, ტოროლები გალობენ, მაუწყებლად გათენებებსა.

ალბათ ეს იყო ღამის მეხრეს ერთადერთი სიმღერაც.

*

ყველაზე ბევრი ლექსი კი, როგორც გითხარით, გუთნისდედაზე შეთხზულა. გუთნისდედა ძველ საქართველოში, ძველ სოფელში მუდამ პატივით მოსილი კაცი ყოფილა. ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ, ქართველებს, ძველთაგან მიწის მოქმედ ხალხს, მიწასთან შეჭიდებულ ხალხს გვეძახდნენ. და ალბათ იმიტომაც, რომ გუთნისდედა პურის მომყვანი კაცია. ის აწვევა გუთნის სახელურს, მისი ძალით და ღონით ჩადის მიწის სიდრმეში სახნის-საკვეთი, მისი ოფლი იღვრება ნახნავის მსხვილ ბულტებში. ეწვევა გუთანს ხარი. საქონელს წინ ქალიც გაუძღვება, ათასში ერთხელ სახრესაც გადაჰკრავს, ისე, სასხვათაშორისოდ, ალერსით, დანარჩენი კი გუთნისდედას ძალასა და ღონეზე, და თუ მართალი ვიქნებით, კაცობასა და პატიოსნებაზეც კიღია.

გუთნისდედა ალბათ პატიოსანი კაცი იყო მუდამ.

უამისოდ ხალხი ამგვარ ლექსსა და სიმღერას არ შეუთხზავდა:

„ქალმა სთქვა გასათხოვარმა:
ნუ გამათხოვებ დედაო,
თუ მიმცე, ისეთ კაცს მიმცე,
რომ იყოს გუთნისდედაო“.

მაგრამ ხუმრობა პატიოსან კაცთან უფრო შეიძლება და მეორე ლექსის მთქმელი ხუმრობს:

„გუთნისდედას რა აცხონებს,
თუ არ შავა საყდარშია,
კარგ დღეში კი თითონა ჰხნამს,
მეხრეს უხნავს ავდარშია,
შავი კამეჩების ცოდო
უცვევია კალთაშია“.

მეორე დაგვაგიწყდა, ღორების მწყემსი, ტყეში მოხეტიალე კაცი, რკოს მძებნელი, მუდამ გაზინთული და ამიტომაც სოფლისაგან ცოტა არ იყოს ათვალწუნებული.

ეტყობა მეორეს აკლდა სიფაქიზე გუთნისდედისა.

ამიტომ ამბობენ ალბათ, ცოტა უფაქიზო კაცზე — მელორესავეთ დადისო. დაი-მახსოვრეთ ეს სახელები, ეს ხალხი, ეს საზოგადოება. ეს იყო ძველი სოფელი, ესენი იყვნენ უყოლელი, უქონელი, უპოვარი, უბარაქო გლეხები, რომელთაც არც ხარ-კამეჩი დაუდიოდათ, არც ხოდაბუნები გააჩნდათ, და მაინც სოფლისათვის დიდად გამოსადეგნი იყვნენ.

ამასობაში მკათათვე მოსულა.

სიღარიბეზე ფიქრი ახლა არ შეიძლება.

ახლა გლეხკაცი მხოლოდ მოსავლის ბარაქაზე ფიქრობს. მოსავალი კი ძნელზე ძნელი მოსაწვეია. კარგი მოსავალი მოგებულ ბრძოლას ჰგავს. ნუ იფიქრებთ, რომ რაკი ამდენი ლექსი და სიმღერა შეთხზულა, ჩვენში სიმღერით ხნავდნენ, სიმღერით მკიდნენ და სიმღერით მიჰქონდათ შინისაკენ ჭირნახული, სიმღერა ამათ შორის, მაინც რაღაც „ბედნიერ წუთებში“ იქმნებოდა და თავისით იბადებოდა. შრომა კი მძიმე იყო. აბა დააკვირდით ერთ ხალხურ ლექსსაც: „აზანბურელი მომკალი მე მოვკალ, უხარელმაო. — არა შენ მოკკალ არცა მე, მინდორმა მოკკლა გრძელმაო“. ამ „გრძელ მინდორში“ მომკალის (ანუ ყანის მკელის, პურის მომყვანის) სიკვდილის მიზეზი მაინც „გრძელი მინდორია“, ის გაუთავებელი შრომაა, რომელსაც მსგავსად ამ მინდურისა, დასასრული არ უჩანს.

მეორე ლექსი გვარწმუნებს, რომ ყანას ძლიერი ხელი სჭირდება, რომ მარტოხელა ვინმე, უძლური, ან სულაც დედაკაცი, ყანას ვერ მომკის, რომ „ან უნდა ძმასა ძმა ჰყვანდეს, ან კაი შვილი მამასა, ან დისწული დედის ძმისა, ის მოუმიკიდეს ყანასა“.

აი სხვა ლექსი: „როსტომ სთქვა, ყველა დაფრინავს, ბუზი და ბუზანკალია, ყანას თუ კაცი არა ჰყავს, დარჩება მოსამკალია“.

ერთი ლექსი კი პირდაპირ გვიხმობს: „სადაა მეძნეურები, დაიწყო ხელეურები“.

ხელეური ერთი ხელის მოსმა მომიკილი თავთავია, რაც ერთ ხელში ჩაეტევა ვაჟ-კაც კაცს; ამ ხელეურებისაგან მეძნეურებმა ძნები უნდა დადგან, ანუ ბუჩქებივით შეკრან ერთად თავმოყრილი ხელეურები და ნამკალში ჩაამწკრივონ. ეს უკვე ძნების ათეულებია. მერე ეს ათეულები კალოსკენ წავლენ, და რაკი შევთანხმდით, რომ ყველაფერი ამ წიგნში ძველ დროში ხდება, ძნებიც, რაღა თქმა უნდა, ჭრიალა ურმით დაადგებიან კალოებისაკენ მიმავალ გზას.

აქ მკაა და პური მოდის...

ეს დიადი წუთებია: პურის დაბადების წუთები.

იტყვიან ხოლმე, „პური არსობისაო“ და ეს იმას ნიშნავს, რომ პური ადამიანის მთავარი საარსებო რამ არის, და ის ყოველივეც, რითაც ვარსებობთ, პურია.

ცხელა. მზე პირდაპირ ყანას გადმომხობია თავზე.

ათიოდე ვაჟკაცს ხელში ნამგალი უელავს.

მიჰყვებიან ყანას და ერთმანეთს ყიყინით ამხნევენ.

და ვიდრე ისინი ყანის ბოლოში გაველენ, მოდით, ჩვენ, თქვენთან ერთად, პურზე ვიფიქროთ.

ხალხმა წლის მოსავალს „ჭირნახული“ უწოდა. სხვა სიტყვა უფრო ღრმად ალბათ ვერც გამოხატავდა იმ დიდ შრომას, რასაც ადამიანები შეაღვევენ ხოლმე თავის მონაგარს, პირველი ხნულის გაველებიდან, ალოობამდე.

აბა დააკვირდით: „ერთ ლუკმა პურს მეც ვიშოვიო“, — იმედინად იტყოდა კაცი და მით მთელ ცხოვრებას გულისხმობდა, გვეუბნებოდა, მეტი არაფერი მინდა, რათა

ვიცხოვრო ამ მზის ქვეშეთში და შევძლო მოყვასის სიყვარული, ერის გამრავლება, ქვეყნის დაცვაო. „პური მიღვეს, წყალი მიღვასო“, — ესეც ხალხური თქმაა და იგულისხმება, რომ ოჯახს არაფერი უჭირს. „პურ-მარილიან“ კაცსაც ხელგაშლილსა და სტუმართმოყვარეს შეარქმევდნენ. „ამ პურის მადლმა, მართალს ვამბობო“, — გულწრფელ ფიცადაც გამოდგებოდა.

„განიავებაც“ ერთი იმ სიტყვათაგანია, რაც პურთან, ხორბლის მოწვევასთანაა დაკავშირებული. სადამოხანს, კალოზე, როცა ხეობიდან ზემო ნიავი წამოვიდოდა, გაღვიწილი პურის განიავებას იწყებდნენ. ნიავი მარცვალს, ანუ „ხვავს“, ცალკე ჰყრიდა, ბზეს ანუ ნალექს ნამჯას და ჩენჩოებს — ცალკე. „განიავებამ“ მერე და მერე სხვა შინაარსი შეიძინა — რაიმე ძვირფასის გაუფრთხილებლობა, უყაირათოდ, უანგარიშოდ და დაუფიქრებლად ხარჯვა, ანუ ძვირფასი რამის ქარსა და ნიავეს გატანება.

ქართველი კაცისათვის პური თაობითვე თაყვანისცემის საგნად ქცეულა, საუფლო საქმედ გამოცხადებულა: „ხარმა მხნა, მუშამ დამთესა, უფალმა მომიყვანაო“, ანუ პური იმგვარი რამ არის, რომლის მოყვანაშიც თვით ზეციური ძალები მონაწილეობენ, თვით უფლის ხელი ურევიაო.

საქართველოში გვქონდა უძველესი, წმინდა ქართული ხორბლის ჯიშებიც.

იმის მაგალითებიც ყოფილა, როცა მიცვალებულისათვის თოფ-იარაღთან და ჭურჭლეულობასთან ერთად, საღვწავი კევრიც ჩაუტანებიათ. განსვენებული ალბათ მიწის მუშა იყო, მხვნელ-მთესველი, პურის მომყვანი.

კევრსა და გუთანს ნახავთ საფლავის ქვებზე ამოკვეთილსაც და თუ საფლავზე მიცვალებულის შენდობის ლექსიცაა ამოტვიფრული, გავიგებთ, რომ ის მიცვალებულიც ამქვეყნად პურის მომყვანი ყოფილა, მოუხნავს, დაუთესია, მოუმიცა, გაულექვია და ხალხისთვის უწილადებია.

შემთხვევით ძირს დავარდნილ პურს საჩქაროდ ხელში ავიტაცებდით, როგორც დიდებებმა და პაპებმა დავგარიგეს, ვემთხვეოდით და შინ მივარბენინებდით...

ასე იყო, და ათასეულ წელთა მიღმა კი არა, სულ ახლახანს, ორმოციოდე წლის წინ. ასე იყო და იმიტომ, რომ პურის ყადრს ყველგან გვინერგავდნენ. პურის მადლზე გვიამბობდნენ ქართული ზღაპრები, საყმაწვილო მოთხრობები და ლექსები. ერთ ძველ საყმაწვილო ჟურნალს „ჯეჯილიც“ კი ერქვა და ბოლოს, თვით პურის თესვა, მკა, გაღვწვა, დაფქვა და ცხოება ხომ ერთი დიდი მოთხრობა იყო — ჩვენს თვალწინ დაწერილი, ხატოვანი და დიადი, თავისი უბრალოებით.

სხვა რომელ სიტყვას რგებია წილად იმგვარი პატივი, რომ ბავშვებთან, ქვეყნის მომავალთან შეედარებინოთ? ამგვარი წარჩინებული კი ისევ ჯეჯილია — ბავშვივით საფრთხილობელი, ათი თვალისაგან დასაფარავი.

დრომ, როგორც გითხარით, ჩვენი, საკუთრივ ქართული ჯიშებიც მოგვივლინა: დოლი, თავთუხი... ეს ჯიშები მთელ ქართლის ვაკეს ფარავდა და მაწივრობითაც გამოირჩეოდა და გემოთიც (ანუ შემრგეც იყო და გემრიელიც). ამასთან ერთად ქართულ ჯიშებს სხვა სიკეთეც ჰქონდათ: თუნდაც მკა და ლექვა დაგვიანებოდათ, მარცვალი არ ჩაცვიოდა, ყანა არ ჩაიმუხლებოდა და შიშიანობის ჟამს ტყეს შეხიზნული ქართველი გლეხი თავისი დოლის პურის იმედით, ან მოგვიანებით გავიდოდა სამკალში, ან არა და, ცალ ხელში ნამგალს დაიჭერდა, ცალში თოფს და ისე გაჰყვებოდა მესვეურს (ეს ხატოვანი ხალხური გამოთქმაა, რაც იმას გულისხმობს, რომ კაცი მკიდა და თან თვალი იქით ეჭირა, მტერი არ წამომეპაროსო, მტრის დასახვედრადაც მზად ჰქონდა იარაღი).

ქართველი ბავშვი, გინდა ქალაქელი ყოფილიყო, გინდა სოფლელი, კარგად იცნობდა „პურის მოთხრობას“. ეს მოთხრობა, როგორც გითხარით, მის თვალწინ იწერებოდა და ამადლებულ განწყობილებას ბადებდა, პურის მიმართ პატივისცემას და კრძალულობას იწვევდა.

მოთხრობა კი იწყებოდა იმ წუთიდან, როგორც კი გაღვიწილი პური ჭრიალა ურმებით ბედლებისაკენ წავიდოდა (ბედელი ხისა იყო, პურის შესანახად განკუთვნილი) და გულმოდგინედ გადაირჩეოდა სათესლე ხორბალი. სათესლე ხორბალს დიდის პატივით შეინახავდნენ. როცა ღვინობისთვე მიიღეოდა, მესრეები და გუთნისდედები სახნავად გავიდოდნენ, გადარჩეულ თავთუხს ნახნავში მოაბნევდნენ, მერე ფარცხით გადაუგლიდნენ (გრძელ, მაგარ მორზე ფიხის მძიმე ტოტები ეკიდა. მორს ხარები მიათრევდნენ, და დათესილ ნახნავს გადაუგლიდნენ. მიწა იჩიქნებოდა, თესლი კი უფრო ღრმად ჩადიოდა ხნულში და მიწით იფარებოდა).

მერე დაფარცხულ მიწას უკვე ბუნების წყალობას მიანდობდნენ, ზეცას შეს-
თხოვდნენ თანადგომას და ელოდებოდნენ ზამთარს.

ცოტა ხანიც და ჯერ რომ შემოდგომაც არ მიღეულიყო, ამოიწვერებოდა მწვანე,
სუსტი, ხასხასა ჯეჯილი.

მაღე თოვლი მოვიდოდა და თბილ საბნად გადაეფარებოდა ამოწვერილ ჯეჯილს
და ჯეჯილიც გაზაფხულამდე ზამთრის ძილს მიეცემოდა, როგორც ახლადშობილი,
თოთო ბავშვი.

გაზაფხულზე, თოვლის დნობასთან ერთად ჯეჯილიც ამოყელყელავდებოდა, გა-
დაღადანდებოდა და მაშინ მართლა ჯეჯილობა ეთქმოდა.

ჯეჯილი მთელი სოფლის საზრუნავი და სააღერსო იყო, მაგრამ ყველაზე უფრო
იმას უნდა ჰქონოდა ასი თვალი და ასი ყური, ვისაც სოფელმა მეველეობა ანდო, მევე-
ლე იყო მაცნეცა და მახარობელიც ყანის თავდამძიმებისა, მკათათვის მოახლოებისა.

ჩვენ მეველეს უკვე ვიცნობთ.

ჩვენ მეველეს ავი კაცი შევარქვით და შეიძლება შევცდით კიდეც.

მოდი და ნუ იქნები ავი, მთელი სოფლის ჯეჯილი, ანუ მთელი სოფლის პური
შენ გაბარია.

მკათათვეში მამითადი შეიყრებოდა, ანუ მეზობლობისა და ნათესაობის დარჩეუ-
ლი ვაჟკაცები, ვისაც მკა შეეძლო, ვისაც მუხლი და მარჯვენა უჭრიდა. მამითადს მეს-
ვეური ჰყავდა და მომკელებიც მას მიჰყვებოდნენ. ძნები საძნე ურმით (მაღალი ჭალები,
ანუ გვერდის ბოძები ჰქონდა ამ ურემს, რომ ძნა ბლომად დატეულიყო) მიჰქონდათ კა-
ლოზე და ვიდრე გაღეწავდნენ, ფრთამოქცეულებად (როგორც თივის ზვინებს) დგამ-
დნენ. ერთ ფრთამოქცეულში მრავალი ძნა იგულისხმებოდა, რადგან კოდ პურს მოიწვე-
დნენ მისგან.

მკა შრომაც იყო და ზეიმიც, როგორც რთველი, როგორც ხილის კრეფა, კაკლის
ბერტყვა. მკათათვის მზეში ოფლის ღვრას ენაცვლებოდა სიმღერა, შეძახილები, ხუმრო-
ბა, პურობა... ერთმანეთზე ხელის შეშველება, მართლაც კარგ მეზობლობა-ნათესაობას
და საქმეში გამოდგომას ნიშნავდა.

როგორც ცოტა ზემოთ მოხმობილ ლექსშია ნათქვამი, მარტოკაცი ყანას ძნელად
მომკიდა.

მკასაც თავისი ღაზათი ჰქონდა, ოსტატობა სჭირდებოდა და კარგი მომკელი
მთელ კუთხეში იყო განთქმული. აკი ამიტომაც უმღერის ხალხური ლექსი ვინმე ანა-
გელ ბიჭს, რომელის „ნამგლისა უღრიალი წყაღვალმა გამოდიოდა“.

როგორც ვითხარით, წინ მესვეური მიდიოდა და უკან მომკელები მისდევდნენ.
ასეთ დროს მკაში დაბადებული „ჰოპუნა“ გაისმის. დასძახებს მესვეური და მომკელებიც
ერთმანეთს გადასძახიან. ეს გამხნეების, გაჯიბრების და ყანის ბოლოში გასვლის უ-
ნის გამომხატველი შეძახილებია. ხან ჩაყუნდება „ჰოპუნა“ და ამ დროს მხოლოდ ნამ-
გლების ღაწალუწი ისმის, ხან ისევ წამოვა და მანამდე გაისმის, ვიდრე მომკელები
მართლა არ გავლენ ყანის ბოლოში.

ხალხური ლექსებიც თითქოს ერთმანეთს აფრთხილებენ: „სადაა მეძნეურები, და-
იწყო ხელეურები“, „ყანასა ბალახოვანსა არ უნდა დახედულობა, თავში შემოკვრა
ულოსი, ბოლოში გახედულობა“. „ხელური და ულოვო, შენ გაიხარე გულოვო“.

ამ ლექსებში სიხარულსა და მხნეობას ვგრძნობთ. მომწოდებელი და გადამდებია
ეს მხნეობა.

ერთი ლექსი კი პირდაპირ გვაფრთხილებს: „ძირში მოუსვი ნამგალი, თორემ თავ-
თავი სცვივაო“.

აი, ამ დაცვენილი თავთავის ასაკრეფად მოსდევენ მომკელებს „თავთავის მკრე-
ფავები“.

რადა თქმა უნდა, რომ „თავთავის აკრეფა“ ისე მძიმე არ არის, როგორც მკა და
მკრეფავებიც უმეტესწილად ქალები და ბაღლები არიან. აქა-იქ ბერიკაცები გამოერევი-
ან, მუხლი რომ აღარ ერჩით, მაგრამ არც შინ უდგებათ გული.

თავთავს კრეფენ და ნამჯითვე კრავენ პატარა კონებად. კონა კონას ემატება და
დღის ბოლოს რამდენიმე ძნის ოდენად იყრის თავს. აი, ამისი დაკარგვა კი არ შეიძლე-
ბა. პურს გაფრთხილება სჭირდება. თითოეული მარცვალე ძვირად ღირს. თუმცა აქაც
ხდება საამო გამონაკლისი: თავთავებს ზოგჯერ განგებ ტოვებენ. მკის დროს ხან აქ
აფრინდება მწყერი, ხან იქ. მწყერები ახლა მრავლდებიან და თუ კარგად მოვეუვლით ნა-

ყანობს, ბარტყებიან ბუდეებსაც წავაწყდებით. ტოროლებიც აქ არიან, იმათაც ბარტყები უნდა დაჩეკონ, თუ უკვე არ დაჩეკეს და საზრდო სჭირდებათ.

ღიას, მიხვდით, იმ ორიოდე თავთავს ფრინველებს უტოვებენ საზრდოდ.

მინდორი ვრცელა.

და თუ მივიხედ-მოვიხედავთ, ასე გვეგონება, თითქოს მთელი სოფელი ყანაში გამოსულა.

მამითადი განსაკუთრებით ქვრივ-ობლებს წყალობდა, რადგან იგივე ხალხური ლექსის თქმით „ყანას თუ კაცი არა ჰყავს, დარჩება მოსამკალიო!“ საბრალო დედაბრის ყანას კი თავგანი მკიან, ულოს ლომნი უგრეხენ, ურემს ირემნი აბიან, კევრზე ანგელოზები სხედან და „წვრილს ხმაზე დასძახიან“. არის ამ ლექსში ერთგვარი მიუსაფრობის გრძობა (საწყალი დედაბრის ყანას პატრონად თავგანი გამოსჩენიან), მაგრამ არის დიდი თანაგრძობაც (საბრალო დედაბერს ყველა ხელს უწვდის და თვით კევრზე მჯდარი ანგელოზებიც კი წვრილ ხმაზე დასძახიან).

ღიას, მიუსაფარს და უპატრონოს მამითადი ხელს ვაჟკაცურად უწვდიდა.

გავიხსენოთ ერთი ლექსი, რომელსაც „თინიას მამითადი“ ჰქვია, და პოეტ რაფიელ ერისთავს ეკუთვნის:

„მამითადი ჰყავს თინიას,
დღეს არის მისი ღხინია,
ციბრუტივითა ტრიალებს
საწყალობელი თინია“.

თინია ერთი ქვრივ-ობერი, საწყალი ქალია. წვითა და დაგვით გამოუზრდია ერთი ბიჭი, ისიც მეხრე. ერთი ღღის მიწა მოუხნეს და თინიას თურმე სათესლე ხორბალიც არ გააჩნდა.

ჩამოითხოვა სათესლე თინიამ, დათესა და ყანაში „ღვთის თვალი“ დატრიალდა:

„თავთაემა თავი დახარა,
ყველამ გაღესა ნამგალი,
თინას კი გული უსკდება,
ვინ მისცა იმას მომკალი!
თუ სანახევროდ სხვას მისცა,
რაღაა გასაყოფელი?
თუ არა, ღონე არა აქვს,
მისი ღონეა სოფელი.“

თინიამ ჩამოუარა სოფელს და „დილაადრიან მოადგნენ კარზე რჩეული ბიჭები“.

„ჰოლოპუათი, კიჟინით
მოედვნენ ქვრივის ყანასა,
არ შეეხვედრივარ მამითადს
მე არსად ამისთანასა!
თინა მასპინძლობს გულუხვად,
მოუტანია მჭადები,
მაწონი, ორი დედალი
მუშისთვის დანამზადები...
ცოტა არ იყოს სცხვენიან,
ღვინო არა აქვს საწყალსა.
მაგრამ ზედიზედ უზიდავს
მამითადს წყაროს ცივ წყალსა...
„ჰოლოპუა“ და კიჟინი
უხდება ქვრივის ყანასა,
არ შეეხვედრივარ მამითადს
მე არსად ამისთანასა“.

ამ უბრალოდ, მაგრამ შთამბეჭდავად დახატულ სურათში გვხიბლავს პოეტის თავშეკავებული შეძახილი („არ შევხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა“). პოეტისათვის მთელი მამითადი ვაჟკაცურ მნიშვნელობას იძენს: სოფლის „რჩეული ბიჭები“ საწყალი თინიას ყანას მკიან...

მამითადს, როგორც გითხარით, კალო მოსდევს.

კალო ბაღღების საღხინო იყო.

წარმოდგინეთ, ხევისპირას მოშიშვლებული, ცირკის არენასავით მრგვალი ადგილი, საგანგებოდ მიწით გადალესილი და დატკეპნილი. ამ მიწაზე იმართება კალო.

დილაადრიან იწყება ძნების ჩაშლა. ძნები კალოზე უნდა მოიფანტოს, რათა ზედ კევრი ატარონ ღონიერმა ხარებმა ან ცხენებმა. ჩაიშალა ძნები და იწყება მზიანი დილის მოლოდინი. ხვალ რომ ღმერთი გაწყურეს და წვიმა მოვიდეს, ყველაფერი უკუღმა დატრიალდება, თავთავს დაასველებს. კალოც დასველდება და პური ვეღარ გაიღეწება, ანუ ნამჯასთან ერთად არ დაიფშენება, რათა ხორბალი ცალკე გამოირჩეს და ნამჯა, ანუ უკვე ბზედ ქცეული ღეროები პურისა — ცალკე.

მაგრამ ღვთით წვიმა არ მოდის. დილაა და უკვე ცხელა. მზის ამოსვლისთანავე აბამენ ხარებს კევრში და წვრილფეხობით (ანუ ბავშვებით) დახუნძლული კევრი კალოს ირგვლივ დაიძვრება.

კევრი ბრტყელი, თავში ოდნავ ცხვირაპრეხილი მაგარი და გამძლე ხეა. ფორმით ნავსაც წააგავს, ქალამანსაც და, შეიძლება — ფეხსაცმლის ლანჩსაც. ძირზე გამოკრული აქვს კაჟის ნატეხები ანუ კოხი, კენჭები, ფოლადის პატარა „დანები“... და, როცა კევრზე ბავშვებიც დასხდებიან, კევრი დამძიმდება და მის ქვეშ, კენჭების, კოხებისა და „დანების“ ქვეშ, გაღეწვას იწყებს ნამკალი. ნამჯა ბზედ იქცევა. თავთავი იფშენება. ხორბალი ჩენჩოდან გამოდის და, რაც უფრო მეტად უვლიან ხარები კალოს, რაც უფრო მეტად აჭერს მზე, გაცხელებული ნამჯა უფრო და უფრო მეტად იშლება, ვიდრე სულ არ დაუქცმაცდება და საღამოხანს უკვე ბზედ არ იქცევა.

მზე ჩადის. კალო უკვე გაღეწილია. ყველაფერი თითქოს დასრულდა. განაღეწი კალოს ერთ მხარეს არნადებით გროვდება. დანარჩენი ადგილი კი მოსუფთავდება, მოიგვება, მოირწყვება, მოკამკამდება და იწყება ღოღინი ზემო ნიავისა.

ზემო ნიავი რაღაა? ზემოდან, მთიდან უნდა ჩამოიქროლოს ამ ნიავემ, ჩამოიაროს ხეობა და კალოს თავს გადმოუაროს. რამდენი ნიავი დაიქროლებს და კალოს წამოუფლის, იმდენი აიყრება ზემოთ ერთი დიდი ნიჩაბი ნამკალი და ის ნიავიც თავის საქმეს გააკეთებს: შინდის სიმსხო თავთუხი ცალკე ცვივა, ბზე ცალკე მიდის. ნიავი არჩევს თავთუხს და გლეხსაც ისღა დარჩენია, რომ ხორბალი უკვე ბედელში დაბინავებულად ჩათვალოს.

გლეხი იხდის ნაბდის ქუდს და ზეცას მადლობას სწირავს, რომ ყანა დაიხსნა გვალვისა და სეტყვისაგან, რომ ყველაფერი კეთილად დასრულდა.

მერე წისკილი, ღამის თევა, სარეკელას რიტმული კაკუნი.

მერე თონე, პურის ცხობა.

მაგრამ ეს ყოველივე მაინც მერე იქნება. ეს ყოველივე მაშინ გავიხსენოთ, როცა ზაფხული მიიღევა და შემოდგომა დაიწყება.

ჯერ კი ისევ ცხელა. ჯერ მხოლოდ მკათათევა და ჩვენს თვალწინ „პურის მოთხრობის“ შუა ნაწილი იწერება. ეს ძალზე ძველებური მოთხრობაა, როგორც თავად გუთანი, კალო, კევრი, თონე, როგორც თავად პური... ეს „მოთხრობა“ ყველა ქართველს ჰქონდა წაკითხული და ალბათ პურის მოვლაც იმიტომ იცოდნენ. თვით იმგვარი სიტყვები, როგორიცაა „დარკვევა“, „განმტკიცვა“, (ანუ წვრილ საცერში გაცრა ფქვილისა და ყველაზე უფრო წმინდა და თეთრი ფქვილის მიღება) და სხვანი, მოწმობს ხალხის უდიდეს ზრუნვას პურზე და პურის მოყვანის ტრადიციათა ჩვენეულ სიძველეს. ამ ტრადიციას ემორჩილებოდა და პატივს სცემდა — სოფელელი თუ ქალაქელი (რაკიდა ქალაქიც პატარა იყო და სოფელში შეზრდილი), ლისსიქეთელი თუ ლისსაქეთელი, მთისა თუ ბარის კაცი, იქაც კი, სადაც პური სულ არ მოჰყავდათ. „ოლიმპოს ღმერთებია, ალბათ, ასეთი შოთებით იკვებებოდნენ... ასე უთქვამს გერონტი ქიქოძეს, როცა პირველად ქართლში, გორის სადგურზე, ლურჯი მახობელის პურის გემო გაუსინჯავს.

ეს ჭკვიანური სიტყვებია და ნუ გავიკვირვებთ, რომ ქართული პური ქართველმა მწერალმა ოლიმპოს ღმერთების საკვებს შეადარა.

მაგრამ ვიცი, რომ გაგიკვირდებათ.

ან ამ სიტყვებმა შეიძლება, სულაც არაფერი გითხრათ.

პურზე სიტყვა გაგვიგრძელდა...
თუმცა, კაცმა რომ თქვას, რატომ? პური ღირს საიმისოდ, რომ იმგვარ წიგნში,
სადაც წელიწადის ოთხ დროზე მოვითხრობთ, გამორჩეული ადგილი დაუთმობთ.
ვიმედოვნოთ, რომ პური უკვე ავიღეთ და ბედლებში დავაბინავოთ.
ამით დამთავრდება მკათათვე...

*

მაგრამ წინ კიდევ ზაფხულია, სიცხე, პაპანაქება. თუ გვალვა დაიჭირა, თუ ისე
ჩაილია მთელი მკათათვე, რომ ცამ ერთი ნამიც არ გვიწყალობა, მაშინ ადგია გლეხ-
კაცს გასაჭირი. თიბათვესა და მკათათვეში სოფლად უხაროდათ კიდევ, წვიმა რომ არ-
სად ჩანდა, — თივა იყო ასაღები და ყანა მოსამკელი, წვიმები ხელს შეუშლიდათ, თავ-
თავი კარგად არ დაიბრაწებოდა. კალოზეც გაჭირდებოდა მარცვლის გატარება ცხრილ-
სა და ხახალში (ორივე მსხვილი, სახორბლე „საცრები“) რათა თავთუხი ცალკე გადა-
ირჩეს), გორველა მინდვრის მცენარეა, შავი, კენჭებით მრგვალი ნაყოფი იცის და ყა-
ნაში ერევა), მიწა და კენჭი კი ცალკე ლეწვის დროს რა არ შეერევა ხორბალს... ხო,
მკათათვეში უხაროდათ კიდევ ეს ცხელი მზე, ეს უღრუბლო ზეცა... ახლა უკვე ზედმე-
ტად ჩამოცხა, მზე სწავს ყველაფერს, მიწამ პირი დაალო, დასკდა და თითქოს აქა-იქ
ნაპრალები გაჩნდა. ამ ნაპრალების ამოვსებას ერთი წვიმა არც კი ეყოფა, ნამდვილი
გაავდრება დასჭირდება, ნამდვილი ავი დარი, ანუ რამდენიმე დღის გადაბმული წვიმა.
ამ დახეთქილ მიწას ახლა ვერ უშველის ვერც მცირე ნამი, როცა მზე პირს იბანს (ამას
მაშინ იტყვიან, თუ ერთდროულად ზეციდან წვიმაც ჩამოდის და ღრუბლის ნაფლეთები-
დან გამოჭყეტილი მზეც ანათებს), ვერც ჟუჟუნა წვიმა, რომელმაც გაზაფხულის მიწუ-
რულს ასე გაგვახარა და „დიდი მინდორი დანამა...“ ახლა კოკისპირული წვიმა უნდა
მოვიდეს, იმგვარი, თითქოს ციდან მართლა დიდი თიხის კოკებით ღვრიან წყალსო.

მზე კი კვლავ უმოწყალოდ აცხუნებს, ცა მოკრიალებულია და ღრუბლის თეთრი
ქულები მხოლოდ აქა-იქ, მთების წვერებზე გაწოლილან. ეს არ არის საავდრო ღრუბე-
ლი. საავდრო ღრუბელი უფრო ქუფრია, კურუმი, მუქი ფერი დაჰკრავს და შუბლშეკრუ-
ლი, მუქარით გვიახლოვდება... მუქარით-მეთქი, იმიტომ გითხარით, რომ ამგვარი ღრუბე-
ლიც საშიშია, მარტო წვიმას არ გვაუწყებს. აკი პოეტმა გვითხრა, რომ ბუნება „ერთფე-
რად მტვირთველი არის საქმის თეთრის და შავისა, სადაც პირიმზეს ახარებს, იქავ
მთხრელია ზვავისა...“ ამგვარმა ღრუბელმა სეტყვაც იცის, მრგვალი, მსხვილი ყინულები
რომ ცვივა ხოლმე ციდან და ერთბაშად, რამდენიმე წუთში ყველაფერს ძირს დასცემს,
ანადგურებს. განსაკუთრებით კი ვენახებს ემტერება, ისე გაძარცვავს ვაზებს, რომ ყურ-
ძენს კი არა, ფოთოლსაც არ დაუტოვებს.

ამგვარია ბუნება: ლამაზიც, მკაცრიც, ღმობიერიც და ჭირვეულიც. ადამიანის ნა-
ამაგარს მუდამ ელოდება საფრთხე. ასე იყო უწინაც და ასეა დღესაც, როცა თითქოს
„დავჯაბნეთ“ ბუნება, მაგრამ მის წინაშე მაინც ხშირად გამოვდივართ დამარცხებულნი.

ან იქნებ არც შეიძლება ბუნების დაჯაბნა და არც არის აუცილებელი?

იქნებ ბუნების ხმა უნდა გვესმოდეს და ამ ხმას მიპყრობილნი მის ნებასაც ვას-
რულებდეთ, რათა მეტი პატივისცემა დავიმსახუროთ მისი?

ნიკო ლომოურს ერთი მოთხრობა აქვს, „ყოველის მხრიდან“ ჰქვია. იქ არის აღწე-
რილი ამგვარი სეტყვა.

მოთხრობა იმედიანად იწყება: მოსავალს კარგი პირი უჩანს. გლეხკაცი შემოდგო-
მას ელოდება, სიხარულით ავლებს თვალს უკიდევანო ველს, „ერთ დიდებულ სურათსა
ადამიანისა და ბუნების ძალთა შეერთებულ მოქმედებისას“, სადაც „ერთნაირადაა გა-
დაშლილი კალთა ღვთისა“, სადაც ტრიალებს „მადლიანი თვალი უფლისა“.

მაგრამ, მართლაც, კაცი ბჭობს და ღმერთი იცინისო, ერთბაშად ამოვარდება ქა-
რიშხალი და წამოუშენს სეტყვა:

„კვლავაც ბევრჯერ მინახავს სეტყვა, მაგრამ ასეთი ხშირი, ასეთი მსხვილი კი
ჯერ არსად არ მენახა. ისე წამოგვყარა, თითქოს სეტყვით სავსე უთვალავი ტომრები-
სათვის ზეცაში პირები მოუხსნიათ და ჩვენი სოფლის გასწვრივ მოუპირქვავებიათო. ხე-
ხილის კლერტობით და ფოთლებით მოფინა მთლად გარეშემო ადგილები; კაკალი ხომ
ისე ცვიოდა, როგორც შემოდგომაზე ბერტყვის დროს ჩამოდის ხოლმე. უცებ მაღლიდან
ჩამოეშვა ფრთების მოდუნებულის ქნევით გვრიტი და უძრავად დაეცა დედამიწაზე. მას
მოჰყვა თავდასისხლიანებული მტრედი. სეტყვამ უფრო და უფრო მოუმატა და გრიალით
წამოუშინა კაკლისოდენა მარცვლები. დარეტიანებული და მკვდარი ფრინველები პანტა-

პუნტიტ ცვიოდნენ მალლიდან. იქვე ახლო ღობის ძირას კურდღელს ბუნავი ჰქონდა. შიგ წყალი შევარდნოდა და თავზარდაცემული, გაზუნზლული გამოხტა იქიდან და გაექანა ვაზებისაკენ, მაგრამ სამიოდ გადახტომის შემდეგ საცოდავად დაიჭყვილა, დაპროწიალდა და უძრავად გაიჭიმა ბალახებში. სეტყვა, ჭექა-ქუხილი, ელვა-ქარიშხალი და ყოველის მხრიდან მოვარდნილი ნიაღვრები, თითქოს ერთმანეთს აქეზებდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ჩვენი პაწია მდინარე ადელდა, გადმოვარდა ნაპირებზე და ზღვა-სავით მოედო მთელ ვენახს. თუმცა მალლობზე ვიდექით, მაგრამ მალე საჭიროდ გაგვიხდა კაკალზე აცოცება. ჩამოვსხედით ერთ დაბალ ტოტზე და გულის ცახცახით გადმოვცქეროდით ამ მეორედ მოსვლის მსგავს საშინელებას“.

მაგრამ ახლა სეტყვა გვაშოროს. თუ ღრუბელი წამოვა, წვიმის ღრუბელი წამოვიდეს და არა სეტყვისა. ახლა წვიმა გეჭირდება. გვალვაა. მინდვრებს აღმური ასდით. ჩრდილიდან გარეთ არ გაისვლება. ყველა სულდგმული ჩრდილს ეტანება, ყველა ნატრობს ერთი გრილი სიო მაინც წამოვიდეს, რომ ცოტა შვევით ამოვისუნთქოთო. შუადღე მაინც მეტისმეტად გაუსაძლისია და დერეფანში ან ხის ქვეშ მიგდებული ოჯახი შუადღის ძილსა და თვლემში წასულა. მერე მზე ცოტა გადაიხრება, საიდანაც დაუბერავს გრილი ნიავი, რაც იმას გვაუწყებს, რომ სადამო მოახლოებულა, მზე შუბის ტარზე კი აღარ არის (ანუ შუადღისას ზედ თავზე კი აღარ დაგენათის), მთებისაკენ გადახრილა, იმ მხარეს, საითაც უნდა ჩავიდეს და გზა დაუთმოს დამეს. ახლა შეიძლება წამოდგომა და ოჯახიც ფხიზლდება, ახლა რწვევა უნდა დაიწყოს, მორწვევა თუ შველის დამსკდარ, ნაგვალვ მიწას.

სოფლის თავზე მდინარე გადადის, მდინარიდან ერთი ტოტი გადმოუყვანიათ და არტახებში მოუქცევიათ, რათა გზა იქით მისცენ, საითაც სურთ, საითაც გახდება საჭირო. ეს არხია. არხებიდან რუები გამოდიან და პირდაპირ ბოსტნებში, ბაღებსა და ვენახებში შედიან. წყალს გლეხკაცი უნდა გაუძღვეს თოხით, გეზი და გზა მისცეს, რათა იქით წაიყვანოს, საითაც უფრო სჭირდება მიწას. მთელ სოფელს თითქოს თოხი უჭირავს ხელში. აქეთ დინჯად ბაასობენ, თოხს დაყრდნობიან, რუ კი თავისით მორაკრაკებს, იქით ვიდაცა ვიდაცას ედავება. ეტყობა, წყალი გამხდარა სადავო, შენ აკი დილას მორწვე, ახლა მე დამანებე, ჩემსას უფრო სჭირდებაო. რა იცი, რომ ჩემსას არა სჭირდებაო? — პასუხობს მეორე. ვერა ვხედავ, თვალეები არა მაქო? მერე დავა მიწყდება. ეტყობა, მორიგდნენ, ეტყობა, პურისა არ იყოს, წყალიც ძმურად გაიყვეს. მაშ როგორ? მეზობლეები არიან და მეზობლობაში თუ დავა და ჩხუბი დაიწყო, ამაზე დასაძრახი და საცინლად ასაგდები სოფელში რაღა უნდა მოხდეს.

და მოდით, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ამ სოფელში აქა-იქ ნაკადულებიც მორაკრაკებს, ცივი, წმიდა და თვალისათვის მეტად საამო; ერთიორგან კი დელეც ჩაუდის — პატარა, ვიწრო ხეობა, თავისივე პატარა მდინარით, რომელსაც მდინარე კი არა, სწორედ დელე ეთქმის.

ახლა თვითონ სოფელზე ვქვათ ორიოდ სიტყვა. სოფელში დავა და ჩხუბი დასაძრახისია-მეთქი გითხარით, და ამაში ბევრი რამ ვიგულისხმე. თაობითვე სოფელი ერთ ოჯახად ითვლებოდა. ქალაქში სხვა არის. ქალაქში სულ სხვადასხვა კუთხის, რჯულის ხალხი იყრის თავს. ეს თავმოყრა თავისით, ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე მოხდა. ზოგი როდის ჩამოსახლდა, ზოგი როდის. ზოგი გუშინ ჩამოვიდა სოფლიდან, ზოგის მამა-პაპა ჩამოსულა და თავსაც სწორედ იმიტომ იწონებს, რომ ქალაქელია. სოფელი სხვა არის, სოფელი მყარია და მისი ფესვები მხოლოდ იმ მიწასთანაა დაკავშირებული, რომელზედაც დგას, რომელზედაც ოდესღაც აღმოცენებულა. ნახევარი სოფელი მაინც ერთმანეთის ნათესაობას წარმოადგენს. ერთ უბნად ცხოვრობენ ბიძაშვილ-მამიდაშვილები, მათი განაყოფები, ბიძაშვილის ბიძაშვილები. სოფელი ერთი მთლიანი ნათესაობაა და საქართველოში რამდენსაც გინდათ იპოვით იმგვარ სოფელს, სადაც მხოლოდ ერთი გვარის ხალხი ცხოვრობს, ან დიდი-დიდი ორი გვარისა, რაც იმას ნიშნავს, რომ ოდესღაც, დიდი ხნის წინათ ერთი მრავალრიცხოვანი ოჯახი დაშლილა, გამრავლებულა და ერთ დიდ სოფლად დასახლებულა. ამის გამოც ძნელდება ამ სოფელში ახალი ოჯახის შექმნა. მოგვარე მოგვარეს ვერ მოიყვანს ცოლად (ეს ჩვენი ადათია, ძალზე წმიდა და ვაჟკაცური თავშეკავების გამომხატველი ადათი). ამიტომ, საცოლე ბიჭებს თვალის სხვა, მახლობელი ან შორეული სოფლისაკენ გაურბით, მეოჯახედ გამოსადეგ ქალს იქ ეძებენ, აქაურ გოგოებს კი იქაურ ბიჭებზე ათხოვებენ. და რაკი სოფელი ერთია, მყარია, ერთ ნათესაობას და სამეზობლოს წარმოადგენს, ანუ ერთი ოჯახია, ოჯახური ცხოვრების წესი და ადათიც უნდა დაიცვას. სოფელში არ შეიძლება

ჩხუბი, კინკლაობა, გადამტერება, ქურდობა, ავაზაკობა. ყოველივე ამას სოფელი სასტიკად ებრძვის, მამა-პაპათაგან წამოსული თავისი დაუწერელი თუ დაწერილი კანონებით...

ზაფხულის პაპანაქებაში მდინარეში ჭყუმპალაობას არაფერი სჯობს. გარშემო თითქოს ქვეყანა იწვის, მდინარის გრილ ტალღებში კი ყველაფერი გავიწყდება, სიმხნევე გემატება, ახლად იბადები.

ამგვარ დროზე და მის ცდუნებაზე მოგვითხრობს სოფრომ მგალობლიშვილი თავის მოთხრობაში „ყაყიტას ქურდი“. ეს მშვენიერი მოთხრობა იმიტომ გავისხენეთ, რომ მასში უხილავი ძალით შეიგრძნობა ზაფხულის სიცხე. თითქოს ერთად გვეგვის სიგრილეს წყალი, რომელიც რწყავს ყაყიტას სიმინდებს, მდინარე, რომელშიც ბანაობენ ონავარი ბიჭები.

ვინ არის ყაყიტა? ერთი ღარიბი გლეხი, — განუყრელი პერსონაჟი ძველი ქართული მოთხრობისა.

ყაყიტამ თავისი სიმინდი მორწყა და ახლა იმედით შესცქერის ნაამაგარს...

სიმინდს იქვე მდინარე ფრონე (ეს მდინარე შიდა ქართლშია) ჩამოუდის და სწორედ ამ მდინარეში შეყრილან საბანაოდ ბიჭები.

— „აბა ვინ უფრო წინ გაიხდის, ვინა? — მირბოდნენ ბავშვები მორევისაკენ, ეკამათებოდნენ ერთმანეთს და თან ქამრებს იხსნიდნენ“.

ამ ბიჭებში კი ერთი მაინც ყველაზე უფრო გამოირჩეოდა ცელქობით, რომელსაც ეფრემას ეძახიან.

„აურდაურიეს წყალი, რომელიც სოფლის ბიჭებს აევსო. ზოგი ჭიდაობდა, ზოგი კამეჩებზე ჯდებოდა, რომლებიც ჩაყრილიყვნენ მორევიში და სიამოვნების ნიშნად კუდებს ასხმარტალებდნენ. ეფრემას საქონლის წვალება ძლიერ უყვარდა. ჩააცივდა კამეჩებს: ხან კუდზე მოეკიდებოდა, ხარ რქაზე დაეკიდებოდა, ააბორგა მთელი საქონელი“.

მწყემსი დაემუქრა, ჩამოეხსენ, თორემ ისეთს გადმოგაწნავ ამ სახრეს, რომ ვაი დედაჩემს დაველიე, იბახო.

მზე საშუადღეოდ გადაიხარა და ყაყიტამაც ძილს მისცა თავი.

სწორედ ამ დროს მოხდა, რაც მოხდა: ტოლების წაქეზებით გათამამებული ეფრემა ყაყიტას სიმინდებში გადავიდა და ტაროები დაამტვრია.

დადგა ღამე.

შემწვარი ნაქურდალი სიმინდები ეფრემამ მშობლებსა და პატარა დას ჩამოურიგა... ამას მოსდევს ზაფხულის ღამის სურათი:

„კარგა შეღამდა, მაგრამ ამომავალმა ბადრმა მთვარემ გაჰფანტა ღამის სიბნელე და ქვეყანა აასპეტაკა. თავისი შუქი სვეტ-სვეტად ჩაუშვა ჭალა-ვენახებში და ათასფრად ააბრჭყვიალა. ფრონეს ისედაც კამკამა წყალმა უფრო ციმციმ-კამკამი დაიწყო.“

ამ ბუნების სიმშვენიერეს და სიკეკლუცეს უფრო ალამაზებდა და ფერს აძლევდა ურმის ჭრიალი და ზედ ტკბილი ურმული, რომელსაც მეურმე გულსაკლავად მტრედით აღუდუნებდა, ჰკლავნიდა და შოლტს მარდად უწკაპუნებდა საყვერის ხარებს“.

ამ დროს კარებს ვიდაც მოადგა.

ეს ყაყიტაა.

„მოხუცი ყაყიტა ჯოხის ბჯენით კიბეზე ამოვიდა. ზურგზე ეკიდა დიდი კონა სიმინდის ღეროებისა, რომელიც აივნის იატაკზე დააგდო, ქუდი იღლიაში ამოიღო და გულზე ხელდაკრეფილი დადგა. ზურგი მთვარისკენ ჰქონდა შექცეული. აივანზე მოკუზულის ყაყიტას ჩრდილი წამოდგა. იმის ისედაც თეთრ თმას მთვარის შუქზე ეღვარება გაჰქონდა. ყაყიტა უძრავად იდგა, თვალები სისხლს ცრემლით აევსო, ყელში სული მიეგზინა და ძლივსდა წამოიღულულა:“

— სადამო კარგა ყოფნისაო“.

მერე — ყაყიტას შენდობა:

„ეს ერთი ღვთისთვისაც დამივალებია და მაგათვინაც მიპატიებია ნათელ-მირონობის ხათრით“.

და ბოლოს — „გაწმენდა“ პატარა თამამი გმირისა:

„— არა, ზიარების მადლმა, ჩემი ბრალი არ ყოფილა, მიხამ გამაბრიყვა!..“

წასკდა ეფრემას თვალთაგან ცრემლი, მოჰყვა ქვითინს და ყაყიტას წინ დაემხო“.

ამ მოთხრობაში ყველაფერია: შეგრძნება სოფლისა, თავყანისცემა შრომისა, გამარჯვება სიკეთისა.

გულუბრყვილოაო, — თუ გითხრათ რომელიმე დღევანდელმა „განათლებულმა“, ყური არ მიაპყროთ. ეს გულუბრყვილობა წარსული საუკუნის „გულუბრყვილობაა“, რო-

მელიც ასერიგად მოგვნატრებია და ასერიგად გვჭირდება. აქ ყველაფერი უნდა დავიჯეროთ... თუ ეს არ დავიჯერეთ, ცხოვრება გაგვიძინელებს, ვერასოდეს დაგვიქრდებათ საკუთარ ცოდვაზე თუ მადლზე და ვერსოდეს ვიტყვი, რომ რაღაც დავაშავეთ ადამიანის წინაშე...

ღიას, უნდა დავიჯეროთ, რომ ეფრემას ნამდვილად წასკდა „თვალთაგან ცრემლი“. მოჰყვა ქვითინს და ყაყიტას წინ დაემხო“. მონანიების ცრემლი და იმის წინ „დაბნობაც“, ვის მიმართაც შესცოდე, სათაკილო როდია. ეს წმინდა, ვაჟკაცური ცრემლია და ამგვარი ცრემლი უნდა გვეამაყებოდეს კიდევ.

როცა ამ მოთხრობას ვკითხულობდით, ჩვენ ყველაფერი გვჯეროდა და ამიტომ ჩაგვრჩა წარუშლელად ის შუადღის პაპანაქებაც, ის ანკარა, გრილი მდინარეც თავის მობანავე ბიჭებიანად და კამეჩებიანად, და ის ზაფხულის ღამეც, როცა ყაყიტას „ისედაც თეთრ თმას მთვარის შუქზე ელვარება გაჰქონდა.“

* * *

გვალვა კი მაინც აშრობს მიწას...

მაშინ იწყება „გონჯაობა“.

გააკეთებდნენ კაცის სიმაღლე თოჯინას. გრძელ ჭოკზე (ეს ტანი იყო გონჯასი) გადააჯვარედინებდნენ ჯოხს (ეს ხელების მაგივრობას გასწევდა) და მერე შემოსავდნენ გონჯას. დაახურავდნენ ქულს. გაუკეთებდნენ ნაწნავებს, ჩამოაცმევდნენ ქვაბის ძირს, ან ტაშტს, დაახატავდნენ თვალებს, ცხვირს, უღვაშებს, ან ყველაფერს ერთად... ქალი იქნებოდა გონჯა თუ კაცი, ამას მნიშვნელობა არც ჰქონდა. მთავარი სხვა იყო — გონჯა უნდა თავით ფეხებამდე წყალში გაწუწულიყო. თავს მოიყრიდა გოგო-ბიჭობა, წინ ის მოუძლოდათ, ვისაც გონჯა-თოჯინა ეჭირა. მიდიოდნენ და ხმამაღლა, მთელი სოფლის გასაგონად მღეროდნენ:

„გონჯაობა მოვიარე,

გონჯა მოდგა კარსა...“

კარს მომდგარ გონჯას სოფელი წყლით სავსე კოკებითა და ვედროებით ეგებებოდა. წუწავდნენ გონჯას, წუწავდნენ იმათაც, ვისაც გონჯა ეჭირა და იმათაც, ვინც გონჯას ამაღლაში იყო. ამაღლა კი განაგრძობდა:

აღარ გვინდა გორახიო,

ღმერთო, მოგვე ტალახიო.

ანუ, ღმერთო, წვიმა მოიყვანე, ეს გვალვისაგან დამსკდარი გორმახები ტალახად აქციე და მოსავალს შეეწიე. წყალი კი ისევ ღვარად მოდიოდა კოკებიდან და რაც უფრო მაგრად გაჟივდებოდნენ გონჯაც და მისი ამაღლაც, იმედიც უფრო მეტი იყო, რომ მართლაც დიდი წვიმა მოვიდოდა, ღმერთი შეისმენდა ვედრებას და მთელ სოფელს ნამს გამოუგზავნიდა.

იქნებ მართლა ხდებოდა სასწაული?

იქნებ მართლა ესმოდა ზეცას ვედრება და მართლა აგზავნიდა მიწაზე ნამს?

აღბათ ასეც ხდებოდა...

ჩვეულებრივად კი გონჯა მარცხდებოდა, გვალვა გრძელდებოდა და ბოლოსდა, როდის-როდის მოვიდოდა წვიმა, რადგან ქვეყნად ყველაფერს აქვს დასასრული და ადრე თუ გვიან გვალვაც უნდა დასრულებულიყო.

ეს წვიმა გლეხკაცის ზეიმი იყო, აგვისტოს წვიმა, გადამწვარ ბაღ-ბოსტნებს ხელახლა რომ აცოცხლებდა და მასთან ერთად იმედიც ცოცხლდებოდა. სოფელი ისევ გამხიარულდებოდა და ეს მხიარულება განსაკუთრებით მთვარიან ღამეებში იხატებოდა. წელიწადის ამ მცირე დროს, სოფლად საქმე თითქოს ცოტადაა. ბალახი მოთიბულია, ყანა — მომკილი, აქა-იქ ღობიოს თუ გლეჯენ და მერე ქალები ღობიოს პარკებს არჩევენ. ყურძენი ჯერ არ შესულა თვალში. ვენახიც რამდენჯერმე უკვე შეიწამლა და გოგირდიც მოეფრქვა. საღამოობით საქმე აღარაფერია და საღამოს გართობა შეიძლება.

ვიდაცა ფანდურს გამოიტანდა.

გამოჩნდებოდა მედოლე და მეგარმონეც.

„ბუზიკა“ და დაირაც იქვე იყო.

ქართლის სოფლებში ამგვარ სადამოებს „ლხინს“ ეძახდნენ. ლხინს თავისი მუდმივი ადგილი ჰქონდა, დიდი ცაცხვის ან კაკლის ქვეშ, სადაც ორ საბჯენზე გადაებული ჩამოსაჯდომიც იყო (განსაკუთრებით ბერიკაცებისათვის), სადაც სკამების მაგივრობას დიდი ლოდები, ან ყორეც სწევდა...

ლხინი მაშინ იწყებოდა, როცა კაკლის კენწეროებიდან ამობრძანდებოდა მთვარე. იყო ჭიდაობა, ცეკვა-თამაში, შაირობა. ვინმე ახტაჯანა დედაკაცი ცოცხზე გადაჯდებოდა და, ალი ვარო, გაიძახოდა. სხვა, უფრო თამამი ქალი, უღვაშებს გაიკეთებდა, ბოხონა ქუდს დაიხურავდა, შარვალ-ხალათში ან ჩოხაში გამოეწყობოდა და გოგოებს კარგი ვაჟაკივით იწვევდა საცეკვაოდ. ვინც სიმღერით იყო განთქმული, იმას, ცხადია, უნდა ემღერა. ეს იყო ლხინი მთვარიანი სადამოებისა, რომელიც მცირე ხნით მაინც ყველა სხვა საზრუნავს და საფიქრალს გვავიწყებდა. და თუ ამას ურმულიც დაემატებოდა, ყოველივე ზღაპრულ სახეს იღებდა, ღამე ელეგიურ და იდილიურ სამოსელში ეხვეოდა, თავისი მხიარულებითა და თავისი უტყვი ნაღველით. ურმის ჭრიალი შორიდანვე ისმოდა და მეურმის ურმულიც შორიდანვე ნელ-ნელა ახლოვდებოდა. ნაღველიანი და ტკბილი იყო ეს ურმული, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ „ღულუნი“ უწოდა. წამით თითქოს მთელი სამყარო მიყუჩდებოდა და მიყუჩდებოდა „ლხინიც“. სტვენას შეწყვეტდნენ ბუღბუღლები, ყველაფერი გაირინდებოდა და სმენად იქცეოდა.

ხო, ამგვარი „ურმული“ უყვარდა ილია ჭავჭავაძეს.

საქართველოს დიდი მეგობარი, გერმანელი მოღვაწე არტურ ლაისტი იგონებს: „ილიას უყვარდა აგრეთვე გლეხური სიმღერა. ხშირად, საგურამოში, აივანზე, წიგნით ხელში მდგარი, მახლობლად ბაღში მომუშავე ბიჭების სიმღერას სიამოვნებით უსმენდა. ილიას განსაკუთრებით „ურმული“ უყვარდა, მეტადრე ღამე. მეურმის ცხოვრება ძლიერ აფიქრებდა, უთანაგრძნობდა ადამიანს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ფეხდაფეხ დასდევდა ზანტ კამეჩებს და უსმენდა ურმის ჭრიალს“.

მეორეგან არტურ ლაისტი წერს: „კახეთი საუცხოოა ბინდისას, მზის ამოსვლისა და ჩასვლისას, მთვარიან ღამეშიც, როცა მთელ ალაზნის ველს ვერცხლისფერი სხივები დაჰკაშკაშებს“.

არტურ ლაისტის ამ სიტყვებმა ქართლის მთვარიანი ღამის „ლხინიდან“ ისევ ალაზნის ველზე დაგვაბრუნა, იმ ველზე, სადაც დაიწყო და გაიშალა ჩვენი მოთხრობა წელიწადის ოთხ დროზე. დაგვბრუნდით, რათა ისევ ილიას თვალით და გულით განვიცადოთ ზაფხულის ღამის იღუმალება და მოვისმინოთ ის „ურმული“, რომელიც დიდ ქართველს მწერალს, ხალხმა რომ მთელი ერის მამად აღიარა, ასე უფორიატებდა სულს. ეს „ურმული“ „კაკო ყაჩაღის“ შესავალში გაისმის და თუ ერთხელ მაინც მოგვისმენია, ვეღარასოდეს დავივიწყებთ.

„ყველას ეძინა დღით ფეთქავს რაცა,
თითქო დაღლილა მიწაც და ცაცა!..
მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე
მიჭრიალებდა, გზას აღვიძებდა,
და ნაღველიანად მასზე მეურმე
მწუხარს სიმღერას დაჰღულუნებდა.
ღულუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუჰყრის კიდევ ვით ღრუბელს ქარი“.

შუალამე უკვე გადასულა და „ლხინიც“ ნელ-ნელა იშლება. ბერიკაცები და დედაბრები ყველაზე ადრე წასულან და ალბათ უკვე სძინავთ. სიზმრად კი იმ წლებს ხედავენ, როცა თვითონაც ახალგაზრდები იყვნენ; ცეკვავენ, მღეროდნენ, „ცოცხის ცხენზე“ ჯდებოდნენ. ახალგაზრდებიც უკვე ემშვიდობებიან ერთმანეთს და ჯგუფ-ჯგუფად მიდიან შინისაკენ. მათი ხმა და შეძახილები ხან რომელი ორდობიდან ისმის, ხან რომელიდან. მიყუჩდა დოლი და გარმონი. ჩხაკუნი შეწყვიტა ფანდურმა. ნელ-ნელა სინემე დგება სოფლის ღამისა და უფრო ცხადად ისმის ბუღბუღლის გალობა. მიძინებული სოფლის თავზე ზაფხულის ცა გადმოშობილა, უსახდვრო და უნაპირო. მთვარე სადაცაა ჩავა და ვარსკვლავები მკვეთრად ციმციმებენ. და ამ მირიად ვარსკვლავთა შორის მიცურავს ჩვენი პლანეტა დედამიწაც. მიცურავს შეუქერებლივ, სულმოუთქმელად, თა-

ვის მეზობლებთან და თავის დედასთან — მზესთან ერთად. და მასთან ერთად მიიჩქარის დროც, დედამიწის დრო.

მაგრამ ჩვენ წამიერად ვერ ვგრძნობთ ამ დროს. ამ წამში ჩვენთვის მხოლოდ ზაფხულია, უფრო ზუსტად კი — ზაფხულის ერთი ღამე.

ხვალინდელმა დღემ სოფელში ახალი საზრუნავი უნდა მოიტანოს.

ხვალ მწვემსების დასახელებად, ანუ სანახავად უნდა წავიდეთ მთაში.

სომ გახსოვთ, გაზაფხულზე ცხვრის ფარებმა რომ ჩამოიარეს, მაშინ მიდიოდნენ მწვემსები საზაფხულო იალაღებზე და მას მერე იმდენი საქმე გვექონდა, მათ დასახელებად ვეღარ მოვიცალეთ. ცხადია, დროდადრო ხან ვინ წავიდოდა, ხან — ვინ, ხან ერთი მეზობელი ააკითხავდა, ხან მეორე, ჩვენ კი მათთან ერთად არა ვყოფილვართ და ვიდრე მთის ვიწრო ბილიკებს შევუყვებოდეთ, მოდიოთ, ქართულ კარ-მიდამოს გადავავლოთ თვალი...

სახლი ქვითკირისა იყო.

ეზოსაც დიდი ყორე ჰქონდა შემოვლებული.

სახლს რიკულებიანი, ანუ კოსტად მოხატული, ხეში გამოკვეთილი აივანი ერტყა.

შინ ბუხარი იყო, ნაცვლად შუაცეცხლისა.

დიდ დარბაზში რამდენიმე ტახტი იდგა და, ცხადია, მსგავსად ოთარაანთ ქვრის ტახტისა, ჭრელის ფარდავით გადაფარებული.

ეზოში, რაღა თქმა უნდა, კაკალი შრიალებდა.

ეზოს უკან — ბაღჩა და ბოსტანი.

ეზოს ბოლოში — ბეღელი, საბძელი და გომური.

სახლის ქვეშ — მარანი.

ვენახი? ვენახი მაშინაც და ახლაც, სოფლის გარეთ იცოდნენ, ვენახები სოფლის ბოლოში იწყებოდა და ალაზნამდე ჩადიოდა.

კალოები?

კალოც სოფლის გარეთ იყო, უმეტესწილად ხევის პირად, სადაც, როგორც გითხარით, სადამოობით აუცილებლად უნდა ჩამოექროლა ზემო ნიაგს.

შინაც და გარეთაც ყველაზე საპატიო ადგილი ოჯახის პაპას ეკუთვნოდა. სუფრის თავშიც ის იყო თამადასავით ჩამომჯდარი. იქვე გვერდს დიდედა, ჩვენი ბებო უმშვენებდა, პაპას განუყრელი თანამეზავრი და მეუღლე.

მერე კაცები მოდიოდნენ, მერე — რძლები, სულ ბოლოს კი — ჩვენ, რომელთაც წვრილფეხობას გვეძახდნენ. მოხუცი მთელ საქართველოში იყო პატივისცემით მოსილი, მაგრამ განსაკუთრებით — მთიანეთში. სვანი „მახვში“ უფროსს, წინამძღოლს ნიშნავს. ქორა-მახვში ოჯახის უხუცესია. მახვშს საკუთარი საპატიო სკამი, ანუ „საკარცხულიც“ კი აქვს, რომელშიც მის გარდა სხვა ვერავინ ჩაჯდება.

პატივით იყო მოსილი ჩვენში დედამთილიც. ის განაგებდა და განასახიერებდა ოჯახის სინდისს. ვაი იმ რძალს, ვისაც დედამთილი ავ საქმეზე წაასწრებდა, ან ეჭვის თვალით შეხედავდა; მაშინვე იმას შეახსენებდა, რომ ქალს ლეჩაქი სათბუნებლად კი არა, სინდის-ნამუსისთვის ახურავსო. და, რა თქმა უნდა, რომ ყოველი ქალის მზითევში მთავარი სწორედ ლეჩაქი იყო. ლეჩაქს იხურავდნენ დღეობებში, ქორწილებში, ნიშნობებში, ყოველ საზეიმო დღეს. ლეჩაქით მიდიოდნენ წირვაზე საყდარში. ეს ლეჩაქი ყოველი მანდილოსნის სკივრს ამშვენებდა და ბოლოს ამავე ლეჩაქით მიდიოდა ქალი იმ ქვეყანაში.

კაცის სამოსში მთავარი ჩოხა-ახალისი იყო. ერთი ხელი ჩოხა მაინც, მთელი თავისი სამშვენისებით და აკაზმულობით, ყოველ თავმოყვარე ვაჟკაცს უნდა ჰქონოდა, რაც არ უნდა ღარიბი და უქონელი ყოფილიყო. ჩოხა ვერცხლისფრად იყო მოსირმული. წელში კარგად გამოყვანილი და თუ მისი მატარებელი ჭაბუკიც ლამაზი ვაჟკაცი გახლდათ, ჩოხაში გამოწყობილი, დიდებული სანახავი იყო.

დიდუდას შინ თალხი კაბა ეცვა. წლების მანძილზე მრავალი ჭირი გადახდენოდა და თალხი კაბაც ტრადიციად დამკვიდრებულიყო. ჯეველ ბიჭებს, ჯერ რომ ოჯახი არ შეექმნათ, — ჭრელი ხალათი და ფართო, გლეხური შარვალი ემოსათ. ფეხზე კი, როგორც მაშინ იყო მიღებული, კოსტად ამოსხმული ქალამნები ეცვათ. რძლებსაც და გოგოებსაც ჭრელი ჩითის სამოსი შვენოდათ და ამოდენა ოჯახი ერთად, განუყრელად ცხოვრობდა. ასე იყო მაშინ მიღებული, ოჯახი დიდი უნდა ყოფილიყო, მრავალრიცხოვანი, რაც მრავალ მშრომელ მარჯვენას გულისხმობდა. შრომით კი ყველა შრომობდა,

დიდიან-პატარიანად. უშრომელი ვინმე აქა-იქ თუ გამოერეოდა და იმასაც მთელი სოფელი დასცინოდა, ლექსებს გამოუთქვამდა, ბეჩავ კაცად მონათლავდა.

და მაინც, სოფელში ბაღლებს ზრდიდნენ. მშობლებს გარეთ უფრო მეტი საქმე აქვთ, ვიდრე შინ. შინ დიდებაა დარჩენილი და ყველაფერი მას ეკითხება, რა დროს რა გააკეთოს, რა დროს სადილობაა, რა დროს — სამსახური, როდის გაუშვას ბაღლები გარეთ და როდის მოუხმოს და შეახსენოს, რომ უკვე ღამდება და დროა „ყვავი თავის ბუდეში“ წავიდეს. დიდება განაგებს, რა დროს ჩამოჯდეს ყმაწვილი უფროსების წრეში და რა დროს „გაიაროს სუფთა ჰაერზე“, რადგან უფროსები ისეთ რამეს ჰყვებიან, რაც არ იქნება კარგი, რომ ყმაწვილმა ახლავე გაიგოს. გავა ხანი, დავაუკაცდება, დაქალდეა და მაშინაც მოესწრება.

ამგვარი იყო დიდი ქართული ოჯახი.

ეს ოჯახი ემზადება ახლა მწვემსებთან წასასვლელად.

ბიჭებმა აღკაზმეს ცხენები და ხურჯინები გადაჰკიდეს. წინა კვირას ამ ცხენებით მთიდან ყველი და კალტი ჩამოიტანეს. ახლა ბარიდან მთაში სანოვავე მიაქვთ, — შოთი პურები, ბოსტნეული, ნიგოზი, ლობიო, ხახვი, ნიორი და კარტოფილი, რაც მოენატრებოდა მწვემს კაცს, რასაც მთაში ვერ იშოვი. ფუსფუსებენ რძლები. დედამთილი ბრძანებებს იძლევა. პაპა ათასში ერთხელ თუ ჩაერევა საქმეში, ან მოკითხვას დააბარებს ვინმესთან, ან ცხენებზე იტყვის, გაუფრთხილდით, ხშირად დაასვენეთ, აღმართებში არ არბენინოთ, პირუტყვია, მაგრამ თქვენზე კარგადა გრძნობს ყველაფერსო. ბიჭები არხენად ესუმრებიან, ნუ გეშინია, არაფერს ვავენთ, ჩვენ კი არ შევჯდებით, მაგათ შევისვამთ ზურგზეო. მე ეგ როდის ვითხარით, ნაწყენი რჩება პაპა, მოხუცდა და ხუმრობას ვეღარ იგებს. ქალები ჩუმიად აბარებენ მოკითხვას ქმრებთან და გულში იმ დღეს ნატრულობენ, როდის დაიძვრება ცხვარი ბარისაკენ.

ამ დაბარებებში და ფუსფუსში უკვე მზეც ამოსულა და ბიჭები ჩქარობენ, დღიურ ვეღარ ავაღთ ბინაზე, თუ ახლავე გზას არ დავადექითო.

ცხენების ქარავანი გზაზე გადის.

აბა თქვენ იცითო, — გული არ უთმენს პაპას.

ბებოც ლოცვა-კურთხევით მისდევს ქარავანს და ჭიშკართან ჩერდება.

დედამთილი ერთი ქორივით გადახედავს რძლებს და, შინ შედითო, ეტყვის, თითქოს ეშინია, რძლებიც არ გაჰყენენ ქარავანს და მთაში არ ავიდნენო.

ოჯახი ისევ მშვიდდება.

ბაღლებს გული სწყდებათ, რომ თვითონაც არ გაჰყენენ ცხენებს მთაში, მაგრამ უმცროსი, ნაბოლარა ბიძა ამშვიდებდა, გული არ დაგწყდეთ, ხვალ სანადიროდ წავიყვანთო და ბაღლებსაც უკვე აღარ უნდათ მთა, ხვალ სანადიროდ გასწევენ ტყისკენ.

ქარავანი კი უკვე გასცდა სოფელს.

გადაიარა ველი. გატოპა მდინარე.

ცხენები თავდახრილნი მიდიან. ხურჯინები მძიმეა. წინ დიდი გზა ელით. აღმა მიმავალი ბილიკები ხან ხეობას მიჰყვებიან, ხან ხევზუვებს გადასჭრიან და ხან ქედ-ქედ გადადიან.

შუადღე წამოსულა. მთას მზე უკვე ძალუმაღ აჭერს და ბიჭებიც შოლტით აჩქარებენ ცხენებს, რომ დაღამებამ გზაში არ მოუსწროთ და ბინდისას უკვე ბინებზე ავიდნენ.

წყაროსთან მცირე ხნით ისვენებენ. პურსა და ყველს შეექცევიან. თითო პამიდორს გახლეჩენ, კიტრს გადატეხავენ, გემრიელ მთის წყაროს ხარბად მოსვამენ და კვლავ განაგრძობენ გზას. ბილიკი უფრო და უფრო ზემოთ მიიწევს. ტყეები ქრებიან და ახლა მხოლოდ მწვანე ბალახით მოსილი მდელოებია. ჰა და ჰა, საცაა, ქედის თავზე მოექცევიან.

საიდანღაც ძაღლების ყევა ისმის.

ეს იმის მაუწყებელია, რომ ფერმა უკვე ახლოსაა.

ეს ის ძაღლები არიან, ფარას კულში რომ მოსდევდნენ და თან აქეთ-იქით იცქირებოდნენ, ვინმემ რაიმე არ შემოგვკადროსო.

ძაღლების ყევა სულ უფრო ახლოდან მოისმის.

ქარავანი ჩერდება. წინა ცხენთან მდგარმა უფროსმა ბიჭმა იცის, რომ წამიც და ბილიკის მოსახვევიდან კლდისპირას გამოვარდება ფერმის ყველაზე ავი დარაჯი, გამოვარდება ყეფით და იქვე, ცხენების ქარავანის შორიახლოს, მიწაზე გაერთხმება:

ჩვენები ყოფილან!

ფერმა ქედზეა შეყუჟული. ერთი პატარა ქოხი მწყემსებისათვის და — ბაკი სა-
ქონლისათვის. ქოხი ფიქალი ქვითაა ნაგები და ზემოდანაც ან ფიქალი აქვს გადახურუ-
ლი, ან თივა. უქოხოდ მწყემსური ცხოვრება ვერ გადაივლის, მით უფრო თუ ფერმა
სადღაც ზემოთაა, ცისა და მიწის შესაყარზე. ქოხში ყველით საგსე ტომრებია, უწინ
რომ საცალოებს ებახდნენ. საცალო ტომარაზე დიდია, უფრო უხეში და უფრო ტეკა-
დიც. ჩანახში ფქვილია, და ყოველდღე თუ არა, ორ-სამ დღეში ერთხელ მაინც, ღუმელ-
ში ან სულაც ცეცხლისპირა დიდ ლოდზე მწყემსებისათვის პური და ხმიადი ცხვება.
იქვე ხახვისა და ნივრის გალა (ანუ ასხმულა) ჰკიდია. ჩაწითლებული წიწაკაც აქვეა.
ქოხის გარშემო თვლემენ ქოფაკები და საკმარისია ფერმის იქით ვინმე უცხომ ჩაიაროს
ან ცხენით ან ქვეითად, რომ ქოფაკები ისარივით მოწყდებიან ადგილს და ქვემოთ გაენ-
თებიან, ვიდრე მწყემსების სტვენა და ტუქსვა არ მისწვდებათ, რას გაგიჟდით, ჩვენ დაგ-
ვაცადეთ, ჩვენ უფრო ვიცით, ვინ მტერია და ვინ მოყვარეო.

*

დილაადრიან ცხვარი ბაკიდან გამოჰყავთ და საძოვარზე მიერეკებიან. ეს ის
ცხვარია, წინა დღეს რომ ჩამოწველეს და გაპარსეს კიდევ. საძოვარზე ცხვარს ერთი
მწყემსი მიჰყვება. ის ადგას თავზე მთელ ფარას, ის ადვილებს და ამხნეებს ქოფაკებს.
მან უნდა მიაპყროს ყური ღამეულ ჩქამს, ყოველ გაფაჩუნებას, ცხვრის შემფოთებას,
რათა დროულად მიხვდეს, საიდან ელის ფარას საფრთხე.

მერე კი — ისევ ბაკი და ისევ შრომა დილიდან დაღამებამდე.

ფერმაში მთელი დღე ისე გადის, კაცი გვერდზე გასახედად ვერ მოიცილის. ჯერ
დილაადრიანად ცისკრის ვარსკვლავი ისევ ცაზე რომ იქნება, ცხვარი ბალახზე უნდა
გაისტუმრონ. ნაწილი ცხვრისა ბაკში უნდა დაარჩინონ და, როგორც კი კარგად ინა-
თებს თუ პარსვის დრო დადგარა, პარსვას შეუდგებიან მწყემსები, გაკოჭავენ ცხვარს
და დუქარდით მისდგებიან, რათა თეთრი, ფაფუკი ქათიბი გახადონ და ძვირფასი მატ-
ყლი ცალკე დაახვავონ.

მერე კი ყველის ამოყვანა... ყველის ამოყვანას დიდი ოსტატობა სჭირდება. ყველი
გემრიელიც უნდა იყოს, ზომიერად ყუათიანიც და ლამაზიც. ნუ გაგიკვირდებათ, სილა-
მაზე ყველაფერს სჭირდება, აბა წარმოიდგინეთ, სად იკლო-ბაკლოდ მოჭყლეტილი ყვე-
ლი და სად კოხტად გამოყვანილი კვერი, შორიდან რომ თეთრ გოგრას მოგვაგონებს
და ნაოჭებიც ისე ჩაუდის, თითქოს საგანგებოდ დაუთვლიო. რა თქმა უნდა, უფრო დი-
დი ოსტატობა ცნობილ გუდის ყველს სჭირდება, რომელსაც საგანგებოდ ჩაყვითლებუ-
ლი (ერბოს ნაკვალევი) ფერი და ასევე საგანგებო გემოც უნდა ჰქონოდა.

გუდის ყველი სათუთი ამოსაყვანია. მისი ამომყვანი ყოველ წვრილმანში კარგად
უნდა ერკვეოდეს, ყველაფერს მამა-პაპურად აკეთებდეს.

ჰაიჰარად გუდის ყველს ვერ ამოიყვან...

განა მარტო გუდის ყველი? და კიდევ რამდენი რამე ალამაზებდა ცხოვრებას?

რა თქმა უნდა, გუდის ყველი და ბევრი რამ სხვაც ყოველდღიური ყოფის
წვრილმანებია, მაგრამ ამ წვრილმანებშიც ხომ ჩანს ძველი კულტურა?

ნამდვილ კულტურებს მუდამ თავისთავადი, თვითმყოფადი ხალხები ქმნიდნენ.

ნუ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ისეთი უბრალო რამეც, როგორცაა გუ-
დის ყველის ამოყვანა, ხალხის კულტურის მართლაც მცირე, მაგრამ არცთუ უმნიშვნე-
ლო ნაწილია.

ყოველი „წვრილმანი“ — ერთ დიდ, საერთო კულტურას ქმნის...

მაგრამ დაგბრუნდეთ ფერმაში.

აი, ყველი უკვე ამოიყვანეს და იქვე, ბინაში, საგანგებოდ გამზადებულ ხის თა-
როზე გაამწკრივეს. მარილი მოაყარეს და ალბათ მალე შეშრება კიდევ... მერე ჩააწყო-
ბენ გუდებში ან საცალოებში. მერე ბარიდან ამოვლენ ცხენები. ყველი ხურჯინებში გა-
დაინაცვლებს. გადააჰკიდებენ ამ მძიმე ხურჯინს ცხენებს და ბილიკზე დაეშვებიან.

თიხის პატარა ქოცოები საგსეა კალტით.

კალტი რაღაა?

რძეს რომ საფუარს მისცემენ და ხაჭოსმაგვარი მასა შრატისაგან ცალკე გამოი-
ყოფა, აი ის არის საყველედ გამოსადეგი. მაგრამ არც შრატი გადაიდვრება. შრატს სა-
განგებოდ აღუდებენ და ახლა ისიც მოიგდებს ხაჭოსმაგვარ არცთუ ძალზე ყუათიან,
მაგრამ სასიამოვნო ნაღებს, რომელსაც გააცივებენ და მიირთმევენ. ერბოში მოხრაკუ-

ლი კალტი უფრო გემრიელია. თუ ერბო არა გაქვს, უამისოდაც გახვალ იოლას...“ „ყვე-
ლი, პური და კეთილი გული“ ხაჭოხეც ითქმის და კალტზეც.

მოვწველეთ ცხვარი.
ამოვიყვანეთ ყველი.
გადავარჩიეთ მატყლი.
მოვადუღეთ კალტი.

და ამასობაში დადამდა კიდევ. შორიდან ძაღლების ხმაური ისმის. ფარა ბრუნ-
დება ბინაში. მწვემსები ხელ-პირს იბანენ და სავანსშმოდ ემზადებიან. მართლაც როგო-
რი ამინდი იქნება ამდღამ? ვაჟა ფშაველა ასეთ დროს იტყოდა: „დადამდა, წვრილნი
ვარსკვლავნი, აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა, მთვარე კი ჯერ არსადა სჩანს, არ დაგვნა-
თოს თავზედა, ჯერ თუ არ გაუღვიძია, ისევ თუ სძინავს მკლავზედა, ჯერ გამარჯობა
არ უთქვამს შემომჯდარს გორის ფხაზედა“.

ხო, მთვარე ჯერ არ სჩანს.

ჯერ მართლა არ უთქვამს გამარჯობა, გორის ფხაზე შემომჯდარს.

მაგრამ ეს ვარსკვლავები ზოგჯერ გვატყუებენ.

უეცრად, როგორც მთაში იცის, ერთბაშად წამოვა შავი ღრუბლები და დაიწყება
წვიმა. ჭექა-ქუხილი აზანაზრებს მთებს, ელვა ხან ერთ ხეობას გაანათებს, ხან მეორეს
გადასწვდება. თითქოს ქვეყანა იქცევა და ბაკში მიყუყული ცხვრის ფარაც შიშით
თრთის. ამ დროს ერთმაც რომ თავი დაადეროს და სიბნელეს შეერიოს, მთელი ფარა,
როგორც ცხვარს სჩვევია, დაუფიქრებლად მიჰყვება, თუნდაც ის ერთი უფსკრულისაკენ
გადაიჩეხოს.

მწვემსი ამ დროს ფრთხილად არის. ნაბადი მოუსხამს, კომბალი უჭირავს (კომბა-
ლი მწვემსის განუყრელი იარაღია, ხის გრძელი, მაგარი ჯოხი, რომელსაც ქვემოთ კაუ-
ჭი აქვს, რათა ცხვარს ოსტატურად გამოსდო ფეხებში და როცა გასურს, მაშინ დაიჭი-
რო). გარშემო უვლის ფარას. ფხიზლობენ ძაღლებიც. მერე გრუხუნნი უფრო და უფრო
შორს მიდის, თითქოს ცაზე ეტლმა გადაიარა და ახლა უკვე თვალს მიეფარაო. მერე
ცისკიდურზე ერთი პატარა ვარსკვლავი გამოჩნდება, რაც იმას გვაუწყებს, რომ ცა უკვე
„აჭრელდა“, ჭექა-ქუხილმა გადაიარა და წვიმაც თან მიჰყვა.

მერე, სადღაც, ქვემოთ, ბნელ ხეობაში, მგელი აყმუვლდება.

ძაღლები ყფით გაენთებიან.

მწვემსები დასჭყვივიან ძაღლებს და აქეხებენ, აბა თქვენ იცითო.

მგლის ხმაც მიწყდება და კვლავ სიჩუმე ჩამოწვება.

დღესაც ყველაფერი კეთილად დასრულდა...

ფერმაში ცეცხლი ჩანავლდა.

ნაბდებზე მიწოლილი მწვემსები ახლა ჩურჩულით-და ლაპარაკობენ, თითქოს
ემინიათ ძირი არავის დაუფრთხონო. გარშემო კი მხოლოდ მთებია და ძეხორციელის
ჩქამიც არ ისმის.

რაზე ლაპარაკობენ მწვემსები?

თავიანთ ცოლ-შვილს იგონებენ. საკუთარი სახლი და ოჯახი ენატრებათ.

და ვიდრე მთაში, ფერმაში ვართ, ამ სიგრილეში ვერც ვგრძნობთ, ქვემოთ რომ
კვლავ ზაფხულია და ცხელა.

აქ კი მართლა გრილა.

ღამით ცივა კიდევ.

ღამე ძნელად გაივლის ისე, ცოტა მაინც რომ არ წამოწინწკლოს. მაშინ ფერმაში
შუაცეცხლი ინთება. ვიღაც მწვემსი ფანდურს აჩხაკუნებს. ვიღაც ბასრი ხანჯლით
ხორცს კეპავს. ვიღაც ცომს ხელავს. ცეცხლზე დიდი გამურული ქვაბი დგას და წყალი
თუხთუხებს, ხინკლისათვის ემზადებიან.

ხინკლის კეთება მთაში ზეიშია. ეს იმას ნიშნავს, რომ უჩვეულო დღეა, განსა-
კუთრებული. ჩვენც ამ უჩვეულო დღეს დავემშვიდობოთ მწვემსებს.

ერთი-ორი დღით ავედით მთაში და ბარში კი თითქოს უკვე რაღაც შეცვლილა.
აქა-იქ უკვე მოჩანან სიცხისაგან მიმჭკნარი ფოთლები. გახუნებულან ზაფხულის ხასხა-
სა ფერები. ჩაყვითლებულა ხილი. ორღობეების პირას მავლები მუქლურჯად გადაფე-
რილან. გოგო-ბიჭები კალათებს მწიფე მაველით ავსებენ. თუ ტყისპირებს გავუყვებით,
უკვე შინდიც შემწიფებულა. ტყის პანტებსაც შეჰპარვიათ ყვითელი ფერი და აქა-იქ ძირ-

საც ჩამოუყრიათ ნაყოფი. ამას უკვე შორიდანვე ვიგრძნობთ, როცა ჯერ პანტა არც კი გვიპოვია, მაგრამ რაღაც დამათრობელი სურნელება მაინც შემოგვეფეთა. ყვითლად და წითლად მოჩანან ტყემლებიც, ლეღვები ზედ ორღობეებზე გადმოხრილან და მართლაც გუდებივით გადმოუკიდიათ გუდა-ნაყოფი. და მაინც, ჯერ შემოდგომა ისევ შორს არის. შემოდგომის ნამდვილი დასტური ჯერ არ გეინახავს.

მოდით, გადავცდეთ ორღობეს და უფრო იქით, გადაღმა ვენახებისაკენ გადავიხედოთ, სადაც ვაზები ერთმანეთს მიუყვებიან. ჯერ კარგად მოვუსმინოთ: აქა-იქ ადამიანთა ხმებიც ისმის. ერთი ვენახიდან მეორეში ელაპარაკებიან ერთმანეთს კაცები. მერე ქალის ხმაც გამოერევა. უცებ ბაღლებიც გადაიკისკისებენ. რაღაც მოლოდინის გრძნობა გამეფებულა ირგვლივ. და ეს მოლოდინი იგრძნობა ადამიანთა ხმებშიც, იმ ბაღლების გაცივებაშიც, ზაფხულის მიწურულის გახუნებულ ფერებშიც.

და აი, ერთბაშად შემოგვეფეთება ის, რაც ყველაზე უფრო უტყუარი დასტურია შემოდგომის მობრძანებისა.

ყურძნის მტევანი!

ყურძენი თვალში შესულა...

რას ნიშნავს „თვალში შესულა“? აქა-იქ მტევნებს უკვე ყვითელი ფერი შეპარვიათ. ზოგან თითო მარცვალი გამორჩეულა, ზოგან მთელი კუფხალი. ცხადია, ჯერ კიდევ ადრეა, ჯერ არ ჩამტკბარა, არ ჩაშაქრებულა მტევანი, მაგრამ „თვალში შესულა“ კი მართლა დაწყებულა. მივიდეთ ახლოს და ხელი შევახოთ ამ პირველ მტევანს, როველობის პირველ მაცნეს; მივეფეროთ, მასში მიწის მადლია და მზის გულის სითბო. ამ მტევანზე ფიქრში გავიდა მთელი ნახევარი წელიწადი...

მაგრამ აქ შეგჩერდეთ. რთველი ჯერ არ მოსულა და, ცხადია, ჯერ არც შემოდგომა დამდგარა. რთველის ამბავზე მაშინ გეტყვით, როცა შემოდგომა მართლა დადგება, როცა გაფრინდებიან მერცხლები, როცა...

მაგრამ იქნებ უკვე გაფრინდნენ მერცხლები?

იქნებ ისე წავიდნენ, ჩვენ ვერც კი შევამჩნიეთ?

იქნებ რაღაცაზე გავანაწყენეთ და დაუმშვიდობებლად დაგვტოვეს?

ან იქნებ ჩვენ ვიყავით ისე გულგრილნი, რომ ვერც კი გავიგეთ, როდის შემოუფრინეს უკანასკნელად თავის ბუდეს, მთელ ჩვენს ეზო-კარს, შეუერთდნენ თავისიანთა გუნდს და გასწიეს, მერცხლები ხომ ძალზე ადრე გვტოვებენ?

და თუ მართლა წავიდნენ, აქ, ვენახში, სოფლიდან მოშორებული ამას ვერ გავიგებთ. მერცხალი სოფლის შვილია, ჩვენი კარ-მიდამოს მდგმური და უიმათობას მაშინ მივხვდებით, თუ ბუდე ცარიელი დაგვხვდება...

ვენახში რჩება შემოდგომის წინამორბედი სიჩუმე. ეს ის დროა, როცა ყველაფერი მოლოდინს შეუპყრია. მოლოდინის დღეები ჰქონდა გაზაფხულის პირსაც და ზაფხულის პირსაც. ვერ იტყვი, ამგვარი დღეები კალენდარულად თვის რომელ დღეებს ემთხვევა. ისინი თავად უნდა მოიხელთო და განიცადო, თავად უნდა შეხვდე სადმე, ან მთაში ან ბარში, ან ვენახში ან ბაღში, ან სულაც საკუთარი სახლის აივანზე, როცა შენს წინაშე ზაფხულის ღამის საოცარი სიჩუმე იქნება, როცა აქა-იქ, ბოსტნისპირას გაიფლვებენ ციციანთელები, ვარსკვლავები კი ისე მკრთალად იქნებიან გაბნეულნი, თითქოს ნისლში ჩაძირულანო.

ოო, ალბათ ამგვარ ღამეში ჩაიქროლა იმ „კუდიანმა ვარსკვლავმა“, ასე რომ შეაშფოთა ლუარსაბი და დარეჯანი, რომელთაც ეს ამბავი თავიანთი რძლისაგან, ელისაბედისაგან შეიტყვეს. ამგვარ ღამეში წარმოადგინეს შექსპირის მდაბიორებმა მდიდართა შესაქცევად თავიანთი შეთხზული პიესა უბედური პირამუსის და თისბეს სიყვარულზე, „ზაფხულის ღამის სიზმარმა“ კი მთვარის შუქით გააბრწყინა ლიზანდრის და ჰელენის ვნებანი და ეჭვი არ არის, ამგვარ ღამეს მოხდა ის საბედისწერო შეხვედრაც კაპულეტების სახლის აივანთან, როცა რომეომ პირველად გაუმხილა ჯულიეტას თავისი ჯერ არგაგონილი სიყვარულის საიდუმლო. ან იქნებ სულაც ამგვარ ღამეში დაიბადა მოცარტის ცნობილი „ღამის სერენადა“... ხო, იქ ზაფხულის ღამის იდუმალება და ნაზი ფერებია და მუსიკაც ისეთი გამჭვირვალე, რომ არ დაირღვეს ჯადოსნური სიჩუმე ღამისა.

იქნებ სიჩუმეც ისევე აუცილებელია, როგორც ცხოვრების მდინარეების ხმაური?

გუშინ ვენახშიც ამგვარი სიჩუმე იდგა. თითქოს რაღაც სიტკბო იღვრებოდა სულში. ეს სიტკბო მზედაკრული მტევნებიდან, ტიკებივით დაბერილი ლეღვებიდან, წენგოშემტკნარი კაკლებიდან და ცისფერი ღოღნოშოებიდან მოდიოდა.

აბა ყური კარგად მიაპყართ... შემოდგომა შემხმარი ფოთლების ფაჩი-ფუჩით ჩუ-მად გვიახლოვდება.

...ჩქარა გავსწოთ სოფლისაკენ, მერცხელებმა არ გაგვასწრონ. ზაფხულის მღელვარებაში გართულებმა ვერც კი შევნიშნეთ, როგორ დაგვცილდნენ ბოლო ხანს, რა ხშირად იკრიბებოდნენ, თითქოს რაღაცაზე ბჭობდნენ, რაღაცის სამზადისში იყვნენ. რაღა რაღაცის, ეს შორეული, თბილი ქვეყნებისაკენ ძნელი და სახიფათო მოგზაურობის სამზადისი იყო. ჩვენ ვერც კი შევნიშნეთ, როგორ შეკრეს ჯგუფი მამა მერცხელებმა და წასასვლელად განემზადნენ, მათ კი დედა მერცხელები მიჰყვნენ.

წავლენ, გადაივლიან ცხრა მთას და ცხრა მდინარეს, როგორც ზღაპრებში იტყვიან ხოლმე. გზად რას და ვიღას არ შეეყრებიან. ბევრი ვერც მიაღწევს ალოქმულ ქვეყნამდე და, ცხადია, ვერც უკან დაგვიბრუნდება.

ვინჩართო და დავემშვიდობოთ! უკანასკნელად შევაველოთ თვალი, რა ნაღვლიანად შემოუფრენენ შეჩვეულ კარ-მიდამოს, შეჩვეულ სახლ-კარს.

მინდვრები უკვე მოთავდა და ორღობეები დაიწყო. აი, ჩვენი უბანი, აი, ჩვენი სახლი, აი, ხის აივანი და მერცხლის ბუდე...

წასულან! გაფრენილან!

ცარიელია ბუდე!

ნეტა რა გაიფიქრეს, როცა ემშვიდობებოდნენ?

იქნებ დამშვიდობება სულაც არ იყო და არც არაფერი უფიქრიათ. დაუნანებლად დატოვეს აქაურობა და წავიდნენ, რაკი ბუნების იღუმალმა ენამ, ისე, რომ თავადაც არ იცოდნენ, რა ხდებოდა, ასე უკარნახათ?

მაგრამ ჩვენ ადამიანები ვართ და ყველა სულდგმულში ადამიანურ სულს ვეძებთ.

ჩვენ გვინდა, რომ მერცხელებსაც წასვლა დაენანოთ და სევდით დაემშვიდობონ სახლ-კარს, სადაც ერთი ლამაზი გაზაფხული და ზაფხული გაატარეს.

ჩვენ ეს უფრო უნდა გვჯეროდეს

უამისოდ ვერც ისინი იქნებიან მერცხელები და ვერც ჩვენ ვიქნებით ადამიანები.

იდილიურია ზაფხულის დამდეგის მწვანე და ლურჯყვითელი ფერები, ზაფხულში გაისმოდა „გუთნურიც“ და „თიბლურიც“. იდილიური იყო ზაფხულის დამეებიც, თავისი „ურმულით“ და „ლხინით“. იდილიური და მხიარული იყო თვით გვალვაში გამართული „გონჯაობაც“... მაგრამ ნუ გეგონებათ, რომ გარშემო ყველაფერი სიმღერით და მხიარულებით ხდებოდა. ზაფხული, პირველ ყოვლისა, გარჯაა და, როგორც გითხარით, ამიტომ ჰქვია შემოდგომის მოსავალს „ჭირნახული“. ხნულში მუდამ იღვრებოდა გუთნისდების ოფლი. ოფლს ღვრიდნენ მომკელებიც და მთიბავებიც. გლეხკაცს მართლაც „ყოვლის მხრიდან“ სდარაჯობს საფრთხე მძიმე, მომქანცველი შრომის წყალში ჩაყრისა. „თუ წუთისოფელს ერთის წუთით თვალი მოუხუჭე, ისე გაგთედავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსაო“, — ეს ოთარაანთ ქვრივის შეგონებაა და მთლიანად მიესადაგება გლეხკაცისა და ბუნების ჭიდილსაც. აქ თვალის მოხუჭვა არ შეიძლება. გამარგულ ყანაში თუ მეორე დღესაც არ შეიარე, ისევ წამოყოფს თავს ბალახი და ჯეჯილს გადაეყარება. თუ წყალი დროზე არ მიუშვი, გვალვა დახრუკავს ყველაფერს. გათოხნილზე კვლავ აიშლება შალაფა და სიმინდებს დაჩაგრავს. ხოლო ვენახი... ბევრმა სცადა ეანგარიშა, მაგრამ ზუსტად ვერავენ მიხვდა, რამდენჯერ უნდა მოეფეროს, გაფურჩნოს, მოაშოროს ნამკერვეი (ანუ ფოთოლთა გვერდით წამოზრდილი ნორჩი ყლორტები), რამდენჯერ გაუხსნას „ცის თალი“ (ანუ გრძლად წამოზრდილი ღერები გადაჭრას, რათა მზემ კარგად დახედოს მტევნებს). სოფლელ კაცს არ უნდა ეშინოდეს არც წვიმისა და ქარისა, არც ჭექა-ქუხილისა, არც მზის დაკრისა. ის მზად უნდა იყოს ყველაფრისათვის და ყველაფრის წინააღმდეგ ჰქონდეს ნაცადი თავდაცვის იარაღი, საუკუნეობით გამოცდილი და ნაწრთობი. და რაკი ყოველი წიგნი, უნდა თუ არ უნდა ავტორს, მაინც შეგონების მიზნით იწერება, მეც მინდა მცირე შეგონება შემოგკადროთ: როცა ხელში პურის ნაჭერს აიღებთ, თუ ძირს დაგივარდებათ, როგორც გენებოთ, ნუ ემთხვევით, თქვენ ხომ სხვა საუკუნის შვილები, მეოცე საუკუნის შვილები ბრძანდებით, მაგრამ გახსოვდეთ, რომ იმ ერთი პურის ნაჭრის შექმნაზე, (ღიახ, შექმნაზე) მრავალი ადამიანის მძიმე შრომა დაიხარჯა. როცა ხელში მტევანს აიღებთ, ისიც გაიხსენეთ, რომ იმ ერთი მტევანისათვის გლეხკაცი ასჯერ მაინც მივიდა ვაზთან, გასხლა, გადააკავა, აახვია, მორწყა, შეწამლა, მოკრიფა, და ბოლოს თქვენ მოგართვათ. და, რაც მთავარია, თუ ვინმემ ჭიქა ღვინო გამოგიწოდათ და დაბეჯითებით გითხრათ, სამშობლოს სადღეგრძელო ამთავით-

ვე უნდა ისწავლოთო, აი, მაშინ კი ნამდვილად არ დაგავიწყდეთ, რომ სამშობლო პირველ ყოვლისა შრომაა.

მშრომელი ქალი იყო ოთარაანთ ქერივი და ამით ჯაბნიდა სხვა გლეხებს. მთელი თავისი დღე და მოსწრება შრომობდა მოხუცი გუთნისდედა და ხალხს აპურებდა.

მშრომელი ქალი იყო თინია და მისი მამითადაც გამრჯე ბიჭებისაგან შეიკრიბა. მშრომელი კაცია ის ილია პაპაც, ყველაზე ადრე რომ დაადგა ვენახის გზას, ისე ადრე, რომ სოფელი ჯერ გაზაფხულის მოსვლას არც კი ელოდა. დადგება შემოდგომა და ამ ილია პაპას, როგორც გითხარით, ისევე შეეხვედებით, შეეხვედებით რთველში, როცა სოფელი ჭირნახულის მოწევას დაიწყებს.

ამგვარ შრომაში, ძალზე მძიმე შრომაში გადიოდა ჩვენში ზაფხული.

მძიმეა შრომა დღესაც.

ვერც მანქანა, ვერც სხვა რამ ვერ ცვლის უბრალო ამბავს: ადამიანი თავად უნდა მივიდეს ჯეჯილთან, ხელი აღერსით გადაუსვას და გარშემო ბალახ-ბულახი შემოაცალოს. ეგრევე ადამიანი თავად უნდა ეახლოს ვაზს და გუმანით მიხვედეს, რა სტიკია და რა უჭირს.

ამ საქმეში მანქანა უძლურია.

ამიტომ, გრიალებენ თუ არ გრიალებენ ჩვენს ვენახებსა და ყანებში, ბაღებსა თუ ბოსტნებში მანქანები, სოფელი მაინც სოფელია და სოფლური შრომა — მძიმე შრომა.

გრძელი და მოსაწყენი შეგონება ხომ არ გამოგვივიდა?

მაგრამ სხვა რომელი შეგონებაა სახალისო და გასართობი?

*

ავვისტო იწურება. შემოდის ბებო და გაგვახსენებს, რომ ხვალ ფერიცვალობა დღეა. ბებოს სიტყვას დიდი ძალა აქვს და ყველანი ხვალისათვის ვეშადაებით.

ხალხურ ყოფაში ფერიცვალობა დღე მოსავალს უკავშირდება. ამიერიდან ბუნება ფერს იცვლის, ზაფხული გზას უთმობს შემოდგომას. ამ დღეს ხდება ყურძნის, ხილისა და ხორბლის კურთხევა. ფერიცვალობა დღემდე ვენახში ყურძნის არავინ მოწყვეტდა. ამ დღიდან კი შეიძლებოდა ვაზებთან მისვლა და თითოროლა მტევნის ხილად გამოჩინება.

ბებოს თქმით, ფერისცვალება დღეც ქრისტეს ამბავს უკავშირდება. ამ დღეს მოხდა ფერიცვალობა. პირველად ამ დღეს გამოეცხადა ქრისტე თავის მოწაფეებს ღვთაებრივი სახით. დღესასწაული კი დღესასწაულია, მით უფრო თუ იგი ხალხში ქრისტეს სასწაულამდეც არსებობდა და, ხალხის რწმენით სწორედ მოსავლის, ბუნების ფერისცვალობას უკავშირდებოდა.

ხვალ კვლავ გავსწოთ ვენახისაკენ. მოვძებნოთ ის ფერშეცვლილი მტევანი, რთვლის მაცნე, და სევდით ვიფიქროთ ზაფხულთან განშორებაზე.

სევდით რატომაო?

იმიტომ, რომ, როგორც გითხარით, დრო არ ჩერდება, დრო მუდამ წინ მიისწრაფვის. ეს ზაფხული აღარასოდეს განმეორდება, ამ ზაფხულს, თქვენთან ერთად რომ გავატარეთ, ვედარასოდეს შეეხვედებით.

და რაკი გითხარით, რომ თავისი წრიული მოძრაობის გზაზე ჩვენი მზე ყოველ თვეს ამა თუ იმ თანავარსკვლავედში იმყოფება, ამ ზაფხულს, ივნისში, ივლისში და ავვისტოში, ჩვენ რომ თქვენთან ერთად გავატარეთ, მზემ სამი თანავარსკვლავედი გაიარა:

„კირჩხიბი“

„ლომი“

„ქალწული“.

„ივნისი“ რომაელთა ღვთაება „იუნონასთან“, ნაყოფიერების ქალღმერთთანაა დაკავშირებული, ძველად „მარიალისა“ ერქვა, ხალხურად — „ივანობისთვე (თიბათვე)“, „ივლისი“ რომაელი იმპერატორის იულიუს კეისრის პატივსაცემად დაერქვა ამ თვეს, ძველად „თიბისა“ ერქვა, ხალხურად — „კვირიკობისთვე (მკათათვე)“; „ავვისტო“ რომაელი იმპერატორის სახელს — ავგუსტუსის სახელს უკავშირდება, ძველებურად — „ქველთობისა“, ხალხურად — „მარიამობისთვე“.

შემოდგომის დამდეგს ჩვენი მზე „სასწორის“ თანავარსკვლავედში შევა.

ბუნებამ ფერი იცვალა. დადგა დრო, როცა გაიფლავებს იღუმალს მუფუფება რაღაც ახლისა... ყველაფერი წელიწადის მესამე დროის, შემოდგომის მოლოდინს შეუპყრია.

რაღაც უნდა შეიცვალოს, „რაღაც“ მოხდეს. თავი დავაჯეროთ, რომ ჩვენ ჯერ კარგად არც ვიცით, რა მოხდება, როგორი იქნება დრო, რომელიც ზაფხულს შეცვლის, როგორი ფერებით მოირთვება ზაფხულის მზისგან გახუნებული ერთიანი ფერი, რას მოგვიტანს ახალს დრო, რომლისაც ჯერ მხოლოდ სახელი ვიცით.

ეს სახელია „შემოდგომა“.

და ვიდრე მართლა შემოდგომა დადგებოდეს, აგვისტოს ამ მიწურვილს, როცა ყურძენს ჯერ მხოლოდ ეცვალა ფერი და მერცხლებიც ჯერ მხოლოდ ახლა გაფრინდნენ, მინდა გავისხენო დიდი ამერიკელი მწერალი უილიამ ფოლკნერი. ფოლკნერმა დაწერა ერთი კარგი წიგნი (სხვა მრავალ კარგ წიგნთა შორის), რომელსაც „აგვისტოს ნათელი“ ჰქვია. და როცა მწერალს ჰკითხეს, როგორ დაიბადა წიგნის სათაურიო, კაცმა, რომელიც დიდი მწერალი იყო და ბუნების დიდი შეილიც, რომელსაც უყვარდა ტყე, მინდორი, ცხენები, ნადირობა, ყველაფერი, რასაც მშობლიური ბუნება ჰქვია, გაისხენა: ერთხელ, აგვისტოს მიწურვილს, ღამით, მე და ჩემი მეუღლე აივანზე ვისხედით და უცებ მეუღლემ თქვა — ნამდვილი აგვისტოს ნათელიაო... რას ნიშნავს აგვისტოს ნათელი? დაინტერესდა მწერალი... რაღაც იღუმაღს, შეუცნობს, დროს, რომელიც არც ერთ დროს არ ეკუთვნის, რომელსაც არც ფერი აძევს და არც სახელი აქვს.

მერე თავის ერთ ჩანაწერში თუ ინტერვიუში მწერალი ამბობს:

შუა აგვისტოში, სამისისიპოზე, ერთ-ორ დღეს აგრილდება ხოლმე. უეცრად შემოდგომას გიგრძნობს ტანი და ირგვლივ შუქი ისე უცნაურად ბრწყინავს და კრთის, თითქოს დღევანდელი კი არაა, დროთა წიაღიდან მოდისო. ამ შუქში ძველი საბერძნეთის იმ ოლიმპიდან გადმოსული ფანები, სატირები, ღმერთები ბუდობენ... ეს შეიძლება ლინაგროფს უკავშირდებოდეს, რადგან ამ ქალს მოსდგამს რაღაც წარმართული — ცისქვეშეთში არსებულს შორის ყველაზე დიდი სიამე — ბავშვის ყოლის სურვილი. აი ყველაფერი, რასაც ეს დასახელება აღნიშნავს — უბრალოდ შუქის ათინათია, შუქისა, რომელიც ჩვენსაზე უფრო ხანიერია.

ფანები და სატირები!

ძველი ბერძნული დღესასწაულების განუყრელი გმირები...

მაგრამ ჯერ დღესასწაული არა გვაქვს... ჯერ მხოლოდ აგვისტოა. დღესასწაულები შემოდგომაზე დაიწყება, როცა მოსავალი დაბინავდება და ადამიანები ერთმანეთისათვისაც მოიცლიან და სამხიარულოდაც. ჯერ მხოლოდ ამ „აგვისტოს ნათელს“ დავჯერდეთ, რომელიც რაღაც იღუმაღს გვპირდება...

„აგვისტოს ნათელი“ დროის ის მცირე გაელვებაა, რომელიც არ ეკუთვნის არც შემოდგომას, არც ზაფხულს. მასში არის რაღაც წარუვალი და მარადიული. ამგვარი მარადიული დრო, ალბათ, წელიწადის ყოველი დროის მიჯნაზეა და ალბათ ბედნიერია ის, ვისაც მისი გაელვება არ გამოეპარება. ალბათ, ამგვარი დროის გაელვება იყო ის პატარა ტყის ჩიტიც, რომელიც შიშველ ტოტზე იჯდა და იღუმაღლი ვნებით ელოდა ზაფხულს. ახლა, „აგვისტოს ნათელის“ მეუფებისას, ზაფხულის დიდი მხიარულების შემდეგ, წამით შეკრთა, თვითონაც ჯერ არ იცის რატომ, ყველას გაშორდა, მარტოდ ჩამოჯდა ტოტზე და გაირინდა.

შემოდგომა...

ჯერ მხოლოდ სახელი ვიცით მისი.

შემოდგომა

შემოდგომა რთვლით იწყება, გლეხი კაცისათვის იწყება რთველით. თქვენთვის კი შემოდგომის მაცნე პირველი სექტემბერია, სწავლის დაწყების დღე, საზეიმო. რა ხანია ამ დღისათვის მზად იყავით. წიგნებიც შეიძინეთ, ჩანთაც. ვინც თქვენში უფრო ბეჯითია, ვისაც სწავლა მართლა უყვარს და სკოლისაკენ წასვლაც არ ეხარება, ის ხშირად მიდიოდა იმ წიგნებთან, ჩაალაგებდა ჩანთაში და ისევ ამოალაგებდა, გულში კი იმ დილაზე ოცნებობდა, როდის გაუდგებოდა სკოლის გზას, როდის შეხვდებოდა ამდენი ხნის განშორების შემდეგ, ტოლ-მეგობრებს და მასწავლებლებს.

სწავლის დაწყება ვიზეიმეთ და ახლა დროა, რთველზედაც ვიფიქროთ.

როდის იწყება რთველი?

ილია პაპა ტყეში მიდის... ის ილია პაპაა, გაზაფხულზე, ყველაზე ადრინად რომ დაადგა ვენახის გზას, გასხვლა უნდა დავიწყო და სოფელი მისძახოდა — ილია პაპა, რა დროს სხვლაა, ჯერ ისევ თოვლი დევს, ყინვამ არ მოუჭიროს გასხლულ ვაზს,

არ გაგიფუჭოს, რა გექჩარებაო... ის პასუხს კი არ იძლეოდა, თავისთვის გულში ფიქრობდა — ჩემი საქმისა მე ვიცოდ, თქვენ მუშაობა გეზარებათ, ზამთრის ნეტარ-ყუჩობა და ძილ-ღვიძილობა გაგიტკბათ და არ კი იცით, რომ ვენახი რა ხანია გელოდებათო...

ვენახს გუშინაც დახედა, გუშინწინაც და იმის წინაც. ყურძენი თვალში შესულა, მოსავალს ცუდი პირი არ უჩანს და რთველიც კარზეა მომდგარი. პაპა ახლა ტყეში მიდის, სავენახე გოდრების დასაწნავად, რაც იმას ნიშნავს, რომ შემოდგომა მართლა დამდგარა.

გოდორი რთველში სჭირდება. ყურძენს რომ მოკრეფენ და კალათებს გაავსებენ, ვენახის თავში გაიტანენ. იქ კი, გოდრების მთელი ჯარი ჩამწკრივებულია. ყურძენი ამ გოდრებში იყრება და, როცა ყველა გოდორი გაივსება, ან იმდენი, ერთი ურემი რომ დაიტევს, მარნის გზას გაუყენებენ. ასე იყო წინათ, ჩვენი ბავშვობის რთველში. მაშინ გოდრებისა და კალათების დრო იყო. კალათებსაც იღია პაპები წნავდნენ და გოდრებსაც. ავიდოდა პაპა ტყეში, თან პატარა წალდს და სასხლავ მაკრატელს წაიღებდა. ჯერ კარგად დაისვენებდა, სულს მოითქვამდა და საქმეს შეუდგებოდა. მოიმარაგებდა ბლომად წვრილ წნელებს. ყალიბს გააკეთებდა (რა სიგანისაც გოდორი უნდა ყოფილიყო); შინდის ან თხილის მსხვილ წნელებს ძირებს წაუთლიდა და იმ ყალიბზე ჩაურჭობდა. ეს „მანები“ იყო გოდრისა. მერე დაიწყებოდა დაწვნა, კარგად ამოყვანილი ტრუშული ღობესავით იწვნებოდა, მიჯრით, თანაბრად და ლამაზად (ესეც მთავარი პირობა იყო, — გოდრის სილამაზე). „ღობე“ ნელ-ნელა ამოდოდა და ბოლოს, კაცს რომ საქამრემდე მოსწვდებოდა, თავიც უნდა გადაწვნოდა. ამოყვანილ კედლებში, მანებს შორის, პაპა ახალ, ღონიერ წნელებს ჩაურჭობდა და გოდრის მეორე კედლისაკენ გადახრიდა, რათა ახლა იქ ჩაემაგრებინა და ზედ, შიგადაშიგ, წვრილი წნელებიც ჩაეწნა. ასე გადაგრეხილი და ჩაწნული თავი გოდრისა იხურებოდა და ამით თითქოს საქმეც თავდებოდა... მაგრამ ჯერ ერთი იმის თქმა ვერ მოვასწართ, რომ ეს თავი კი არ არის გოდრისა, ძირია. პაპა დასწვდება გოდორს, მოარყევს. მიწაში ჩარჭობილ მანებს ზემოთ ამოსწევს და როცა გოდორს თავდაღმა ჩააბრუნებს, ის თავი გოდრის ძირად იქცევა, თან ისე მტკიცე ძირად, ერთი მარცვალი ყურძენიც რომ არ გაუვა. გოდორს გვერდებთანაც თითო ადლი ღრმული დარჩენია, ხელის შესაშველებლად, როცა ჯანიანი ბიჭი ასწევს და მხარზე ხენეშით გაიგდებს, ორმა სხვამ ღონიერი ხელიც უნდა შეაშველოს. ასწევს? რითი ასწევს? ნუ გეშინიათ, იღია პაპა ამაზეც ახლავე იზრუნებს. ჯერ იმ წვეტებს წააჭრის გოდორს, მიწაში რითაც იყო ჩარჭობილი, მერე ახალ წნელებს აიღებს და ბოძებს შორის კარგა მაგრად ჩაიყვანს, რათა გადაგრეხოს და ის თავდაპირველი წნელებიც, რითაც გოდრის ამოწვნა დაიწყო, კიდევ ერთხელ ჩაამაგროს. ბოლოს კი გოდრის ცალ მხარეს (ვიგულისხმობთ რომ უკანა მხარეს) ორ მაგარ დაწნულ ყურს შეაბამს, ან ერთ სახელურს, მაგრამ ყურზე უფრო მაგარს, რათა იმ ჯანიან ბიჭს, ვისაც ეს საქმე ენდობა — აწევა გოდრისა, ცოტა მაინც გაუადვილდეს.

გაუადვილდესო, არც ეს გვითქვამს ჰაიპარად. გოდორი პატარა არ არის. ას კილოიანზე ნაკლები გოდორი გოდრად არ ითქმის, ზოგში კი ასოცი და ცოტა მეტი ყურძენიც ჩადის. თუ ასიანზე პატარაა და თანაც გაცილებით პატარა, გოდრის საპატიო სახელს კარგავს და როგორც პატარას შეშვენის, ცოტა ალერსით, ალბათ ცოტა ღიმილითაც, გოდრულას დაუძახებენ. ეს გოდრულაც საჭიროა, სიმინდის ტეხაში, მზესუმზირის ვენახებიდან ამოსატანად, ხილისა, ღობიოსა თუ კაკლისათვის.

კიდევ რასა წნავს პაპა? ჯინურა კალათას, დიდსა და ტევადს, ლასტებს, ხახალს, ცხრილს, ცხავს, ჭაჭის გასაწურ კალათას...

ნამჯისას? ნამჯის საქმე ქალებმა იციან, იმათ ხელს უფრო გამოუვა გრძელი, მრგალი თუ კიდობნური კალათა... კარგად დააღობენ ნამჯას და ისე დაიწყებენ წვნას... ბოლოს კი კუწუბებსაც გაუკეთებენ, სილამაზისათვის, დასამშვენებლად... ეს საქალო საქმეა, თავისი საქმისა თვითონვე იციან.

იღია პაპა გოდორსა წნავს. მწვანეა ტყე. ჯერ შემოდგომის სიყვითლე არაფერს ეტყობა. სიყვითლე კი არა, წითლად ღვივიან შინდები. შეყვითლებულა პანტა, სადღაც აქვე, შორიახლოსაა და პაპამ ეს ადგილიც იქნებ ამიტომ აირჩია. პანტის სურნელი აქამდე აღწევს. ფრინველებს ჯერ ისევე ჟრიაშული გაუდით. აგერ ზღმარტივც შემსხვილებულა, თუმცა მწიფობამდე ჯერ შორს არის. აქეთ რომ მოდიოდა, ხომ სულ მაყვლიანები გადმოიარა პაპამ. მთელი ორღობისპირები მაყვლით იყო გადაღურჯებული. თუ დღიურ დავეშვი შინისაკენ, ბაღლებს დავეკრეფ და წავუღებო — გაიფიქრა. მერე, წვნა

რომ დაიწყო ყველაფერი გადაავიწყდა — შინდებიც, მაყვლებიც და ის სურნელებაც, რომელიც შორიასხლოს მდგარი პანტებიდან მოდიოდა.

მთავარი მაინც მოახლოებული როველი იყო.

პაპას დაწული გოდრები მალე დაგვჭირდება. გოდრულა და კალათები კი დღესვე საჭირო. სიმინდის ტეხვა გვაქვს, კაკლის ბერტყვაც დავიწყეთ. როველამდე ყველაფერი უნდა მოვითაოთ, რაკი როველი ერთი დღის საქმე არ არის. როველს მერე ათასი რამ მოჰყვება და თანაც აღარც სიმინდი იცდის და კაკალიც ხომ სულ გადაირია, წენგო დასკდა, ბროწეულის ქერქივით დააღო პირი და დამდამობით, თუ ყურს მიაპყრობთ, როგორც კი სიო ჩამოუქროლებს, ხან აქ ჩამოვარდება დაკროლილი კაკალი, ხან იქ...

სიმინდიც აღარ იცდის, ტაროებს თმა სულ გაუხუნდათ (თუ გაუჭადარავდათ), ფუჩქიდან თავი ამოყვეს და კბილები დაკრიჭეს, სიმინდის სატეხადაც დილაადრიანად მივდივართ და სადღა აღარ მივდივართ დილაადრიანად. შრომა დილით იწყება, მზის ამოსვლამდე, როგორც კი ინათებს. დილის შრომა ბარაქიანიო, — იტყვიან ხოლმე სოფელში. მივდივართ ურმით ან „ტაჭკით“. ურემში, ცხადია, ხარებია შებმული. ტაჭკაში — ცხენი ან სახედარი, და, რაღა თქმა უნდა, ყველაზე მხიარული მოგზაურობა მაინც სახედრით გველის. მიჩაქნაქებს სახედარი და დაგვკვივით. ისიც გულს არ იტეხს, ფეხს არ ანელებს, ვითომდა რა არის ეს გზა ჩემთვისო, სიმინდებში ჯერ არ ვყოფილვარო? ჩავიყვანო, მერე, ვიცი, თავს დამანებებთ და სადამომდე ჩემს ნებაზე ვიქნები, და თუ ჭკუაც ვისმარე (სახედარის ჭკუა ვინ თქვა, მაშინვე გავუგებდით) ტაროებსაც მივწვდები და პირს ჩავიგემრიელებ ახალი, რძიანა ტაროთიო.

მართლაც, ჩავიდოდი სიმინდებში (ასე ვეძახდით ადგილს, სადაც სიმინდი გვეთესა) და სახედარსაც გავუშვებდით. მერე იწყებოდა ტეხა... თითო სიმინდს სამი-ოთხი ტარო მაინც თუ ჰქონდა, თანაც ჯიშინი ტარო, კარგ მოსავლად ითვლებოდა. ვტეხდით ტაროებს და შუა სიმინდებში, ხან აქ, ხან იქ, ფუჩქისაგან გათავისუფლებულს და კბილებდაკრიჭილს, ვაგროვებდით. ბებოს აქაც თავისი საქმე ჰქონდა: დაუშალეს, მაგრამ არ დაიშალა და სიმინდებში დაბალი, მინდვრის ლობიო დათესა. მოკლედ მოგვიჭრა, ახლა არ გინდათ, ზამთარში მოგინდებათო და მართალიც გამოდგა. ახლა დადის ბებო და ლობიოს კრეფს. წინსაფარი აუკეცია და ლობიოს პარკებს იმაში იყრის. გაავსებს წინსაფარს და ზემოთ, სიმინდების თავში რომ გოდრულა დგას, იმაში ჩაჰყრის, მერე ისევ დაბრუნდება და კრეფას განაგრძობს. ხვალ ამ ლობიოს პარკებს მზეზე გაშლის. კარგად რომ შეხმება, დიდ ჯოხს აიდებს, გაშლილ ლობიოსთან მოიკეცება და დასცხებს ჯოხს, თითქოს კალოსა ლეწავს, ლობიოს კალოსაო. პარკები ნელ-ნელა იხსნება და ლობიოს მარცვლებიც ჩაირჩევა... მერე პარკებს ცალკე გადასწევს ბებო, მარცვლებს ცალკე გამოარჩევს. მარცვლებს გაანიავებს, გაასუფთავებს და ისევ მზეზე გაშლის. პარკებს კი დიდ ხახალში ჩაჰყრის, სამფეხა სკამზე ჩამოჯდება, ხახალს წინ დაიდებს და სათითაოდ არჩევს, რა არი მარცვლები არ გაჰყვესო. ამაზეც დასცინიან, რაც შენ სახრე ურტყი, რაღა დარჩებოდაო... დარჩენილ! და დღის ბოლოს ბებო სიამაყით აჩვენებს ყველას მარცვლებით გავსებულ ხახალს, რომელიც პარკებისაგან გამორჩეულა. აკი არ დარჩებოდა, ეს ნარჩენი ათჯერ მაინც გამოგადლობო — ხუმრობს ბებო და ლობიოს ბარაქას იმ ნარჩევსაც უმატებს.

ეს ყოველივე მერე იქნება. დღეს კი კვლავ სიმინდს ვტეხთ. წინ ზღაზენით მივიწვეთ. უკან კაცები მოგვეყვებიან და ნამგლით ჩეხენ ნასიმინდარს. ეს ფუჩქია და საზამთროდ, ხარ-კამეჩის საკვებად გამოდგება. მუხლის სიმადლეზე დარჩებიან მხოლოდ უხეში ღეროები, მაგრამ იმათაც მალე დაგლეჯენ, მოაგროვებენ და დაწვავენ, რათა მოგვიანოდ, ზამთრის პირას აქაურობა გადახნან და გაზაფხულზე ისევ თესვა გაჩაღდეს.

ტაროები გროვა-გროვა ყრია. ჩამოივლიან და გოდრულებით გზისკენ გაზიდავენ... სახედარი? სახედარი სადღაა? და ბებოსაც ახლა გაახსენდა, რომ ის წუწკი ტაროებს მისწვდა და გაბრაზებულმა პაპამ მინდორში გააგდო. მაგრამ სახედარი მორჩილია, ვიდრე ძებნას დაუწყებენ და მაგრადაც დატუქსავენ, თვითონვე მოდის თავდახრილი, დარცხვენილი და ცოტა არ იყოს შეშინებული. მაგრამ ყველანი იცინიან. სახედრის დანახვაზე ხომ ყველა მაინც სიცილის ხასიათზე დგება და სახედარიც მშვიდდება. დგას და ელის, როდის შეაბამენ ტაჭკაში. შებმა კი ჯერ მაინც ცოტა ადრეა. ბებოს თადარიგის ამბავი არ იცით? დილას, აქეთობისას, არც დიდი ქვაბი დავიწყნია. ცეცხლი უკვე გაუჩაღებია, ნედლი, ჯერ ისევ ჭყინტი სიმინდები ცალკე გადაურჩევია და ახლა იხარშება

ტაროები. ყველანი მოხარშულ სიმინდს ელიან. დგას სურნელება ახალი ტაროსი. მაგრამ ისევ ბებო ყოჩაღობს და ამბობს, რომ მოხარშულ სიმინდზე უფრო გემრიელი ნაკვერჩხლებზე შემწვარია. მაშინ გადაქექავენ ცეცხლს, მისწი-მოსწივენ დიდ მუგუზლებს და ნაკვერჩხლებზე ტაროებს მიაწვავენ. მცირე ხანი და დაიწყება ტაცა-ტაუცი, რაც იმის მაუწყებელია, რომ ტარო უკვე იბრაწება. ისმის შიშინი, რაც გვანიშნებს, რომ ტაროს ახლა ცოტა გვერდი უნდა შევუცვალოთ. უკვე შემწვარი მხარე აქეთ გადმოვწიოთ, შეუწვავი კი ცეცხლს მივუმარჯვოთ, ოღონდ ისე, რომ კვამლმა არ დაჰკრას, არ აღანძოს, თავისი გემო არ მისცეს. ტარო უნდა საამოდ დაწითლდეს, როგორც წითლდება ბროწეულის კანი გვიანი შემოდგომისას, არც უმად დარჩენა შეიძლება, არც დაწვა...

ამგვარად მთავრდება სიმინდის ტეხვა.

დარჩა მისი დაცეხვა, ქეჩჩის ცალკე გადარჩევა, მარცვლისა ცალკე...

და რაკი ყველაფერს ამქვეყნად მზე უყვარს, მარცვალს მზეზე უნდა გავშალოთ, რათა გამხმარი და საფქვავად გამზადებული, დიდი ტომრით წისქვილის გზას გაუყუროთ...

მაგრამ ეს მერე იქნება, ნართველეს და ჩვენც წისქვილში მაშინ წავიდეთ. თანაც ამოდენა სიმინდს ერთბაშად ვერც დავცეხავთ. ტაროებისათვის სასიმინდე გვაქვს, ეხოს ბოლოში, ხის ოთხ ფეხზე შემდგარი, გვერდებზე ამოწნული (ნიაგმა რომ კარგად იმოძრაოს და ტაროები არ ჩახურდეს) და წმოდან კოხტად, კრამიტით ან თივით გადახურული. კრამიტი კი სჯობს, სამუდამოა, მალე არ გაფუჭდება. სასიმინდეს პატარა, ვიწრო კარი აქვს დატანებული (ისიც ხისა ან ლასტისა), და იქვე ხისავე კიბეა მიდგმული. შეყრიან ტაროებს სასიმინდეში, კარს გამოიკეტავენ, გადარაზავენ (რაზაც, ცხადია, ხისაა) და საზამთროდ შეინახავენ.

ახლა კი მართლა მთავრდება სიმინდის ამბავი, მაგრამ აქვე უნდა გამოგიტყდეთ, რომ წვრილფეხობას, ანუ თქვენოდენებს, სიმინდის ტეხა მაინცა და მაინც დიდს არაფერს ეუბნებოდა. აი, სულ სხვა იყო კაკლის ბერტყვა. ამას ელოდნენ დიდის ლოდინით და იქნებ რთველზე არანაკლებადაც. საკუთარ კაკალზე ვინ რას იტყვის, ისიც რომ გავგოთ, სადღაც, სოფლის თავში კაკალს ბერტყავენო, მთელი სოფლის ბაღლობა იქ დაედებოდა და იქაური დიდდაც ჩხუბობდა, რა ამბავია, გეთაყვათ, თითომ რო თითო კაკალი მოიტაცოს, აღარც რამ დაგვრჩებაო.

კაკლის მბერტყავი უკვე მოსულა, ჯანიანი და მოსხლეტილი ბიჭია, უშიშიც ჩანს. ამოდენა კაკლის კენწეროზე ასვლას გაბედული ბიჭი სჭირდება. კაკალს ყველა ვერ დაბერტყავს. ტოტებზე მაგრად უნდა მოიკიდო ფეხი და მარჯვენაც კარგად ამუშაო, რომ გარეთ გაწვილ ფოთლებში კაკლები არ მიგემალოს. ბიჭს ხელში „ხალხა“ უჭირავს. „ხალხა“ გრძელი ჭოკია, ტყეში საგულდაგულოდ ნაძებნი და გამოთლილი. „ხალხა“ გრძელიც უნდა იყოს და მსუბუქიც, მარჯვედ რომ მოიქნის და მალე არ დაგდალოს. ეს „ხალხა“ ამ ბიჭის იარაღია. და თუ ოჯახს კარგი „ხალხაც“ აქვს, ისევე საამაყოა, როგორც კარგი ცული და ბარი, კარგი გუთანი, კარგი გოდორ-კალათი. ადის ბიჭი კაკალზე და როგორც კი პირველ ტოტზე ფეხს მოიკიდებს, ხალხა მომაწოდეთო, დაიძახებს. მიაწვიდიან... და დაიწყება ბერტყვა. ჯერ დაბლითა ტოტებს ჩამობერტყავს, მერე ნელ-ნელა ზემოთ და ზემოთ მიიწევს. ბოლოს კი სულ კენწეროზე მოექცევა და აი, მაშინ დაიწყება ბებოს ქოთქოთი. ნუღა წახვალ, შვილო, ზემოთ, ხო ხედავ, კენწერო ლერწამით იღუნება, ოხრადაც დარჩენილა, კაკლის გულისათვის განა სასიკვდილოდ მემეტებიო. ნუ გეშინია, ბებო, — არხეინად იძახის ბიჭი და ფოთლებში მიმალულ კაკლებს ხალხას ურტყამს. ცვივიან კაკლები და მოჯარულ გოგო-ბიჭებს ურიაშული გაუდით. თან ბებოს ესმარებიან აკრეფაში, თან დროს იხელთებენ, ბრტყელ ქვაზე ჩამოსდებენ დაკროლილ კაკალს და ნაჭუჭს ჭახანი გაუდის. გამოანათებს ნიგვზის თეთრი ლებანი და გოგო-ბიჭები ერთმანეთსა სტაცებენ. ბებო ყველას ამშვიდებს, ოღონდ ჩუმიად, ნუ დაამტვრევთ, აი, მოვკრიფოთ, მოთავდეს ყველაფერი და კაკლებით მე თვითონ ავივსებთ ჯიბესო.

კაკლის გარშემო ფოთლები მოფენილა. აქა-იქ წვრილი ტოტებიც ჩამოტყდა. მერე რა? კაკალი დიდია, ას წელზე მეტისა იქნება. ბებოს რაც თავი ახსოვს, ეს კაკალიც ასე დგას და ამოდენაა. მგონი მამამთილის მამამ დარგო, ამბობს ბებო და ისევ კენწეროს შესცქერის. რას იყურები, ბებო, ფოთლების მეტი აღარაფერი დარჩაო — ჩამოსძახის ბიჭი. შარშანაც მაგრე ამბობდი, მაგრამ თებერვლამდე ჩამოდიოდა კაკალიო, — ეხუმრება ბებოც. თებერვლამდე ჩამოდიოდაო? მერე რა? თუნდაც ჩამოდიოდა. ნაყოფი შერჩეს კაკალსაც, ვენახსაც, ხილსაც... რაღაცა უნდა დარჩეს, ყველაფრის სრულად გა-

მოკრეფა არ შეიძლება. ყველას თავისი სარგო უნდა დავეუბნოთ და, რაც მთავარია, ფრინველებს, რომელნიც აქ დარჩებიან და რომელთაც დიდი ზამთარი ელით.

გოგო-ბიჭები აგროვებენ კაკალს და დიდი კალათებით მარნის საჩეხში მიაქვთ. იქ მიწაზე ყრიან და კვლავ იქით გარბიან, საიდანაც მოვიდნენ. რათა ფოთლების გროვაში არეული კაკლები ისევ ეძებონ. ამასობაში, ცხადია, უკვე დაბინდებულა კიდევ და დაღლილი კაკლის მბერტყავი თან ოფლს იწმენდს, თან ნაბდის ქუდის ქვეშ ჩამოშლილ ქორორს ისწორებს. დიდება შინისკენ ეპატიჟება. განა იმიტომღო — თავპატიუს იღებს ბიჭი, მაგრამ ყველამ იცის, რომ ამ დაღლილი ბიჭისათვის ალაღია კარგი ვახშამიც და ერთი ბოთლი ძველი ღვინოც. ყველანი წასულ-წამოსულან. მარტო ერთი პატარა გოგო-ცუნა დარჩენილა კაკლის ძირში და წვრილი ხმით ჭყვივს:

„ჩვენებიანთ კიკოლას
დღესა აქვს კაკლის ბერტყვა,
ჯარი, ცელქი ბავშვების,
მესერად შემოერტყა“.

შინ უკვე ცეცხლი ანთია... ტაბლაზე (ანუ დაბალ ხის მაგიდაზე, რომელსაც ხი-სავე სამფეხა სკამები აქვს შემოდგმული) გაუშლიათ მოხარშული დედალი, შოთები, ნი-ორი, ხახვი. იქვე, ცეცხლთან, სადღუღარში ღობიო ქოთქოთებს. დგას შემოდგომის სუნი და როგორც კი კაკლის მბერტყავი ბიჭი ტაბლას შემოუჯდება, ბებოს ხის ლანგარით შემოაქვს ახლად დარჩეული თეთრი, ქათქათა ნიგოზი.

- მალე რთველიც მოვა, — ამბობს ბიჭი და ჭიქას ავსებს.
- რაღა დარჩა, — კარზეა მომდგარი, — უდასტურებს მასპინძელი.
- აგე, იღია პაპა რახანია გოდრებსა წნავს, — იცინის პატარა ბიჭი.

მერე ერთი-ორი სადღეგრძელო ისმება. დიდება კაკლის მბერტყავს აძალებს, აი-ღე ეს ნიგოზი, შენი ნაამაგარია, შენზე უფრო ვის ეკუთვნისო. ბიჭი ბაღლებს ეძახის, იქვე რომ თამაშობენ ტახტზე და ნიგოზს იმათ უწვდის. ბებო იცინის, დაანებე, ბიჭო, თავი, რაც დღეს მაგათ ნიგოზი ჭამეს, ამაღამ რაღა დააძინებთო. ბაღლები იცინიან და ყირაზე გადადიან.

ბიჭი შეთვრება და წამოდგება.

ბებოც აღარ აძალებს, დაღლილია, თანაც ცოტა გადაჰკრა და შინ წავიდესო, სა-ცაა შუაღამეც წამოვა, ბაღლებსაც ეძინებათო.

ბიჭი გადის და მთელი ოჯახი მიაცილებს.

ბებო ნაეთის ღამით (მაშინ ნაეთის ღამა იყო) ეზოს უნათებს, თან გასძახის, არსად არ გადაუხვიო, პირდაპირ შინ წადი, რამე არ მოგეწიოს, მე არ დამბრალდესო.

— უკვე აცივდა, კაცო! — ისმის სიბნელიდან ბიჭის ხმა.

*

„უკვე აცივდა“, — ესეც იმის მაუწყებელია, რომ შემოდგომა მართლა მოვიდა.

და მაინც როდის იწყება რთველი? რაღა თქმა უნდა, მაშინ, როცა მთელი სოფე-ლი, დიდიან-პატარიანად, ვენახებში გაიკრიფება. ეს მოხდება სექტემბრის შუახანებში ანუ, ძველებურად, ენკენისთვეში. მერე ენკენისთვეს ღვინობისთვე მოჰყვება. ამ თვის სა-ხელი რთველთან იქნება დაკავშირებული, რაკი ღვინო ნაყოფია რთველისა. და მაინც როდის იწყება რთველი, თუ დაიჟინებთ, შორს გამხედვარე მოპასუხემ იქნებ ასეც გითხრათ, — ჯერ კიდევ მაშინ, როცა გაზაფხულზე თოვლი ყველგან არც კი გამდნა-რა, როცა ენძელებიც ჯერ მხოლოდ აქა-იქ ამოწვერილან და ის ჩვენი იღია პაპაც სას-ხლავით ხელში პირველად გავა ვენახში. ისხვლება ვაზი, „ტირის“ ვაზი და სწორედ ამ ტირილის დღიდან გლეხკაცი ვენახიდან ვეღარ გამოვყო... იქნება ამ პასუხშიც იყოს დი-დი ჭეშმარიტება, რაკიღა, მართლაც, თუ იმ გაზაფხულის დღიდან მოკიდებული, ენკე-ნისთვის შუა რიცხვებამდე, გლეხი თავზე არ დაადგება ვენახს, თუ დიდიდან სადამომ-დე ვაზებში არ იტრიალებს, რთველს არც ბარაქა ექნება, არც სიღამაზე, ვერ გახდება ზეიმი, ვერ მიიღებს იმგვარ სახეს, როგორადაც გვახსოვს, როგორადაც ჩახატულა ქარ-თველი კაცის ცხოვრებაში — მსუყე ფერებით, ჯანსაღი, მჩქეფარე რიტმით, შემოდგომი-სათვის ჩვეული თბილი მზით, დიდი, საჭირნახულო იმედით და დამშვიდობების სევდით. მაგრამ აკი ვთქვით, რომ ამქვეყნად ყველას ჩვენ-ჩვენი რთველი გვაქვს, ყველას რთველი ისე იწყებოდა, როგორადაც სამარადჟამოდ ჩაგვრჩენია ხსოვნაში.

ილია პაპამ უკვე დაგვიწნა გოდრები და კალათები. მაგრამ ჯერ კიდევ სადა ხართ? პაპას ერთთავად ან წალდი ეჭირა ხელში, ან დანა. თლიდა და რაღას აღარ თლიდა: ხის ხონჩებს, სათათარე კოვზებს, ნინბებს, ცულის, თოხის და ბარის ტარებს, ქაფქირებს და არავინ გაიგოს, ჩუმად გეტყვით — შიბაქებსაც, აი, იმას, აკენის ბაღებს რომ სჭირდებათ, ვიდრე რაღაც-რაღაცეებს ისწავლიან... და რისი გამოთლა არ შეეძლო პაპას. მისი ხელიდან გამოდიოდა ტაბაკი (პურის მოსართმევედ), ხონი (ცომის მოსაზეღად), ვარცლი (ესეც ცომის მოსაზეღად და გამომცხვარი შოთების ჩასაწყო-ბად), გობი (საკალატოზე საქმისათვის), კოდი (ხორბლისა და ფქვილის შესანახად), ჯამები, ჩამჩა და რა აღარ. ხის გამოთლა ადვილი საქმეაო. გვარწმუნებს ერთი ქიზიყელი ოსტატი: „ვინც კი გულს დაუდებს, სწავლა ძალიან ადვილია. მეც ვისწავლე და გავაკეთე კიდევაც. ჩვეულებრივ პაპა ასწავლის პატარა შვილიშვილს, რადგან გვერდზე უზის და იმორჩილებს სხვადასხვა საქმეებისათვის. ისიც ბავშვია, უყურებს და სწავლობს. დიდობაში თუ გასაწყლდა, შეიძლება გააკეთოს და გაყიდოს, მაგრამ იშვიათია. როცა დაბერდება, ისიც მაშინ მოჰკიდებს ხელს პაპის ხელობას. საბერიკაცო საქმეა. შინიდან გარეთ ვეღარ გადის და ერთობა, ჩორკნის“.

იქნება ჩვენი ილია პაპაც დაბერდა?

ეს რომ გეთქვა, ეწყინებოდა, და კარგა ხანიც იცოცხლა.

რა პაპა იყო...

წელში წახრილი. შუბლზე ქათქათა ქოჩრით. დაძენილი ნაბდის ქულით. დაძარღვული ხელებით და გახუნებული ქერეჭით... სულ სადღაც მოჩქარე, ნაჯაფარი, მუს-ლჩაუსრელი.

ხო, ილია პაპამ უკვე დაწნა გოდრები და კალათები.

ჩვენ ვიცოდით და გითხარით კიდევ. როგორ გამოჰყავდა ოსტატს თავისი ქმნილება.

ქმნილება...

ისე გაატარებდა წნულის გვირისტს, ისე ჩუქურთმასავით ხლართავდა ხაზებს, ისე ახვევდა შინდის წნელებს მიწაში ჩარჭობილ მანებზე, როგორც თავად ვაზის რქა ეხვევა ჭიგოს. წნულს ხან ახლოდან ჩააცქერდებოდა, ხან თვალს მოჭუტავდა და შორიდან გახედავდა, როგორც თბილი ქვეყნიდან დაბრუნებული მერცხალი თავის ბუდეს და კოხტად მოწნული გოდორიც მერცხლის დიდ ბუდეს წააგავდა.

ის დღე კი უკვე სახეიმოც გახლდათ, როცა ილია პაპა ურმით წავიდოდა ტყეში (იმ ადგილზე, რომლის არსებობაც მის გარდა ალბათ არავინ იცოდა) და გოდრებით დახუნძლული ურემი სადამოხანს ზღაზვნით ჩამოივლიდა უბანში. გოდრები დარბაისლურად იდგნენ ურემზე. აქა-იქ გოდრულებიც წამოწოლილიყვნენ მხართემოზე. ურმის ჭალებზე ჯინურა კალათები (ვეება, ღიპიანი კალათები) ეკიდა, იქვე პატარ-პატარებიც კონწიალობდნენ ბაღლებისთვის. ბაღლებსაც ხომ უნდა ესწავლათ კრეფა, მოესურვილებინათ ვაზი და რთველი.

მოიზღაზნებოდნენ კამეჩები.

ურემს წინ მიუძღოდა წელში მოხრილი პაპა.

მხარზე შინდის სახრე გაედო და აინუნშიაც არ აგდებდა ღობეზე მომდგარ გამხიარულულ ხალხს, რაკი გულში თვითონაც მხიარულობდა.

რთველი სწორედ კარზე იყო მომდგარი.

ფერიცვალობა უკვე გავიდა. მართლაც ყველაფერმა ფერი იცვალა. ატმებს უფრო დაებრაწათ ღოყები. საფერავი ხომ ჯერ ცისფრად გადაიღება, მერე და მერე უფრო ჩაშავდა. რქაწითელს ქარვისფერი მოეძალა. გლეხი კაცი ვენახიდან ფეხს აღარ იცვლის. ხან ერთ ვაზთან მივა, ხან მეორესთან, ხან მეზობლის ღობეს მოადგება და მომიჯნავეს ეთათბირება — მარტო თვითონ ხომ არ დაიწყებს რთველს, რთველი ყველამ ერთად უნდა დაიწყოს, მეზობელს არც ძალიან უნდა გაუსწრო და არც ძალიან ჩამორჩე. როცა შენი ვენახი ზეიმობს, იქითაც ზეიმი უნდა იყოს, თორემ მარტო საკუთარი ზეიმი რაღა ზეიმი. ყველა რაღაც მდელვარებას შეუპყრია. თითქოს ჰა და ჰა, საცაა მესამე ზარს ჩამორეკენ, ფარდა აიხდება და წარმოდგენა დაიწყებაო.

და თითქოს მართლა ზარი ჩამოჰკრესო, უცებ ერთიანად, ერთხმად დასძახებს მთელი სოფელი.

რთველი იწყება!

აბა ის ღამე არ გინდა გაათენო? არა და არ გადის ეს გრძელი ღამე, არა და არ თენდება. ნათესავეები და მოყვრები უკვე ჩამოსულან. ესეც რთვის წესია, მარტო ერთი

ოჯახი რთველს ვერ გასწვდება, სხვაც უნდა წამოგეხმაროს და მერე იმ სხვას შენც შეაშველო ხელი. ჩამოსულან! გადმოსულან! ერთი ჟრიაშული გაუდით. ბაღლებიც ჩამოუყვანიათ. კალათებიც გადმოუტანათ. ყველანი ხვალინდელ დღეს ელოდებიან.

პაპა უკვე ვენახშია.

გუშინ დამესაც იქ იყო. წინა დამესაც. ყურძენს იცავს პაპა...

მანამდე კი ყურძენს „იცავდნენ“ საფრთხობელები.

არ გინახავთ საფრთხობელა? არც ვენახებში, არც სიმინდებსა და მზესუმზირებში, არც ბლის ხეზე? საფრთხობელას მაშინ აკეთებენ, როცა საცაა ყურძენი უნდა დამწიფდეს, მზესუმზირა შემოვიდეს, ან სიმინდმა ტარო გაიკეთოს. მიდიხარ და შორიდან ხედავ ვენახის ან ყანის თავზე წამომდგარ რაღაც მოლანდებს... კაცი? არ არის კაცი... თოჯინაა? კაცსა ჰგავს და კაცზე დიდიც არის. დიახ, თოჯინაა.

მსგავსად გონჯასი, გვალვის დროს რომ შექმნა ხალხის თეატრალურმა ფანტაზიამ, საფრთხობელაც გადაჯვარედინებული ჯოხებისაგან გაკეთდა... მერე ჩააცვეს შარვალი, ხალათი, დაახურეს ქუდი, გაუკეთეს უღვაშები, ხელშიც ჯოხი დააჭერინეს და ვენახის შუაში, მაღალ სარზე მიამაგრეს, ვითომდა სულელ ფრინველებს კაცი ეგონებოდათ, შეეშინდებოდათ და ყურძენს აღარ შეესევინათ. მაგრამ ფრინველები არც ისე სულელები არიან. ერთი ხანობა მართლაც ცოტა მორიდებით შესცქერიან ამ დაუპატიუებელ სტუმარს, მერე გაბედავენ და შორიანხლოს ჩაუქროლებენ, ბოლოს ერთი, ყველაზე თამამი, მხარზე შეასკუპდება და ალბათ გულში ჩაიცივებს, თან სხვებს ანიშნებს, ნუ გეშინიათ, მართლა კაცი ხომ არა გეგონიათო. დაბოლოს ყველანი საფრთხობელაზე ჩამოსხდებიან და მხიარულ ჟივილ-ხივილს ატეხენ. ის თამამი კი მეტსაც უბედავს: საფრთხობელას ზედ ქუდზე დაასკინტლებს...

ეს ყველამ იცის, იმანაც, ვინც საფრთხობელა დადგა და იმანაც, ვინც შორიდან დიმილით შეავლებს თვალს. მაგრამ საფრთხობელა მაინც უნდა იდგეს, ის „ჭირნახულის მოთხრობის“ ძველთაძველი პერსონაჟია.

ვენახში ქოხი დგას, კოხტად მოწნული, ლახტის კარებით და ხისგან გამოჩორკნილი ტახტით. ტახტზე თივაა დაგებული. „მუთაქაც“ ხისგან გამოუთლიათ. ქოხიც თითაა დახურული და ისე ოსტატურად, რომ წვიმა შიგ არ ჩავა. კავებზე (კავები, იცოდეთ, შემჭვარტლულია) ნამგალი, ცელი, წალდი და ერთი პატარა კალათაც ჰკიდია. კუთხეში ჩანახი დგას, ხილის შესანახად. აქეთ, ტახტის წინ, ხისავე მაგიდაა, სუფრის გასაშლელად. შუა ქოხში კი ნაცეცხლურია, აქეთ-იქით ღოდებშემოდგმული. ნაცეცხლურის თავზე რკინის ჯაჭვი ჰკიდია, რკინისავე კაუჭით, რომ ქვაბი ჩამოჰკიდო. ქვაბი სადღაა? იქვე, კედლიდან კედლამდე გადებული ხის თაროზე, ქვაბიც და ჭურჭელიც, — ზოგი — ხისა, ზოგი — თიხისა. სხვა? სხვა რა არის ქოხში? ცოტა შეშა და ცოტა ძველი წალამი, ცეცხლის ასანთებად და გასათბობად.

ახლა ამ ქოხში ათევეს პაპა რთვლისწინა დამეს და იმასაც ვერ დაუძინია, ხვალინდელ დღეზე ფიქრობს.

„ხვალე“ კი არადა არ მოდის.

მთვარე რახანია ჩავიდა, საცაა ცისკრის ვარსკვლავიც ამოვა. სიგრილე რიჟრაჟისა წამოვიდა. აქეთ პაპა ფხიზლობს, ზემოთ, სოფელში კი — მისი ჯაღაბი და განსაკუთრებით ბაღლები. სოფლიდან მამლების ყივილი ისმის. სოფლის კონტურები ბნელში ნელ-ნელა იკვეთება, დიღამ არ მოგასწროთ, ხარები რახანია შეაბეს, პაპაც უკვე ფეხზე იქნება და ალბათ აქეთ იყურება, ნუ ალოდინებთო, სანამ ვენახში ჩავალთ, მზეც ამოვა, მზემ არ დაგასწროთ ადგომაო.

ბაღლები პირს იბანენ.

ქალები სანოვაგეს ალაგებენ.

ხარები მოთმინებით იცოხნებიან.

ცხენიც „ტაჭკაშია“ შებმული.

არის ნამდვილი დილის ჟრიაშული.

ყველაფერი მართლაც მზადა ყოფილა.

საცაა მზეც ამოვა გადაწითლებული მთების იქიდან.

— ყველაზე მთავარი გვავიწყდება! — ხმამაღლა იბახის ვიღაცა და ყველანი აქეთ-იქით იხედებიან, მაინც რა დაგვავიწყდა და თანაც ყველაზე მთავარიო. მაგრამ ვერავინ ვერაფერს მიმხვდარა. ის კი, ვინც ეს დაიბახა, ეშმაკურად იცინის, მერე შეტრიადღება შინ და ელოდებიან, აბა რას გამოიტანს, რა გვავიწყდებაო...

აკვანი! და მასში ჩაკრული პატარა, ჩხავანა ბიჭი.

რთველში ესეც უნდა წამოაბრძანონ და თანაც თავის აკვნინანად, ესა ყოფილა „ყველაზე მთავარი“. აბა მარტო ხომ არ დაარჩენენ, ამის გულისთვის კი შინ ვინ დარჩება? ვერც ბებოს ეტყვი, რთველში არ წამოხვიდეთ, ვერც ამ ბიჭის დედას და დეიდა-მამიდებს. რთველი ყველასია და თვით ამ ბიჭისაც, აკვანში ჩაკრულისა, რომელმაც არ უწყის, რა არის რთველი, მაგრამ მაინც წამოსვლა უნდა.

ჩვენ საიდან ვიცითო?

მაშ რა ატირებს?

რადა ახლა გააბა ტირილი, როცა ამოდენა ხალხი დაინახა?

რადა მაშინ, გაჩუმდა, როცა თავის აკვნინანად ურემში ყველაზე წინ, ყველაზე საპატიო ადგილზე, თვით მეურმის გვერდით დააბრძანეს?

ახლა კი მართლა წასვლის დროა.

აბა, ვინ წინ, ვინ უკან!

გოდრები ივსება ბაღლებით და გოდრები ახლა კი მართლა მერცხლის ბუდეებს ჰგვანან: ბუდეებიდან იტყვიტებიან პირდაღებული, ჭყვიპინა ბარტყები.

ყველაფერი რთვლის რიტმში ექცევა.

და ვიდრე ურემი (მაინც ზღაზღნიაა ურემი) ვენახში ჩავა, გადავიხედოთ ათას-წლეულთა იქით, გავიხსენოთ სამიათასი წლის ბრინჯაოს სასხლავი, ნამგლისებური დანები, კახეთში ნაპოვნი. სამი ათასი წლის წინ, თუ უფრო ადრეც არა, ამ მიწაზე უსხლავთ, ყურძენი მოუყვანიათ, ღვინო ჩაუწურავთ. დოქები, ხელადები, ჯამები, ფიალები, კათხები — ესეც ამ მიწის წიაღშია ნაპოვნი, და მარტო აქ კი არა, სად აღარ, საქართველოს ბარის რომელ კუთხეში არ შეხვდებით ვაზის ნაკვალევს.

სამი ათასი წლის წინანდელი ყურძნის წიპწები ჩვენს დროში ნახეს უფლისციხის ახლომახლოს. ეტყობა, იმ ღვინის ნარჩენებია, იქაურ კაცს სამსხვერპლოზე რომ მიუტანია პატარა დოქით. იქვე, კლდეში ნაკვეთი საწნახლები ძველი წელთაღრიცხვით პირველი ათასწლეულის ხნისა. ან გავიხსენოთ უფრო ძველი დასტური „ვაზის დიდებოსა“ — ვანში ნაპოვნი ქვევრი, იქვე, სამარეში ჩატანებული ბრინჯაოს ქამარი და ზედ ამოკვეთილი ორი მეინახე, ერთმანეთს რომ ჭიქას უჯახუნებს. აქეთ, ქართლში, მცხეთაში გათხრილი უძველესი მარნები, იქით — ვარძიის საწნახლები...

ქართველთა პირველი განმანათლებლის, წმინდა ნინოს ჯვარიც, ქრისტიანული რწმენის ეს სიმბოლო „შეიქმნა ნასხლევისაგან ვაზისა“, ანუ წალმისაგან, ვაზის რტოსაგან. საქართველოში მრავლად გაბნეულ მონასტერთა გარშემოც ვენახში მოფუსფუსე ბერებსა ვხედავდით. ჰომეროსის „ოდისეაში“ ოდისეუსს აიეტის სასახლეში, ანუ კოლხთა მეფის სასახლეში, ჩვენი დღევანდელი დასავლეთ საქართველოს მიწაზე, უხვად უმასპინძლებიან საამო სასმელით — ღვინით. აპოლონიოს როდოსელი, ძველი ბერძენი ისტორიკოსი — ამავე სასახლეში ხედავს ვაზის ტალავერს, სადაც „დაუშრეტელი შადრევანი მოჩუხჩუხებდა“. მემატინეთა ცნობებში, სადაც ათასგვარი ჭიდილი, სისხლისღვრა, შფოთი და ვნებათაღელვაა, მაინც ვხვდებით ვაზს, ვენახს, ღვინოს: „და იყო ქართლსა შინა პური და ღვინო ფრიადი“; იყო კუთხე „ვენახოვანი“, „ვენახ-ხილიანი“, „ღვინო კეთილი და გემოიანი“; „ვენახი დაბლარი და ვენახი მაღლარი“; „ნადიმობდნენ მეფესთანა და ურთიერთთანა, და ამისათვის უწყოდნენ მოყვრობა, ნათესაობა, ლხინთა-ლხინობა და ჭირთა-ჭირობა“. ხელისუფალთა შორის, მეფის კარზე, ვხედავთ საპატიო ტიტულს: მეღვინეთუხუცესი...

და იქვე (ამას კარგად დააკვირდით, არც ამისი დავიწყება გემართებს): გმობა მემთვრალეობისა, „ნადიმობასა შინა მოსწრაფე მეფეებისა“, იოანე ბოლნელის ქადაგება ღვინის სმის წესსა და ადათზე, სიკეთესა და სიავებზე. საბას „სწავლა სიმთვრალისათვის“, როგორც დაგმობა უზომო სმისა, ღვინით გამოთაყვანებისა.

სულხან-საბა ორბელიანი საგანგებოდ გვაფრთხილებს:

„ჰოი, ღვინის სმა ბოროტი და მემთვრალეობა აღსავსე სიბილწითა, რომლისა მიერ დაეცნენ მრავალი წმიდანი კაცნი და ამის მიერ შთაცვიენ საფრთხესა ძნელად განსანირებელსა“.

„მემთვრალე მიზეზობს და იტყვის სტუმართმოყვარეობასა და შეწყალებასა. არა, ძმაო, არა არს მემთვრალეობა სტუმართა და მოყვასთა მოყვარება, არამედ ფრიადი სიძულვილი“.

„თქვენთა საყვარელნი, განეკრძალენით ზედსა-ზედა ღვინის სმასა და მარადის სიმთვრალესა, ვინაითგან მთვრალობა არს თავი ყოვლისა ცოდვისა და შემძინებელი უსჯულოებასა ზედა უსჯულოებისა. სტუმარი ისტუმრენით სიხარულითა, სვით ღვინო

ზომიერად და ჭამეთ ტაბლა კეთილად, მოყვასნი შეიყვარებით უცოდველად და კეთილ-სა უყოფდეთ და ნუ ბოროტსა“.

ასე გემოდღვრავს საბა და იქვე, მისთვის ჩვეული სახიერი ნახატით, უბრალოებითა და იუმორით გვიხატავს აუგიან სტუმარ-მასპინძელს, უზომო გაღმეხვას:

„შეიყვან სახლთა შენთა კაცსა ბრძენსა და კეთილად მხედველსა, პატიოსნად გონიერსა და ტკბილად მოუბარსა, დაუგებ ტაბლასა, არა ზომიერ ასმევ და არცა საწყურვალთა ასმევ და გარდარევით აჭმევ და ასხამ ღვინოსა, ვითარცა ყვიბართა შინა. მოედების სიბრძნე ღმრთისაგან მინიჭებული და აღერევის თვალნი კეთილად მხედველნი, არღარა ესმის აღერსი სხვათა და თვითუბნობს ვითარცა ხელი. ოდეს აღივსოს, იწყოს ჯლოყინად და აღმოთხევად, ვითარცა თხიერმან, პირგან ხსნილმან“.

კაცი თხიერი (დღეს რომ ტიკს ეძახიან) არ არის. კაცი კაცია და ღვინის სმაშიც თავშეკავება და სიბრძნე მართებსო — ამგვარია ჩვენი ბრძენი მოიგავის მორალიც.

საქართველოს მარჩენალი მუღამ იყო ყანა, ვაზი და ტყე. აოხრების მახვილიც, პირველ ყოვლისა, ამ სამებას მუსრავდა.

ვაზის ფასი კარგად მოესხენებოდა თემურ-ლენგსაც და შაჰ-აბასსაც, ყველას, ვინც კი ჩვენკენ მახვილით დაძრულა. მათი მახვილი, სოფლებთან ერთად, ვაზსაც ანადგურებდა, წვაგდა და აჩანაგებდა.

მაშ ვაზი არ ყოფილა მარტო ვაზი, ანუ მცენარე, რომელიც ყურძენს იძლევა. ვაზი ჩვენი დიდი ისტორიის ნაწილიც ყოფილა და მას ისევე სჭირდება გაფრთხილება და მოვლა, როგორც საუკუნეთა ცეცხლში გამოტარებულ ჩვენს ისტორიას.

და ვიდრე ამას ვფიქრობდით, ვიდრე ვაზზე შექმნილ წიგნებს ვისხენებდით და საუკუნეთა იქით გადახედვას ვცდილობდით, ის სართვლო დაძრულა. გოგო-ბიჭებით დახუნძლული, გოდრებითა და კალათებით თავმობმული ურმები რა ხანია ვენახებში ჩასულან. მზეც რა ხანია ამოსულა და ქარვისფერი მტევნები ახლა ოქროსფრად ბრწყინავენ.

რთველი დაწყებულა!
ჯერ ერთი-ორი დედაკაცი დაწინაურებულა და ყურძნის „მორჩევა“ დაუწყიათ.

„მორჩევა“ რაღაა?

ვიდრე ერთიანად შეუდგებოდნენ კრეფას, ვენახში ყურძნის „მორჩევა“ იციან, ზამთრისთვის შესანახი, საჯაგნე ან მოსაკითხავად გასაგზავნი ყურძნისა. რაკი „მორჩევა“ ჰქვია, რაღა თქმა უნდა, რომ შესანახად და მოსაკითხავადაც ყველაზე უფრო სათვალთო ყურძენს არჩევენ, თხელ, მსხვილმარცვალა მტევანს (კუმსი მტევანი ადვილად იტყლიტება, მგზავრობას ვერ უძლებს და მალე ფუჭდება), რომ ფურცლის ხრალზე, სურროზე ან ბაწარზე მოხერხებულად აიკინძოს. აკინძულ მტევნებს ჯაგნებს ეძახიან. ჯაგანს მერე ვნახავთ, როცა რთველი მორჩება და სხვენში ავიპარებით. ჯერ კი ყურძენს, საღს, სათვალთოს და მორჩეულს, როგორც გითხარით, ციმციმ აწყობენ კალათებში, მერე ეგრევე წაიღებენ სოფლისკენ. არა, არც ურემს ანდობენ, არც მით უფრო ზორბა ატომანქანებს, — დაინჯღრევა, დაიუყუება და აღარ შეინახება, ჰა და ჰა, ორიოდე დღე თუ გაძლებს... ყურძენი კი, სულ ცოტა, საახალწლოდ მაინც უნდა გვექონდეს, სუფრის დასამშვენებლად. „მორჩეულ“ ყურძენს აუცილებლად ხელით უნდა ვენახიდან სახლში ატანა, ფრთხილად, მოფერებით გაშლა ლასტზე და ჯაგნებად აკინძვა.

ბაღღებს ყველაზე უფრო ჩხისა და აკიდოს აჭრა უყვართ. ჩხა ვაზის დიდი ტოტია, თავადაც დატოტვილი და ზედ ათიოდე მტევანი მაინც აბია. აკიდო ერთი პატარა რტოა და, როგორც წესი, ზედ მხოლოდ ორი მტევანია ჩამოკიდებული, თითქოს სასწორიო. ჩხა და აკიდოც სათვალთო ყურძნისაგან ირჩევა, ესეც ზამთრისათვის შესანახად უნდათ, აკინძვა არ სჭირდება და, რაკი ტოტზეა გამობმული, თითქოს ძალაც გადაეცემა, სიხასხასეს დიდ ხანს ინარჩუნებს. ჩხა და აკიდო უნდა გავატანოთ იმ ნათესავებს და მოყვრებსაც, რთველში რომ მოვიწვიეთ, რათა ხელი დაიმშვენონ, ხელცარიელი არ გავისტუმროთ ვაზის ზეიმიდან.

აკიდოსა და ჩხის აჭრასაც ცოდნა სჭირდება. ჩხა პაპამ უნდა აჭრას, სამამულე რქა რომ არ მიაყოლონ გამოუცდელმა ახალგაზრდებმა. ხვალინდელ დღეზეც ხომ ამთავითვე უნდა ვიფიქროთ? ვაზს ხომ არ დავაზარალებთ? აჭრილ ჩხასა და აკიდოს იქვე, ვაზის თავით, სარზე დაჰკიდებენ და სადამოხანს, მორჩეულ ყურძენთან ერთად, შინ წაიღებენ.

ასე, დამათრობელ მზეში (რთველს თუ მზიანი დღე არ დაუდგა, რთველი აღარ იქნება) ვაზის სურნელში გადის მძიმე ჯაფით, მაგრამ ხალისით, ამაღლებული განწყო-

ბილებით, სიცილითა და იუმორით სავსე მთელი დღე. და, რა თქმა უნდა, სართვლო თიკანიც იკვლება. და, რა თქმა უნდა, იქვე ვენახში გაბნეულ წვრილ პამიდვრებსაც კრეფენ თიკნის ჩასახრაკად. და რა თქმა უნდა, გამრჯე და გამფრთხილე დიდდაც ჩივის, რა ამბავია ამდენი ჩხა და აკიდო, ცოტა ქვევრზედაც იფიქრეთ, ჩასაწურიც ხო უნდა დარჩესო, ეს ჩურჩხელაო, ეს ბადაგიო, სხვა თუ არაფერი, კაცებს ღვინო ხო უნდა-თო... ეს ისე, სიტყვისათვის, დიდდამ აუცილებლად უნდა გაგვაფრთხილოს, თორემ ჩასაწურიც რჩება, საბადაგეც და საჩურჩხელეც.

ციკანი უკვე დაკლულია. მზე უკვე შუბის ტარზეა. მერთვლენი ცოტა დაიდალნენ, მგონი მოშივდათ კიდევ. ვიდრე კაცები იმ ვეება გოდრებს ვაზის ფოთლებს აფარებენ, ქალები, ვენახის თავში, ქოხის წინ სუფრას შლიან. ქოხში ცეცხლი ანთია, ჯაჭვზე შემჭვარტლული ქვაბი ჰკიდია და ორთქლი ამოდის. აქეთ სხვა ცეცხლია, იქ შამფურებს თლიან და მწვადებს აგებენ. დგას მოდალული ხახვის, პამიდვრის, ნივრისა და ქინძის სუნი. სუფრა მწვანე ბალახზე იშლება. დოქებით მოაქვთ შარშანდელი ღვინო, ან მაჭარი, წინასწარ, საადრეო ყურძნისაგან საგანგებოდ რთვლისთვის ჩაწურული.

საადრეო ყურძენი კი ბლომად იყო...

და რა ჯიში აღარ იყო, რას აღარ აღნუსხავს ქართული მევენახეობის ძველისძველი მატინანე.

ხუთასზე მეტი ჯიში იყო, — ამბობენ.

ახლა სახელები ნახეთ, იმ ანკარა ღვინოსავით მორაკრაკებენ, ყელყარყარა სურდინან რომ გადმოეშვება თიხის ჯამში:

ბროლა, სანთელა, ვარდისფერა, ოქროყურძენა, თავცეცხლა, ყურწითელა, რქაწითელი, საფერავი, თავკვერი, კვირისტავა, მარცვალა, ხარისთვალა, ყორნისთვალა, ჩითა, შავთხილა, მტრედისფეხა, მხარგრძელა, მტევანდიდა, დევისთვალა, ჩიტისთვალა, ძველშავი, კაკნატელა, კრახუნა, მაისა, ადრეულა, საადრეო, სამაჭრია, საღვინე, სათვალისო, სამარხო, საჩურჩხელე, საისმულა, ცოლიკაური არაგვისპირული... და კიდევ რომელი არა, რა ფერისა, რა გუნებისა და რა ფორმისა... სახელებში ცხადად იკითხება სადაურობა, დანიშნულება, ხასიათი, ფერი, სურნელი, გარეგნობა ყურძნისა. ისინი თითქოს გიზიდავენ, გიწვევენ და შენც სურვილი გიჩნდება, ყველას გასწვდე, ყველასთან მიხვიდე, ყველას მიეფერო.

ნეტავ შეიძლებოდეს მათი ერთად თავშეყრა.

ეს იქნებოდა ყველაზე დიდებული საძმო.

ეს იქნებოდა ქართული ვაზის ყველაზე უფრო მრავალხმიანი სიმღერა.

ახლა ვენახის სახელები...

სად არ შენდებოდა ვენახი და ადგილი მის სახელსაც განსაზღვრავდა. და როგორც სხვა ყოველი, ეს სახელებიც ღამაზი უნდა ყოფილიყო, ჟღერადი, ლაკონური და ბევრის მოქმელი, სახელებს, ისე როგორც ყოველგვარ სიტყვას, თავისი სიძველის იერი დაჰკრავს. რაც უფრო ძველისძველია სახელწოდება, მით უფრო დახვეწილია და ნატიფი მისი ფორმა, მით უფრო ნათლად გამოხატავს იმ საგნის ან მოვლენის შინაარსს, რასაც ოდესღაც დაერქვა. ასეა ვენახების სახელებიც. აბა დააკვირდით: გორივენახი — ანუ ის ვენახი, მაღლობზე რომ გაუშენებიათ; დიდვენახი — ანუ ფართობით დიდი, რაც იმას ადასტურებს, რომ მის პატრონს მცირე, პატარა ვენახიც ჰქონია, შეძლებული კაცი ყოფილა; შიგავენახი ანუ ის ვენახი, რომელიც იქვეა, სახლთან, და არა სოფლისგან მოშორებით, როგორც მრავლად გვხვდებოდა საქათველოში; ბოლოვენახი — ანუ ის, სოფლის ბოლოში რომ გაუშენებიათ; ჭალავენახი — თავისთავად გვიმხელს ადგილს, ჭალაში გაშენებული ვენახი ვარო. ძირვენახი — ალბათ, ოჯახის მთავარი მარჩენალი ვენახი, რომლის პატრონსაც სხვა, წვრილ-წვრილი ვენახებიც ექნებოდა; ფერდა ვენახი — დაფერდებულ ადგილას გაშენებული ვენახი... ასე ესმოდათ ეს სახელები იქ, ჩვენს სოფელში და სხვა კუთხეებში შეიძლება ამავე სახელებს სხვა შინაარსიც ედო, ჩემი ფიქრით კი, რაც გითხარით, მთლად ტყუილი არ უნდა იყოს.

მერე ამას მოსდევს მარანი. ღვინის საწური და დასაწმენდი, ღვინის ჩასასხმელი და შესანახი ჭურჭელი და აქაც იგრძნობა დახვეწილობა, ფერი და პეწი სიტყვისა, გრძნობა მშობლიური ენის სიღრმისა, ფორმისა და შინაარსისა. შეიძლება ზოგი სახელი უცხოც იყოს, საიდანაც შემოსული, ხალხები ხომ ერთმანეთს მუდამ ესესხებოდნენ სიტყვებს და ესეც არც ერთი ენისათვის არ ითვლებოდა საძრახისად. ენა იმ საგნის შესატყვის სახელს უფრო ქმნის, რომელი საგანიც ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა თავად შექმნა ან სხვებზე უფრო მეტად სჭირდებოდა. ვისაც ზღვა არ აკრავს, ზღვას-

თან დაკავშირებულ სახელებს ვერ შექმნის, ალბათ სხვისგან უნდა ისესხოს. უდაბნოში ვერ დაიბადება სიტყვები: რცხილა, მუხა, შინდი, იფანი და სხვა. და ჩვენშიაც, რაც მარანთან ან ჭურჭელთან დაკავშირებით გვისესხია, ყველა უკვე ქართული ენის სტიქიაში მოქცეულია, ყველაფერი ერთად ქართული მარნის სამყაროს ქმნის.

გაგა ცოტა ხანიც და ჩვენ ამ მარანშიც შევიხედავთ, იქ, სადაც ამ სადამოს ყურძენი დაიწურება, ქაფქაფით წამოვა ტკბილი წვენი, სადაც მიწაში ჩაუდგამთ ვეება ქვევრები — ნახელავი ანაგელი, ვარდისუბნელი, იყალთოელი, შროშელი ოსტატ-მეჭურჭლეებისა. მეჭურჭლეთა ნიჭსა და ოსტატობას დაუხვეწავს და ცეცხლში გამოუწრთვია მრავალგვარი ხელადა თუ ჩარექა, საწდუ თუ კულა, სურა თუ ჯამი, გოზაური, კათხა, ფარფალა, ჭინჭილა თუ „მარანი“.

იქ, ვენახის თავში გაშლილ სუფრაზე კი მხოლოდ ხელადები და ჯამებია. უკვე დიღინში შესულან, მაჭარივით აღუდებულა სამოყვრო და საალერსო სიტყვა, მერე ამ მაჭარს მოჰყვება მცირე „მრავალქამიერი“, სადღეგრძელო სოფლისა, ყურძნის მომყვანისა, ვაზისა, მტევნისა... თუ დიდედამ დააცალათ...

მაგრამ დიდედა უკვე ქოთქოთებს: აქ საქეიფოდ კი არ მოვსულვართო. ჯერ ნახევარი დღე გავიდა და ნახევარი ვენახიც არ დაკრეფილაო, დაბინავებაც ხო უნდაო. ვინ აიკიდოს გოდრები, ვინ დაწუროს, თუ პირში ენა აღარ შეგრჩებათო. დიღამდე ხო სულ წვნად იქცა, ქარს გავატანოთ ამდენი ჯაფაო? აგი დაგიკალით ციკანი, კაცებო, ჩაიხეთქეთ მუცელი და კრეფა გავაგრძელოთ, ბინდისას კი წავიდეთ, გოდრები გველოდებიან, ვინღა გამონდება იმათი ამწვეი, ქვეყანას რთველი აქვსო.

კაცები ფეხს ითრევენ.

და მაინც სუფრა აიშლება.

რთველი რთველია და თავისი ადათი აქვს.

უკვე შებინდდა. იმ ვაჟკაცმა ბიჭებმა, რომელთა იმედიც ყურძნის კრეფისას ჰქონდათ, მართლა ივაჟკაცეს, ასკილოიანი გოდრები ასწიეს და ურმები დატვირთეს. მერე, ზემოთ, სოფელში, მარნის კართან ჩამოიღეს და დასაწურად ჩაამწკრივეს. ყველანი დადლილები არიან, თანაც ვახშმის სუნი ტრიალებს... მაგრამ რთველმა არ იცის დადლილობა, მალე საწურავს მოიტანენ, სხვა მეზობელთან ყოფილა, და წურვას დაიწყებენ. თუ ასე არ მოხდა, მთელ ღამეს გოდრებიდან წვენი იდინებს და დანაკარგი, ერთი ლიტრაც რომ იყოს, დანაკარგია. ერთი ლიტრა სუფთა, თავანკარა ღვინო ან ბადაგი, ისეთივე პატივსაცემია, როგორც მთელი ქვევრი.

ჩვენ კი, ვიდრე საწურავს მოიტანდნენ, მოდით, მარანში შევიდეთ და კარგად მივიხედ-მოვიხედოთ.

მარანი სახლის სარდაფშია, ან სახლის გვერდითაა მიდგმული... მარანი ფიცრულიც არი, ანუ ფიცრით ნაგები, და ქვიტკირისაც, ანუ კირითა და ქვით ნაშენი სქელი კედლებით. ფიცრული მარანი ღარიბი გლეხისა იქნება, მეტი ვერ მოახერხა და ამითაც იოლას გადის. სარდაფისა და ქვიტკირის მარანი უფრო შეძლებულ გლეხს გამოუვიდა: აბა, ჩავიდეთ მარანში და ჯერ თვალი შევაჩვიოთ სიბნელეს. ფეხი არაფერს წამოვკრათ, აქვე კირის თახჩაში (პატარა ნიშია, კედელში ათასგვარი წვრილმანის შესანახად დატანებული) მდგარი ღამპა ავანთოთ. ავანთეთ და მარანმა უფრო იდუმალი სახე მიიღო. ჩრდილები დაგრძელდნენ, კედლებზე ცხვრის ტყავები და ხურჯინები იხატება... ეს იმ ხურჯინების და ტყავების ჩრდილებია, კედლიდან კედლამდე გაბმულ თოკზე რომ ჰკიდია. აქეთა კუთხეში ხახვისა და ნივრის გაღაა, აქვე რომ დასჭირდეთ. იქით წიწაკაც ღვივის წითლად. ესეც აქვე დასჭირდებათ. რაში დასჭირდებათ? თითო ჭიქა ღვინის ასაწვეად და ამ სახლ-კარის დასალოცად. სტუმარი რომ მოვა, თუ მარანში ჩაიყვან, პატარა ქოცოც უნდა მოუხადო და ჭიქა ღვინო შესთავაზო საჭაშნიკოდ, შესაფერი სიამაყით, აბა, გასინჯეთ, რა თავანკარა ღვინო დავაყენე, უცოდველი და უბიწო. და თუკი ღვინო შეისმება, მსუბუქი მისატანებელიც საჭირო გახდება. დიასახლისი ხომ შოთსა და ყველს აუცილებლად მოგვაშველებს, ვიდრე ზემოთ ავიდოდეთ და მართლა სუფრაზე დავსხდებოდეთ. იქით, მარნის სიღრმეში, საწნახელი დგას, ხისა, ან თუ მარნის პატრონი მართლა შეძლებულია, ქვით ნაშენი. აქ უნდა დაწურონ, ღვინო და წვენი ამ მილიდან გადმოვიდეს, საწნახელის კუთხეში რომ გამოუყვია თავი.

მარანში მაინც ქვევრია მთავარი მბრძანებელი და ყველაფრის ბატონ-პატრონი. ქვევრები მიწაში არიან ჩადგმული. მათი მხოლოდ ქუდები მოჩანს, ანუ სარქველი, ბრტყელი, მრგვალი, თიხისაგან გამომწვარი, არცთუ მძიმე, აცრთუ მსუბუქი. სარქველები ახლა მოჩანან, თორემ, ღვინო რომ დაიდუღებს, სარქველებსაც მიწას მიაყრიან. ზო-

გი ქვევრი დიდა, დარბაისელი, ღიპიანი, იმოდენა, რომ შიგ მეც თავისუფლად ჩავეტყვი და თქვენც ჩამოხვალთ, ხუთიოდე გოგო-ბიჭი. და თუ პირი დავაღეთ და სიმღერაც დავიწყეთ, ქვევრი იმოდენა ბანს გვეტყვის, ათ მომღერალსაც გაუჭირდება; ზოგი ქვევრი პატარაა, მომცრო, ქვევრს კი არა, ქოცოს ეძახიან და ზოგჯერ მიწაშიც კი არ დებენ, იქვე, მარნის კუთხეში მიაყუდებენ და ლობიოს ან სიმინდის შესანახადაც იყენებენ.

იმ ქვევრებს, რომლის სიღრმეში ჩასვლაც მოვიწადინეთ და ისე გავთამამდით, სიმღერის დაგუგუნებაც კი მოგვინდა, ჯერჯერობით სძინავთ. ყურძნის წურვას ელიან.

მარნის კედელზე ჰკიდია სარცხი, ხაპირი, ხელჩაფი, ორშიმო, სათხველე, წბერი. ეს ყოველივე თანდათან დაგვჭირდება. სარცხით ქვევრი გაირეცხა და ჯერ ისევ ეტყობა, რომ სველია და ნამუშევარი. საგანგებოდ, გამძლე ჯიშის მცენარეს — კრაზანას არჩევენ, შეკრავენ და მერე რკალად მოხრიან. ხელის ჩასაკიდსაც გაუკეთებენ, რომ ადვილად მოვიხმართ. ჩავა წელხევით შიშველი კაცი ქვევრში, ჩაუსხამენ სუფთა წყალს, ჩააწვდიან სარცხს და იწყება რეცხვა. ისმის სარცხის შრიალი. დაღლილი და გაოფლილი კაცი ათასში ერთხელ თავს ამოყოფს ქვევრიდან და დაიძახებს, ჩამიშრა ყელი, თუ ღვინო არ გემეტებათ, წყალი მაინც მომაწოდეთო. ბებოც, რა თქმა უნდა, იქვეა, ამოვიდეს და მერე დალიოს რამდენიც უნდა, ვინ უშლისო, ემანდ ქვევრში არ ჩაიხრჩოს, ცოდვა არ დატრიალდესო. პაპა დამყოლია და ღვინის ნაცვლად ქვევრის მრეცხავს ახლად მოტანილ ცივ წყალს აწვდიან. ეგრე მტერი დაგეცალოთო, გამოცლის ქვევრის მრეცხავი ლიტრიანს და ისევ ჩაიძალება, ისევ გაისმის სარცხის რიტმული შრიალი.

ყურძნით სავსე გოდრები მარნის ფართო კარებს (კარი მუხისგანაა გამოთლილი) ბინდისას მოადგებიან. ბინდისას კი არა, გვარიანად იქნება შედამებული. ჯერ ურძის ჭრიალს გავიგონებთ, მერე ჭიშკარს გამოაღებენ და ბიჭების სიცილი და გადაძახილ-გადმოძახილიც დაირხევა. დიდის ამბით შემოვა პირველი გოდორი. დიდება სანთლებს უმატებს და სინათლაც მატულობს. თუ საწურავი მანქანა აქვთ, წურვა მაშინვე დაიწყება... დიდი რამ არ უნდა. მანქანას თავზე მოზრდილი ყუთი აქვს დამსობილი, სუფთაა და ტვეადი. ჩაჰყრიან ყურძენს და მარჯვე ბიჭებიც სახელურს ატრიალებენ. დაჭყლეტილი ყურძენი ქვევრში ღვართქაფით ჩადის.

თუ საწნახელში ვწურავთ, მოთხრობა უფრო გრძელია, დინჯი და ნელად მავალი. ჯერ ხუთიოდე მარჯვე და სუფთა ბიჭი უნდა შეარჩიონ. სუფთა, აბა, რა, ფეხებიც კარგად უნდა დაბანონ და, როცა საწნახელი ყურძნით კარგად აივსება, ბიჭები შიგ ჩააყენონ. გადახვევენ ერთმანეთს ხელს, თითქოს ფერხულს ცეკვავენო და მხიარულად გადი-გამოდიან საწნახელში. ყურძენი ნელ-ნელა ძირს იწვეს, მტვენები ნელ-ნელა ერთმანეთში იზილებიან, ჩენჩოები და კლერტი უფრო ცხადად იკვეთება, წვენი კი საწნახელიდან ხის ღარში ჩადის.

ამგვარად წურავდნენ ჩვენი მამა-პაპანი ყურძენს და, ეტყობა, არცთუ ურიგო ღვინოს აყენებდნენ, რაკი, კვეხნით ნუ ვიტყვით და ჩვენი ღვინოები განთქმული ყოფილა.

საწნახლით წურვას უფრო მეტი შრომა სჭირდება, მაგრამ ხალისიც მეტია. ყვებიან ხოლმე ვიდაც ბიჭზე, რომელსაც საწნახელში არ უშვებდნენ, მაგ ფეხების პატრონს ყურძენს ვერ განდობთო. ბიჭი ამტკიცებდა, რა ჩემი ბრალია, შავად გაჩნდი, შავი ფეხები მაქვსო. ბოლოს ჩაუშვეს და როცა დღის ბოლოს ბიჭი საწნახელიდან თეთრი, გაქათქათებული ფეხებით ამოვიდა, მარნის პატრონი თურმე თავში ხელს იცემდა, რა წყალში ჩაყარე მთელი მოსავალიო. მაგრამ ეს ალბათ მარანში დაბადებული ხუმრობაა, რადგან სიცილი ყველგან გვჭირდება, მით უფრო იქ, სადაც მძიმე, დამღლევი შრომაა და სადაც ერთი გაცინება ისე გამოვიყვანს დაღლილობიდან, თითქოს ჯერ არაფერი გაგეკეთებინოს.

დაიწურა ყურძენი. გაივსო ქვევრები. არა, მთლად არ გავსებულა. ჯერ ქვევრის ბოლომდე გავსება არ შეიძლება. თუ რატომღო, ახლავე მივხვდებით. ჯერ დაწურულმა წვენმა უნდა დაიდუღოს, მაჭრად იქცეს, დადუღებას კი ქვევრში ადგილი სჭირდება. ერთი დღე არაფერი და მეორე დღიდან ქვევრი უკვე ჩუმ შრიალს იწყებს, თითქოს ბუტბუტებსო, თითქოს რაღაცას ჩივისო. ჭაჭამაც თითქოს ზევით წამოიწია და თუ აქამდე ბნელ ქვევრში არაფერი ჩანდა, ახლა ცხადად ვხედავთ. ერთი-ორი დღეც და ხმაური უფრო ძლიერდება. მაჭარი ქვევრს ყელში მოსწოლია და ისე ქაფქაფებს თითქოს ცეცხლზე შეუდგამთო და ჰა, საცაა მაჭარი ქვევრიდანაც გადმოვა. მაშინ აიღებს ხელში ოჯახის პატრონი საამისოდ გამოთლილ „მაჭრის ჯოხს“ და დაურევს ქვევრს. პირველივე დარევაზე ქვევრი შვებას იგრძნობს. ერთს მძლავრად ამოიხენეშებს და მაჭარი ქვე-

მთ დაიწევს. თუ აქამდე გადმოსვლაზე იყო, ახლა ისევ თავის დონეზე დადგება, თითქოს ვედარც კი ვხედავთ. იქით სხვა ქვევრი აპირებს გადმოსვლას და იმასაც დაწყნარება სჭირდება. ისიც ამოიხენეშებს და მცირე ხნით ჩაჩუმდება, რათა მერე და მერე ისევ დაიწვოს წამოსვლა, ისევ ამოფუვდეს და თუხთუხით გაგვაგებინოს, რომ კანში აღარ ეტევა, გადმოსვლას ცდილობს, შფოთავს და ადგილი ვერ უპოვია.

ასე გრძელდება მთელი კვირა...

და როცა ყველა დარწმუნდება, ქვევრები ჩაწყნარდნენ და დამშვიდდნენო, მოიტანენ კაკლის ან ლეღვის მსხვილ ფოთლებს და ქვევრის პირებს დააფარებენ. მერე ამ ფოთლებზე რბილად დაახურავენ სარქველს. სარქველს მიწას მიაყრიან და კარგა ხნით ქვევრს აღარავინ შეაწუხებს. ქვევრის ამოყვანას და გამოწვას კარგა ხანი დასჭირდა და ქვევრმა იცის, რა არის მოთმინება. ახლაც მოთმინებით ელის, როდის დაიწმინდება მის მუცელში მაჭარი, როდის ჩავა ლექი ქვევრით და წმინდა ღვინო ზემოთ დარჩება. ამას დღეები კი არა, კვირები სჭირდება. და როცა ეს ხანი გავა, აიღებენ პატარა თოხს და სარქველზე მოყრილ მიწას გვერდზე გადახვეტენ. მერე ასევე ფრთხილად, საგველთ გადაასუფთაებენ სარქველს და ქვევრის ყელის მისადგომებს. სარქველს ფრთხილად მოხდიან და იქვე მიაწვენენ...

დაწმენდილა! იმ ამღერებული მაჭრის ნაცვლად ახლა ქვევრში თავანკარა ღვინო დგას. ხო, უკვე ღვინოა, ღვინო ჰქვია. ქოთქოთა, მღუღარე მაჭარი ღვინოდ ქცეულა.

მაგრამ ეს არ არის ბოლო.

თავანკარა, დაწმენდილ ღვინოს სხვა ქვევრში გადაიდებენ, ღვინით ის ქვევრიც პირთამდე გალიცლიცდება და ისევ დაიხურება, რათა უფრო მეტად დაიწმინდოს, უფრო თავანკარა გახდეს, თავისი ნამდვილი ფერი დაიდოს, მართალი და პატიოსანი ღვინის ფერი. და ასე მოხდება ორ-სამჯერ, ვიდრე ახალი წელიც არ დადგება და ვიდრე სუფრაზე ის ღვინო არ მოვა, რაც მასპინძელს საამაყოდ ჩაეთვლება, ვიდრე ქვევრი, როცა სარქველს მოვხდით, მართლა სარკესავით არ შემოგვანათებს და მასში არ აირეკლება ღვინის მომყვანიც, სტუმარიც, და თვით მთელი ეს მარანი, თავისი შემჭვარტლული კედლებით, სარცხით და ორშიმითი, სათხევლით და ხელჩაფით.

ქვევრები და ქოცოები ზომითაც ნაირ-ნაირია და დანიშნულებითაც. იმ სოფელში, სადაც ჩვენი „ოთხი დრო“ გაივლის, „ზედაშე“ იცონენ, შეთქმული ქვევრი. ან საახალწლოდ, ან ჯარიდან ბიჭის ჩამოსვლის დროს, ან ავადმყოფის გამოჯანმრთელების მერე თუ მოიხდებოდა „ზედაშეს“ სარქველი, ისე არა, ისე ტაბუდადებულივით იყო, მთავარია, ვის რა ჰქონდა შეთქმული. ის კი არა და ქალი მარანში შესვლით კი შევიდოდა, მაგრამ ქვევრს ვერ გაეკარებოდა, ქვევრი საკაცო საქმე იყო და არა სადიაცო, ქვევრს მხოლოდ კაცი ედგა თავზე და კაცი უფლიდა.

ზედაშეს ახდამდე კი ჯერ მაინც შორსაა, ჯერ ქვევრები მხოლოდ ახლა იწყებენ ბუტბუტს. გუშინ არა გვქონდა რთველი? გუშინ არ დავწურეთ ყურძენი? ათასი საქმეა მარნის გარეთ, მარანს პაპაც ეყოფა, იტრიალოს ქვევრებს შორის და თუ რომელიმე უკვე დაიწყო ქოთქოთი, დროზე მიხედოს, დროზე დააწყნაროს, საქმე უფრო მარნის გარეთ არის, საჩხეში და სათონეში. ბაღებს იქ უფრო მიუხარიათ. საბადაგე უკვე მოუმზადებიათ და სათათარე წვენიც უკვე დუღს დიდ ცეცხლზე. ყველანი თათარას გასაკეთებლად გამზადებულან. ეს ქალებზე ითქმის, თორემ ბავშვები მარტო ერთ რამეზე ფიქრობენ, — როგორ შეუშვირონ თითი ახლად ამოვლებულ ჩურჩხელას და როგორ წაიღონ პირისაკენ ის გემრიელი თათარა, რომელსაც ხუმრობით თურმე „სკლინტი“ შეარქვენ.

სათათარე გუშინ მოდუღდა, ახლად დაწურული ყურძნის წვენი დიდ ქვაბში ჩაასხეს და დიდხანს ადუღეს. მოხადეს თავზე მოგდებული ლექი და ქვაბში დაწმენდილი, თაფლივით ტკბილი წვენიდა დარჩა.

სათათარედაც კარგა ხანია ემზადებოდნენ, აბა თათარა უჩურჩხელოდ როგორ იქნება და აი, მაშინ, კაკალი რომ დაიბერტყა. ქალებმა საგულდაგულოდ გადაარჩიეს ის კაკლები, რომელსაც თაღხი ფერი არ დაჰკრავდა, და სუფთა, თეთრი ნიგოზით იქნებოდა გამოტენილი. კაკალი მზეზე გაახმეს. დაამტვრიეს და ნიგოზი გამოარჩიეს. მერე ნიგოზი ლასტზე დაყარეს და ორიოდ დღით კვლავ მზეზე გაფინეს. გამშრალი ნიგოზის ლებნები ოთხ ნაწილად დაჭრეს და თითო მტკაველ მაგარ ძაფზე ჩურჩხელებად აასხეს. მაგრამ ოთხ ნაწილად დაჭრა სავალდებულო როდია. ჩურჩხელაც მრავალგვარია, არსებობს თხელი ჩურჩხელა და არსებობს მსხვილიც, რომელსაც გორგომიჭელას ეძახიან. გორგომიჭელად ოთხად დაჭრილ ნიგოზს კი არა, მთელ ლებანს ასხამენ და,

ცხადია, თათარაში ამოვლებული, თუ განსაკუთრებით ორპირადაც ამოავლე, მსხვილი და ყუათიანი გამოდის. ორპირად ამოვლება რაღაა? ჯერ ჩვეულებრივ თათარაში ამოავლებენ ჩურჩხელას, მერე, ცოტა რომ შეშრება და ჩურჩხელების ამოვლებაც თითქოს დამთავრდება, ჩარჩენილ თათარას წვეწვს დაამატებენ და უფრო გაათხელებენ. ამ თხელ თათარაში ავლებენ უკვე ერთხელ ამოვლებულ ჩურჩხელებს და ორპირად ამოვლებულიც ამას ჰქვია. ზოგს უფრო თხელი, ცალპირად ამოვლებული ჩურჩხელა მოსწონს. ზოგს – ორპირი, კაცია და გუნება! თადარიგიანი დიასახლისი კი ერსაც გააკეთებს და მეორესაც. ყველას ის უნდა გააწვდინო, რაც გულით უნდა. ხო, ცოტა წინ გავიჭერთ. ასხმულ ჩურჩხელებს ახლა სათაურებს გაუკეთებენ. სათაური უფრო მაგარი ძაფია, ბაწარია, კანაფია. ჩურჩხელიდან მორჩენილ ერთი თითის დადება ძაფზე მაგრად მოუჭერენ ორად მოკეცილ ბაწარს და სათაურიც ამას ჰქვია. ამ სათაურებს წამოაცვამენ საგანგებოდ გათლილ და გასუფთავებულ ჭიგოებზე, როცა უკვე ამოვლება ჩურჩხელა. „სკინტლები“ კი საამისოდ შედგმულ გარანდულ ფიცრებზე ჩამოიხვეწება, თუ, რა თქმა უნდა, ბაღლებმა ფიცრებამდე ჩასვლა დააცალეს და სალოკი თითი გზაზევე არ დაახვედრეს.

ნიგოზი უკვე ასხმულია.

ადულებულ წვეწვს ფქვილი მოუკიდეს და ახლა კარგად უნდა მოშუშდეს, ფქვილის გემო რომ არ დაეცოს.

მოშუშებას კი მაშინ შეატყობენ, როცა თათარას ბებერები დაანდებია, ხან აქ, ხან იქ, ბებერები დასკდება, თათარა მკერდს ზემოთ ამოსწევს და ერთი კარგად ამოიხვნეშებს, ასე კარგა ხანს გრძელდება. თათარას დულილი სჭირდება და ბოლოს, ნელ-ნელა გამოუკეთებენ ცეცხლს, რომელიც თავიდანვე არ იყო ძლიერი. ის კი არადა, ზედადგარის თავზე გაფენილ თუნუქზე ნაცარიც კი ეყარა, ცეცხლმა ერთბაშად არ ატკუნცოს და დაწვას თათარაო. მუგუზლებს აქეთ-იქით გადაჰყრიან. მიწაზე საგანგებოდ გაშლიან დიდ ნაკვერჩხლებს და ზედ თათარის ქვაბს დაადგამენ (ეს ქვაბიც საგანგებოდ, სქელი, ვეება, „თანგირა ქვაბს“ რომ ეძახდნენ), რათა სიცხოველე კარგა ხანს შეინარჩუნოს. თათარა არ გაცივდეს, არ გასქელდეს და ჩურჩხელის ამოვლება არ შეფერხდეს.

გადმოდგმული ქვაბის წინ ჩურჩხელის ოსტატი მოიკეცავს და იწყება ამოვლება.

ჩურჩხელის ამოვლებასაც როგორც ყველაფერს ამქვეყნად, ოსტატობა სჭირდება.

ამ დროს იწყება ბავშვების ჟრიაში.

ამ დროს წვეთავენ ჩურჩხელებიდან ის სანუკვარი „სკინტლები“.

გავლებული ჩურჩხელები კი, ჭიგოებზე ჩამოკიდებული და ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულნი, საგანგებოდ იკავებენ თავიანთ ადგილს. ეს თავიანთი ადგილი სადღაა? ეზოში, მზის გულზე. აკი გითხარით, რომ ყველაფერს მზე უყვარს და მათ შორის ჩურჩხელასაც. ოთხ მაღალ ორკაპ ბოძს მიწაში ღრმად ჩაარჭობენ. ორკაპზე ჭიგოებს გასდებენ. ჭიგოებზე კი ჩურჩხელის ჯოხებს, თავის ჩურჩხელებიანად, გადაჰკიდებენ და მზეს მიუფიცებენ. პირველად არის ძნელი, სანამ ჩურჩხელა სველია და ერთმანეთს შიში ეკვრის. ცოტა ხანში ჩურჩხელები შეშრება და დამდამობით საჩქეში ადვილად შეიტანენ.

შრება მზის გულზე ჩურჩხელები.

ერთი დღე, ორი დღე, მთელი კვირა და მეტიც.

შესცქერიან ბაღლები ნდომითა და აღერსით.

და ბებომ იცის, რომ ახლა მართებს მეტი სიფრთხილე: ვინმეს სულმა არ წასძლიოს და ჩურჩხელას კული არ მოაჭამოს. მერე რა გემრიელია შემშრალი კული! მაგრამ რა მახინჯია და შეუსედავი უკულო ჩურჩხელა! და თუ ერთ მშვენიერ დღეს სადმე დაღანდა ბებომ უკულო ჩურჩხელა, ეს იმის ნიშანია, რომ ვიღაცას სულმა მართლა წასძლია, სიფრთხილე უნდა გაასკეცდეს და სიტყვითაც მკაცრად ითქვას, რომ ეს საქციელი წესიერ ბაღლს არ ეკადრება, რომ ახალ წლამდე, ვიდრე თოვლს არ ჩამოყრის, ჩურჩხელის ჭამა ცოდვია და სულწასულობის გამო ღმერთი დაგესჯის, რომ ათასგვარი ხილია გარშემო, ყურძენი გინდა, მსხალი, ატამი, ვაშლი თუ რაგინდარა და ამ დროს ჩურჩხელის კუდებზე ნადირობა ვერაფერი ვაჟაკობაა. ის „ვაჟაკი“ კი (ამოდენა ბაღლებში მაინც ეტყობა რომელია), ალბათ გულში დაირცხვენს და საკუთარ თავს აღუთქვამს, რომ, რაც არ უნდა სულმა წასძლიოს, დღეის ამას იქით ჩურჩხელებისკენ გამხედრიც არ არის.

მაგრამ მაინც გაიხედავს

ძნელია თავს მოერიო.

მაშინ ბებო კიდევ ერთხელ შეახებს ხელს ჩურჩხელებს და იტყვის, რომ შიშის გამო კი არა, უკვე დრო დამდგარა, რომ ჩურჩხელები ჩამოსხნან და საგანგებოდ შეკერილ პარკში დააბინაონ, მით უფრო, რომ ძალზე თუ გადახმა, შაქარს აღარ მოიგდებს... ჩურჩხელებს ჩამოსხნიან და თეთრ, ქათქათა პარკებში ჩაალაგებენ.

პარკებს თავს მოუკრავენ.

და როცა ხანი გავა და მართლა ახალი წელი მოვა, როცა დიდის ამბით გაიხსნება პარკი, ერთბაშად შემოგვანათებს ჩაშაქრებული და თეთრად „დათრვითილი“ ჩურჩხელები, მაშინ კი ვიტყვი, რომ ბებო სულაც არ ყოფილა ძუნწი და ის, რაც ორიოდე თვის წინ გვითხრა, აუცილებლად უნდა ეთქვა.

*

ამგვარად მთავრდება შემოდგომის ერთი მოთხრობა — „რთველი“, მოთხრობა თავად ცხოვრებაში, ბუნებაში, იმგვარი, როგორც ნამდვილად არსებობს. გინდაც არ დაიწეროს ქაღალდზე, არ დაიხატოს ტილოზე, ეს მოთხრობა სინამდვილის მოთხრობაა და ბედნიერია ის, ვისაც მისი წაკითხვა მართლა მოთხრობასავით შეუძლია.

შემოდგომის „მოთხრობებიდან“ (ცალ-ცალკე მოთხრობები ვუწოდოთ რთველს, კაკლის ბერტყვას, სიმინდის ტეხვას) ერთი ფერადოვანი მოთხრობაა „ხილთა ქება“. ასე ხილის კრეფას უწოდებენ იმ უამრავ ლექსებში პოეტებმა რომ შეთხზეს და მათში, მსგავსად თვეებისა და წელიწადის დროებისა, სხვადასხვა ხილი ერთმანეთს ეჯობრება. მსხალი ამტიცებს, მე ვჯობივარ ყველასო; ვაშლი ამბობს, ჩემი ბადალი არაფერია ქვეყანაზეო; ატამს არც ერთი არ მოსწონს და თავის თავს უფრო მაღლა აყენებს. ამ შეჯიბრებასა და „გაბაასებაში“, რა თქმა უნდა, ირონიასაც თავისი წილი უდევს. ყველაფერი იუმორით არის შეფერილი, ქვეტექსტი კი ის გახლავთ, რომ გაბაასების პერსონაჟები ამაოდ ეჯობრებიან ერთმანეთს: ყველა ხილი კარგია და ყველას თავისი დრო და ადგილი აქვს.

ხილის კრეფაც დიდის ამბით იწყება. ხილსაც საგანგებო გაფრთხილება სჭირდება, ვაშლი, მსხალი, ატამი სათითაოდ უნდა მოიკრიფოს, ოდნავ მაინც თუ დაიქუჟა, აღარ შეინახება. სადი ხილი კი ოჯახს ახალ წლამდე და იმის მერეც უნდა გაჰყვეს. ხეზე მოზრდილები ადიან, კალათს ავსებენ და კავით ძირს აწვდიან. კალათიდან ხილს ან ყუთებში ალაგებენ ფრთხილად და მოფერებით, ან გოდრულეებში. ეგრევე ფრთხილად შინისაკენ მიაქვთ და მშრალ ადგილას, უმეტესად სხვენში აწყობენ. ხილის წასაღებად სახედარს არაფერი სჯობს, მაინც ისევ დაგვჭირდა ეს ჩვენი ნაჯაფარი სახედარი, მისი სიღინჯე და სიღარბაისლე! გადაჰკიდებენ სახედარს ორ პატარა გოდრულას ხურჯინით და ისიც ნელა, აუჩქარებლად დაადგება სოფლის გზას, თუკი, ხილის ბაღი ან სოფელს არის მოცილებული, ან ვენახში გვქონდა ჩარიგებული ატამი თუ მსხალი. მიდის დინჯად, იცის, რომ ხილი მიაქვს და ისიც იცის, რომ თუ ფეხს ააჩქარებს, იტყვიან, მართლა სულელი ყოფილაო.

ზოგიერთი მსხალი ადრე იკრიფება, გამოუცდელ კაცს გაუკვირდება კიდევ, ჯერ რა დროს დაკრეფაა, პირში არ ჩაიშვება, მაგარია და ფერადაც მწვანეო. მაგრამ ეს საზამთრო ჯიშებია მსხლისა. დაალაგებენ ამგვარ მსხალს სხვენში და რამდენიმე კვირა რომ გავა, აბა ადით და საკუთარი თვალთნ ნახეთ...

მახსოვს, ერთი მსხალი იცოდა ჩვენს სოფელში, მოხდენილი და ცოტა არ იყოს იდუმალი სახელით „თამრომსხალი“. მრგვალი იყო, მწვანე, არც ძალიან მსხვილი, არცთუ წვრილი, როცა ვკრეფდით, ზედ არ შეიხედებოდა, კაცი იფიქრებდა, მართლა პირში არ ჩაიშვებაო. მაგრამ, ალბათ მსხალიც ფიქრობდა, დამაცადეთ, ჩემი დროც დადგებაო. თან სახელითაც ამყობდა. ჩვენში ყველაფერს თამარ მეფეს უკავშირებდა ხალხი და სახელების წარმოშობის გულუბრყვილო მხსრეკელს შეიძლება ეფიქრა, ეს მსხალი თამარ დედოფალს უყვარდაო, ვერც გაამტყუნებდი, შეიძლება ჰყვარებოდა! მაგრამ ხალხი? ჰკადრებდა კი თამარ დედოფალს თამროდ მოხსენიებას? ძნელი დასაჯერებელია. ან იქნებ ვინმე თამროს უყვარდა, ან ვინმე თამროს ედგა ეს მსხალი მთელ ამ კუთხეში პირველად? იქნებ იმ თამროს ალერსი მის მსხალზეც გადაიტანეს კვიმატმა თაყვანისმცემლებმა? შეიძლება, ყველაფერი შეიძლება... უტყუარი კი ის არის, რომ მსხალმა თავი ჩვენამდე მოიტანა. ხო, დაკრეფდნენ მწვანეს და რამდენიმე კვირის მერე, რომ გადახედავდით, გაოცდებოდით – ყვითლად ენთო, როგორც კარგად შემოსული შემოდგომის

ბია. გემო? წვენი? ამაზე ნუღარას მათქმევინებთ, თამრომსხალს, თუ სადმეა კიდევ, თქვენ თვითონ უნდა გაუსინჯოთ გემო...

ახლა ვენახის ატამი? ვენახის ატამს იმიტომ ვეძახით, რომ ვენახებში გვედგა, აქა-იქ, მწკრივებს შორის, ან ვენახის თავში. ატამი მაღალი არ იზრდებოდა და რაკი თითო-ოროლა იდგა, ვაზს ვერ დაჩრდილავდა, ეს ან თეთრი, ან ყვითელი ატამი გახლდათ. ან. სახრავი (ანუ რომელიც შუაზე არ იპობოდა), ან „სახეჩი“. „სახრავი“ მაინც სულ სხვა იყო, განსაკუთრებით თეთრი სახრავი... თეთრი ატმისათვის თითქოს რა ფერია, მაგრამ ის სულ სხვა სითეთრე იყო, სწორედ თეთრი ატმისფერის სითეთრე...

გემოს ნუღარ მკითხავთ...

მაშინაც კი, როცა რთველი გაჩაღდებოდა და მწიფე რქაწითელს არაფერი შეედრებოდა, ისე როგორ გაივლიდა მთელი დღე, რომ იმ ატმებისთვის ხელი არავის შეეწოდებინა.

სახეჩ ატამს კი თონისაკენ წააბრძანებდნენ საჩირედ. მაგრამ თონეზე მერე, ჩირებზეც მერე, როცა ჭირნახული დაბინავდება.

იყო კიდევ ზამთრის გულაბი.

ისიც მაშინ იკრიფებოდა, როცა ჯერ კიდევ არ ჩამწიფებულყო, მაგრამ მაშინვე იტმებოდა. მაშინვე არ იყო ცუდი... მერე იმასაც დაედებოდა ბიისფერი და ჩატკბილული, შემრგო წვენიც ჩაუდგებოდა.

რაკი ბია, ანუ კომში ვახსენეთ, ბარემ ვთქვათ, რომ კომშიც შემოდგომურა ხილია და ულამაზესი ხილთა შორის. მსხალიც დაიკრიფება, ვაშლიც, წვრილი ხურმაც, ქართლ-კახეთში რომ იცის, ბია კი მაინც დგას, ღამის სიცივესა და თრთვილსაც უძლებს. აქა-იქ ფოთლები შემოსძარცვია და უკვე წვენჩამდგარი ნაყოფი ყვითლად ანთია. ფოთლებიც შეყვითლდება და კომში ისევ ასე იდგება, ვიდრე ბოლოს და ბოლოს იმასაც არ ჩამოკრეფენ და სხვენის გზას არ გაუყენებენ...

მაინც რა არის ეს სხვენი, ყველაფერი იქით მიდის, კაკლიდან მოყოლებული და კომშით დამთავრებული? ნეტავ როდის ავაღთ იმ სხვენში?

ისევ წინ გავიჭერთ... ჯერ სხვენში არავინ აგვიშვებს. ჯერ ადრეა, ახალ წლამდე დიდება სხვენზე კიბესაც არ მიგვადგმევინებს.

მაგრამ იქნებ მოგახერხოთ როგორმე, ჩუმად ავძვრეთ და თვალი გადავაგვლოთ? ვნახოთ მაინც რას წარმოადგენს ეს საწუკარი სხვენი და ისე, რომ კვალი არაფრისა დაგვტოვოთ, კვლავ ძირს ჩამოვიდეთ...

ეს რა მაცდუნებელი ფიქრია. რა დროს სხვენია, „ხილთა ქება“ არც კი დასრულებულა.

ერთი მსხალი მოვიტოვეთ, ხეჭუჭური მსხალი, ყველაზე გამძლე და ყველაზე საგვიანო. უკვე მიიწურება შემოდგომა, ყოველ დილით, შინიდან რომ გამოვალთ, ეზოში თრთვილი დევს. თრთვილი ხომ იცით რა არის, ჭირხლი, ღამღამობით ედება არემარეს და შეიძლება ისიც კი გეგონოს, თოვლი მოსულაო. მაგრამ როგორც კი დღე ფეხს მოიმარგებს, თრთვილი თვალდახელშუა ქრება და ისევ შემოდგომა იმარჯვებს ზამთარზე. აი, ამ დროს, როცა უკვე ცივა და ფოთლებიც შრიალით ცვივიან ხეებიდან, დაცარიელებულ ტოტებში, მსგავსად ბიისა, ჯერ ისევ მოჩანს ხეჭუჭური — შეყვითლებული, კანმაგარი, მაგრამ თაფლივით ტკბილი მსხალი.

ამბობენ, ცოტასლა უდგას ხეჭუჭურიო.

ჩვენი ბავშვობის სოფელში კი ბლომად ედგათ.

და თუ მართლა ცოტაადაა, თუ სადმე ნახოთ, აუცილებლად სთხოვეთ მცნობის ოსტატს, რომ დაგიმყნოთ ხეჭუჭური და ისევ გაამრავლოთ.

ხეჭუჭურით ხომ არ დავასრულოთ „ხილის მოთხრობა“? იქნებ ეკუთვნის კიდევ ეს პატივი, ძველთაძველი ჯიშია, დღემდე მოსული, ერთგვარად ეგზოტიკური, თავისი გამომწვევი სახელით. მაგრამ არის „ერთი ვინმე“, ვისაც გული დასწყდება, ერთი სიტყვითაც არ მომიხსენიესო. ლედვზე არ ვამბობ, ლედვი უკვე მოილია, თეთრი ლედვიც, ღვინა ლედვიც და შავიც, გადამწიფდა, დაიხეჩა და ასე, თითქმის გადიმებული შემოგვცქეროდა. ახლა შემაგრებული, წვრილი კაკრაფა დარჩა აქა-იქ და იმასაც მოკრეფენ. რაში გამოდგებაო? ადამიანი ყველაფერს გამოიყენებს. ამ შემაგრებული ლედვებიდან დედა მურაბას გააკეთებს და, თუ ხვალ დილით კრეფა დაიწყო, არ გაგიკვირდეთ. დარჩა ის, ვინც გვიან შემოდგომაზე მეფობს ბადში — ბროწეული, მზისაგან სახეალანძული და შეწითლებული. ჯერ გაზაფხულზე მისი ყვაილი მეფობდა, ყველასაგან გამორჩეული, არავის მსგავსი, პოეტებისგან სახელგანთქმული ბროწეულის ყვაილი... ახლა

თავად ნაყოფი იხემებს პირველობას, განსაკუთრებით ისინი, რომელთაც მოუსწრიათ და წინ გამომსტარან, პირი გაუღიათ და წითელი მარცვლები გამოუჩენიათ. ამით ბროწეული გვაუწყებს — სხვა ნაყოფშიც წითელი მარცვლები მაქვს, მზად ვარ, მომწვევით და წამიყვანეთ, ვიცი ბოლო მაინც ეს არისო. დამარცხებული ბროწეული გვბარდება. ალბათ, მისთვისაც სევდის მომგვრელია ასე ერთბაშად დანებება, მაგრამ ამგვარია ბუნება, ბუნების წესს ვერსად გაექცევი.

„ხილთა ქებაში“ მთელი ჩვენი ეზო მონაწილეობდა. ჩვენ ჩავრგეთ ან დავამყნეთ ეს ხეები. ზოგი სულ ახლახანს, ზოგი — წლების წინათ; ჩვენ კი არა, ჩვენმა მამებმა და პაპებმა. მაგრამ ხეხილს თავისი შორეული წინაპრები ჰყავს და მათი ძახილი მუდამ იღუმალად ჩაესმის. ყოველი ხილის წინაპარი უწინ ტყეში ცხოვრობდა, ტყიდან „მოვაშინაურეთ“, შევაგუეთ ჩვენს ეზო-კარს და იმგვარად ვაქციეთ, როგორადაც დღეს გამოიყურებიან. ხილის „შორეული სამშობლო“ ტყეა. და ახლაც რომ მოიაროთ უღრანები, რას არ შეხვდებით იმგვარი სახით, როგორებიც ოდესღაც იყვნენ ჩვენი ბაღის ახლანდელი ბინადრები. ტყეში თითქმის ყველაფერია: ხეებზე გასული ველური ყურძენი, ტყის წვრილი თხილი, პანტა, მაჟალო და რა აღარ...

რაკი სიტყვა ტყეზე ჩამოვარდა, ეტყობა, ის დღევ დადგა, რომ ბოლოს და ბოლოს გავსწოთ საოცნებო ტყისაკენ.

ჩვენს სიყრმისეულ წარმოდგენაში ტყე დაკავშირებული იყო დიდ, მაღალ ხეებთან და ცხოველებთან, ალებთან და ქაჯებთან. ტყეში მარტო წასვლა როგორ იქნებოდა? ვაითუ წყაროს პირს უცებ ოქროსფერთმიან ალს გადაეყარო, მოგაჯადოვოს და გადაგიბროს. ვაითუ საიდანმე მგელი ან დათვი გამოხტეს... ვაითუ მაგრამ მაინც რატომ არის ეს შიშიც კი ასე მიმზიდველი? რატომ გავცქერით ტყეს და ვოცნებობთ, როდის წაგვიყვანენ მამები და პაპები, ბიძები და უფროსი ძმები ტყეში?

ტყის სამყარო იღუმალებითაა მოცული და იქ ადამიანს მრავალ იმგვარ რამესთან მოელის შეხვედრა, რასაც სხვაგან ვერსად ნახავს.

გუშინ პაპამ თქვა, ხვალ ტყეში უნდა წაგიყვანოთო. სახლში ჟრიამული ატყდა. ტყეში წასვლა პატარა ამბავი არ არი, ბევრი-ბევრი წელიწადში ერთი-ორჯერ თუ გვეღირსება იქ წასვლა. თავად უფროსები დადიან, ან შეშის მოსაჭრელად, ან ფიხის ჩამოსატანად, ან სოკოზე, ჩვენ კი არ მიყვავართ. აჰა, პაპამ ჩვენთვისაც როგორც იქნა მოიცადა. რთველი მოათავა. ჭირნახული დააბინავა. მოსავალი ცუდი არ იყო და, ეტყობა, კარგ ხასიათზეა, ტყეში ჩვენი წაყვანაც გადაწყვიტა.

მოდი და ამალამ დაიძინე! ნეტავი ახლა არ ეთქვა, ნეტავი დილაადრიან წამოგვეყარეთ ლოგინიდან და „აბა, ტყეში მივდივართო“, — დაეძახა. ვწევართ და ხვალინდელ დღეზე ვფიქრობთ. რა იქნება იქ, დაბურულ ტყეში? რას ვნახავთ ახალს, რომელი ხილი შეგვხვდება? მწვანე იქნება ტყე თუ უკვე შეყვითლებული? ამ ფიქრებში ძილი მაინც თავისას აკეთებს და სულ ახლახანს ჩაძინებულებს უკვე ჩაგვესმის პაპის ხმა: აბა, ვინ არი ყოჩალი, ვინ მოდის ტყეში, ჩაიცივით, გელოდებითო. ჩვენ ერთბაშად წამოგვევიდებით, სახეზე ცივ წყალს შევისხამთ (უკვე ცივა, მაგრამ პაპას არაფერს ვაგრძნობინებთ), პურსა და ყველს, დედამ რომ ძალით შემოგვანჩხა, ჯიბეში ვიდებთ და ეზოში ჩავრბივართ. იქ უკვე გველოდება და მერე ვინ? ჩვენი სახედარი! — ეს უფრო მეტად გვამხიარულებს და ეზოდან გავდივართ. წინ პაპა მიდის, მერე სახედარი მისდევს. სახედარს კი ჩვენ მივყვებით, ქალამნებში გამოწყობილნი და გახარებულნი.

ქალამნებში რატომაო? ან ქალამნები რა იყო? ქალამნებს საქონლის ან ღორის ტყავისაგან ამოასხამდნენ. ფეხზე კარგად წამოვიცვამდით და ტყავისავე თასმებით შევიკრავდით. ქალამანს წინ აპრეხილი ჭვინტი ჰქონდა, და ძველებურ ნავს ჰგავდა, წიგნებში რომ გინახავთ დახატული. ქალამანი მსუბუქი იყო და სასიარულოდ ძალზე მოსახერხებელი. ქალამნებს წინდებზე ვიცვამდით. წინდებს კი ტოლადებით ვიკრავდით. მერე დაადექი გზას და რამდენიც გინდა იარე, ფეხს არაფერი მოგაკვეთს, ძნელად დაიძლები. ხო, ახლა ფეხზე ეს ქალამნები გვაცვია, ზემოთაც ტყავის სათბილობელი და პაპას ამაყად მივყვებით. და, რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენდა გასაბრაზებლად ჩვენს პაპას რომელიღაც სხვა პაპა გადმოსძახის: სად მიგყავს ეგ ბაღლებიო?! ტყეშიო! — პასუხობს პაპა. ემანდ მგელმა არ მოგტაცოსო!

ესღა გვინდოდა? ტყე ისედაც მგლების სამალავი გვეგონა და გულში ცოტა არ იყოს გვეშინოდა კიდევ. მაგრამ ეს შიში მხოლოდ წამით გაიფლავებს. აქ არ არი პაპა, თავისი კომბალით? ეს რომ მგელს ჩაარტყას, სულსაც გააფრთხობინებს. აქვე არ არი

ჩვენი სახედარი? ის სხვა პაპაც, მგელს რომ ახსენებდა, იცინოდა... მაშ საშიში არაფერი ყოფილა.

სოფელი გადავიარეთ. მერე ჭალაში ჩავედით და ბილიკს ზემოთ ავუყევით. ჭალა სავესე იყო ქაცვებით. ქაცვები გადაყვითლებულიყო და მკრეფავს ელოდა. უფრო ზემოთ ნაგვიანევი უოლოს დასდებოდა მოწითალო-მოვარდისფრო, და ისიც მკრეფავს უხმობდა. „მკრეფავებიც“ შორს არ იყვნენ — ტყის ჩიტები თავზე ესხდნენ და, როგორც კი დაგვინახავდნენ, წამოიშლებოდნენ, ახლა სხვა ჭალაში გადაიფრენდნენ.

მერე ჭალიდან ბილიკს ისევ ფერდობზე ავუყევით და ახლა სასაფლაო გამოჩნდა.

სასაფლაოც უკან მოვიტოვეთ.

მერე დაიწყო ჯაგნარი. ლურჯად ლივლივებდნენ კვრინჩხები.

ჯაგნარს ბუჩქნარი მოჰყვა.

მერე წარაფები... მერე ახლები...

ბუჩქნარი ნელ-ნელა მალდებდა და გზა უკვე ტყეში შედის. ხეები უკვე ზემოდან დაგვეცქერიან. ჩვენც, ცოტა არ იყოს, დაღლა მოგვეძადა, ერთი სული გვაქვს სადმე ჩამოვსხდეთ, მაგრამ პაპა უკანაც არ იყურება. არც სახედარი იხედება უკან, ჩვენი დარდი არავის აწუხებს და ჩვენც, მეტი რა გზა გვაქვს, უნდა მოვითმინოთ. აკი შარშანაც ასე იყო, ვიარეთ, ვიარეთ და ბოლოსდა დავისვენეთ. და ალბათ, ახლაც ასე იქნება, დავისვენებთ მაშინ, როცა წყარო გამოჩნდება.

ცოტაც და მართლა გამოჩნდა წყარო. და რაღა თქმა უნდა, პაპა ხვანჭით მოისხნის გუდას, ბალახზე მიაგდებს (ამ გუდაში ჩვენთვის წამოღებული საგზალია) და იტყვის: ცოტა დავისვენოთო... მართლა, ამ საგზლის წამოღება არ უნდოდა პაპას (თავისნათქვამა კაციო, — ბებო იტყვის ხოლმე), საგზალი რად გვინდა, შემოდგომაა, ტყე მშიერს არავის დაარჩენსო, — აჩემა და გუდას ხელს არა ჰკიდებდა. მაგრამ ბებომ თავისი გაიტანა და კარგიც ქნა. ახლა პაპა ამჟამად ხსნის გუდას და ბალახზე ალაგებს პურს, ყველს, შემოდგომის შექაშებულ პამიდვრებს, კიტრისა და ნივრის წნილს... პატარა ხის ჯამსაც იღებს და წყაროს შეუშვებს. გვაწვდის, რაკი სული მოითქვით, დალიეთო. ჩვენს სახედარს კი დრო უხელთია, იქვე ბუჩქებს მისდგომია და უკვე გემრიელად ნაყრდება.

ჩვენ ვსაუზმობთ.

ახლა თქვენ აქ იყავით, — ამბობს პაპა და წაღღს იღებს, — მე ფიხსს მოვაგროვე, თუ რამემ შეგაშინოთ, დამიძახეთ, შორს არ წავალ — და ისე, რომ პასუხს არ უცდის, ბუჩქებს შეერევა. ჩვენ, ცოტა არ იყოს, შიში გვიპყრობს, მაგრამ ვიცით, რომ პაპა შორს არ წავა და მართლაც აქვე, შორიახლოდან ისმის, როგორ აგროვებს ფიხსს და წარამარა გვეხმიანება კიდევ: ხომ არაფერი გინდათო... ჩვენც რაღა თქმა უნდა, არაფერი გვინდა, იმის გარდა, რომ პაპამ მალე მოითავოს საქმე და ისევ ჩვენთან დაბრუნდეს.

ცოტა ხანიც და რაღაც კაკუნი გვესმის.

აი, პაპაც გამოჩნდა ფიხმოკიდებული და, შიში რომ არ შეგვეტყოს, ისე ვეკითხებით, რა აკაკუნებს, პაპაო? პაპა უსმენს, აქეთ-იქით იხედება და ზემოთ, წიფლის ხეზე გვანიშნებს, — აბა, შეხედეთ, რა აკაკუნებსო:

კოდალა, ჭრელი, კოხტა კოდალა! ხეს მისდგომია და დაფუტურებული ქერქიდან ჭია გამოჰყავს.

— მაგასაც უნდა ცხოვრება, — ამბობს პაპა და ისევ ბუჩქნარში გაუჩინარდება.

მერე ლაწალაუწი ისმის. რომელიღაც ნადირმა გადაირბინა. მგელი არ იყოს!

მერე ლაწალაუწი უფრო ახლოვდება და ჩვენ მართლა გვეშინია.

თითქოს ჩვენს გულში იჯდაო, პაპა შორიდან გამოგვძახის, არ შეგეშინდეთო, ეს ჩვენებიანთ გიაა, ღორები დაჰყავს ტყეში, რკოს აჭმევსო.

მალე გიაც გამოჩნდა. მასაც კომბალი უჭირავს და თბილი ტყაპუჭი აცვია. ღორები მთელ ტყეს მოსდებიან და იმათი დრუტუნი და ლაწალაუწი კარგა შორს ისმის. ჩვენ კი ახლად ვხედავთ, როგორ მოფენილა მიწა მუხებიდან ჩამოცვენილი რკოთი.

ცოტა იქით წიფლები დგას და გია გვეძახის, — მოდით, წიფელი მიირთვით, გემრიელიაო!

ჩვენ იქით გავრბივართ და წიფლის ნაყოფით ვივსებთ ჯიბეებს.

გიას უხარია, თან ღორებს დასჭყვივის, თან გვეუბნება, აი, წიფლის უკან, წაბლებიც დგას, იმის გადასწვრივ კი იმდენი შინდი და ზღმარტლია, თქვენი სახედარი ვერ მოერევაო.

ჩვენ გვიხარია, გვინდა გავიქცეთ, მაგრამ გია გვაფრთხილებს, პაპას მოუცადეთ, ის წაგიყვანთ, ტყეში ადვილია დაკარგვა და მგელი შეგჭამთო. მგლის ხსენებაზე ისევ ვჩუმდებით და ტყეს ვუსმენთ

კოდალა ისევ ხეს უკაკუნებს.

მერე რაღაც ფაცხა-ფუცხი ისმის და ცხადად ვხედავთ: წიფლებს შორის ამოზრდილ ნაძვის ტოტს როგორ ჩამოჰკიდებია გრძელკუდა ციყვი. ჯერ შემოგვეცქერის, მერე უცებ შეერთება და თვალის დახამხამებაში ნაძვის კენწეროზე მოექცევა. იქიდან სხვა ხეზე გადახტება და გაუჩინარდება.

კურდღელი? კურდღელი სადღაა?

გიას თქმით, კურდღელი მშიშარაა და ეგრე ადვილად არ გვეჩვენება.

მგელი ხომ არ არის მშიშარა?

არა, მაგრამ მგელი დღისით ადამიანს გაუბრის, სადღაც უღრანებში იმალება.

მელა? ტურა?

მელა და ტურა ეშმაკები არიან, აქვე რომ იყვნენ, თვალთ არ გვეჩვენებიან, ან ჩვენთან რა ეგულებათ? აი, ზამთარში, ძალიან რომ მოშივდებათ, სოფლამდე ჩამოვლენ, საქათმეს მიეპარებიან და მერე თვითონ იციან...

მაშ აქაურობა სავსე ყოფილა ტყის ბინადრებით.

ხო, ტყე სავსეა ბინადრებით.

პაპა კვლავ გამოჩნდება და ფიჩხი მოაქვს. დიდ კონას მიწაზე დააგდებს და ოფლმორეული ქუდს იხდის. ჩამოჯდება. ისვენებს. გიას საგზაღს შესთავაზებს. ასეა წესი, გზად თუ შემოგეყრება, უცნობი თუ ნაცნობი, თუ საგზაღი გაქვს, აუცილებლად უნდა შესთავაზო. ეს ტყის კანონია და იმისაც, რომ სოფლებისაგან და ქალაქებისაგან დაშორებული ადამიანები, სადაც არ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, ერთბაშად მეგობრდებიან, საგზაღი ერთბაშად საერთო ხდება და, ისე დაშორდებიან ერთმანეთს, თითქოს დიდი ხნის ახლობლები ყოფილიყვნენ. ის კი არა და, ეს ადგილები, ახლა რომ ვზივართ, წყაროს პირი და თვით ეს წყაროც, ოდესღაც რაღაც მშობლიური გახდება. წლების მერე, აქ რომ გამოვიართო, უთუოდ გაგახსენდება დღევანდელი დღე: აქ ვიყავით. აქ დავისვენეთ. აქ დაგნაყრდით. აქ შეგვხვდა მელორე გია. აქ გამოგვართვა ერთი ყუა შოთი და ყველის ნაჭერი. აქ გვითხრა მადლობა და გაუდგა თავის გზას, გაირეკა თავისი ღორები... მაშ ეს ადგილი უკვე მშობლიურია, როგორც სახლი, სადაც ოდესღაც გვიცხოვრია. მართლა მშობლიური რომ გახდეს, კარგად მივიხედ-მოვიხედოთ. ხო, ტყეს უკვე სიყვითლეს შეჰპარვია. ეს ჩუმი შრიალიც იმას ნიშნავს, რომ უკვე ხეებიდან ფოთლები ცვივა. გავა მცირე ხანი და უფრო ბლომად წამოვლენ ხეებიდან. მაშინ იქნება ნამდვილი თოვა ყვითელი და წითელი ფოთლებისა. მაშინ, თუ აქაურობას კვლავ ვეწვევით, ხეები ისე იდგებიან, თითქოს აღმურში არიან გახვეულნიო, თითქოს იწვიანო. მაშინ „ტყის სიმღერა“ უფრო სევდიანი იქნება.

გადავიხედოთ იქით, გიამ რომ მიგვასწავლა. ტყე მართლა სავსეა წითელი შინდებით. ზღმარტლიც დამსხვილებულა. დაკრეფთ, წავიდეთ, გავშლით ფარდაზე და ერთ-ორ კვირაში ჩამწიფდება. დაკროლილი წაბლიც უკვე ტყაპა-ტყუპით ჩამოდის ხიდან და ყვითელი ფოთლების ხალიჩას ეფინება. ჩუმად იყავით, ნუ ყიჟინებთ, ტყეს სიჩუმეც უყვარს და ცხადად გაიგებთ, ჯერ ისევ რა მხიარულად ჟივქივებენ ტყის ჩიტები. მივიხედ-მოვიხედოთ, იქნებ სადმე შევლიც გამოჩნდეს. იქნებ ქორბუდა ირემმა გადაირბინოს ბილიკი. იქნებ ყველაფერი ერთბაშად, ერთი წამოსვლით ვიხილოთ, რაც კი ტყეზე წიგნში წავიკითხავს ან ზეპირად გაგვიგონია. იქნებ ქვემოთ, წყაროსპირას მართლა ბინადრობს ულამაზესი ალი და მაშინ გამოგვეცხადება, თუ დაგვიმარტოხელა? მაგრამ გარშემო მხოლოდ სიჩუმეა და მხოლოდ ჩიტების ჟივქივი ისმის. ისინი კი, ვის გამოჩენასაც ვვლით, გვემალებიან...

რად გვემალებიან?

ტყე ცოცხალია და ტყის ბინადარნიც ისევე განიცდიან სიცოცხლეს, როგორც ადამიანები.

ამბობენ, უდაბნოსაც აქვს თავისი სილამაზეო. სალი კლდეების სილამაზე ჩვენი თვალთაც გვინახავს. ტყე კი მაინც სულ სხვაა. ტყე დედამიწის მთელ სიცოცხლეს თითქოს ერთბაშად განასახიერებს. მეც მივლია და ალბათ თქვენც, დატოტვილ ბილიკებზე.

ჩაგვიხრია მუხლი ცივ წყაროსთან. გავრინდებულვართ ტყის სიჩუმეში. გაგვიგონია კოდალას კაკუნი და გუგულის ძახილი... ერთბაშად მოვუყაროთ თავი მთელ ამ შთაბეჭდილებებს, ფერთა და ხმათა მრავალფეროვნებას და აჟღერდება დიდებული სიმფონია ტყისა.

ადამიანს დააფიქრებს დახაესებული ლოდი, სადმე ტინებზე ამოსული მარტოხელა ხე. სიხარულს ჰგვრის ნაკადული, მდინარე, სადაც მოულოდნელად შეხვედრილი პატარა, კამკამა ტბა. ბუნების უხილავი ხელი მარჯვედ ხმარობს ფუნჯს და საჭრეთელს, ფაქიზად წერს და აქანდაკებს, და, როგორც ყველა ქმნილება, ბუნების ქმნილებაც ვერ იტანს უდიერ შეხებას. უდიერი ხელი უმაღვე არღვევს ჰარმონიას.

რა არის ჩვენი ყოველდღიურობისათვის ტყე?

დღეს ადამიანები გაფაციცებით აგროვებენ ათასი ჯურის კუნძებსა და ტოტებს, ბალახებსა და ხავსებს, კენჭებსა და ქვებს; სურთ, რომ ქალაქის ერთფეროვან ბინებში გამართონ საკუთარი „ტყე“, ესმოდეთ მისი ხმა და შეძლონ მასთან განმარტოება. ძალზე შეგვიყვარდა ხის საწოლები, ხის ჯამები და ფიალები. მაგიდა გვინდა დავიმშვენოთ ხის ნივთებით. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ თავად მაგიდაც და სკამიც ხისგან გვაქვს გამოთლილი. ხით ვაპირკეთებთ კაფერესტორნებს, თეატრალურ დარბაზებს და ყველაფერს, სადაც ადამიანები თავშესაყრელად მიდიან ხოლმე.

და ბოლოს, ხე რომ არ ყოფილიყო, ვერ დაისტამბებოდა თვით ეს წიგნიც, სადაც ახლა დიდის ამბით გელაპარაკებით ტყეზე და ხეებზე.

ასეა დღეს. ძველთაგან?

ტყე გვიფარავდა ქარისა და სიცივისაგან. გვინახავდა წყაროებსა და ნაკადულებს. სათავეს აძლევდა მის მდინარეებს, ასულდგმულებდა ნადირ-ფრინველს. როგორც დავინახეთ, ტყე იძლეოდა შინდსა და პანტას, წაბლსა და მაჟალოს, ზღმარტლსა და ფშატს, თხილსა და რკოს. ტყეში ჭრიდა გლეხკაცი სავენახე და საბოსტნე სარსა და ჭიგოს, საგოდრე წნელს, საწნახლის მორს. ხისგან ითლებოდა წისქვილის ღარი, ურმის ჭაღები და ტაბიკი, უღელი და კონკილა. ტყიდან ჩამოგვქონდა სახლის თავზე, ანუ საყვავე, სახლის კავი... ხისგან ითლებოდა ჩვილის აკვანი, მახვშის საკარცხული და დარბაზის დედაბოძი. დედაბოძზე (რომელიც აუცილებლად მუხისა უნდა ყოფილიყო) იკვეთებოდა ნატიფი ჩუქურთმები, რქაგადაგრეხილი ირმები, გაფრენილი არწივები, გატყორცნილი ისრები, გულდაკოდილი ჯიხვები. ეს ჩუქურთმები გადადიოდა ხის სკივრებსა და ზანდუკებზე, ყოველდღიურ ყოფაში გამოსადეგ ნივთებზე, რომელთაც, გარდა იმისა, რომ გამოსადეგი უნდა გამხდარიყო, ღამაზი იერიც უნდა ჰქონოდათ.

ტყე სწევდა ზოგჯერ ტაძრის მაგივრობას, „ხატის ტყე“ იყო ის წმიდათაწმიდა, სადაც უწმინდური გულით და ხელით შესვლის უფლება არა გვქონდა, და, თუ შეხვიდოდი, მხოლოდ იმიტომ, რომ ცოდვათაგან განწმენდილიყავი, ტყე იყო სახიზარი, მეორე სახლი და დარბაზი, როგორც დუღაბით ნაგები ციხე-კოშკი, როცა მტერი მოდიოდა, ვიდრე ლაშქარი მომხვდურს საზღვარზე ჩაუხტებოდა, მოხუცები, ქალები და პირტიტველა ყრმები ტყეში იხიზნებოდნენ, მშობლიური ტყე იფარავდათ, აძლევდათ საზრდოს, უნერგავდათ მოთმინებას, და მტერიც, სოფლებისა და ქალაქების აოხრებასთან ერთად, თავის მოვალეობად თვლიდა გაეჩეხა ტყე და ვენახი — უპირველესი მარჩენალი ქართველი კაცისა.

ამიტომ აღარ გიკვირს, რომ იმ ადგილას, სადაც, მემამათიანეს თქმით, „არა არს წყალი, არამედ იპყრობენ წვიმისაგან კლდის ჭათა შინა და სმენ მას, არა არს ტყე, არამედ ძეძვი“, უცებ სადმე გამოანათებს ნუში, გარეული ვაზი, პანტა, მაჟალო, თხილი...

ღიახ, ტყე მარტო ჩვენი ცხოვრებისა კი არა, თვით სიცოცხლის ნაწილია და ბედნიერია ის, ვინც შეუმცდარად ისმენს ტყის ხმას, ვისთვისაც მეტყველია მისი დუმილი, ვისაც შეუძლია მასთან საუბრის გამართვა.

ამგვარი ბედნიერი კაცი იყო პოეტი ვაჟა-ფშაველა.

„ვაჟას ტყე“ მთროთლვარეა, ხან შფოთიანი, ხან მშვიდი და გაყუნებული, ვაჟას ტყე მღერის, ფიქრობს, ტირის, კამათობს, ჩივის, მოგონებებს ეძლევა და ზოგჯერ მშფოთვარე სიზმრებსაც ხედავს. მართავს ქორწილებსა და ნიშნობას, კონცერტებსა და პოეტურ პაექრობას, აქ ბუღბუღი საამოდ მღერის და შურიანი ჩხიკვი ენას ატარტარებს, რა ამბავია, რა სულ მაგას ამღერებთ, სხვები რითი ვართ მაგაზე ნაკლებიო. ამ ტყის წიაღში ჩლიქებს იმაგრებს უმწეო ნუკრი, მოძმეთა სიხარბის მსხვერპლი ხდება ბებერი მგელი ტოტია. აქ ხეებსა და ყვავილებს ვნებიანად უყვართ, ვნებიანად ეძლევიან სიცოცხლის სიყვარულს და განშორების სევდას. აქაც გადი-გამოდის მაჭანკალი, დაირხევა ხმები

და ჭორი... ახალგაზრდა ხეები ამაყად უცქერენ ხმელ წიფელს და ჰგონიათ, რომ თავად სულ ახალგაზრდები იქნებიან, ბებერი წიფელი კი უკვდავების ერთადერთ იმედს და ებღაუჭება — ალერსით უფერება მის ძირში ამოსულ ნორჩ ყლორტს. „ვაჟას ტყეში“ იქმნება „შელის ნუკრის ნაამბობი“, „ია“, „მთის წყარო“, „ფესვები“, და ბოლოს მინდია, რომელსაც გულთამხილველივით ესმოდა ქუჩის და დეკას, წიფლის და გუგულის-კაბას იღუმალი ჩურჩული.

მთის წყარო საშინელ სიზმარს ნახულობს.

„ენახე, ვითომ ვიდუბებოდი. გვალვა, დიდი გვალვა დამდგარიყო. ბალახნი, ხენი, ჩემნი მშობელნი დამჭკნარიყვნენ. მეც დავმშრალიყავი თითქმის. დაბუა, ლამაზი „წისფლისჩიტა“ ჩამოფრინდა ვერხვის ტოტიდამ და უნდოდა ჩემს გუბეში ბანაობა, მაგრამ ვეღარ დაისვენა ფრთები და დაიწყო ტირილი. ვხედავდი ამას და გული მიკვდებოდა, სად წახველ ჩემო მადლო-მეთქი, — ვლულლუდებდი — დამჭკნარი დივი, შუპყა, შამბი, არჩი, ცაცხვი და ურძანი — ყველანი ერთად შფოთავდნენ: — „მივაშველოთ წყაროს წყალი, არ დაგვიშრესო!“ მაწვდიდნენ ფოთლებიდან, ტოტებიდან, ფესვებიდან თითო-ოროლა ნამობით, მაგრამ ვეღარასა მშველიდენ, თანაც ვითომ მიწამ პირი მიყო და დაუსრულე-ბელს უფსკრულში უნდა დავღუპულიყავ. შემეშინდა და გამომეღვიძა“.

მონადირეებმა ხარ-ირემი მოკლეს.

„მხცოვანი ხეები — ცაცხვები, მუხები, თელები, ბოკვები, ვერხვები, წიფლები, არყები, იფნები და სხვა და სხვანი ვიშვიშებდენ, ყველამ ერთად გაიგო, თუმცა კარგა დაშორებით იდგნენ, ერთიმეორეზე, თავიანთი საყვარელი შვილის სიკვდილი. ტყე არის ირმის დედა, ძუძუს ტყე აწოვებდა, აკვანს ტყე ურწევდა, საბნადაც ტყე ეხურებოდა“. ტყე კი ტიროდა და ამბობდა: „ვაჰმე ჩემო სახელოვანო შვილო, ბორჯავ, როდისდა აღეზარდო შენისთანა შვილი, რქითა და ტანით დამშვენებული, შენით ვამაყობდი და დღეის შემდეგ ვისითდა ვიამაყო?“ მოსთქვამდა ტყე და თანაც ცრემლებს აფრქვევდა“.

უღრან ტყეში მოსული პატარა ლურჯთვალა ია ჩივის:

„რა შეუბრალებელია კაცი? რასაც კი დაინახავს, უნდა რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს. ალბათ ვერ აფასებს ჩვენს სილამაზეს! ჩვენ წინ კაცმა გამოიარა, ცალს მხარზედ ცული ედო, მეორეზედ თოფი ეკიდა. მიაღვა ერთს მშვენიერს ტოტგადართხმულს წიფელს, დაუშინა ცული და წააქცია. საბრალო, როდესაც წაიქცა, დაიკვნესა. ჩვენს იქით გუგულისკაბა ამოსულიყო და ჯერ ხმელს, ჩამოსულს ფოთოლს არ ამოსცილებოდა. როდესაც ხე წაიქცა, გადიურეინა ზევიდამ ფოთლები და წითლად გამობჭყვინდა, ცრემლები დასხმოდა ჩადრმავებულს გულში“.

ერთი სულელი კოდალა კი, რომელიც ჭია-ღუებით სავსე ფუტურო ხეს მისდგომია, არხეინად თავისთვის ბჭობს: „ნეტავ, სულ გადახმეს მთელი ტყე, ათასწილად ის აჯობებსო... „უჰ, რა დროებას გავატარებდი!“ „სამოთხე მაშინ დამყარდებოდა ქვეყანაზე — ჭია-ღუებით აივსებოდა მთელი ეს არემარე და... იქეიფე, ბიჭო! გაჰკარ და გამოჰკარ ნისკარტი დღე და ღამე“...

ვაჟა-ფშაველას პოემაში მინდიას გასვლა ბუნებაში წარმოდგენილია, როგორც ადამიანისა და ბუნების ერთიანობის ზეიმი. ის აუცილებელი პარმონია, რაზედაც კაცობრიობა ამდენი ხანია ოცნებობს. მინდია მითოსიდან, ძველი თქმულებებიდან გამოსხმობილი გმირია და ამდენად — მარადიული:

„როცა კი გაზაფხულდება,
გამოიღვიძებს ქვეყანა,
სილადე, სიმხიარულე
დასეირნობენ ყველგანა.
გაჩნდება ჩირთი, ყვავილნი,
ეკონებიან მწვანესა,
მინდია გაფაციცებით
სულ მიმოივლის მთა-ველსა.
ყველა მცენარეს და მღილსა
ის ეგებება საღმითა,
ბუნებაც ვაშას უძახის,
მდიდრად მორთული აღმითა.
ყვავილნი ყელ-გადაგდებით,
დახატულები კალმითა
„მინდიას გაუმარჯოსო“,

ერთხმად ატეხენ ყიჟინსა,
ხეები ფოთლებს არხევენ,
ბუნება იწყებს ბიბინსა“.

და ერთხელ... მინდია უღალატა ბუნებას. და ბუნებამაც მაშინვე შური იძია. ამიერიდან ბუნება მინდიას თავის საიდუმლოს აღარ უმხელს, ბუნების ენა მინდიასათვის გაუგებარია.

ბუნება დალატს არ გვაპატიებს, — ამგვარია ძველთუძველესი თქმულების მორალი. ვიდრე ჩვენ „ვაჟას ტყეზე“ ფიქრობდით, პაპამ და შვილიშვილებმა მოიარეს ტყე, ერთგული სახედარი ფიხით დატვირთეს და სოფლისაკენ დაეშვენ.

ამიერიდან ეს დღე ამ პატარა ბიჭებს არასოდეს დაავიწყდებათ.

ბრუნდებიან პაპა და შვილიშვილები ტყიდან და ახლა სხვა ჟრიაშული ესმით. ცოტაც და ბილიკზე ქალები გამოჩნდებიან, მხარზე დიდი კალათები შეუდგამთ და მხიარულად რაღაცას გასძახიან უკან ჩამორჩენილებს; ესაღმებიან პაპას და კალათებს მცირე ხნით ძირს დგამენ. რამდენი რამ დაუკრეფიათ ქალებს: შინდი, ტყემალი ზღმარტლი, ასკილი... ვისაც რა სდომებია და ვინც რისთვის წამოსულა. თქვენც შეგხვდათ რამე? რა შეგხვდებოდა, დაუკრეფავი აღარაფერი დაგრჩენიათო, — ხუმრობს პაპა. ჩვენ რას გაეწვდებითო, — იცინიან ქალები, — სწორედ იქაურობა, სადაც თქვენცა ყოფილხართ, სავსეა შინდითა და ტყემლითაო. მოგვე ეგ სახედარი, ავკიდოთ, ვერა ხედავ, ძლივს მოვათრევთ კალათებსო. და ახლა პაპა იცინის, — მთელი ტყე, შინ მიგაქვთ, ეს სახედარი რას ავივითო.

და ასე, სიცილით ემშვიდობებიან ერთმანეთს.

პაპა და შვილიშვილები დაწინაურდებიან. ქალები უკან რჩებიან...

ეს ვინდა არი? ვინდა წამოადგათ თავზე ბინდისას?

მონადირე ქორია!

მართლა ქორის მსგავსი, მართლა ქორივით მზირალი და მოულოდნელი.

მხარზე დიდის ამბით გაუდვია თოფი, პაპას და შვილიშვილებს გამომცდელად უყურებს, ტყე მარტო თავისი სამფლობელო ჰგონია და ამ სამფლობელოში რომ „სხვებიც“ შემოჭრილან, გული გადმოვარდნაზე აქვს.

მაგრამ პაპა რისი პაპაა? — მუდამ მშვიდი და აუღელვებელი.

სადა ჰყოფილხარ, რა მოგიკლავსო, — ეკითხება, თან გულში ფიქრობს, ამას ნადირიც არ მიეკარება სათოფეზეო.

ქორიას დანახვაზე მახსენდება ჩვენი შველი და აღარ ვამტყუნებ ჩვენებს, რომ ის შველი ტყეში არ გაუშვებს, ამ ქორიას ლუკმა არ გახადეს.

შველი გაზაფხულის ერთ დღეს მოგვიყვანეს.

არ გადავაჭარბებ, თუ გეტყვით, ერთი მუჭა იყო-მეთქი. რამდენიმე დღისა თუ იქნებოდა. მეტყვევ წასწყდომოდა და ხელში აეყვანა. ვინ იცის, დედა არცა ჰყავდა, ვინ იცის, სულ მარტო იყო, მსგავსად ვაჟა-ფშაველას შვლის ნუკრისა.

მეტყვევ ხომ მონადირე არ არი?

მეტყვევ ტყეში თოფს არ გაისვრის, თუ ვინმეს შეშინება არ უნდა (ის ვინმე უთუოდ ტყისა და ტყის ბინადართა მტერია), თუ თავს ნადირი არ დაესხა. მეტყვევს საკუთარი ქოხიც აქვს ტყეში და ამ ქოხის კარი მუდამ ღიაა. იქვე დევს ასანთი, ცოტა შეშა და ფიხი. შეიძლება ნაბდის ძველაც დაგხვდეთ, თუ გზა აგებნეთ და აქამდე მოაღწიოთ, ღამე მშვიდად გაათენეთ, ცეცხლი დაანთეთ, გათბით და დილაზე მეც გაეხლებითო. ამგვარია მეტყვევის ქოხი და თუ არასოდეს გაგითენებიათ ღამე იმ ქოხში, გირჩევთ, ერთი ღამე მაინც გაათენოთ. მთელი ღამის ტყის ცხოვრება თქვენს გონებაში გადაიშლება. ბინდისას ჩიტები შეწყვეტენ ჭიკჭიკს და სიჩუმე ჩამოდგება, მერე ცოტა ხნით ბუღბუღიც იგალობებს. ბოლოს ისიც გაჩუმდება და იფიქრებს, ჰა, მთელმა ტყემ ძილს მისცა თავიო. შორიდან მდინარის ჩხრიალიღა ისმის, სადღაც ახლოს ნაკადული მორაკრაკებს, და თითქოს ისიც გრძნობს ღამის სიჩუმის იდუმალებას, ისიც ხმადაბალ ჩურჩულზე გადადის. ამბობენ, ერთი პირობა, განთიადისას მდინარესაც ჩაეძინებო და, ალბათ, ისინიც ჩაიძინებენ. სადღაც შორს ჭოტმა დაიკვილა. ბუებმა ერთმანეთს გადასძახეს და ისინიც მიჩუმდნენ. ახლა კი მართლა ჩამოდგა ტყის ღამის სიჩუმე.

მაგრამ აი, ზედ ქოხთან რაღაცამ შლიგინითა და ტოტების ლაწალუწით გადაირბინა. იცოდეთ, ეს დათვია. ბურტყუნიც ხომ გესმით, საჭმელს ეძებს, ეტყობა გაბრაზებულია, საკბილო ვერსად უპოვია, ვერც სადმე ფულურო უნახავს, რომ თაფლი ამოესვლია

(ფუტკრები ტყეშიც პოულობენ ფულუროს და თაფლს იმზადებენ), ვერც თხილი უპოვია, ვერც სხვა რამ ხილი მოუგდია ხელთ. დათვი ჩავა ხეში და გადაიკარგება. თითქოს ისევ ჩამოდგა სინუმე და უცებ ტურა დაიწყებს კივილს. დედაკაცივით კივის, ასე გგონია, მშველელს უხმობსო, ნამდვილად კი თავისიანებს ეძახის და ისიც საკბილოს ეძებს. გარეთ თუ გაიხედავთ, შეიძლება ორმა თვალმაც შემოგანათოთ, ეს მელა მობრძანებულა, შიში არაფრისა აქვს, ქოხის წინ დაყუნცულა და შემოგვცქერის, იქნებ მეც რამე საკბილო ვიპოვოო. ყველა რაღაცას ეძებს. ნადირობის, მოპოვებისა და მოტაცების დამე დამდგარა.

ერთბაშად, სადღაც რაღაცა დაიყმუფლებს.

ყმუილი იღუმალია და შორიდანვე გვაფრთხილებს, მერიდეთო:

მგელი!

მგლები უხმობენ ერთმანეთს, ჯარად რომ შეიკრან და სადმე ცხვრის ფარას ან საძოვარზე გასულ საქონელს დაეცნენ, მაგრამ ამაზე ზამთარში გეტყვით, როცა თოვლით გადაიღვსება მთა-ბარი.

მგლები ყმუიან და მათ ყმუილზე მთელი ტყე ინაბება, ყველა ამ ყმუილს უსმენს. ტყეში ახლა მხოლოდ ეს ყმუილი მეფობს.

მეტყვევის ქოხში კი ცეცხლი ჩანავლდა, ქოხის ურდული გადაკეცილთ და ნაბდის ძველაში გახვეულებმა ძილს მივეცით თავი. მაგრამ ტყის ჩქამი, ხან ახლოს, ხან შორს დარხეული მაინც არ გვაძინებს, ვიდრე ბოლოს და ბოლოს მართლა არ ჩაგვეძინება და ერთბაშად სულ სხვა ხმაური არ გამოგვაღვიძებს:

ისევ ჩიტების გალობა!

დილა მოახლოებულია, ხეების კენწეროები მზის შორეული სხივებით შეწითლებულა. ფრინველთა ორკესტრი დილის მობრძანებას საყოველთაო გალობით ხვდება.

ცოტაც და მეტყვევე გვესტუმრება

აი, ამ მეტყვევემ მოგვიყვანა ის უმწეო შვლის ნუკრი.

ჯერ რძეს ვასმევდით.

მერე ნეკერის ჭამა ვასწავლეთ.

ნელ-ნელა წამოიზარდა და ერთბაშად შველი გახდა.

უცებ ჩვენი ეზო ეცოტავა, თავაწყვეტილი სირბილით ასჯერ მაინც შემოურბენდა იქაურობას. ახტებოდა ბუჩქებს, გადადიოდა მაღაყებს, დაიქანცებოდა და ჩრდილში მიეგდებოდა. ვხედავდით, როგორ უფეთქავდა ფერდები, ვეფერებოდით და ვგრძნობდით, რა ძალუმად უძგერდა გული.

მერე ეზოს გარეთაც გაიხედა.

მერე ხეშიც ჩავიდა. დადგებოდა ხრამის პირად და შუადღიდან მოყოლებული მზის ჩასვლამდე, გასცქეროდა შორეთს.

შორეთში მოჩანდა ტყე.

ერთხელ ძაღლები დაედევნენ. გამოიქცა, დიდედას კალთაში ჩაუჯდა, კისერი კისერზე გადააჭლო და ძაღლებს ნიშნისმოგებით გახედა, აბა ხელი მახელითო.

ვუყვარდით.

ერთმანეთთან „საუბარიც“ შეგვეძლო.

და მაინც ის ზნე დასჩემდა: იდგა ხრამის პირას შუადღიდან მოყოლებული მზის ჩასვლამდე და გასცქეროდა შორეთს, სადაც მოჩანდა ტყე.

სისხლი ყიოდა მის არსებაში და ტყისკენ უხმობდა.

რა იცოდა, რომ, ნებით თუ უნებლიეთ, მისი სამშობლო ჩვენი პატარა ეზო გამხდარიყო. ტყეს მიუხვეველს ტყიურნი დაჩაგრავდნენ და მაშინ იქ ვეღარ დაიფარავდა დიდედას თბილი კალთა.

მას თავისი საიდუმლო გაუჩნდა, რასაც არავის გვიმხელდა და, რასაც მხოლოდ ხრამის პირას მდგარი, ტყისკენ მზირალი თვალთ გამოხატავდა.

ამან გული დაგვწყვიტა და შეშინებულებმა, კიდევ უფრო რომ არ დაგვეწყვიტა გული, სხვაგან გავამწესეთ.

მან ბინა დაიღო ჭავჭავაძიანთ ბაღში, წინანადალში.

მეტი რაღა უნდოდა, ჭავჭავაძიანთ ბაღი ცოტათი ჰგავდა ტყეს.

იქ ჩვენს გაზრდილ შველს, ჩვენის ფიქრით, მცირე ბედნიერება უნდა ეპოვა.

მაგრამ, ეტყობა ამაშიც მოვტყუვდით.

მაღე მომკვდარიყო.

ეს იყო დიდი ხნის წინათ.

და ვიდრე ამას ვიხსენებდით, ჩვენი პაპა და შვილიშვილები დაემშვიდობნენ მონადირე ქორიას და შინისაკენ წამოვიდნენ.

შინ უკვე დელავდნენ, სადა ხართ ამდენ ხანსო, პაპას ტუქსავდნენ, ბარემ მოკალი ეს ბაღლები ვერა ხედავ, როგორ დაქანცულანო. პაპა თავს იმართლებდა, დაქანცულან კი არა, სახედარზე წინ ეგენი მორბოდნენო.

წყალი უკვე გაუთბიათ და დიდ გობში ბაღლებს ფეხებს ბანენ. მერე იწყება ვახშამი, სუფრაზე მოაქვთ კოჭობში ამოხედილი ცხელი ლობიო, ახალი, შუშხუნა მაჭარი, მწნილქული, ხილი.

რა გემრიელია ყველაფერი...

რა გემრიელია ეს დადლილობაც. და რა გემრიელი იქნება ძილიც...

*

ამასობაში კი შემოდგომა განახევრებულა. ენკენისთვე, ანუ სექტემბერი გასულა და ღვინობისთვეც საცაა გავა. მოსავალი ვენახებიდან და მინდვრებიდან, ბაღებიდან და ბოსტნებიდან შინისაკენ წამოვიდეთ და ახლა ვაბინავებთ. და, როგორც იტყვიან, თუ ერთი პატარა ზაფხული კიდევ გამოვა, სოფელი სხვა საქმეებისთვისაც მოიცლის, გაჩაღდება შემოდგომის დღესასწაულები, ნიშნობები, ქორწილები, მთიდან დაბრუნდებიან მწყემსები, ადამიანები ერთმანეთისათვის მოიცლიან და იქნება გადანახულება-გადმონახულება.

ახლა ეზოში მოვატაროთ თვალი. ვნახოთ შემოდგომის ეზო.

შემოდგომის ეზო ფერადოვანია, თითქოს მხატვრისაგან საგანგებოდ შექმნილი. წარმოვიდგინოთ ძველებური სახლი, მყარი ქვიტკირისა, კრამიტით გადახურული და რიკულეებიანი აივნით დამშვენებული. თავად ეს სახლი უკვე წარსულს ეკუთვნის. ახლა ამგვარ სახლებს აღარ აგებენ და ამიტომ საგანგებოდ შექმნილის შთაბეჭდილებას მოახდენს თქვენზე. როგორც კი ეზოში შეხვალთ, მაშინვე გასაშრობად გამოფენილ ჩურჩხელებს შეავლებთ თვალს. ჩურჩხელები ჯერ მხოლოდ წითლად ღუიან. ღობეებზე ნამგლით აჭრილი სიმინდის ფუჩეჩი მიუყუდებიან, ესეც გასაშრობად გამოტანილი და მზის გულზე მიფიცხებული, ყვითელი ტაროები ერთმანეთზე გადაუბამთ და, მსგავსად ყურძნის აკიდოსი, აივნის ბოძებზე ჩამოუკიდიათ, აქვეა ყურძნის ჯაგანი, გალა ნივრისა და ხახვისა, წითელი წიწაკის ასხმულა, ყვითელი ზაფრანა... ეზოში გაფენილ ფარდაზე კაკალი გაუშლიათ, ცოტა იქით — ლობიო და დაფხვნილი სიმინდი. ყველაფერს მზე სჭირდება, მზეზე გამოშრობა და გამოყვანა. სასიმინდედან ყვითელი და თეთრი ტაროები იკრიჭებიან. ბელელი ხორბლითაა სავსე. საბძელში ბზეა. იქვე სათივე დვას და მაღალი ზვინი. ბაღში ხბო იცოხნება. მარნის, საბძლის და ბელლის სახურავებზე გოგრები. სურათი სრული არ იქნება თუ არ ვიტყვი, რომ მარნის კარი ფართოდ გაუღიათ და იქიდან ახალი მაჭრის სუნი გამოდის... და ყოველივე ერთად აღებული, ქმნის ფერადოვან სურათს, რომელზეც მხატვარს ფერი კი უხვად გაუნაწილებია, მაგრამ ყველაფერი მაინც ერთი მიზნისთვის, ერთი სათქმელისთვის დაუმორჩილებია: ეს ჭირნახულის სილამაზეა.

სილამაზისაკენ ღტოლვა ადამიანის ძველთაძველი თვისებაა, ყოფაში დამკვიდრებული სილამაზე კი საუკუნეთა მანძილზე ყალიბდება, ტრადიციულ იერს იძენს, იხვეწება და ჩვენამდე მოდის როგორც დასრულებული ხელოვნების ნიმუში. ზვინს დვამს გლეხკაცი და ეს ოსტატის ხელით დადგმული ზვინია, წუნს ვერ დასდებ, პროპორციები დაცულია, ადგილი — დიდებულად შერჩეული, ზვინი აუცილებლად აქ უნდა იყოს, ამის გარეშე სურათი, რომელსაც „შემოდგომის ეზო“ ჰქვია, სრულყოფილი ვერ იქნებოდა. აი, ამ გოგრების განლაგებასაც კი ოსტატი სჭირდებოდა, გამოუცდელი ხელი ისე დაახვავებდა, თავსა და ბოლოს ვერ გაიგებდი, აქ კი ყველაფერი გათვალისწინებულია, კომპოზიცია არსად ირღვევა. მზეს მიფიცხებული გოგრა აუცილებელი დეტალის მნიშვნელობას იძენს, ან ეს ტიკიც, ანუ თხიერი, რაღა ახლა დასვეს მარნის კართან და თანაც სამფეხა ხის სკამზე, დარბაისლური ღიბით, რომ აქაურობას სწორედ სიმაძღრის და სიუხვის ფერი დასდოს. თუმცა შიგ ჯერ არაფერი ასხია, მაგრამ ტიკი მაინც დიდებულად გაბერილა და იმგვარად შემოგვცქერის, თითქოს მის გარეშე აქაურობა არაფრად ეღირობოდა, და კაცმა რომ თქვას, მართალიც არის, ეს ტიკი „შემოდგომის ეზოს“ აუცილებელი დეტალია. იქით, საჩხეში რომ ჭურჭელი ჩაუმწკრივებიათ, ჩამუქებული ფერისა, ესეც სჭირდება აქაურობას, რადგან მის თავზე ჩამოკიდებული გრძელი, ყვითელი ასხმულა ზაფრანისა, უფრო ჩახჩახა ფერს იძენს, უფრო იკვეთება სიყვითლე. ასევეა ფონი

უანგისფერი კრამიტისა, ყვითელი გოგრების უკან რომ გადაღებოდა. ხო, ეს ნამდვილი ოსტატის ხელით შექმნილი სურათია.

ახლა გზიდან ხმაური ისმის და ხმაურში იკვეთება ერთი სიტყვა: ჭურჭელი!

ჭურჭლის გამოწვას საქართველოს ყველა კუთხეში თითო-ორი სოფელი მისდევს. ერთ კუთხეში ერთი სოფელია განთქმული, მეორეში — მეორე, და იმ სოფლებში გამომწვარი ჭურჭელი საუკუნეთა მანძილზე ჰყოფნიდა საქართველოს. კახეთში ვარდისუბანი და იყალთო იყო განთქმული და იქაური ოსტატები, ქიზიყელებთან ერთად, ამარაგებდნენ იმ მხარეს, იმერეთში დღესაცაა ცნობილი შროშის ჭურჭელი. როგორც კი სურამის უღელტეხილს გადავალთ და უბისას გავცდებით, თვალში შემოგვანათებს გზის პირას ჩამწკრივებული ნაირ-ნაირი დოქები, ხელადები თუ ჯამები. ეს კოპწია იმერული ჭურჭელია, ყელმოდერებული და ამჟამად მზირალი. და ამ ჭურჭლიდან წამოსული წყაროს წყალი ან თავანკარა ღვინო, თითქოს მთელი ბუნების ხმას გამოსცემს, რაკრაკებს, როგორც წყარო მთვარიანი ღამის სიჩუმეში.

ახლა ალბათ იყალთოელი ან ვარდისუბნელი მეჭურჭლეები ჩამოგვივიდნენ.

ჩვენი ოთხი დროის ამბავი ხომ კახეთის სოფელში გაივლის. შარაზე მძიმედ მოდის დიდი ურემი. ურემში, ცხადია, ხარები შეუბამთ. ჭალებზე კიდევ მაღალი ლასტები აქვს მიკრული და ოთხივ მხრით შემოდობილ ურემში აწყვია ვეება კოკები და კოკურები, ლიტრიანები და ჭინჭილები, მაწვნის და მწნილის ქილები, ჯამები და ჯამფილები. ლასტის თავზე ამოწრილ მანებზე წვრილი ჭურჭელი გამოუკიდიათ, აქ უფრო საყმაწვილო ჭინჭილები ჭარბობს. ჭინჭილა რაღაა? პატარა, ერთი ციდა ჭურჭელი, რომელშიც ერთი ჭიქაც ძლივს ჩავა, მაგრამ წვრილფეხობას კი ძალზე სჭირდება, ამთავითვე რომ შრომას მიეჩვიოს, წყალზე წასულ დიდებას ან დედას თვითონაც საკუთარი ჭურჭლით გაჰყვებს და თავისი წილი ცივი წყალი მიიტანოს. ერთი სიტყვით, ჭინჭილა მომავალი თებროლეების ჭურჭელია.

„თებროლე მიდის

წყალზედა,

კოკა უდგია

მხარზედა“.

ჭურჭელს როგორდა სწავავენ? ესეც მთელი მოთხრობაა. მაგრამ სიტყვას ძალზე გაგვიგრძელებს, მარტო ერთი ვთქვათ: ლაზათიანად! ყველაფერი, რაც კაცის ხელიდან გამოდის და რაც ყოველდღიურ ყოფაში გვჭირდება, აუცილებლად ლაზათიანი, ანუ ლამაზი უნდა ყოფილიყო, აი ახლა, არ ურმის ჭალებზეც, ლაზათიანი ჭურჭელი გამოუფენიათ: კოკა. დიდი კოკურა. ხელკოკურა, სურა. სურანიტრა — მალელები, დაბალყელები, პირვიწრო და უტუწო. მერე მოდის დაბალწყლის ხელადა, ცოტათი პირგადაშლილი, ტუწიანი. მერე ნიტრა — პირვიწრო, მაღალყელა, რათა წყლის სმის დროს წყალი ნიტრის ყელში იხრხობოდეს და რუერუყებდეს, რის გამოც თურმე რუერუყა ნიტრასაც ეძახიან. ბავშვებისათვის კი, როგორც გითხარით, პატარა ჭინჭილა, — ნიტრისნაირიც და ხელადისნაირიც. უფრო დარბაისლურად შემოგვცქერაინ (ცხადია, ურემი გაჩერდა, ჭურჭელი ჩამოიღეს და საჩვენებლად იქვე, შარისპირას გამოფინეს, ამასობაში ხალხიც მოგროვდა და გაჩაღდა ვაჭრობა) ღვინის ჭურჭლები: ჩაფი, ჩაფურა, ხელჩაფი, დოქი, ორხელადიანი, სამხელადიანი, გოზაური — ყველას თავისი ცალი ყური აბია და პატრონს ელოდება, წამიყვანეთო. მათ უკან ქილები ჩამწკრივებულან: ქოცოქილა, ძირიქილა, ცალყურა ქილა მაწვნისათვის, ორყურა ქილა ერბოს შესანახი და ამიტომ ერბოს ქილადაც წოდებული, საჯერო ქილა, ანუ დიდი მაწვნის ქილა, სადღლარი ქოთანი, პატარა პირგადმოშლილი კოჭობი — კერძის გასაკეთებლად, ცხადია, უმეტესად ლობიოსი. ახლა სახაშე (პურის ხაშის, საფუარის შესანახად), ახლა ჯამები: ჯამფილა, არჯამანი, ქათმისაჭმელი, კერძის ჩამოსარიგებელი ჯამი...

აი, რამდენი რამ შეძლება თიხას.

ამასობაში ჩვენმა მეზობლებმა ჭურჭელი ჩამოირიგეს. არც პატარებს დაწვევითეს გული და იმათაც დაუთითოვეს ჭინჭილები. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, მეურმეებმა კონკილა გამოაცაღეს ურემს (ხარებს რომ მცირე ხნით დაესვენათ და სიმძიმეაკიდებულნი არა მდგარიყვენ, ურემს კონკილა, ან ღონიერი ბოძი შეუყენეს, რომელიც ურემს მაღლა სწევს და უღელი ხარებს აღარ აწვებათ) და იმავე ძახილით განაგრძეს გზა: ჭურჭელი! ჭურჭელი!

შუადღე უკვე გადასულა და პაპას სათონეში ფიჩხის კონა მოაქვს.

ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს თონე გახურდება და პურს გამოაცხობენ. მაგრამ ვიდრე პურის ცხობა დაიწყებოდეს, გავიხსენოთ ის დღე, როცა წისქვილში წავედით. ეს ახლახანს იყო, ჭირნახულის დაბინავებამ გადაგვიყოლა და საფქვავისთვის ვეღარ მოვიცალეთ. საფქვავე კი დაგროვდა — ჯერ ის ხორბალი, მკათათვეში რომ დიდ ბელელში შევინახეთ, მერე ის სიმინდი, აგვისტოს დამღვეს რომ მოგტყებოდა, ტაროები გავაშრეთ, საცხეველაზე დავცხევეთ, მარცვალი გადავარჩინეთ და ისევე მზეზე გავფინეთ, კარგად გახმესო. კარგად თუ არ გახმა, ისე წისქვილში ვერ წავიღებდით, არ დაიფქვებოდა, ცუდი ფქვილი გამოვიდოდა და მჭადიც დაღრეჯილი. აბა, დაღრეჯილი მჭადი ვის უყვარს? იქაც კი, სადაც პური მეფობს და მჭადს ხილად თუ მიირთმევენ, მჭადიც, როგორც ყველა სხვა რამ, გულმისასვლელი და კოხტა უნდა იყოს. კოხტა ჭადებს დავაცხობთო — განსაკუთრებით დასავლეთში იცინან თქმა და თანაც თიხის კეცებშიო. ქართლ-კახეთში კი, მსგავსად პურისა, მჭადსაც თონეში აცხობდნენ, თუმცა კეცი ვინ აკრძალა, ვისაც პირის გემო ჰქონდა, იმან კეცის ყადრიც კარგად იცოდა და კეცში გამომცხვარი მჭადისაც.

ეს სიმინდი მაინც ძლივს გადავარჩინეთ, არც ეს არი ადვილი მოსაყვანი. ამასაც სულ ფერება უნდა, თოხნა, ბალახის შემოცლა და რწყვა. ნამი უყვარს სიმინდს. არც ეს დავაკელით, მაგრამ ახლა სხვა მტერი გამოჩნდა — ფრინველი, როგორც გითხარით, საფრთხობელა დაუდგით და ის საფრთხობელაც არაფრად ჩააგდეს. და ბოლოს — დათვი! ზღაპრებში და ლექსებში „დათუნია-დრუნია“ უწყინარი, კეთილი ვინმეა, არაფერს დაგიშავებს, ქომაგი კია, კეთილსა და ავს თავისი მოკლე ჭკუითაც კარგად არჩევს, მაგრამ იცოდეთ, მაგარი წუწკია! როგორც კი სიმინდი შემოვიდა და საკბილო გამოჩნდა, შუალამისას მოადგებოდა ყანას და დაიწყებდა ფაჩი-ფუნს, თან ბურდღუნებდა, ალბათ, სიბნელეს უჩიოდა, ვერაფერს ვხედავო. თუ გაუგებდნენ, დააფრთხობდნენ, მაგრამ მეხვრე და მეველე სულ მის ლოდინში ხომ არ იქნებოდნენ? მერე ის იყო და საფრთხობელაც დადგეს. ცოტა ხანს უყურა, გულში ალბათ გაეცინა, აფოფხდა, ჩამოხსნა და ნაკუწ-ნაკუწად აქცია. მერე ღელეში სარეკელა დაუდგეს, დათვს ატყუებდა, არ მოხვიდე, სულიერი ვარო, სარეკელასაც ერთი-ორი დღე უყურა, ბოლოს ფრთხილად მიუახლოვდა, ისიც ამოიღო წყლიდან და მიამტვრია. ხაფანგიც დაუდგეს, მაგრამ არ მოტყუვდა, მოსაკლავად მაინც ვერ გაიმეტეს, რაღა დარჩა, მობრძანდეს, განა რა უნდა ჭამოს იმდენი, ჩაიხეთქოს მუცელი, საცაა ტაროს მოგტყებოთ.

ასე მოვიყვანეთ სიმინდი და ახლა წისქვილაში მიგვაქვს, დიდი საცალოები (ანუ უხეში ქსოვილისაგან შეკერილი ტომრები) ხორბლით არის სავსე, მომცროებში და ტომრაკებში კი სიმინდია, თეთრი — ცალკე, ყვითელი — ცალკე. მეწისქვილე, ცხადია, ბერიკაცია.

ასეა მიღებული იმთავითვე.

თანაც თმა სულ ფქვილით აქვს დათრთვილული.

ფქვილი მოსდებია მთელ წისქვილსაც, ხის ფარღალადა კედლებს, კარს, კრამიტის სახურავს, შეხვალ თუ არა... შეხვალ კი არა, შორიდანვე გეცემა წყლის ხმაური. ეს მდინარის წყალი ჩხრიალებს ღარში, რომ დოლაბი დააბრუნოს. ღარი გრძელია, მაღლიდანვე დაშვებული და წყლის ძალაც ძლიერია. მრგვალი, კოხტად გათლილი, მძიმე წისქვილის ქვები ნელა ბრუნავს, ნელა იმიტომ, რომ კარგად დაიფქვას თუ ძალიან აჩქარდება, ფქვილი წმინდა არ გამოვა.

მარცვალი ხვიმირაში იყრება. ხვიმირა ხისგანაა შეკრული, ზემოთ ფართოა და თავლია, ქვემოთ წვრილდება, პირდაპირ ქვის შუა ნაწილს, მუჭის სიმსხოზე რომ გაუხვრეტია ქვისმთლელს, თავზე დაჰკიდებია და იქიდან ნელ-ნელა უშვებს თითო-ორიოლა მარცვალს, ნელა, მაგრამ გაბმით, ამაში ესმარება სარეკელა, რომელიც ქვაზე ხტუნაობს და თავად იცის, რამდენი მარცვალი ჩაუშვას ხვიმირიდან.

და, რაღა თქმა უნდა, რომ ქვისმთლელიც საგანგებო ოსტატია და ადვილად ვერ იშოვი, წისქვილის ქვის კოდვა (ასე ჰქვია) ძნელია. არ გაგიგიათ, ნათქვამი, თუნდა ქვა მაკოდინეთ, ოღონდ ეგ საქმე ამაშორეთო.

წისქვილის დამღვმელიც ოსტატია და თვით მეწისქვილეც, რომლის სიმარჯვეზეც დიდადაა დამოკიდებული, როგორ ფქვილს წავიღებთ დილაზე სახლში.

დილაზეო?

მაშ მთელი დამე გაგვითენებია წისქვილში!

ხო, აქ უნდა ვიყოთ. ახლა საცაა იმისი ჯერი ჩამოიფქვება, ვინც ჩვენზე წინ მოვიდა წისქვილში, მერე ჩვენი დაეყრება, თანაც სიმინდი იფქვება და ნასიმინდარზე თუ დაგ-

ფქვით, არ ივარგებს პურის ფქვილი. საგანგებო გაწმენდა სჭირდება ნასიმინდარ ხვიმ-რას და ქვას.

აი, მორჩა ყველაფერი. მეწისქვილე ხვიმრაში იხედება და ხედავს, რო აღარაფერია, გარეთ გადის და მცირე ხნით წყალს გადაუგდებს, რომ წისქვილმა დაისვენოს, ტყუილმა ხახუნმა ქვები არ გაცვითოს.

მცირე ხანიც და ჩვენი ხორბალი სუფთა ხვიმრაში იყრება.

ამასობაში მამახვენს საგზალი ამოულაგებია, მეწისქვილეს გამასპინძლება უნდა. მერე რა, რომ მინდს აიღებს (მინდი ჩვენი ხორბლის ნაწილია, მეწისქვილეს გასამრჯელოდ რომ უნდა დაუტოვოთ), წესი მაინც წესია, ადათს დაცვა სჭირდება, თანაც უამისოდ, ტკბილი სიტყვის და დალოცვის გარეშე, რა გაიყვანს შემოდგომის ამოდენა დამეს. და მართლაც იწყება გულითადი საუბარი საწისქვილო საუბარი, წყნარი, მონოტონური, როგორც მონოტონურია თვით ხმა დოლაბისა და წყლის ჩხრიალისა.

სადღეგრძელოთა შორის (ჩვენ უკვე „გვიძინავს“, თბილი ნაბადი გვახურავს და თავი ჯირკზე გვიდევს, მაგრამ მაინც ყველაფერი გვესმის) ერთი ის არი, რომელიც გამოითქმება სურვილი, რომ ფქვილი კარგი გამოვიდეს და პატრონს სასიკეთოდ მოხმარდეს, სულ ღხინში და ქორწილებში დაეცხოს შოთები.

ფქვილი, ეტყობა, კარგი გამოვიდა,

შინ წავიდეთ და დღეს უკვე ცხობა იწყება.

დილაადრიაანად ბებომ სახაშედანე ხაში ანუ საფუარი ცომი ამოიღო, კარგად გაათბო და ფქვილში დაუწყო გახსნა, ფქვილი და წყალი ნელ-ნელა ერევა და ვარცლიც ნელ-ნელა ივსება, ცომი დიდ ხანს ზილეს, ხან დედა ზელდა, ხან ბებო, თავისი დამჭკნარი ხელებით. დაიქანცნენ, მაგამ მაინც კმაყოფილების ღიმილი უკრთით, კარგი ცომი მოეზილეთო. ახლა ცომს გაფუება სჭირდება, საფუარი და მარილი შიგა აქვს. ზემოდან თბილად, ტომრებით შეფუთნიან და რამდენიმე საათს ეგრე ტოვებენ, და როცა დღის ბოლოს ტომრებს გადახდიან და ცომს ხელით გასინჯავენ, ყველაფერი ცხადია: ცომი აფუებულა. ხელს რომ დააჭერ, ისევ ზემოთ ამოდის და ამგვარი ცომით გამომცხვარ პურზე ალბათ ვერავინ იტყვის, უფუარიაო.

ამასობაში თონეც გაუხურებიან იმ ფიხით, პაპამ რომ ჩამოუტანათ ტყიდან.

წალმით მაშინ გაახურებენ, როცა ვენახები გაისხვლება და წალამი ექნება, ანუ ვახებზე შეჭრილი ზედმეტი ტოტები, წალმით გახურებულ თონეს უფრო აქებენ. წალამზე შემწვარი მწვადიც უფრო საპატიო მწვადად ითვლება, ჩვენ რა ვიცით, ვისაც პირის გემო კარგად მოეხსენებათ, ალბათ, ესეც იმათი მოგონილია.

ალი ამოვარდება და უკვე მთელი უბანი გაიგებს, რომ თონე ხურს.

მერე ალი ნელ-ნელა ჩანავლდება და თონის ძირი წვრილი ნაკვერხელებით გაივსება, თვით თონის კედლები კი აღისფრად ვარვარდებიან, რაც იმის დასტურია, რომ კედლები კარგად გახურდა და პური არ ჩაცვივა.

მერე აიღებენ მარილწყალს და გახურებული თონის კედლებზე საგველით მოასხურებენ თუთქს, ანუ ნაცარს მოაყრიან. დიდი სიმხურვალე არ მისცესო და იწყება ცხობა, ბებო ცომის პატარ-პატარა გუნდებს აიღებს და შოთის ფორმას აძლევს. დედა თონეში გადაწვება, მოიქნევს ცომს და... მიეკრა კედელზე! ეს რა ძნელი ყოფილა პურის ცხობა... დედას ალმური ასდის სახეზე, როცა თონეში ჩაიხრება, გვეშინია, შიგ არ ჩავარდეს, მაგრამ არა, ეს წლობით ნასწავლი საქმეა და დედაც უკვე დაოსტატებულია, დაღლით დაიღლება, მაგრამ თონეში არ ჩავარდება.

ტყაპ!

და ერთი შოთი დადარში ჩავარდა!

იყოს, ხელს არ ახლებენ.

ისე ვერ გამოაცხობ, ერთი მაინც რომ არ ჩავარდეს. ამას კუტი პური ჰქვია. ნაღვერ-დალში თავისით გამოცხვება და იმასაც ამბობენ, ნამდვილ შოთზე უფრო გემრიელიაო. მართლა, სულ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ვიდრე შოთების ცხობა დაიწყებოდა, ორიოდე ლავაშიც ჩაიკრა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თონე გამოსცადეს, აბა მზად არის თუ არა კარგი შოთის გამოსაცხობადო, მეორეც, — ასეთია წესი.

წესს კი წლები და ზოგჯერ საუკუნეები ქმნიან.

როგორც კი ლავაში ჩააკრეს. მთელ არემარეს მოედო ახალი პურის სუნი. უკვე ბინდდება, ხალხს საქმე არა აქვს და აქეთკენ იხედებიან, სათონედან (სათონე ერთი უკედლებო, კრამიტით გადახურული ფარდულია), დედა გასძახით, მოდით, რა შორიდან იყურები, ლავაში გაფხრიწეთო. ისინიც თავპატიუს აღარ დაიდებენ და მოდიან. ქალები

არიან, დედაკაცები. კაცისა კი არა და ყმაწვილის მიშვებაც არ შეიძლება თონესთან, ცოცხალი სასაცილო მიზეზით, აქ რომ არ ითქმება. ამის გამო დაითხოვეს თვით ერთი წლის გოგიაც, ძლივს რომ დაბანცალებს და ქალები იცინიან, მაგისგან რაღა გინდათ, რას გვიშავენსო.

ამ სიცილში მოაქვთ მწნილი, ერთი ხელადა ღვინო, რა თქმა უნდა, ყველი და ხილი... ცხვება პური, ითქმება ათასი რამ. პურის სურნელი ახლა უკვე მთელ უბანს მოსდებია. შოთებიც უკვე გამომცხვარა, დაბრაწულა, კინჭუტით (ჩანგალია გრძელი რკინისა, პურის ყუაში ჩასარჭმელი) და ასტამით (ისიც რკინისაა, ქვემოთ ვიწრო, დანასავით პირი აქვს და გამომცხვარი პურის ჩასაფხვკად ხმარობენ) ხდიან და ამ დროს, როცა განწყობილებაც ხალისიანია და სულშიც ერთი ჭიქა ღვინო ჩასახლებულა, თვალი მზირად უნდა გქონდეს, ახლომახლო თუ ვინმე გაივლის, აუცილებლად უნდა მიაწოდო ცხელი შოთი და ერთი ჭიქა ღვინოც შესთავაზო.

ასე იყო მაშინ...

როცა პური მოიხდება, ერთხელაც მსუბუქად ამოაპრიალებენ თონეს და ნაპურაღზე ახლა მჭადები ცხვება.

ბოლოს კი... რისთვისაც დილას აქეთ კი არა, ორი დღეა ემზადებოდნენ, ჩირების ჩაკიდებაა.

წინასწარ ჩხირები დამზადდა.

ესენიც პაპამ გამოთალა ტყეში,

ლეღვისა და ატმის ჩირისათვის გრძელტოტიანი ჩხირებია საჭირო.

წარმოიდგინეთ პატარა ხე და მისი გაბარჯული, თავწამახული, გათლილი ტოტები, ამ ტოტებზე ჩამოაგებენ დაფცქნილ ატამს ან ლეღვს. დაფცქნილს იმიტომ, რომ უფრო ტკბილი გამოვიდეს, ჩამიჩისათვის კი მოკლეტოტა ჩხირებია საჭირო. ტოტი იმსიგრძე უნდა იყოს, რაზეც ერთი კარგი ყურძნის მტევანი ჩამოეკიდება. ჩირები ასხმულია და ნალვერდალში ახლა კედლების გასწვრივ კრამიტის პატარა ნატეხებს ყრიან, რათა ჩხირის ძირი ამ ნატეხზე ჩადგას, თორემ თუ პირდაპირ ნალვერდალში მოხვდა, დაიწვება და შეიძლება ააღდეს კიდევ, ასე ნელ-ნელა ჩაჰკიდებენ ასხმულ ჩხირებს და, როცა ამას მორჩებიან, ზემოდან გასდებენ ხარისხაზე გადაკიდებულ ყურძნის ჩურჩხელებსაც, რათა ესეც ჩამიჩად იქცეს და ჩამიჩის ჩურჩხელა ამოვაგლოთ, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მაშინ ხდება, როცა სათათარედ ვემზადებით.

ეს არი და უბანში ახლა შემწვარი ხილის სურნელი დგება.

ეს სულ სხვა სურნელებაა, მართლა შემოდგომური, ათას სხვაში გამოსარჩევი და დაუვიწყარი.

მერე?

ატამი და ქლიავი არაფერი, მერე ლეღვის ჩირს სჭირდება ფერება.

აიღებს ბებო ბრტყელ სიპ ქვას და ფარდაგზე დადებს. იქვე მოიმარჯვებს ფილთაქვას, გვერდით მოიდგამს ბადაგს და შემწვარი ლეღვით სავსე ხონჩას. ჯერ სიპ ქვაზე ბადაგს გადაუსვამს, მერე თითო ცალ ლეღვს დადებს და ფილთაქვით მრგვალად დააბრტყელებს, ლეღვები ერთი ზომისა უნდა იყოს, რომ კოხტად აისხას.

გინახავთ ლეღვის ჩირი, ბაზარზე ასხმული, მთლიანად შაქრის მტვერში გახვეული?

ეს შაქრის მტვერი არ უნდა იყოს. ბადაგში გაბრტყელებული ლეღვი თვითონ უნდა ჩაშაქრდეს და ამგვარი ფერიც თვითონვე დაიდოს.

რა დაგვავიწყდა?

ხო, მართლა, გოგრა და სიმინდი, მაგრამ ეს მაშინ, როცა თონეში ჩხირები არ გვექნება ჩასაკიდი.

ხოკერა გოგრას შუაზე გაჭრიან და პირდაპირ ღადარში ჩაამხოვენ პირქვე.

აქვე, ნაკვერჩხლებზე იწვება სიმინდის ტაროებიც.

ბოლოს კი „პურის მოთხრობა“ იმით მთავრდება, რომ ისევ მეზობელი გვახსენდება.

როცა მთელი საქმე მორჩება და თონესაც თავისი სახურავი გადაეფარება (ჩირის ჩხირები შიგ არი). ბებო ჩადებს საცერში ან ხონჩაში ერთ-ორ შოთს და ყველაზე ახლობელ მეზობელს გადააწვდის. ასე იყო წინათ.

პურის სურნელი, პირველყოვლისა, მეზობელს მისწვდა.

სამეზობლოს კი თავისი წილი აქვს.

*

დღეები კი მართლაც შემოდგომურია.

ყველანი ამბობენ, რომ წელს შემოდგომა თბილია და ზამთრამდე ერთი „პატარა ზაფხული“ კიდევ გამოვიდა. მზე ალერსიანია და დიდ-პატარა მზეს ეფიცება. ყველანი გარეთ გამოფენილან. ქალები ცალკე ჭორაობენ, კაცები იმაზე ბჭობენ, როდის ჩამოიტანონ ტყიდან შეშა. ეს მზე ნუ გატყუებთო, ერთი წამოქროლვა და ზამთარიც კარზეაო. ქალებში ვიღაცა იტყვის, რომ მაგანსა და მაგანს დღეს ნიშნობა აქვს. ვიღაცა ხითხითებს, გაასადღეს როგორც იყო (ავეიას რა გამოლევს). სხვებიც უბოროტოდ გაიცინებენ და ახლა კაცებს გადასძახებენ, არ დაგპატიუხსო? ნიშნობაში რათ უნდა დავეპატიუხეთ, საცაა ქორწილიც იქნებაო, ქორწილს უფრო გრილი დღე უხდება, ზამთრისპირი, ღვინო რომ პირდაპირ ჯანში წავიდესო. ხუმრობა გრძელდება და ახლა ურემი გამოჩნდება (ნუ დაგავიწყდებათ, ჩვენი ბავშვობის შემოდგომაზე ურემი იყო დიდ პატივში), დიდი ქვებით დატვირთული, რაც იმას ნიშნავს, რომ ვიღაცა სახლს აშენებს, მეურმე ჩერდება და ყველანი ეკითხებიან, კედლების ამოყვანა როდის დაიწყებო, ქართული კრამიტი სად იშოვეო. სადა და იყალთოში ან ვარდისუბანში, არ იცით, სადა წვავენ კარვ კრამიტსო? კალატოზი ვინა გყავთო? მაგანიო... ყველანი იცინიან (თუ ცუდი კალატოზია) ან ყველანი თავს იქნევენ, კარგი ოსტატია, გამრჯეა, მარტო ცისკენ არ იყურება, როდის ჩავა მზე, რომ ვახშმად დაფჯდეთ. ქალები სხვა კალატოზს გაიხსენებენ, იმან რო იცისო, დაჯდება და გააბამს, დილაზე წრუპავს ღვინოს, იმისი გაძღომა არ იქნებაო, მეორე დილით ჯერ ისევ ძილ-ბურანშია, მოვა და ახლა არაყს ჩაცეცხლავსო. ეებს, სადღა არიან ძველებური ოსტატებით (მაშინაც ძველს მისტიროდნენ) ან დურგლები სადღა არიანო? მერე სხვა ქალი იტყვის — ჩემი მამამთილი არ გახსოვთ, რა დურგალი იყო, იმისი გაშალაშინებული ფიცარი სარკესავით კრიალებდაო... როგორ არ გვახსოვსო, კარგადაც გვახსოვსო... და ისევ სიცილი. მოდი და გაიგე, რაზე იცინიან!

ახლა ყველანი სახლის აშენებაზე ლაპარაკობენ.

ვიღაცა ანდაზას იტყვის: „სახლი ავაგე, თავი წავაგეო“, რაც იმას ნიშნავს, რომ სახლის აგება ადვილი არ არისო. ახლა სხვა წამოეშველება — „სახლსა დიდი ცოდი უნდა, ასი ფუთი საფანელიო“ და ყველანი ხარხარებენ — ეგ ცოლზეა ნათქვამიო, ეტყობა, შენი ცოლი ვერ გაიმეტეო. ახლა ის დროა, რომელიმემ თქვას, აბა ტყუილად რას იტყვებთ მაგ ენას, დედაკაცმა ღობიო შედგა, მწნილიცა გვაქვს, ღვინო ხო თქვენც იცით და ჯანდაბას, ბარემ წამოდითო, ვიღაცა შეაშველებს — ერთი-ორ სამწვადეს მეც წამოგიღებთო და გაიჩარხა საქმე.

მაგრამ ვიდრე მართლა შეიბუდებდნენ (უკვე სადამოც წამოეპარათ), გზაზე ჩარდახიანი ურემი გამოჩნდება. პირველს მალე მეორე მოჰყვება, მეორეს მესამე... და უკვე ბაღლების ყიჟინიც ისმის, ურემს ადევნებიან და გაიძახიან:

— შეგეწიოთ!

— შეგეწიოთ!

ურმიდანაც მხიარულად პასუხობენ: დიდი მადლობაო, თქვენც შეგეწიოთ წმინდა გიორგის მადლიო.

ჩარდახიანი ურემები დაძრულან, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელ ჩვენს მხარეში გაბნეულ ეკლესიებს თავისი მრევლი უნდა მიეახლოს.

— საითკენ გაგიწევიათ, შეგეწიოთ იმისი მადლიო, — ლოცავენ ქალები.

ბაღლები კი ისევ საზეიმოდ დასტყვივლებენ:

— შეგეწიოთ!

— შეგეწიოთ!

ურმებს ფარდაგი აქვთ გადაფარებული. ჯერ წნელებით გადაურკალავთ „სახურავი“, მერე ფარდაგი მიუმაგრებიათ. ურმებში ლოგინი და ნაბდებია დაგებული და ისეთი სითბო მოდის, იფიქრებ, ნეტავი მეც გამახვია იმ თბილ ნაბდებში და ალავერდობაში წამიყვანაო. ურმის თავზე „ფარანი“ ჰკიდია. კოფოსთან საგზალი აწყვია. სადღაც ჭუჭრუტანიდან ბატკანი იტყვიტება და „ბეს“ გაიძახის. შეთქმული ბატკანია, ალბათ დაკლავენ და შესწირავენ, ჭალზე ციკანიც გამოუბამთ და ბაკა-ბუკით მიჰყვება ჭრიალა ურემს. შორიახლოს ძაღლები მოდიან. ისინიც არ დაუტოვებიათ შინ, თან წამოუყვანიათ. კაცები და ქალები ქვეითად მოდიან და, თუ დაიღვლებიან, ალბათ მერეღა შეიბუდებენ იმ თბილ ურემში.

გზა კი გრძელდება. ორი-სამი დღე და ღამე უნდა იარონ, აქა-იქ დაისვენონ, ცეცხლი დაანთონ, ივახშმონ, თვალი მოატყუონ და კვლავ გზა გააგრძელონ, ვიდრე ბოლოს არ გამოჩნდება თეთრი ტაძარი.

ნეტავი ჩვენც წავგიყვანა!

ნეტავი იმ შურა ქოფაკთან ერთად მოგვატარა ამოდენა გზა, ღამის ჩუმი გზა, იღუმალე-ბით საესე.

ნეტავი ჩვენც გაგვხვია ჩარდახის ურმის სითბოში, რომელიც სულ სხვა სითბოდ გვეჩვენება.

ნეტავი ჩვენც გვაოცნება იმ შორეულ ტაძარზე, სადაც დაგვხვდება მღვდელი, ასწევს ჯვარს და დაგვლოცავს.

სხვები მიდიან, ჩვენ კი არა,

და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, კვლავ მივაძახოთ ჩარდახიან ურემს:

— შეგეწიოთ!

— შეგეწიოთ!

მაგრამ ახლა სხვა ჩარდახიანი ურმები გამოჩნდნენ.

ასე იქნება მთელი ღამე, ასე ივლიან გადაბმულად და თითქმის დაუსრულებლად.

მთვარიანი ღამე მაინც დაუდგებოდეთ...

წვიმა მაინც არ შეხვდებოდეთ.

თუმცა რა? წვიმიანი ღამეც კარგი იქნება. წვეხარ ურემში, ფარდაგიანი ჭერი გიცავს. თბილად გახვეულხარ ნაბადში, გარეთ კი წვიმს...

ახლა კი დადგა ის დღე, რომ კარგა ხნის ნაოცნებარი ავისრულოთ:

სხვენში უნდა ავიპართ.

აპარვა რა საკადრისიაო, — იტყვიოთ და მართალნიც იქნებით და არც იქნებით მართალნი.

აპარვა იმიტომ, რომ დიდება არ გვიშვებს: რა დროს სხვენში ასვლაა, აქედანვე რომ დასჭამოთ ყველაფერი, გაზაფხულამდე რაღა გაგვეყვოს? შარშან, აღდგომა დღეს, ყურძენი და მსხლეები რომ გამოგინინეთ, კარგად აგიტყდათ ჟრიამულიო? ჯერ ეზო ისევ სასესა ხილით (სადღაა სასესე?) და სხვენში აგიშვებთო? თანაც თაობითვე ვერე თქმულა, ახალ წლამდე სხვენში ასვლა არ შეიძლება, ჰა და ჰა, შობა დღემდე, არც ჩურჩხელას გახლეწინებთ ხელს, არც ჩამიხს და არც ჩირებსო.

დიდელას ნათქვამი კანონია.

და ჩვენც, სხვა რა გზა გვაქვს, მორჩილება გვმართებს.

თანაც „თაობითვე ვერე იყო“.

და მაინც უნდა ავიპართ სხვენში, საწუწკრად კი არა, ისე, თვალის მოსატყუებლად, ცნობისწადილის დასაკმაყოფილებლად.

ვადაც დათქმულია:

დიდება რომ მზის ჩასვლის წინ ხბოს დაუწყებს მოფერებას (ამას ყოველდღე სჩადის) სწორედ მაშინ გავექრებით, მივიდგამთ კიბეს და სხვენში ავიპარებით... თუმცა არა, კიბე არ გამოდგება, ამ მაღალ კიბეს შინ ისე ვერ შევიტანთ, დიდებამ თვალი არ შეგვასწროს. მაშინ კარადაზე დავდგამთ სკამს, სკამიდან ავფოფხლებით და სხვენის სარკველს ხელით მივწვდებით. ავხდით და...

მერე ჩვენ ვიცით.

სახლის ჭერზე სხვენში ასაძრომი იყო ამოჭრილი და ხის ხუფით თავდახურული. კარგად თუ არ დააკვირდებოდი, შეიძლება ვერც შეგემჩნია, მაგრამ ასაძრომი არსებობდა და ჩვენც კარგად ვიცოდით მისი არსებობა.

შინ არავინ არ არი. ყველანი სადღაც გაკრეფილან. აი, დიდება ჩაცუცქდა ხბოსან და დაუწყო აღერსი. ხმა აქაც გვესმის, ჩემო ასეთო და ისეთო, ჩემო ნიშავ, ჩემო ხუჭუჭაო, აბა ერთი ეგ ჭკვიანი თვალეები მაჩვენეო. რა დაწირპლული ხარო... რას არ ეუბნება, ჩვენ კი მივფოფოხაეთ. სკამის საზურგეზე ვდგებით და ჰა, საძრომის ხუფს ვაწვევებით. „ხუფი“ ჯერ ჯიუტობს, მერე ერთბაშად აიწვევა და გადაიხდება (ცალი მხარე ანჯამებით აქვს დაბმული, როგორც „კარს“ ეკადრება): ვეჭიდები ჭერის ფიცრებს, მთელი ტანით ზემოთ მივიწვევ და ჰა, უკვე სხვენში ვარ... ახლა ბიძაშვილს ვანიშნებ, ნუ გეშინია, ამოდი-მეთქი და ხელს ჩამოვუწვდი. ის აქეთ-იქით იხედება და მართლა ეშინია.

ბოლოს, რაღა თქმა უნდა, ამოდის...

თვალი ბინდს ნელ-ნელა ეჩვევა.

სხვენის მცირე სარკმელს ვაღებთ და...

ეს რა სამოთხე ყოფილა?!

დაიცათ, ჯერ სული მოვითქვა.

მივაყურადოთ, დიდებას ხომ არაფერი გაუგია.

არა, დიდება თავის ფუნინასთან განაგრძობს ალერსს.

აი სხვენიც:

ჯერ ყურძნის ჩხებით, აკიდოებით და ჯაგნებით დავიწყოთ.

სახლის საყვავეზე (მთავარი თავზე, ყველაზე მძლავრი, რომელსაც კავები ეყრდნობიან, კავებზე კი მძიმე კრამიტები ჩამწკრივებულან) ლურსმნები ჩაურიგებიათ და ამ ლურსმნებზე ჰკიდია ყურძნის ჯაგნები, ჩხები და აკიდოები. ჯაგნებს თავში პატარა ოთხკუთხა ქაღალდები აქვს „სახურავად“ ჩამოცმული. ეს რას დაიჭერს? სწორედ რომ არ უნდა დაიჭიროს! მიეპარება კავებიდან გადასული თავი ჯაგანს, თავისი მოკლე ჭკუით ფეხს მოიკიდებს იმ „სახურავზე“ და ტყავ! — ძირს ჩამოვარდება. ესეც თავისებური „მახეა“, მსგავსად საფრთხობელასი და სარეკელასი.

ყურძენი უკვე შემტკნარა, მაგრამ მაინც კარგადაა შენახული. აქეთა კუთხეში მსხლები გაუფენიათ, ის მსხლები, ჯერ ისევ მწვანე რომ დაიკრიფა, ახლა კი ნარინჯისფრად გადაყვითლებულა. იქით ვაშლებია, ზოგან — ლოყაწითელი, თურაშაული, ზოგან — ჩაყვითლებული სხვენის შუაში დაკროლილი კაკალი დაზვინულა. კიდევ იმიტომ ისმის ღამ-ღამობით კაკლების ჩხრიალი. ალბათ თავგებს გაუბამთ ბუქნაობა და ჰგონიათ, რომ მთელი ეს ქონება იმათია. ჭერის კუთხეში ერთმანეთზე გადაწულან სიმინდის ტაროები, ბოლოში კი რას აღარ გაარჩევს თვალი: აკვანი, გამოუსადეგარი კიდობანი და ზანდუკი (ხო არ გადააგდებენ, ეგდოს, ვინ იცის როდის დასჭირდებათ). ძირგახვრეტილი ვარცლი, ქვაბები, ჩაუნგებული სინები და დოქები. ყველა ძველებური, ყველა ძველისძველი ყველა გამოუსადეგარი, მაგრამ მაინც გამოსადეგი, რადგან სხვენის სიბრძნე ამგვარია: გამოუსადეგარი ნივთი არ არსებობს, ოდესმე შეიძლება ყველაფერი დაგვჭირდეს.

ბიჭოს, ეს რა გდია ბნელ კუთხეში?

ძველებური დამბახა! შავი ჩაუნგებული...

რა იქნება, რომ გავისროლოთ?

არა, დიდება გაიგებს და დავიდუპებით...

ეს რაღაა?

„ბუზიკა“ — პატარა გარმონი, თავგებისაგან დახრული და ჩამტვერილი, აბა გაეწითო! დაიწრიპინა და ჩაჩუმდა ფრთხილად, არავინ გაიგოს!

ეგ რაღა იქნებოდა? ალბათ დაირა... ახლა მარტო ჩარჩოა მისი, საცრისმაგვარი ჩარჩო, ტყავის გული. ეტყობა, თავგებმა გამოჭამეს.

ესაო? ოო, — „წუწკა ლამპა!“ კონსერვის ქილის მსგავსი თავი გაუხვრეტიათ და პატრუქის მაგვარი რაღაც ჩაურჭვიათ: ნუ გელიმებათ, ბებო ამბობდა ეს „წუწკა ლამპა“ რომ ჩამოიტანა ჩემმა მამამთილმა თელავიდან, მთელი სოფელი ამოდიოდა სანახავადო. ნეტავი სულ აქ გვამყოფა...

მერე რა, თუ ხელი არაფერს ეხლება? ქურდები ხომ არა ვართ? აქ მხოლოდ ცნობისწადილმა ამოგვიყვანა. მაინც რა არის იმ საოცნებო სხვენში, სადაც შობა-ახალწლამდე ფეხის ამოდგმა არ შეიძლებაო?..

მაგრამ ქვემოთ რაღაც ხმაური ისმის.

ცოტაც და დიდდამ დასჭექა: აქ რა ამბავიაო? ეს სკამები ვინ აღმართა კარადის თავზე, ან სხვენის კარი ვინ შეხსნაო? აბა ერთი გამომხედოს, რომელია ის ვაჟკაციო! მაგრამ ვაჟკაცები უკვე ვიძალებით და სხვენის ბნელ კუთხეში ვიყუებით. დიდება წამით ჩუმდება, მერე სკამების რახა-რუხი იწყება, რასაც მშვიდი ხმაც მოჰყვება: ბრძანდებოდეთ მანდა, მე რა მენადვლება, დაგიხურამთ ჩამოსადრომს და ვნახოთ ერთი, როდემდე გასძლებთ მშიერ-მწყურვალნი, რა დიდი მეციხოვნენი თქვენა მყავხართ, მზის ჩასვლამდეც ვერ მოითმენთ, ფშრუკუნით დამიწყებთ ძახილსაო!” და ჩვენც, მეტი რაღა დაგვრჩენია, მართლაც ფშრუკუნით ვითხოვთ პატიებას, აღთქმას ვდებთ, რომ შობა-ახალწლამდეც კი არა, ეს რაღაც სხვენია თუ დარდუბალა, ფეხსაც აღარ ამოვადგამთ... და, რაღა თქმა უნდა, რომ დიდებაც დიდსულოვანია (ერთი ხანობა კი ვითომ ჩაფიქრდა, ვითომ ვყოყმანობო, და ეს „ერთი ხანობა“ საკუნედ გვეჩვენა), ჩამობრძანდითო, გვეპატიუება და თან ჩვენს მამა-ბიძებს გასძახის, ერთი დამიხედეთ ამათ ვაჟკაცობასო, თქვენც მოგროვდით მეზობლებო. მეზობლები არ მოდიან (და არც დიდებას დაუპატიჟია ისინი ხმამაღლა) და ჩვენ ნელ-ნელა, ისე, რომ ყველას თვალს ვარიდებთ („დახეთ, როგორ მიაქვს პირი მიწისკენო,“ — დაგვძახის გამარჯვებული დიდება), სკამზე მოვიკიდებთ

ფეხს (ამაში უკვე ყველაფერი გეხმარება), იქიდან რბილ ტახტზე მოვადნო ტყაპანს და პირდაპირ ეზოში გავრბივართ.

**

კიდევ რა ხდება შემოდგომაზე? ყველაზე მთავრი ღამის დაგეგვიწყდა: შემოდგომა ქორწილების დროა. ბიჭმა თუ გოგო შეიყვარა და გოგოსაც სურს, რომ ბიჭისა იყოს, ან თუ გაძვრა-გამოძვრა მაჭანკალი და ბიჭის მშობლებს შთააგონა, რომ მავანისნაირი გოგო დედამიწის ზურგზე არ დადის, მზეს ეუბნება შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდო, გოგოს მშობლებს კი უმტკიცებს, რა ჭკვიანი, რა ტანადი, რა თვალადი ბიჭი მეგულება, რო შეხედავ, იტყვი, ნეტავ შენს მშობლებსო, ბოლო უთუოდ ქორწილისაა. ერთმანეთის თვალთვალი ზოგჯერ მთელი წელი გრძელდებოდა. ქალიანნი ამბობდნენ, — რა მოუთმენლობა აგიტყდათ, შემოდგომამდე აღარ დაიცდითო? ვაჟიანნი, კვირა არ გავიდოდა, ქალის მშობლებს უთვლიდნენ, მზად იყავით, როგორც კი ღვინოს ჩავწურავთ, ქორწილი უნდა გვქონდესო. ისინი კი — ჯერ დაწინდეს ღვინოო. დაწინდეს რათ უნდა, განა შარშანდელი არ დაგვრჩაო? საწყენად კი არ გვითქვამს, ჩვენც დაგვრჩაო. და ამ დავაში და ორაზროვან სიტყვათა თამაშში მაინც ინიშნება ქორწილი და თანაც აუცილებლად შემოდგომით.

ქორწილში უნდა ნახოთ ღვინის ამოდება, პურის ცხობა, ქაღები და ნახუქები, ძროხის ბლავილი ბაკში (დაკვლას უპირებენ), ქათმის კრიახი და ინდაურების ყაპყაპი, მოპატიჟე კაცის სირბილი, მარტო ერთ სოფელში კი არა, ახლომახლო და შორეულ სოფლებშიც: ამა და ამ რიცხეშიო, ამა და ამ კაცის ოჯახშიო, ქორწილი იმართებაო. აბა, თქვენ იცით, გადმოდით, შინაურები ხართ, ან დაპატიჟება რაღათ გინდათო, მაგრამ მაინც გატყობინებთო...

ასე იყო მაშინ, ჩვენს დროში.

ვიცი, რომ ახლა სხვანაირადაა, აღარ „დამპატიჟეს კაცი“ დარბის, აღარც შეტყობინებაა ძველებური. ახლა იქაც ტელეფონები რეკენ, დეპეშები იგზავნიან და მოსაწვევ ბარათებზეც ბედნიერი წყვილია ჩოხასა და ქართულ კაბაში გამოწყობილი.

ჩოხასა და ქართულ კაბას ვიღა იცმევსო?

ვიცმევთ, ისე, წარმოდგენის გასათამაშებლად...

ჩვენს დროში კი თითო ხელი ჩოხა და ქართული კაბა, თავისი ღენაქჩიხტიკოპით, ყველას ჰქონდა ზანდუკში საგულდაგულოდ შენახული, მოვლილი და დაუთოვებულად, მოსირმული ჩოხაო, იტყვიან, ხოლმე, წელში კოხტად გამოყვანილი, თვით შეუსხედავსაც რომ გააკოხტავენ და თვალში გამოახედებს. კაბა კი სინაზისა და კდემამოსილების შემძენი, ერთი დღისა, ერთი ბედნიერი დღისა. კაცმა რომ თქვას, ჩვენს სოფელშიც აღარ იცმევდნენ აღარც ჩოხას, აღარც ქართულ კაბას. მაშინაც სამუხეუმო ექსპონატებად ქცეულიყვნენ. მარტო კლუბში სჭირდებოდათ წარმოდგენების გამართვის დროს. მაშინ ჩამოივლიდნენ ხოლმე „არტისტები“ კარდაკარ და ვის ჩოხა-ახალუსს ამრთმევდნენ, ვის კაბას, ვის დაწინდულ დალალებს, ჩიხტიკოპსა და ღენაქს, ვის კი ფარდას სცენის შესამკობლად.

არც ამგვარი წარმოდგენა იცით რა არის?

ჩვენს დროში კი დიდად იყო მიღებული.

შეიკრიბებოდა ათიოდე კაცი, სადმე იშოვიდა პიესას (ეს ან „იანანამ რა ჰქმნა“ იყო, ან „პატარა კახი“, ან „ხანუმა“ ანდა „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), იმართებოდა რეპეტიციები, იყო დიდი მზადება და ამ მზადებაში ჩართული გახლდათ მთელი სოფელი, დაიხატებოდა დეკორაციები, სცენაზე დადგამდნენ ნამდვილ ხეებს, ვითომდა ტყე არისო და ნამდვილ ფათალოებში გამოყოფდნენ თავს ლეკები, რომელთაც პატარა ქეთო უნდა მოეტაცათ...

ჩვენ წარმოდგენაზე წავედით, ქორწილი კი უკვე დაწყებულია. მახარობელი რამდენი ხანია მოვარდნილა, „მოდიანო!“ — დაუძახია და დოლი და გარმონიც ახმაურებულა. ყველანი პატარძლის მოლოდინში ყოფილან, განსაკუთრებით კი მეზობლის გოგოები, ვნახოთ ერთი, გაღმა სოფლიდან რომ მოიყვანა გოგო, ჩვენ გეჯობია თუ არაო.

ჯობნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ დაწინებით კი ვერ დაუწინებიათ და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრებულა.

პატარძალი ერთი ხანობა დაიმორცხვებს.

მერე ცოტა მოშინაურდება და ეზოში გავა.

მერ ღობის გადაღმაც გადაიხედავს და დობილებს გაიჩენს.

მერე ყველაფერი თავისი გზით წავა.

**

ქორწილი მოვითავეთ და ახლა ღორის დაკვლა არ დაგვაფიწყდეს, დეკემბერში, სიცივეში, ქონი ცალკე უნდა ოჯახს, შაშხი ცალკე, მთელი წლის სამყოფი და მაწიერი. ღორი უკვე ჩასუქებულია. ვინც შეძლებულია, ერთი კი არა, ორი, სამი და მეტიც დაუდის ეზოში, ვინც არა, მისთვის ერთი ღორიც ქონებაა. დააბოტებს, ღრუტუნებს, მთელი თვეა, რაც სიმინდის მარცვალს აღარ დააჯერეს, სალაფავზეც მიუშვეს (დადერღილი სიმინდისაგან უკეთებდნენ, მსგავსად ფაფისა). რა იცოდა საწყალმა, რისთვის ასუქებდნენ, რას უპირებდნენ.

ბოლოს დადგა ეს დღეც.

დაჭერა დაუპირეს.

რადაცა იგრძნო და გაიქცა.

გამოდევნა ხუთი ვაჟკაცი, ეზოს კუთხეში მოიმწყვდიეს, თავს დაესხნენ, გაკოჭეს და მერე ყველაფერი ერთ წამში მოხდა.

ახლა დიდ ვარცლშია ფეხებაფშეკილი და ზემოდან მდუღარე წყალს ასხამენ, ჯაგარს აცლიან, საგანგებოდ ღვრეჭენ.

აბა, სუკები აქეთო...

გულ-ღვიძლი აქეთ, ყაურმისათვის ჩავეაროთო.

გარეცხვა რათ უნდა, ეგრევე ცხლად უნდა ჩაიკუწოსო...

უბანში დგება საამო სუნი.

მეზობელს ახლაც არ ივიწყებენ და მიაწვდიან სამწვადეს.

მერე მამა აიღებს კიდევ სამწვადეს, გაახვევს ქალაღში და „ზავოტზე“ მიდის...

არც „ზავოტი“ იცით რა არის?

არის სახდელი!

ესეც წინათ იყო...

არყის სახდელ „ზავოტს“ უთუოდ ხევში დგამდნენ, რიყეზე, სადაც წყალიც უდგებოდა, წყალი სჭირდებოდა გამოხდას. წყალში უნდა გაიაროს ჭაჭის ცხელმა ორთქლმა და მაშინ წამოვა პატარა მილიდან წანწკარით ერთნახადი არაყი.

ღუმელი, ცხადია, შეშით ხურდება.

ღროდაღრო იმ შეშის ნაკვერჩხლები თბებიან ღამდამობით და ამ ნაკვერჩხლებზე შეშინებს ახლად დაკლული ღორის მწვადები. და ვიდრე მამა თავის ძმაკაცებს მწვადებით უმასპინძლდება, ვიდრე კვლავ დალოცვია მოსავლისა და ჭირნახულისა, შინ სხვა ფუსფუსი ატეხილა: ღორის დაკვლა უხინკლოდ არ ჩაივლის, აბა, შენ გეხერხება დაკუწვაო, პაპას უთხრეს და პაპამაც შეარჩია სახინკლე რბილი ხორცი, ზომიერად მჭლე და ზომიერად მსუქანი გაშალა სქელ, გაშალაშინებულ ფიცარზე, აიღო ბასრი ხანჯალი და დაიწყო ხორცის დაკეპვა. იქით უკვე ცომი მოეზიდათ ქალებს და ახლა სახინკლედ წვრილ-წვრილ ცომის ნაჭრებს საგანგებოდ აბრტყელებდნენ, წამში შეზავდება ხორცი (ცოტა მწვანილი, ცოტა წიწაკა, ცოტა ხახვი) და მოხვეული ხინკალი ტყაპატყუპით ცვივა უკვე აქაფებულ მარილწყალში.

ხინკალს ოც ნაოჭზე ნაკლები არ უნდა ჰქონდეს, თუ ოცდახუთამდე აიყვანს გამოცდილი ოსტატი, მთლად უკეთესიო, სახელგანთქმული მეხინკლე გახდება და ამით მხოლოდ ჯაფა მოემატბა: როცა კი ხინკალი მოენატრებათ, ყოველთვის იმას მოახვევინებენ, შენ ყველაზე კარგად იციო.

თქვენ მარტო ჭამა იცითო?

მონდომებით კი ეტყობა, ბევრჯერ მოუნდებათ, ზამთარი წინ არი...

**

ასე მთავრდება ჩვენი შემოდგომა.

რალა დარჩა?

საცაა თოვლს ჩამოჰყრის.

დილაობით უკვე დათრთვილულა მიდამო.

კავკასიონის ქედები გადათეთრებულია და თოვლი ნელ-ნელა ქემოთ და ქემოთ ჩამოდის.

მოდით, ერთხელაც წავიდეთ ვენახებისკენ და დავემშვიდობოთ შემოდგომას.

დღესაც მზიანი დარია და ჩვენც მივიღვართ.

გზაზე გადავდივართ. მთიდან მწვემსები ბრუნდებიან. ისევ მოუძღვის ფარას ვაცი. ისევ მოდიან ხურჯინგადაკიდებული ცხენები და ისევ მოჰყვებიან ავად მზირალი ქოფაკები, დიდი სიხარულია. დიდი სალმინობა. მიწოდება ერთი ჯამი ღვინისა, შოთეებისა და გუდის ყველისა, დალოცვა და მხიარულება, მწვემსებს ხელში ბაღლები უჭირავთ, ასე მონატრებულნი და სიხმრად ქცეულნი. ნამდვილი ალერსის დღეა. იქითა ეზოში ვიდაცა თივის ზვინს ასწორებს. შარაზე ჩაირბენს ცხენოსანი, ალბათ მოპატიჟა, ნიშნობა ან ქორწილი იქნება. ყველაფერს ყვითელ-წითელი ფერი აქვს, ყველაფერს შემოდგომის მიწურვილის მთვლემარება მოსდებია. ის საუბარიც, ღობის გადაღმიდან რომ ისმის, ხმადაბალია და რაღაც დაბინდულ ფიქრებში ჩაძირული.

სოფელი მთავრდება და ვენახები იწყება. ვენახებს გადაღმა მინდვრებია. მინდორში გუთნეული გაუშვიათ და ხნავენ. შემოდგომის სიყვითლეში ახლადმოხსნილი მიწის შავი ფერი შემოიჭრება.

მზე ხან გამოიხედავს, ხან ღრუბლებში გაეხვევა.

ვენახები ცარიელია. ფოთლები ცვივა და სინუმეში გვესმის მათი ფაჩუნი. ფოთლები ჩამოდის ხეებიდანაც. და მაინც. აბა კარგად დააკვირდით, აბა „გორგორა“ ნართვლევ ვენახში შერჩენილი მტევნების ძებნა მოვაწყოთ. თუმცა ძებნა რაღად უნდა, გაშიშვლებულ ვახებში უკვე ყველაფერი ხელის გულივით მოჩანს. აი, ის მტევანი, რთელის დროს რომ ფოთლებს ამოეფარა და მიყუჩდა, ახლა ამაოდ იხედება, სახეა-ლანძული და ჩაშაქრებული, ახლა ჰგონია, რომ ყველა საშიშროება უკან დარჩა და თამამად შეუძლია ყელი მოიდგროს; აგერ კიდევ მეორე მტევანი, ვაზის ჭიგოს ამოფარებული; იქითა რიგებს გადასწვრივ — კიდევ ერთი, რა საამო, რა ქარვისფერი, რა ტკბილი! ვენახის ბოლოში შიშველ ტოტზე ვაშლი და მსხალი შერჩენილა. კაკლის ქვეშ უკვე ფოთლებს გაუდით შარიშური და ხან აქ, ხან იქ ფეხი ედება ტოტიდან ჩამოცვენილ კაკლებს, შემტკნარი ლედვები ტოტიდან გიხმობენ, იქ კი, სადაც მინდვრები იწყება, წითელი აკილები და ღოღნოშოსფერი კვრინჩხები გეპატიჟებიან.

რა მზეა, რა სინუმეა, რა მთვლემარება და რა მოლოდინი...

მაგრამ ეს მზე და ეს მთვლემარება დიდხანს აღარ გასტანს.

დაიწყება ჟინჟელა და წვრილი, შემოდგომის გაუთავებელი წვიმები.

**

ახლა იქ, ტყეში წვიმს. იქაც ზამთრის მოლოდინია.

ხეებიდან თოვლის მსხვილი ფთილებივით ცვივიან წითელ-ყვითელი ფოთლები. მოუსვენარი ციყვები დახტიან ტოტებზე, ფოთლებში ხან რა გაიფაჩუნებს ხან რა, მერე წამოვა ნისლი და ხის წვერებს ჩამოეძენძება, ხელის გაწვდენაზე აღარაფერი ჩანს. გარშემო დუმილია, მარტო კოდალას კაკუნი, ღელიდან წამოსული წყლის ჩხრიალი და ფოთლების ცვენის ხმა ისმის. სოროდან თხუნელა გამოძვრება, მიიხედ-მოიხედავს და ისევ სოროში შევარდება.

ასეთ დროს ვაჟა-ფშაველა დაწერდა:

„ამოსდის ხეებს ფოთოლი,
იძრცვება მთელი ბუნება,
ნადვლით იმსჭვალვის და ფიქრით
ცხოველთ-ფრინველთა გუნება“ .

ის ჩიტი კი, გაზაფხულის პირას რაღაც ნათლის მოლოდინით შეპყრობილი რომ იჯდა ხის შიშველ ტოტზე, ისევ გამოჩნდა ნისლები ზემოთ წავიდნენ და ახლა ჩიტის თავზე წვრილი წვიმა ცრის. ჩიტის არსაითკენ მიმავალი მზერა მხოლოდ მოლოდინს გამოხატავს. ეს უკვე ზამთრის მოლოდინია, ნადვლით და ფიქრით გამსჭვალული მოლოდინი.

ჩიტი გარშემო იხედება: მთელი ტყე უკვე შიშველია.

ამ დროს ერთი წითელი ფოთოლი მოსწყდება ხის კენწეროს და ნელა, ჩუმი ოხვრით ეშვება მიწისკენ, რათა მოძმეთა შორის დაიდოს ბინა.

შემოდგომის უკანასკნელი ფოთოლი...

მაგრამ ეს მხოლოდ იმ ნადვლიანმა, ზამთრის მოლოდინით შეპყრობილმა ჩიტმა იცის.

**

ჩვენც კვლავ სევდით დავემშვიდობოთ შემოდგომას.

სევდით რატომ?

იმიტომ, რომ დრო არ ჩერდება, მუდამ წინ მიისწრაფვის და ეს შემოდგომაც აღარასოდეს განმეორდება, ამ შემოდგომასაც, თქვენთან ერთად რომ გავატარეთ, ვეღარასოდეს დავიბრუნებთ.

თავისი ანდერძი დაგვიტოვა და სამუდამოდ წავიდა.

მერმის რომ შემოდგომა მოვა, ის უკვე სხვა შემოდგომა იქნება, შემოდგომა, მაგრამ მაინც სხვა.

შემოდგომაც სამი თვისაგან აიკინძა.

სექტემბერი ლათინური სიტყვიდან მოდის „სეპტემ“ შვიდს ნიშნავს და ეს თვე მართლაც მეშვიდე იყო ძველ რომაულ კალენდარში.

ნოემბერიც ძველი რომაული კალენდრიდან მოდის, რაკი „ნოვემ“ ლათინურად სწორედ ცხრას ნიშნავს, ანუ მეცხრე თვეს.

ძველად საქართველოში ამ თვეებს ერქვა:

ახალწლისა (ძველად სექტემბერში იწყებოდა ახალი წელი).

სთვლისა.

ტირისკონი.

ხალხური სახელწოდებანი კი ამგვარია:

ენკენისთვე.

ღვინობისთვე.

გიორგობისთვე.

და რაკი წინაც გითხარით, რომ თავისი წრიული მოძრაობის გზაზე ჩვენი მზე ყოველთვის ამა თუ იმ თანავარსკვლავედში იმყოფება, ამ შემოდგომაზე, ჩვენ რომ თქვენთან ერთად გავატარეთ, მზემ სამი თანავარსკვლავედი გაიარა:

„სასწრი“.

„ღრიანკალი“.

„მშვილდოსანი“.

გავიარეთ ცის ამოდენა სივრცე ჩვენს პატარა პლანეტასთან ერთად, რომელსაც დედამიწა უწოდებს.

დამთავრდა შემოდგომა და ახლა ზამთარს ველოდებით... ისღა დაგვრჩენიან გავაცილოთ რაც ლამაზი იყო და რაც შეიძლება ვეღარასოდეს ვიხილოთ.

სიცოცხლის წარმავლობაშიც არის თავისებური სილამაზე...

გეტოვებს შემოდგომა და გზას უთმობს იმას, ვინც აუცილებლად უნდა მოვიდეს.

წარმავლობის სევდით შეპყრობილი პატარა ჩიტი, ნაწვიმარ ტყეში, შიშველ ხის ტოტზე მარტოდმარტო, ნაღვლიანად ელოდება ზამთარს...

ზამთარი

თოვლი მოსულა!

ვიდრე ამას სიხარულით შევძახებდეთ, ან კიდევ ბებო ან მამა ჩაგვჩურჩულებდნენ ყურში დილაადრიანად, აბა, გადასწიე სარკმლის ფარდა და გარეთ გაიხედეთ (გარეთ კი ყველაფერი ახლად მოსული თოვლით იქნება გადათეთრებული), ერთხელაც, და ალბათ ჩვენს „ოთხ დროში“ უკანასკნელად, თვალი მოვაველოთ იმ ვრცელ ველს, რომლის იქითაც კავკასიონის მთები დაყუდებულან. მთებზე უკვე კარგა ხანია დათოვა. მერე თოვლი ქვემოთ და ქვემოთ ჩამოვიდა, ახლა ჰა და ჰა, დღე-დღეზე ველით, ვიდრე აქაც, ჩვენს სოფლამდეც ჩამოაღწევდეს.

ყველაფერი ზამთრის მოლოდინს შეუპყრია: მთიდან შეშა მოაქვთ და ისე მოდიან, თითქოს ზამთარი ფეხდაფეხ მოსდევთ. მოლოდინი იგრძნობა მაშინაც, როცა ვიღაცა სადღაც ემურება, სადღაც ემურება ათიოდე ჩიტიც, ერთ მწკრივად დაწყობილი, და ჩვენ არ ვიცით, ამათ მაინც სადღა ეჩქარებათ, ჩიტები ხომ რა ხანია გაფრინდნენ და ალბათ კიდევ ჩააღწიეს იმ ქვეყანას, სადაც ჩვენებურ ზამთარს გაერინდნენ, ღრუბლებიც მიდიან, ისინიც ჩქარობენ, და ჩვენ არ ვიცით, ან იმათ საით გაუწევიათ. თითქოს ყველამ რაღაცის მოახლოება იგრძნო. ასე ხდება ხოლმე ჭექა-ქუხილის ან წვიმის წინ, როცა სადაცაა წამოვა მსხვილი წინწკლები და ვჩქარობთ თავის შეფარებას, იმ წამში თითქოს ქვეყანა გაირინდება, ჩქამი არ ისმის. სიო არ იძვრის...

და აი, ჩამოდგა უკანასკნელი წუთები მოლოდინისა.

ნუთუ ვერ მოვიხელთებთ იმ წუთებს, როცა ციდან თეთრი ფანტელები წამოვლენ? ნუთუ თვალს ვერ შევასწრებთ იმ პირველ ფანტელებს, ვიდრე დედამიწაზე დაეცემიან და მერე, ერთმანეთის მიყოლებით წამოსულნი, მთელ არემარეს გადაათეთრებენ?

მაგრამ თოვლი ჯერ მაინც არ მოდის.

ეტყობა, მოულოდნელად მოვა, ჩვენ რომ ვერაფერს გავიგებთ იმ დროს.

და აი, დილაადრიანად ვიღაცა ჩაგვძახის:

თოვლი მოსულა!

ეს უჩვეულო, მაგრამ ნანატრი ხმაური გაღვიძებს. ვიღაცა ვიღაცას გასძახის, ვიღაცა პასუხობს. ეს ხმაური არც ერთ სხვა ხმაურს არ ჰგავს. რაღაც საზეიმოა, განსაკუთრებული, რაღაც მოხდა იმგვარი, რაც იშვიათად ხდება:

თოვლი მოსულა!

აკი კარგა ხანია ველოდით, მაგრამ მაინც თითქოს მოულოდნელად მობრძანდა. წუხელ მოსულა, ჩუმად, ძილს რომ მივეცით თავი, დაუწყია და დილამდე ყველაფერი გადაუთეთრებია.

პაპას ნიჩაბი გამოაქვს და თოვლში ბილიკს კვალავს, ბებო ეჩხუბება, თბილი რამე მაინც მოიხურეო, ბედურები დათოვლილ ტოტებზე ფრთხილდებიან და თოვლს პირდაპირ პაპას აყრიან თავზე. საჩეხი და აივანიც დათოვლილა და დედა ცოცხით ჰგვის. შეშა უკვე დახერხილი და დაპობილი გვაქვს და ბუხარი საამოდ დუღუნებს, გარშემო სითეთრეა, პირველი თოვლის სითეთრე. ეს თეთრი ფერი და გადათოვლილი კარ-მიდამო სამუდამოდ უნდა დავიმახსოვროთ, რადგან ცოტა ხანიც და პირველყოფილი სილამაზე დაირღვევა: ვიღაცა ეზოს გადათოვლავს, ბედურები ტოტებიდან ჩამოჰყრიან თოვლს. გაიკვალება ბილიკები, შეიძლება უცებ მზეც გამოვიდეს და გზები ატალახდეს. ეს თოვლისფერი სითეთრე და თოვლის სიჩუმე ერთი გაელვებისაა, მაგრამ ხსოვნაში სამუდამოდ ჩასარჩენი.

აკი ვამბობდი, საშობაოდ მოვა თოვლი-მეთქი, — ამბობს ბებო, — თაობითვე ეგრე იყო, საშობაოდ დასდებოდა ხოლმე, პაპა დასცინის, მზიანი შობადლე ჯერ არ გინახავსო? კარგი საშობაოდ თუ არა, საახალწლოდ მაინცო, — უთმობს ბებო, ახალწლამდეც რაღა დარჩაო.

შობა-ახალწელზე საუბარი დილიდანვე იწყება. ყველანი იმ დღეებისათვის ემზადებიან. მეზობლიანთ თანდილას ქოხიც ემზადება. ღარიბია თანდილა, ერთი ნინუცა ყავს — ეშმაკობით სავსე ცოლი და სხვა არაფერია. შვილები მსოფლიო ომში დაეხცოდა. რა ახალი წელი უნდა დაუდგეს, მაგრამ ისიც ემზადება, ერთი მჭლე ღორი ყავდა ძლივს მოასუქა და ახლა ვერ გადაუწყვეტია, როდის აჯობებს — საშობაოდ დაკლას თუ საახალწლოდ, გადმოვა ნინუცა თავის დაქალთან, ჩვენს ბებოსთან და, როგორც განათლებულს და „სადმართო წერილში“ განსწავლულ ქალს, ეკითხება, როდის უფრო ღვთისნიერი იქნება ღორის დაკვლა, საშობაოდ თუ საახალწლოდო, ბებო ტუქსავს, თუ ღვთისნიერობა გინდა, საშობაოდ მარხვა რად დაგავიწყდა, თუ არადა რით ვეღარ გაიგეთ, ღმერთს ხორციელის ჭამა რომ არ უყვარსო, ღმერთს ტკბილეულით უნდა მივეგობოთო. ტკბილეული სადღა გვაბადიაო — იცინის ნინუცა და იცის, რომ ამით ბებოს შეაბა ეჟვანი. დღეს არა ხვალ ბებო, ყველასგან დაფარულად, ან თაფლს გადაუტანს — გოზინაყი გააკეთეო, ან ბადაგს და თავისებურად ეტყვის — ბადაგი მაინც ვერ შეინახე, ერთ დღეში რომ იცით ყველაფრის მუცელში ჩაყრაო, ალბათ არიან ერთ სიცილში, მუჯლუგუნების წაკვრაში და ნინუცას ღოცვა-კურთხევაც იქვეა — მრავალი ახალი წელიწადი გაგითენოს ღმერთმაო.

და მაინც, წამოსვლის წინ, ნინუცა კვლავ გამოედევნება ბებოს და კვლავ ჰკითხავს, როდის აჯობებს ღორის დაკვლა, საშობაოდ თუ საახალწლოდო.

ბოლოს მაინც საშობაოდ დაკვლავენ.

თითქოს განგებო, თანდილას ღორი, როგორც კი ხელსა სტაცებენ, მთელი სოფლის გასაგონად ჭყვივის, ქვეყანას უხმობს — მიშველეთო.

და თანდილასაც უხარია, მთელ სოფელს ესმის, — თანდილაც ღორსა კლავს...

სწორედ საშობაოდ მოვიდა დიდი თოვლი.

ჩვენ ამას ზოგჯერ „ნამდვილ თოვლს“ ვეძახით, უხვს, ერთბაშად მოსულს, მთელ არემარეს რომ გადაათეთრებს.

შობა-დღეში ქრისტეს შობა იგულისხმება, ოცდახუთი დეკემბერი ძველი სტილით და დეკემბერს სომ ქრისტეშობის თვეც ჰქვია ძველებურად.

დიდი ზეიმის დღე იყო.

მთელი საქრისტიანოს ზეიმი.

ყრმა იესოს შობა ბეთლემში საგანგებოდ აღინიშნებოდა ყველგან, და ცხადია, ძველ საქართველოშიც, როგორც ძველთაძველ საქრისტიანო ქვეყანაში.

**

მოდით, ჩვენ თოვლის მოსვლა ვნახოთ.

აკი ისე დადო, რომ ვერც შევაგლეთ თვალი, ძილში ვიყავით წასულები. გათენდა და თეთრად იყო მთელი სოფელი გადალესილი, ხო, ახლა ისევ ნელ-ნელა წამოვიდა ფანტელები და ჰა, ხვავიანადაც დაიწყო ბარდნა. შინიდან უკვე სიმღერა გამოდის, ჩვენ კი ცოტა მოვცილდეთ სახლ-კარს და სოფლის იქით გავიხედოთ. რა მსხვილი ფანიტელებია, თითქოს ბებოს დაჩეხილი მატყლის ფთილებიაო, რა უთვალავი, რა ხვავრიელი! ჩამოდის ციდან და ბოლო არ უჩანს, შავად მზირალი სახლებისა და ხეების ფონზე ეს თეთრად დაწინწკლული ფარდა თოვლისა ყველაფერს ზღაპრული იდუმალების სამოსში ხვევს. რა სიჩუმე ჩამოვარდა! ყურს თუ კარგად მიაპყრობ, მხოლოდ ფატელების შრიალიდა ისმის. სიმღერაც მიწყდა. აღარც ცუფს აკაკუნებს ვინმე, აღარც ხბო გასძახის დედას, აღარც ჭიშკარი ჭრიალებს: ნუთუ მთელი სოფელი მხოლოდ იმიტომ გარინდულა, რომ ბუნების ამ საოცარი და იდუმალი ნახატით სულში ჩადვრილი ნათელი სამარადისოდ დაირჩინოს და თქვას: მოვედი და რა არ მინახავს, მარტო ის რად ღირდა, თეთრად რომ ბარდნიდა, მე კი ვიდექი და გარინდული ვუსმენდი ფანტელების შრიალსო. ამიერიდან, როცა კი ზამთარი გაგვახსენდება, როცა კი ზამთარი მოგვენატრება, თვაღწინ სწორედ ეს სურათი შემოგვანათებს: შავი სახლებისა და ხეების წინ თეთრად დაწინწკლული თოვლის ფარდა...

**

შობას მოჰყვება ახალი წელი... ხალხი გალადდება. მოხშირდება ქეიფი. მისვლა-მოსვლა. ზამთარია და საქმე არა აქვთ, და როგორც ვაჟა-ფშაველა იტყვის, სისხლი აფუვდება ძარღვებში. გაადვილდება მუშტის ხმარება, ჩამოვარდება შუღლი, შეძულება... მაგრამო, ამბობს აქვე მწერალი, ამან შეიძლება ბევრი-ბევრი დიდმარხვამდე გასტანოსო. დიდმარხვაში კი... დიდმარხვაში შერიგება უნდა მოხდეს უსათუოდ, მანამ არ შერიგდებიან, ზიარება, წმინდა საიდუმლო არც ერთს მაშფოთარს არ ერგება.“ სოფელს მტკიცედ ახსოვს ჯერ კიდევ ძვირფასი სიტყვა იესო ქორისტესი: „უკეთუ შესწირვიდე შესაწირავსა საკურთხეველსა ზედა და მუნ მოგეხსენოს შენ, რამეთუ ძმა შენი გულძვირ რაიმეა შენზედ, დაუტყვე შესაწირავი იგი საკურთხეველსა ზედა, წარვედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა, მოვედ და შესწირე შესაწირავი იგი“.

მაინც რას ამბობს ეს შეგონება? იმას, რომ შობა-ახალწელიწადი, დიდმარხვა და თვით მთელი ზამთარი ფიქრის დრო ყოფილა, საკუთარ სულში ჩადრმაგების დრო და, რაც მთავარია, მოყვარეზე, ანუ სხვაზე ფიქრის დროც. თუ ვინმესთვის, ნებით თუ უნებურად გული გიტკენია, ზამთრის გრძელი დამეები და თოვლიანი დღეები ახლა იმას ჩაგჩურჩულებენ, რომ დროზე მიხვიდე მოყვასთან, ხელი გაუწოდო და უთხრა, რომ ყველაფერი, რამაც გული ატკინა, დაივიწყოს, სამუდამოდ გაატანოს ამ თოვლს და ამ ზამთარს. თუ ეს არ მოხდა, მაშინ თქვენთვის ზამთარს ამაოდ ჩაუვლია, მაშინ ზამთარი ფიქრისა არა ყოფილა და აღარც ზამთარი ეთქმის.

ბედნიერი დღეა ახალწლის დღე. ალბათ, ყველაზე ბედნიერია იმ ოთხ დროში, ერთმა წელმა რომ უნდა გაიაროს. საახალწლოდ, ასე გვგონია, მთელი წლის მანძილზე ვემზადებით. საამდღოდ გვინდა ყველაფერი, რაც კი რამ კარგი გაგვაჩნია: საახალწლოდ ყველაზე თვალადი ხილი ყველაზე ძვირფას მეგობრებს, ნათესავებს და მოყვრებს. ახალ წლამდე ხელს არაფერს გახლებინებთო, — იმუქრებოდა დიდედა, არც სხვენში გვიშვებდა, არც კიდობანს გვაკარებდა და აჰა, ეს ახალი წელიც მოდის...

დიდედამ სხვენზე კიბე მიიდგა. სხვენის ვიწრო ასაძრომი დიდის ამბით ახსნა და დიდედა მადლა აპირებს ასვლას. აქედან მამა წამოდგა, იქიდან დედა, რძლებმაც ხმა ამოიღეს, აბა როგორ იქნება, დედი, ზემოთ შენი ასვლა, ან ფეხი დაგიცდეს, ან იმ სიბნელეში სადმე წაიქცე, ჩვენ არ გვენდობი, ჩვენ შენზე ნაკლებად გადავარჩევთ გადასარჩევსო? მაგრამ დიდედა ყურს არავის უგდებს... პაპა იცინის მიუშვით, არ იცით, რა თა-

ვისნათქვამაა, მაგას რა წააქცევს, მთელი სხვენი ხუთი თითივით იცისო. დიდდაც უფრო ჯიუტობს, რატომ მაშინ არ დამიშალეთ ასვლა, ჯაგნები და ხილი რომ ამქონდა, რატომ დაბინავებაში არ იყავით მარჯვენი, ჩამოტანა ყველას შეგიძლიათო, როველში ყველანი ხალისიანები ხართ, თოხის აღება გეზარებათო. მაგრამ არავის არაფერი სწყინს, ყველამ იცის, დიდდა დღეს ძალზე კარგ გუნებაზეა დ ხუმრობს. ესეც რომ არ იყოს, ახალ წელს წყენა როგორ შეიძლება, ახალი წელი წყენის დავიწყების, ღიმილისა და ალერსის დროა.

სხვენში ასვლა დიდდასათვის „როველია“, როველივით განსაკუთრებული და სახეიმო. ყველანი, დიდიან-პატარიანად, ვწუმიდებით, რაკი ვიცით, რომ დიდდა, როგორც კი სხვენის იდუმალ სიბნელეში გაუჩინარდება, მაშინვე ჩამოგვძახებს, აბა, თქვენც ამოდით, ბიჭებო. „ბიჭები“ ჩვენა ვართ, შვილიშვილები, სწორედ ისინი, ვისაც დიდდამ სხვენის გაქურდვაზე მოგვისწრო და ისე შეგვარცხვინა, უკუღმა არ შეგვსვა ვირზე და სოფელზე არ ჩამოგვატარა, თორემ არც არაფერი დაგვაკლო. ასეც იცოდნენ უწინ, თუ ვინმე რამეს დააშავებდა, შესარცხვენად და თავლაფდასასხმელად ვირზე შესვამდნენ და უბან-უბან ჩამოატარებდნენ. მაგრამ, ეტყობა, ჩვენი ცელქობა მაინც მხოლოდ ცელქობა იყო და ამოდენა შერცხვენად არ ღირდა.

ჩვენც აუფრინავთ კიბეზე და მაშინვე გუჩინარდებით ბნელ, ხახადაღებულ სხვენში.

იქ კი ისევ სამოთხეა, თუმცა სიბნელით ბნელა, ზამთრის დრუბლიანი დღის ჩაღამებული ნათელი ერთი ბეწო სარკმლიდან, ვიწრო საჩიტებიდან და საყვავის დრიჭოებიდან სხვენში ძლივს აღწევს. დიდდა ასანთს იღებს და ხელის ფათუროთ „ლამპას“ ეძებს. გაკრავს ასანთს და ლამპის ალი ავარდება. მერთალ, ყვითელ ნათელზე უფრო ჩაყვითლდებიან მსხლები და ვაშლები, კომშები და ყურძნის ჯაგნები. დიდდა დგას და თავის სამფლობელოს ამაყად გადასცქერის. თვალებით ეალერსება. მერე იღებს კალათს და იწყებს ყველაზე უფრო თვალმისასვლელი ხილის შერჩევას...

ქვემოდან რაღაცას ამოგვძახიან.

ხან ერთი ბიძა, ხან მორე, ხან ერთი ძალო, ხან მეორე, თავს ამოჰყოფენ სხვენში და რაღაცას ამბობენ. მაგრამ ჩვენ არავის ვუსმენთ, ჩვენ პასუხს არ ვიძლევი. ჩვენ გაამაყებულნი ვართ, როგორც ამოდენა სიმდიდრის, ანუ საოცნებო სხვენის ბატონ-პატრონნი.

ასე გგვონია ამ სხვენით მოხდა დასრულება ერთი დიდი წელიწადისა. ეს იყო ყველაფერი და მოსახდენი მოხდა, ამ დღეს ველოდით, სხვენში მოდიოდა ყველაფერი, რასაც გაზაფხულიდან შემოდგომამდე ჩვენი ფიქრი ელტვოდა, სხვენზე ვოცნებობდით, ჩვენც და აბა, აქა ვართ! აქა ვართ როგორც ქურდები კი არა, როგორც ბატონ-პატრონნი ყველაფრისა, აქ არის დიდდა და ჩვენ ის გამორჩეული ხალხი ვართ, ვისაც დიდდამ მისცა ნება ამ ყველასაგან გამორჩეულ წუთებში აქ იყოს. რა კარგი ყოფილა ზამთარი!

რა კარგი ყოფილა სხვენი!

ნეტავ სულ ზამთარი იყოს...

მაგრამ დიდდა თავის საქმეს მოიმთავრებს, ჩვენ რაღაცას დაგვავალებს და ამით ერთბაშად გვაგრძნობინებს, რომ სულ ზამთარი ვერ იქნება და სულ სხვენში ყოფნაც ქარაფშუტობაა და მეტი არაფერი.

სხვენს რომ მოვათავებთ, ახლა მარანში შევდივართ.

იქ კიდობანი გველის, ჩურჩხელებით, ჩამიჩითა და ჩირებით სავსე კიდობანი. დიდდა იქაც წინ მიგვიძღვის, მერე ჩვენ მივყვებით, ჩვენს უკან ქალები მოდიან, ოღონდ ცოტა მოშორებით, ცოტა შორიახლოს. დიდდა კიდობანთან ჩერდება, ქალებს გადმოსედავს, რას შემოგვცქერით, საქმე დაილიაო, რამდენი რამაა საახალწლოდ მოსასწრები, წადით, მიხედეთო და ქალებიც კრძალებით დაიშლებიან.

დიდდა წინსაფრის ჯიბეში იქექება, ბოლოს დიდის ამბით ამოიღებს ძველებურ გასაღებს (ეს საპატიო გასაღები მხოლოდ დიდდას აბარია) და კიდობნის ხვრელში უყრის.

კიდობანი ზრიალით იღება.

აბა, საოცრებავ!

მართლა რა ყოფილა ეს ახალი წელი... კიდევ კარგი, დიდდას დავეუჯერეთ და ახალ წელს დავეუცადეთ, ასე რომ არა, ამას ხომ ჩვენი თვალთ ვერა ვნახავდით, ეს

დამატრობელი სუნი ბადაგისა და ხილისა ხომ მთელი ცხოვრება ვერ გაგვევებოდა საგ-
ზლად...

ქალები სათონეში გასულან.

საახალწლოდ შოთები და ლავაშები ცხვება.

ნაზუქის ცომი ჩაკვრას ელის. ცოტაც და ხილის და ბადაგის სურნელებას ნაზუ-
ქის სუნიც შეერთვის.

მაგრამ ეს ვინ არიან, თონის კედლებზე რომ გამოუკრავთ და იქიდან შემოგვცქე-
რიან?

ბასილა!

ხელგაშლილი გვილოცავს ახალ წელს.

გაბოტილა.

ჩამიჩისაგან გაკეთებულ თვალებს გვიპაჭუნებს.

გუთნები, წაღლები, ცულები, ბარები...

შრომა რომ დაგვებედოს იმიტომ...

ჯარა, თითისტარი... — ეს, ეტყობა, გოგოებისთვის ცხვება...

და აი, დადგა ახალწლის ღამე. პური უკვე გამოცხვია. ნაზუქები და ქაღებიც
მზად არის. თვალებს ატყეცს „ბასილა“, პურის ხმლები და თითსტარები ხონჩაზე დაბ-
რძანებულან. ბუხარში შეშა უფრო საამოდ ტკაცუნობს და ოთახსაც უფრო აჩირაღ-
დნებს.

მამამ მარნიდან ახლადამოღებული ღვინო ამოიტანა. ბებომ კედელზე ყურძნის
ჯაგანი, ჩხები და აკიდოები ჩამოკიდა. ერთი გორგომიჭყელა ჩურჩხელაც ბუხრის თავზე
ჩამოკონწილდა და სუფრაზეც საამოდ ჩარიგდნენ ვაშლები და მსხლები, ბროწეულები
და ჩირები. და იქვე, იმათ შორის გამოჩნდა ტყიდან ჩამოსული ჩამუქებული და ჩატკბი-
ლებული ზღმარტლი. ეს რა ყოფილა ახალი წელიწადი, რამოდენა ხილი დახვავდა და
თანაც რა ლამაზად არიგებულ-ჩარიგებული!

მაგრამ ის, რაც ყველაზე მთავარია, ჯერ ახლა კეთდება. დედა ღუმელთან ტრი-
ალებს და ოთახში იმგვარი სუნი დგას, რაც მხოლოდ ახალ წელს შეიძლება იგრძნო,
— მღუღარე თაფლის სუნი. ნიგოზი უკვე დაუჭრიათ და თხილის გულებიც თეთრად
დადლადებენ. თაფლი რომ კარგად დადუღდება, ამ ნიგოზს თაფლში ჩაყრიან და, კარ-
გად რომ მოშუშდება, ფიცარზე დააგებენ. ნეტავი შეიძლებოდეს ახლავე ხელის ჩავლე-
ბა იმ რაღაც გოზინაყისა, მთელი წელიწადი რომ გეპირდება დედა. ან თაფლში მოხა-
ლული თხილი გვაგემა მანამ, ვიდრე ახალი წელი მართლა მოვიდოდეს... მაგრამ დედა-
მაც რომ მოაღუნოს სიფხიზლე, მაინც ვერაფერს გავხდებით. ვიცით, თითები დაგვე-
ფუფქება და დედაც ამიტომ ამბობს არხეინად, ნეტავი სული წასძლევედეთ და ხელს წა-
ატანდნენ, მერე ნახონ, როგორ უნდა წუწკობაო.

ეს. რად გვინდა გოზინაყის ტყუილად ცქერა, სულ ერთია, ახალი წელი ახალი
წელია და ჯერ გოზინაყს თითსაც ვერ დავაკარებთ. ისევ ის გვირჩევენია, გავიგოთ, მამა
რას აკეთებს, რა საქმე წამოიწყო იმგვარი, რომ ზედაც არ გვიყურებს. აი, წამოდგა და
წაღოსთან მივიდა. ფარდა გადასწია და შეიხედა, ნეტავი რას ეძებს იმ წაღოში? ისეთი
რა შეუნახავს, ჩვენ რომ არ ვიცით?

ვიცით, როგორ არ ვიცით...

თოფი!

სწორედ თოფია ის, რის გამოც აქამდე წაღოს ახლოსაც ვერ ვეკარებოდით,
რადგან ბებომ თქვა, თოფი იმგვარი რამ არის, ერთხელ ეშმაკიც დატენისო. ვერ გავი-
გეთ, რა გვითხარიო, — ვუთხარით მაშინ ბებოს და მანაც, როგორც იცის, დაბეჯითე-
ბით აგვისხნა: დატენილ თოფს, შვილო, მამათქვენი წაღოში არ შეინახავს, მაგრამ ვაი
თუ ეშმაკმა დატენა, თქვენ კი ჩახმახს თითი გამოსდოთ და გავივარდეთო? ეშმაკი სად
არის? წაღოში რა უნდა ეშმაკს, მაგრამ მაინც ვერიდებით წაღოს, ცდუნება იცოცხლეთ,
დიდია, მაგრამ იქით გახედვაც არ გვინდა.

მამას გამოაქვს თოფი, სამფეხა სკამზე ჩამოჯდება და ჯერ გადახსნის, გადაატ-
რიალ-გადმოატრიალებს, მერე ჩვრებს მოიმარჯვებს და თოფის გაწმენდას იწყებს...
გულმოდგინედ, ჩაკირკიტებით წმენდს მამა თოფს. აიღებს და ისევ გადახედავს ლულას.
პაპა იცინის, რა ბაღლივით ეაღერსები, რომელი მონადირე შენა ხარ, ერთხელ გაისვრი
და მერმის ახალ წლამდე აღარც დაგჭირდებაო, მამაც უჯერებს პაპას, ერთხელ კიდევ
გახედავს, აიღებს ორ მსხვილ ტყვიას, ლულაში ჩადებს, თოფს გაასწორებს, მიიხედ-მო-
იხედავს, მივა და ზედ ტახტის თავზე, ხალიჩაში ჩარჭობილ ღურსმანზე ჩამოჰკიდებს.

ჩვენ ვდგევართ და თოფს შევცქერით.

აბა, მიხედეთ თქვენს საქმესაო, — თავზე ხელს გადაგვისვამს მამა და მეტი რა-
ღა დაგვრჩენია, თვალს ვაშორებთ იმ საიდუმლოებით სავსე თოფს, ოღონდ ის აღარ ვი-
ციტ, ჩვენი საქმე რა არის ამ ახალწლის ღამეს და რას უნდა მივხედოთ.

მოდით, ჩვენი კატა — ტასო ვათამაშოთ.

ტასო გაბერილი ზის და თავსაც არ გვიყადრებს, ეტყობა, ისიც საახალწლო
ფიქრებშია ჩაძირული.

მოდით, გარეთ გავიხედოთ, ვინ იცის გარეთ რა ხდება.

გარეთ ცივა და ვიციტ, რომ არ გაგვიშვებენ.

ბიჭოს, ახლა კი რაღაცა მოხდება:

ჭიშკართან ვიღაცა იძახის,

— ოჯახიშვილებო!

ახალი წელი გვესტუმრა! — დავძახით ჩვენ და სიხარულისაგან ლამის დავლური
დავუაროთ.

— ახალი წელი კი არა, ის არ გინდათ, — ჩურჩულებს ბებო და გარეთ იხედება, —
ვიცი, ვინც იქნება...

— ჯანგირა იქნება, ლოთი, — ამბობს პაპა და მამას შესცინის, აბა შენ იცი, შენი ძმა-
კაცია და აქეიფეო.

კარი იღება და ოთახში მართლა ჯანგირა ძია შემოდის. კუნაპეტივით შავი, წვერმოშვე-
ბული, ალექსილი და თვალდაჭყეტილი.

— მამა უცინის — რაც არ უნდა იყოს, სტუმარია.

დედასაც ეღიმიება.

პაპა თავს ღირსეულად უკრავს.

ბებო ცივად ესალმება და ახიც არის, — რა დროს მოსვლა იყო (შემოედებებო — იტ-
ყვის მერე ბებო, როცა ჯანგირა ძია ბოლოს და ბოლოს მოიფიქრებს და შინ წავა), არ
იცის, რომ ახალ წელს ყველა თავის ოჯახში უნდა შეხვდესო, სანამ ახალი წელი არ
შემობრძანდება, არც ჭიქის აწევა შეიძლებაო. რომელი ახალი წელი მართლა ეგ ლოთი
მყავს, რომ თავზე დაგვადგაო.

ჯანგირა ალექსილა, ოჯახს გაუმარჯოსო, — სჭექს და ხელში კი არაფერი უჭირავს. ბე-
ბომ იცის, რომ ამ „არაფერსაც“ ჯანგირა მალე მოინაკლისებს, იტყვის, ეს რა ოჯახია
თუ ერთ ჭიქას მაინც არ დამალევიანებო და მართლაც ასე ხდება: ჯანგირა სჭექს და
ბებო უკვე ხმამაღლა ბუზღუნებს, მორჩა, ამ წელიწადში ვეღარ გავიხარებთ; თუ დრო-
ზე არ დააჩქარა გზას ბარაქა და მეკვლედ დაგვიჯდა, უკუღმართი წელიწადი დაგვიდ-
გებაო.

პაპას ეცოდება ჯანგირა და ღვინოს უსხამს.

ჯანგირა სადღეგრძელოს იწვევს: ერთი, ისაო, იმ მთისაო, ამ ბარისაო, რაც რამ ბარა-
ქაო, კეთილი გული მაქ, განა უკეთური ვარო...

ბებო უჩხუბება, რა ყაჭივით გააბი, დაცალე და შენ გზას ეწიე, ახალმა წელმა აქ არ
მოგისწროს, ოჯახში უნდა შეხვდე, თაობითვე ეგრე თქმულაო.

ოჯახში რა მინდაო? — ბრაზობს ჯანგირა, — აქ რა, ჩემი ოჯახი არ არიო? მაშ ვისი-
აო?

ბებო იცინის, — შენია, სწორედ შენიაო და ჯანგირას ნაზუქს აწვდის. ჯანგირა ახლა
ერთბაშად „მრავალჟამიერს“ დააქუხებს. ბანს არვინ აძლევს და ჩვენ გადმოგვხედავს,
ჩვენდა ვართ იმისი უკანასკნელი იმედი, — აბა ბაღლებო, ახალი წელია, ბანი დასძა-
ხეთ, — ბღღვინავს და ჩვენც სიცილს ვეღარ ვიკავებთ. რატომაც არა? თუ ჯანგირა ძი-
ას ეგრე უნდა, ჩვენც დავჭექოთ „მრავალჟამიერი“, მამაც აგვყვება, დედაც და პაპაც...

ბებო? ბებოს დანა პირს არ უხსნის.

ჩვენც შაშვებივით ვაღებთ პირს და „მრავალჟამიერს“ დავძახით. ჯანგირა ბანს დაგ-
ვბლავის. ბებო სულ ცეცხლდება, ჯანგირას სახელოზე ეჭიდება, მაგისტანა მრავალჟა-
მიერი მარტო სიმთვრალეში გამოადგებათო, ჩვენზე ეუბნება და ჯანგირა ერთბაშად
ჩაცხრება:

— განა ისა... ნათლიდედ...

ჯანგირა ჩურჩულებს... — კეთილი გულითაო... სხვამ რათ უნდა დამასწროს თქვენი და-
ლოცვაო... ეგრე კეთილად გვემშვიდობება, თავს გვიკრავს და, კართან შეჩერებული,
ხმამაღლა ამბობს:

— მთელ სოფელში, ჩემზე ადრე თოფს ვერავინ გაისვრის:

- ისევ სიჩუმე ჩამოდგება და უკანასკნელად დასჭექს ჯანგირაც:
- რათ უნდა გაისროლოს? ახალი წელიწადი ჩემია!
- ჯანგირა მიდის.
- მამა აცილებს და შინ სიცილით ბრუნდება...
- ახლა ყველანი იცინიან.
- ცოტა ხანიც და სოფლის თავზე გადაიქუსებს ჯანგირას თოფი.
- ახალი წელი კი ჯერ ისევ შორს არი.

**

ახლა თქვენ ახალ წელიწადს ნაძვის ხით ხვდებით.

„ნაძვის ხე“ დატვირთულია გირლიანდებით და ბრჭყვიალა მოსართავეებით. ყველაფერი ანთია, ყველაფერი ელავს — „გირჩებიც“, „მსხლებიც“, „ვაშლებიც“, „ყურძნის მტკვნელებიც“ და, რაღა თქმა უნდა, „ვარსკვლავებიც“. ნაძვის ხე წინა დღეს, უფრო სწორად ახალი წლის მობრძანების წინა საათებში ირთვება, რათა, როცა საათი თორმეტჯერ დაჰკრავს, ყველაფერი ერთბაშად აანთოს და საზეიმო ელფერი მიიღოს.

უწინ ჩვენ ისე გვეგონა, თითქოს ყოველივე ამას ტყე გვიგზავნიდა იმ ნამდვილ ნაძვის ხესთან ერთად, რომელსაც ნამდვილი წიწვები ჰქონდა და სუნიც ნაძვისა ასლიოდა.

გვქონდა კი სოფელში ნაძვის ხე?

იყო კი მაშინ ამდენი ბრჭყვიალა მოსართავი და გირლიანი?

არა ყოფილა.

და საახალწლოდაც ისევ ბუნების იმედადა ვრჩებოდით:

იღვა ტყიდან ჩამოტანილი ნაძვი.

ტოტებზე ეკიდა ნამდვილი მსხლები და ვაშლები, ნამდვილი ჩურჩხელები...

აქა-იქ თეთრად მოჩანდა ბამბა (ვითომდა თოვლიაო).

და ენთო ორიოდე პაწია სანთელი.

ჩვენ ესეც გვიხაროდა და გვჯეროდა, რომ ყოველივე ტყიდან იყო გამოგზავნილი მეკვლე პაპას მიერ. მნიშვნელობა არა ჰქონდა იმას, რომ ნაძვის ტოტებზე ჩამოკიდებულ ხილსაც ვცნობდით, მთავარი იყო დაჯერება, მთავარი იყო თამაში საახალწლო წარმოდგენისა. უნდა დაგვეჯერებინა მეკვლე პაპაც და მის მიერ ხურჯინით გამოგზავნილი ნობათიც. უნდა ჩავბმულიყავით თამაშში, რომელიც საგანგებოდ, სწორედ ჩვენთვის წამოეწყით დედას, მამას, პაპას, ბებოს და შეთქმულებივით გარიგებოდნენ იმ ვილაც უხილავ მეკვლეს, რომელიც ახლა, ამ სიცივეში, სადღაც დათოვლილ ტყეში იყო და მთვარეს შესცქეროდა, რათა დროზე დასდგომოდა გზას და ზუსტად საახალწლოდ მოედწია ჩვენამდე.

ნელა გადიოდა დრო...

ჯერ შუაღამე არ იქნებოდა დამდგარი, რომ მამა კედლიდან გადმოიღებდა იმ თოფს, ახალწლის შესახვედრად კარგად რომ გაწმინდა. ახლა, ოთახის კუთხეში მდგარი, ელოდა რაღაცას, რაღა რაღაცას, ახალი წელი უნდა მოსულიყო და სწორედ ახალ წელს ელოდა თავისი დატენილი თოფით. მერე უფრო და უფრო მოუთმენლობა იპყრობდა და წარამარა საათს შესცქეროდა, ძველებურ, გუგულის საათს და ჩვენც არასოდეს ასე მოუთმენლად არ დაველოდებივართ იმ პატარა გუგულს, რომელიც პა და პა, უნდა გამოვარდნილიყო სარკმლიდან და დაეძახა: „გუგუ!“

აჰა, გამოხტა, აჰა, დაიძახა!

მამა გადის სახლის აივანზე და თოფს ისვრის. გრიალი თოფისა მთელ იმ არემარეს შესძრავს, სოფელზე გადაივლის და, თითქოს ნიშანი მისცაო, მამას თოფს მთელი უბნის მეთოფენი უერთდებიან. თოფს ყველა ისვრის, მდიდარიც და ღარიბიც, დიდი ჯალაბის პატრონნიც და მარტოხელანიც. ოჯახმა თოფი აუცილებლად უნდა გაისროლოს, ავი სულები დააფრთხოს, ახალ წელს კარი გაუღოს და მშვიდობიანი მოსვლა უსურვოს. მახსოვს ეს გრიალი თოფებისა. ეს ჩახახუხი. ეს მკრთალი ნათელი, ყოველი სახლის თუ ქოხის სარკმლიდან რომ გამოკრთოდა და საწყალი პეტრე უღარიბესი, უქონელი, მუდამ რაღაცის მომჩივანი და მომლოდინე, თოფიც კი რომ არ გააჩნდა ავი სულების დასაფრთხობად და თავის ერთი ბეწო საჩხეში გადმომდგარი, მთელი უბნის თოფების ხმას ყვირილით უერთდებოდა: „ეჰეჰეჰე!“ გასძახოდა სიბნელეს პეტრე და თან ცოლს უხმობდა, გარეთ გამოდი, ვერა ხედავ, მოდის ახალი წელი ზათქითა და გრგვინვითო, მივეხმაუროთ, მივეფეროთ, იქნება რაც ძველმა არ გაიმეტა, ამან მაინც გაიმეტოსო. პეტრეს ცოლი — ნინუცა ქმარს რომ ეჩხუბებოდა, შინ შემო, კაცო, რა ტურასავით

გაჰკივი, თუ კაცი ხარ, თოფი გაისროლე, თუ არა და დაირცხვინე მაინც, შენი ყვირილით ახალი წელი სულ არ დააფრთხო, გვერდით ისე არ ჩაგვიაროს, ჩვენი სახლისკენ პირიც არ მოაბრუნოსო. ეს ვიცოდით ყველამ. ეს ყვირილიც ყველას გაგვეგონა. ის სიტყვებიც წლიდან წლამდე მეორდებოდა. ამიტომ იყო, რომ ერთ დიდ ტყვიას მამა ლულაში ჩადებდა, ჩახმახს შეაყენებდა, ღიმილით გასწევდა პეტრეს სახლისკენ, ავიდოდა მის აივანზე და პეტრეს აივნიდანაც დაიქუხებდა თოფი! ამიტომ იყო, რომ ახალწლის დილას, ბებო, ტაბაკზე დაწყობილი ნაირნაირი ნუგბართ, პირდაპირ ნინუცას ქოხისკენ გასწევდა (დიდი დაქალობა ჰქონდათ), ახალ წელს მიულოცავდა და კარგა ხანიც დარჩებოდა... რას აკეთებდნენ იქ? ქეიფობდნენ — ღვინოს წრუპავდნენ თუ ბებოს მიწვილ ხილს მიირთმევდნენ? ან იქნებ ტიროდნენ კიდევ? — ეს არავინ იცოდა. არც ჩვენ და არც თვით პეტრემ, რომელიც, ასეთ დროს, თავის მხრივ აუცილებლად ჩვენი ოჯახის სტუმარი იყო.

წინ გავიჭერთ.

პეტრეს ოჯახის საცოდაობამ დაგვაფიქვა ახალწლის ღამის ზარ-ზეიმი, რომელიც ნელ-ნელა მიწყდა. თოფები დაიცალა. ეშმაკეული დაფრთხა და ახალმა წელმა, ისე, რომ ეზო ოთხივ კუთხივ ხსნილი ჰქონდა, ჩვენს ოჯახში შემოაბიჯა. იქით, დიდ დარბაზში, მაგიდას შემოუსხდნენ დედა, მამა, ბებო, პაპა და ჭაბუკი ბიჭები. ყველანი შინ არიან, მთელი ჯალაბი. ახალ წელს ყველა თავის ოჯახშია, სტუმრიანობა მერე იწყება. ახლა ხმადებდა ლაპარაკობენ, ნელ-ნელა წრუპავენ ღვინოს (სახვალიოდ თავს ინახავენ), შეექცევიან საჭმელს და ტკბილეულს, ჩვენ კი ამ საზეიმო სიხუმეში უკვე თვლელა გვერევა. ახალი წელი კი მოვიდა, მაგრამ ჯერ არ მოსულა მეკვლე. ჯერ არ დაუკაკუნებია სახლის კარზე...

ეს ხვალ მოხდება, დილაადრიაანად...

მეორე დილით — სწორედ მეკვლეს ძახილზე ვიღვიძებთ.

მეკვლე ვინ გვეყოლებათ, მთელი წინა დღეები ახალი წლისა, ამაზე იყო ლაპარაკი.

აი, შარშან რო მეკვლე გვეყავდა, კარგი ფეხი ჰქონდა, მოსავალიც კარგი მოვიდა და არც ვინმე გამოგვეცლია ხელიდანო...

არც რო ავად გამხდარა ვინმეო?

ვინ იყო შარშან მეკვლეო?

ვინა და ჩვენებიანთ პატარა ბიჭი, — გიორგიო...

მაშ რაღა გვაქ საძებნი, ისევ ჩვენებიანთ ვუთხრათ, დილაადრიაანად გამოაწყონ და გამოგზავნონო.

ახლა სწორედ ეს გიორგი დგას ღია კართან გაღიმებული.

ჯერ გარედან დაუძახია: ოჯახიშვილებო!

მერე, კარი რომ გაუღეს — „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთიო!“ (როგორც დაარიგეს).

ამასობაში ჩვენც წამოვცვივდით ლოგინიდან და მეკვლეს გარშემო შემოვეხვიეთ.

მეკვლემაც აიღო და ტკბილეული ჩამოგვირიგა.

(სხვა დროს, ვიცი, არ გაიმეტებდა).

ბოლოს თვითონაც ტახტზე დააბრძანეს. გარშემო სულ ნაირ-ნაირი ტკბილეული შემოუდგეს და სწორედ მაშინა თქვა ჩვენმა მეკვლემ გიორგიმ ის, რაც სხვებმა კი დაიჯერეს (სხვები იცინოდნენ), მაგრამ ჩვენ არა: გინდათ თუ არა, ახალი წელი მე ვარო.

შენა ხარ, მაშ ვინაო? — ისევ იცინოდნენ ჩვენები. ყველაზე უფრო კი ბებო იცინოდა და ტახტზე დაბრძანებულ გიორგის დასძახოდა, ბიჭო, ნუ ფართხალებ, დარბაისლურად იჯექი, თორე წელს კრუხიც იფართხალებს და კვერცხებს სულ დაგვიმტვრევსო. ჩვენ ხომ მეტიც არ გვინდოდა და ახლა ამ „კრუხმა“ გაგვაგო. თანაც იმან, რომ გიორგი მართლა გიორგი იყო, ჩვენი მეკვლე და ახალი წელი ვარო, ტყუილად იჩემებდა. და არავინ იცის, საქმე რითი დამთავრდებოდა, თუ არა ისევ ჩვენი ბებო, შუაში რომ ჩავვიდგა, გაგვაშველა და გვითხრა: რა გაჩხუბებთ, აი, მეც გაგიმზადეთ ტკბილეული, თქვენც წადით მეკვლედ, დააბერეთ გიორგიანი და თქვენც „ახალი წელი“ იქნებითო. ამის თქმაზე ყველანი ჟივილ-ხივილით წამოვცვივდით და, როცა ბებომ პატარა, თეთრტილოგადაფარებული ხონჩები სათითაოდ დაგვაჭერინა, მეზობლებისა და მოყვრების გზას გაუდექით.

რაღა გზას, გადავიარეთ ეზო, გადავჭერთ ორღობე და ჩვენც დავიძახეთ:

— ოჯახიშვილებო!

მაშინვე გამოგვეგებნენ.

გაივლის დღეები და ჩვენ ისევ ახალი წლით ვიქნებით გაბრუებულნი. ახალი წლის სიხარული სხვა ყველაფერს დაგვაავიწყებს. შეიძლება ისიც კი გვეგონოს, რომ ამ ქვეყნად მხოლოდ სიხარული სუფევს. უზრუნველყოფა და უდარდებლობა მოგვეძალეება. აკი ვინატრეთ, კიდევ, ნეტავ სულ ახალი წელი იყოსო... მაგრამ ამ სიხარულში თურმე რამდენი რამ გამოგვრჩა. ჩვენ გუგულის ძახილს ველოდით და მარტო იმის ფიქრში ვიყავით, როდის აიღებდა მამა თოფს და აივანზე როდის გავიდოდა. მერე ჩვენც გავცვივდით და ვუსმენდით, რა ბათქა-ბუთქი ისმოდა ზამთრის მოკრიალებულ ცივ მთვარიან ღამეში და სულ დაგვაავიწყდა პაპა და ბებო, რომელნიც ამ დროს ბუხართან ისხდნენ და ახალი წლის მოსვლას ხმის ამოუღებლად ელოდნენ. ნეტავი რაზე ფიქრობდნენ, ნეტავი რად იყვნენ დაღონებულები? რას ნიშნავდა მათთვის ძველის გაცილება? რას ელოდნენ ახლისაგან? რად დაუძახათ დედამ, თქვენც გამოდით, ნახეთ, რა ამბავია ალა მაჰმად-ხანის შემოსევას ჰგავსო, — მაგრამ ისინი არც კი წამომდგარან, კვლავ უძრავად ისხდნენ ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთს მხარმიბმულნი და ბუხრის ცეცხლს ჩასცქეროდნენ. რას ეუბნებოდით ისეთს ეს ბუხრის ცეცხლი, ვიდრე თოფის ხმაური და ყიჟინა ეტყობათ?

ეს ახალი წლის სევდაა.

ამას თქვენ ჯერ ვერ მიხვდებით.

საამისოდ ცხოვრების გრძელი გზა უნდა გაიაროთ და სიბერის მოახლოება იგრძნოთ.

ამთავითვე კი ცუდი არ იქნება, გახსოვდეთ: ახალი წლის სიხარულის გვერდით არსებობს ახალი წლის სევდა. ამ სევდას, თქვენგან დაფარულად ატარებენ პაპები და ბებიები. თქვენ ამ სევდისაგან ჯერ შორსა ხართ, თქვენ ჯერ გარეთ გადით...

გარეთ ზამთრის მზიანი დღეა. აქ ათასგვარი მხიარულება გველის...

* * *

ზამთრის „მთავარი საქმე“ გუნდაობაა. გუნდაობა ხელჩართული ბრძოლაა. ბრძოლის ველს გამარჯვებული ის ტოვებს, ვინც ბევრი მოწინააღმდეგე გახვია თეთრ თოვლში. მაგრამ ყველაზე უფრო ის გუნდაობა ჰგონიათ ვაჟკაციური, ათიოდე ბიჭი რომ მოიყრის თავს და გოგოებს ჩაუსაფრდება. ამ დროს, თუ მართლა ვაჟკაცი ხარ, გუნდა წყლით არ უნდა დაასველო, ზედმეტად არ უნდა გაამაგრო, რომ გოგოს არაფერი ავნო. გუნდა მსუბუქი უნდა იყოს და მსუბუქად მოეფინოს იმას, ვისაც ამდენი ხანია გულის ფანცქალით ელოდი. რა თქმა უნდა, ყიჟინას რომ დასცემ, მოფრთხილებაზეც ძნელად იფიქრებ, მაგრამ სირცხვილი არ აცდდება, თუ შენი რჩეული შინ ატირებული მივიდა და ძმებს შესჩივლა, დამიღურჯა ლოყაო. გუნდის სახეში მორტყმა როგორ შეიძლება! გუნდა მართლა ბრძოლა კი არ გახლავთ, ხუმრობაა, გასართობი და მხიარული ხუმრობა. მაგრამ ზამთრის მრავალგვარ გასართობში გუნდაობაც მალე მოგწყინდება.

ციგაობა კი სულ სხვაა, — მოუწყინარი და უფრო ამყოლი.

ციგა შენი ხელით უნდა გააკეთო: ორი სწორი მსხვილი ფიცარი აიღო, ძირი გლუვად გაუსუფთაო და წვერებიც იმგვარად აუმრგვალო, რომ თოვლში ცხვირით არ წავიდეს. მერე ზემოდან თხელი ფიცრები დააკრა, სახელურადაც ერთი თასმა შეება და ციგაც მზად არის. საციგაო ადგილი ხომ ვიცით. შარშანაც იქ ვციგაობდით, შარშანწინაც და იმის წინაც. საციგაო ადგილი ჩვენი ფერდობია, შუა უბანში, ან უბნის თავში. ყველა უბანს თავისი ფერდობი აქვს და ციგაობაც იქ იმართება. არის შეჯიბრი, ზემოდან დაშვება, კოტრიალი, თოვლში ამოსვრა, დაჯახება, ვინ წინა და ვინ უკანა! დაეშვები, მიჰქრისხარ და ზამთრის ცივი ჰაერი სახეში გცემს თითქოს გაგწკეპლავო. ამასაც არაფრად აგდებ და ასე გგონია, ჰაერში მიფურინავ ან მერანზე გადამჯდარი ველზე მივქრევარო. ბოლოს ჩაეშვები ხრამისკენ და ამოკოტრიალდები.

ახლა არ გინდა ისევ ზემოთ ასვლა? ფეხები თითქოს აღარ გემორჩილება. ეს ციგაც აღარ მოგდევს, მაგრამ ყველანი ზემოთ მიდიან და შენც, მეტი რა გზა გაქვს, სხვებს ხომ არ ჩამორჩები, უნდა წახვიდე.

მერე ყველაფერი ისევ თავიდან იწყება.

შორიახლოს გოგონები დგანან და შემოგცქერიან. იცი, რომ არც იმათთვის არის სულერთი, ვინ წინ იქნება და ვინ უკან. იცი, რომ იმათაც ჰყავთ თავიანთი რჩეულები და ამ რჩეულთა შორის არ შეიძლება შენც არ იყო...

მაგრამ ის რა წამომართულა ზედ გზის პირას? ვინ დადგა, ვინ გამოძერწა, როგორა ჰგავს კაცსა... კაცია და არც არი კაცი...

თოვლის კაცი!

ყველანი გავრბივართ და თოვლის, კაცს გარშემო ვეხვევით, ვათვალიერებთ, გვინდა რომ ნამდვილ კაცსა ჰგავდეს. ის კი ნამდვილიც არი და არც არი ნამდვილი. ვიღაცას თოვლის დიდი „ქვა“ უპოვია და კაცი იქიდან გამოუძერწავს. „ქვის“ მოპოვება კი არ არის ძნელი. აიღე პატარა გუნდა თოვლისა, ცოტა შეამაგრე, მერე მიაგდე თოვლზე და დაიწყე აგორება ამ გუნდისა. აგორებული გუნდა, რაც ახალ და ახალ თოვლის ფენას იკრავს, შენს თვალწინ დიდდება და მალე ისე მძიმდება, ერთი აღარ ეყოფი, თუ სხვაც არ მოგვეშველა, ამოდენა თოვლს ძვრასაც ვეღარ უზამ. მერე ის „სხვებიც“ მოდიან და ნელ-ნელა, ხვნეშით მოგორავს ეს ჩვენი ბურთი თოვლიან ვაკეზე, ვიდრე მთლად არ დამძიმდება, ქვასავით არ ჩამკვრივდება და ვიდრე შესაფერ ადგილს არ მოუძებნით. ეს ადგილი კი აუცილებლად გამოსაჩენი უნდა იყოს, სადაც მეტი გამგლელ-გამომგლელია.

ჩვენ თოვლის ძეგლს ვდგამთ, ძეგლს კი მუდამ საპატიო ადგილი შეჰფერის. მერე მოვა ნიჩაბით ოსტატი, „საჭრეთელსაც“ მოიყოლებს და იწყება ძერწვა. ჯერ ზედმეტ თოვლს ჩამოვაცილებთ და ამ ვეება გუნდას ტანწერწეტას გავხდით. ახლა ხელები გვჭირდება და ხელებსაც გამოვძერწავთ. კაცს ხომ თავიც უნდა ჰქონდეს და თავისათვის, სხვა, უფრო მომცრო გუნდას ავაგორებთ, ახლა სახე იძერწება. ცხვირად ან ნაძვის გირჩს მივაბამთ სახეზე, ან პატარა თუნუქის მილს. თვალებს ნახშირით ჩაგუშავებთ. ნახშირისავე ექნება წარბები. ტუჩ-კბილსაც ნახშირის ნატეხებით გავუწყობთ... რაღა დარჩა? კაცია და ქუდიც აუცილებლად უნდა ეხუროს. მით უფრო, რომ ზამთარი, უქუდოდ შესცივდება კიდევ, განსაკუთრებით ღამით, როცა მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები დასხდებიან და ყინვაც მოუჭერს. და აჰა, ქუდიც! ვიღაცა ძირგავარდნილ, ჟანგიან ვედროს მოარბენინებს და ჩვენს თოვლის კაცს თავზე ახურავს. ჟანგიანი ეძახე და მოუხდა კიდევ. დგას დარბაისლურად, დონინჯ შემოყრილი, ცხვირაბზეკილი, თავისი „ფაფახით“ და დარბაისელი კაცისათვის ცოტა არ იყოს შეუფერებლად იკრიჭება. ჩვენ გარშემო დავრბივართ და ვართ ერთ ყოფაში.

ვიღაცა გუნდას ისვრის. ვიღაცა ჩხუბობს, ემანდ თოვლის კაცს არ მოარტყათ, ცხვირი არ მოაძროთ, ისედაც დიდი დღე არ უწერიაო... მართლაც, წამიც არ გასულა და ვიღაცის გუნდა თოვლის კაცს ხელს ჩამოტეხავს. „მოქანდაკე“ ჯერ ნაწყენია, მერე აიღებს თოვლს და ხელს ისევ მიაბამს... და მაინც, რატომ არ უწერია დიდი დღე? ზამთარი ზამთარია, მაგრამ მზეს მაინც თავისი გააქვს. ჩვენი თოვლის კაცი ნელ-ნელა დნობას იწყებს, ჯერ ყურები დაუპატარავდება, მერე თავი, ბოლოს სულაც დაილევა და აი, მაშინ კი დგება დრო, რომ გუნდებით მასაც შეეთამამონ და ყველაფერი დასრულდეს...

რას იზამ, ამქვეყნად ყველაფერს თავისი დასასრული აქვს. ახლა კაკანათი?

კაკანათიც ზამთრის თამაშია, მაგრამ გუნდა-ციგასავით უწყინარი კი არა, ცოტა არ იყოს სევდიანი. დასასრული აქვს სევდიანი, რასაც თამაში არც ეთქმის. კაკანათი ნადირობაა, ჩიტებზე ნადირობა. ჩიტები კი უფრო მეტად ის ბელურები არიან, რომლებიც ზამთრობით არ გვდალატობენ, სიცივეს არაფრად აგდებენ, ჩვენთან რჩებიან და ჩვენთან ერთად ელოდებიან გაზაფხულის მოსვლას.

ჩიტებს ლასტსაც უგებენ. აიღებენ პატარა ლასტს და ერთ მხარეს ჯოხს შეუყენებენ. ჯოხს ქვემოთ, წვერზე, გრძელი კანაფი აქვს გამობმული. კანაფის წვერი ჩვენ, შორიან-ლოს მიმალულებს (საბძელში, გომურში, ან საჩხეში) გვიჭირავს. ლასტის ქვეშ სატყუარია მოფენილი — ქერი ან შვრია, ხორბალი ან სიმინდი. ბელურებს შიათ. ზაფხულშიც სულ სახლების გარშემო ტრიალებენ და ზამთარში ხომ ღამის შინაც შემოვიდნენ. როგორც კი თვალს მოჰკრავენ, ლასტის ქვეშ საკენკი „დავიწყებიათო“, ჯერ ფრთხილად დაზვერავენ მიდამოს, მერე ლასტთან მოიყრიან თავს და სხვებსაც მოუხმობენ. მოდით, მოვეროვდეთ, ნახეთ, რას მივაგენითო. ბოლოს ყველაზე უფრო გულადნი ლასტის ქვეშაც შეძვრებიან... ჯერ დავიცადოთ, ჯერ ბევრმა მოიყაროს თავი, ჯერ ბევრი გულადი მოგროვდეს... და როცა ლასტის ქვეშ მართლა ბლომად მოიყრიან თავს ბელურები, გამოსწვევ კანაფს და ლასტი ქვეშ დაიყოლებს ბელურებს. ვინც გადარჩა, გადარჩა, ერთბაშად მოსწყდნენ მიწას და გაფრინდნენ. ვინც ლასტმა დაიტანა...

სასტიკი „თამაშია“.
აკი ვითხარით, თამაში არც ეთქმის...
„კაკანათი“ რაღაა? ამაზე ერთი მოთხრობა მოვისმინოთ იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარიდან“. მოთხრობას სწორედ „კაკანათი“ ჰქვია:

„შუა ზამთარია. გარეთ სთოვს და ძალიან ცივა, მაგრამ მე და ჩვენი პატარა ბიჭი ვასუა ამ ამბავს სრულიად არაფრად არ ვაგდებთ და ბოსლის კართან ატუზულნი ძალიან გულ-მოდგინეთ ვუყურებთ ერთს ათიოდე ნაბიჯზე დაგებულს კაკანათსა. კაკანათი სრულიად დამალულია თოვლში, გარდა სამიოდე პურის მარცვლისა, რომელნიც ასხმულნი არიან და ელიან ეშმაკს ბედურა ჩიტებსა... მოფრინდება პატარა ეშმაკი ჩიტი, დაინახავს მარცვალსა, მივა, ჩაჰკრავს, ჩაჰკრავს... კაპ... დაეცემა კაკანათი და ჩაეჭირება კისერში რკალი ჩვენს პატარა ჩიტუნისა.

ჩვენ სულ-განაბულები ვუყურებთ კაკანათს პატარა ჭუჭრუტანიდამ.

ჩიტებმა დაიწყეს კაკანათთან მოგროვება. ერთი მათგანი გამოგოგდა კიდევ კაკანათისკენ, აურ-ჩაუარა მას, იპოვნა მის ახლო ორიოდე პურის მარცვალი და ერთბაშად ყლანჭი გაადინა. აი, დაუპირდაპირა კაკანათსაც და... ჩაჰკრა ერთი... ჩვენ სიხარულისაგან ყელში სისხლი მოგვაწვა. გულმა ძაგა-ძუგი დაგვიწყო.

— „მომეცა!“ — იძახის ვასიკო, — „მომეცა, საცაა დაეცემა!“ და რაც შეუძლიან, იჭყიტება ჭუჭრუტუნაში. მაგრამ ამ დროს კაკანათის დაცემის ხმის მაგიერ მოისმის ფრ...რ... და ჩიტები აიშლებიან. იმათმა ამშლელმა, ერთმა ვიღაცამ, ახმახმა, ნაბაღში გახვეულმა კაცმა არხეინად ჩამოიარა კაკანათისკენ, თითქოს აქ არაფერიაო, წამოჰკრა კაკანათს თავისი ტოტყი ფეხები და ამოაგდო თოვლიდან.

— „მოგტყდეს კისერი, გაგიხმეს ფეხები!“ — მისძახის მას უკან გულ-დათუთქული ვასიკო“.

ვერაფერი დაიჭირეს ბიჭებმა.

ხან ვინ შეუშალათ ხელი, ხან ვინ...

„ეგ არის, კაკანათზედ იარე, შვილო კაკანათზედ! ეგ გაცხოვრებს აი!“ — მეუბნება მამაჩემი. — „აჰყოლიხარ მაგ გიჟ ბიჭსა და მთელი დღე დასდევთ ჩიტებსა!“

და რაღა თქმა უნდა, როგორც ყველა მოთხრობას, რაც კი იაკობ გოგებაშვილს „ბუნების კარში“ შეუტანია, თავისი მთავარი სათქმელი, მოჰყვება. მოთხრობის დასასრულს პატარა გმირი ამბობს:

„და ამიტომ, მამიჩემის სიტყვების შემდეგ, ვდგევარ გაოცებული ერთს ალაგას და ვფიქრობ, თუ რათ არის ჩემი ამხანაგი ვასუა გიჟი და კიდევ რაღაც საშინელს „ცხოვრებაზედ“, რომელსაც მამაჩემი მაგონებს ყოველ ცის-მარე დღე...“

მოთხრობა თითქოს „შეგონების“ გარეშე დარჩა, მაგრამ ჩვენ მაინც ვიცით, რას ნიშნავს კაკანათი, რატომ არის ვასიკო „გიჟი“ და რას ნიშნავს სიტყვა „ცხოვრება“...

უჭირს ზამთარში ყოველ სულიერს, — კაცსაც და პირუტყვსაც.

ვინც გაისარჯა და ზაფხული მძიმე შრომაში გაატარა, იმან ხო, თავი ზამთარშიც შეიძლება გაიტანოს, მისთვის ზამთარი სიხარულის მომგვრელიც იქნება... მაგრამ ვისაც ცოტა სარჩოლა დარჩა საზამთროდ?

მაგრამ ღიმილის გარეშე არც ზამთარი ჩაივლის. ღიმილით გვიყვება ერთი იგავი ერთი ოჯახის ცხოვრებაზე... სიზარმაცით იყო ცნობილი ეს ოჯახი. მთელი ზაფხული ისე გაივლიდა, არაფერს ინაღვლიდა ზამთრისათვის. ერთ ხელს არ გამოიღებდა, მარტო ფანდური, სიმღერა და მხიარულება უყვარდათ. და სწორედ მაშინ, პირველ თოვლს რომ ჩამოჰყრიდა, მთელი ოჯახი დამწკრივდებოდა და პირს მინდვრისაკენ იზამდა. სოფელმა წინასწარ იცოდა, რაცა ხდებოდა და სიცილით მისძახოდა, საით გაგიწევიათ, რომელ მოყვრებთან მისდისართო? მაშინ მოიხედავდნენ მობუზულნი, სიცივით აკანკალებულნი და იტყოდნენ: ბატონიან ხოდაბუნებში მივდივართ, თავთავი უნდა აგკრიფოთო.

თავთავის კრეფა უკვე იცით, რაც არის.

შეიძლება ამ არაკში ცოტა რამ გაზვიადებული იყოს, ცოტა რამ სიცილისათვის მოგონილი, მაგრამ ხელთუყვარ და ზარმაც ოჯახს კი კარგად გვიხატავს.

ზამთარში უჭირთ ნადირ-ფრინველთაც...

როცა მთა და ტყე, მდინარე და ჭალა გადალესილია თოვლით, როცა ყინვას გაუთანგავს ყველაფერი, ყოველი სულიერი მაინც ადამიანისკენ ისწრაფვის, ადამიანისგან ელის ხსნას.

იმ წელს ღიბთოვლობა იყო, მთაში ყველაფერი გაქრა, ხის ტოტებსაც კი ვეღარ მოკვნებდა სულდგმული და ერთბაშად ტყის ბინადარნი სოფლისკენ დაიძრნენ.

ერთმა ირემმა თავისი სიცოცხლე ადამიანის სინდისს და ადამიანურ ბუნებას მიანდო. წამოვიდა. გამოჰყვა ტყის ბილიკებს, გადმოიარა მინდვრები და ორღობები და წყნარად, თითქოს გუშინაც აქ იყო, სოფელს მოადგა. სწორედ იქ გადმოუხტნენ ხორცისა და

სისხლის მწყურვალე „ვაჟკაცები“ და ერთმანეთშიც ცილობა ატყდა, ვინ დაინახა პიველად, ვინ შეასწრო თვალი და პირველი ტყვიის უფლებაც ვის ჰქონდა.

ირემი კი მოდიოდა, როგორც განწირული, დინჯი, ფეხაუჩქარებელი და მთელი არსებით სოფლის სიბრძნეს მინდობილი, ყურადღებას არავის აქცევდა.

აღბათ ამ სიმშვიდემ იხსნა იგი აუცილებელი სიკვდილისაგან.

ის მოადგა ჭიშკარს და გაჩერდა, როგორც ჩერდება სადამო ხანს საძოვრიდან მობრუნებული მარჩენალი ძროხა.

ჭიშკრიდან ასევე აუჩქარებლად გამოვიდა პაპა, ჯერ გახევდა „სტუმრის“ დანახვაზე, მერე ირემს ჭიშკარი გაუღო.

ირემი ეზოში შევიდა.

პაპამ, თითქოს გუშინაც ამ სტუმარს უმასპინძლებოდაო, საბძლიდან გამოიტანა ერთი ილღია თივა და ირემს დაუყარა.

ირემმა ერთი გადახედა ჭიშკართან მდგარ „ვაჟკაცებს“ და თივისკენ დაიხარა.

იმ წუთში დედამიწაზე ის ჰარმონია სუფევდა, რაზეც ასე ოცნებობს ვაჟა-ფშაველას შგლის ნუკრი.

თვითონ ტყე, თვითონ ბუნება ინდობს კი ადამიანს?

იქნებ ინდობს კიდევ...

წლების წინ, მთის ერთ სოფელში, პატარა ბიჭი დაიკარგა. ერთი კვირა ეძებეს და ვერსად იპოვეს. მერე ძებნაში მთელი ქვეყანა ჩაერია. ბოლოს მიაგნეს. წიფლის მსხვილ, ხავსიან ტოტზე იპოვეს მიძინებული.

რამ გადაარჩინა ერთი კვირით დაკარგული ბიჭი?

მარტო ტყის ხილმა? წაბლმა და მაჟალომ, პანტამ და შინდმა?

იქნებ მშობლიურმა ტყემ ვერ გაიმეტა თავისი შვილი...

და, გინდა თუ არა, უნდა დაიჯერო, რომ იმ გზააბნეულ ბიჭს თავის საზრდოს სთავაზობდნენ ხეები. ნანას უმღერდნენ მუხის და თელის ფოთლები, ამხნევებდნენ მთის წყაროები. იქვე, ახლოს, დარაჯად ედგნენ შგლები და ირმები. თუ საფრთხე ელოდა, თავს დასძახოდა და აღვიძებდა ჩხიკვი. ქედნები კი გზას ასწავლიდნენ, თავქვე დაჰყე მდინარეს და მდინარე აუცილებლად ბარში ჩაგიყვანსო.

მაგრამ ბიჭი პატარა იყო და არ იცოდა ხეების, წყაროების, ფრინველების ენა. მათ ენას სწავლობს სიბრძნეში შესული მინდია, რათა ეს სიბრძნე ჩვენც გაგვიზიაროს, თუ, რა თქმა უნდა, მოვისურვეთ ამ სიბრძნის გაზიარება და თუ გულდაწყვეტილნი, ან სულაც გაგულისებულნი არ გავბრუნდით შინისაკენ იმის გამო, რომ ის ტყიდან წამოსული ირემი მოხუცმა პაპამ შეივრდომა და არ დაგვანება მოსაკლავად.

* * *

დღისით თოვს. ღამით ცა მოკრიალდება და ყინავს.

მაგრამ ცხოვრება თავისი გზით მიდის. ყმაწვილი სწავლობს, გლეხკაცი მუშაობს: ქალები სართავს და ჯარას შემოსხდომიან, პაპა და დიდედა ზღაპრებს ჰყვებიან. ბაღებს კვლავ უხარიათ თოვლი. რატომ მაინც და მაინც ბაღლებს? დიდებსაც უხარიათ! სწორედ გლეხს უთქვამს თოვლზე: „ამის უკეთესს რას ნახავს კაცის თვალიო, ვიცი, რომ ზამთარს თოვლიანს თან მოსდევს მოსავალიო“. ასე ყოფილა, ასე თქმულა: თოვლიანი ზამთრის მერე კარგი მოსავალი მოდისო. ჩვენ კი უკვე ვიცი, რომ სოფლელი კაცი, რა დროსაც არ უნდა იყოს, ზაფხული თუ ზამთარი, მუდამ მოსავალზე და ჭირნახულზე ფიქრობს, ეს არის მისი საქმე — პურ-ღვინოს მოყვანა, ჭირნახულის მოწევა, ქვეყნის დაპურება.

ჩვენი მთავარი საქმე რაღაა?

სწავლა!

„სწავლის ძირი მწარე იყო“ და ეს ყმაწვილს მაშინვე უნდა სცოდნოდა, როცა პირველად სასწავლებლის გზას გაუყენებდნენ. ამან დააწერინა ნიკო ლომოურს ლექსი ყინვისა და პატარა მოწაფის ბრძოლაზე:

„თოვლით დაფენილს ტრიალს მინდორსა
თითქოს ღრმა ძილით წასძინებოდა,
და ხშირსა ტყესა, ჩადრ-წამოსხმულსა,
სახე სრულიად გაშეშებოდა...“

ზამთარია და ამ სიჩუმით მოცულს მინდორში ყინვა თანდათან ძლიერდება, მეფურად დაბრძანდება და თან თვალს არ აშორებს დატკეპნილ გზას, იქნებ ვინმე მგზავრი გამოჩნდეს და წინ დაგხვდეთ.

„აგერა კიდევ გზაზე გამოჩნდა
ბავშვი წიგნებით იღლიაშია!
ჩქარი ნაბიჯით, ცოცხალი სახით
მიცუნცულვდა ის სკოლაშია.
ყინვამ მაშინვე მისკენ მიმართა
და მრისხანებით გადუდგა წინა:
ბავშვო, სულელო, მსწრაფლ მიაძახა,
გირჩევ ახლავე დაბრუნდე შინა“.

პატარა მოწაფე, ცხადია, არ ეპუება ყინვას. ჩვენც მასთან ერთად გვცვივა, მასთან ერთად ვიყინებით, ბოლოს კი მასთან ერთად სწრაფად მოვეკურცხლავთ სკოლისაკენ. ბავშვმა სძლია ყინვას, ბავშვმა და სწავლის წყურვილმა! ბოლოს კი გვახარებს ლექსის სტრიქონები:

„მირბის პატარა, მირბის და... აგერ
სკოლის ფანჯარა, ცეცხლის შუქიცა!
სულ დააეიწყდა მაშინვე იმას
ყინვაც და მისი ბაქი-ბუქიცა“

* * *

ახლა ზამთარია. გათენდა და ყურში ჩაგძახიან, ადექი, ცეცხლი უკვე დავანთეთ, თბილად ჩაიცვი და სკოლაში გაიქეცი, არ დაგაგვიანდესო. შენც ვითომ არ გესმის, გულში ფიქრობ, ნეტავი ერთხელ მიმალულინა თვალი ამ თბილ ლოგინშიო. მაგრამ ყველანი ჩქარობენ, ხან დედა დაგადგება თავზე, ხან ბებო, ხან პაპა. თან ვითომ გეფერებიან, თან გემუქრებიან, თუ არ წამოდგები, იცოდევ, ახლავე მამაშენს დაგუძახებთო. მამისა გერიდება და ცოტა გეშინია კიდევ, თვალს იფშენევ, ამთქნარებ, იზმორები, აქეთ-იქით იხედები, ვითომდა ახლადა გავიგე, რა გინდათო და წამოდგები. ცეცხლი მართლა დაუნთითათ. ოთახში თბილა. შენც თბილად იცმევ, თავზეც თბილ ქუდს იხურავ, ჩანთაში შოთ პურს და ყველს ჩაიდებ, ბებო ერთ ვაშლსაც მოაყოლებს და უკვე რიხიანად, ვითომც არაფერიო, გარეთ გადიხარ.

გარეთ თოვლი დევს. წუხელ ისევ მოუთოვია. ჭიშკრამდე კი გაუკვალავს პაპას, სწორედ შენთვის, სკოლაში ადრიანად იქნება წასასვლელიო, მაგრამ ჭიშკრის იქით? ნაკვალევიც რომ არა ჩანს? ბევრი-ბევრი, ერთ ურემს გაეგლოს ან ცხენოსანს და იმის ნაკვალევს ახლა შენ უნდა მიჰყევ, მიდიხარ და თან გულში გეამაყება, მარტო ხარ, მეფე ხარ მთელი ამ მიწუმებული, დათოვლილი მიდამოსი. ათასში ერთხელ ყვავი დაგჩხავლებს კაკლიდან და, თითქოს განგებო, თოვლს შიგ კისერში ჩაგაყრის. შენ ვითომ ბრაზობ, ყვავს გასჭყვივი, ამ თოვლში სად უნდა მოიგდო კენჭი, თორემ კენჭსაც ესროდი და ისევ გზას განაგრძობ. ხან მიცურაობ, ხან გარბიხარ, ხან ისევ ფეხს შეანელებ და ფიქრობ: რა ლამაზია ეს ოხერი თოვლი!

ცოტა ხანიც და შარაზე ვასიკო გამოვარდება.

იქითა ეზოდან ნოდარა მორბის.

ახლა უკვე სამნი ვართ. ერთმანეთს ხელსა ვკრავთ, თოვლში ვაგორავებთ, თუ თავდადმართს წავადექით, ჩავიმუხლებით და მივსრიალებთ.

ჰეჰეჰეეე! გაუმარჯოს ზამთარს! გაუმარჯოს თოვლის ფანტელებს.

აგერ სკოლაც და აჟივკივებული ბავშვებიც.

ერთადა ვართ და არც თოვლისა გეშინია, არც ყინვისა.

გადავდივართ სკოლის გზაზე და მოდის ჩვენი ანიკო მასწავლებელი. გულზე რვეულები მიუსხუტვია, როგორც იცის ხოლმე, და ერთს ცერად გადმოგვხედავს. ჩვენ თავებს დაფხრით და გვერდზე გადამდგარნი მივესალმებით. ისიც თავს დაგვიქნევს, ჩაგვივლის და ჩვენც, მეტი რა გზა გვაქვს, ჩუმად, ფეხაკრებით გავეყვებით მის კვალს.

ეგეთია სკოლა და სწავლა.

ანიკო მასწავლებელიც გვიყვარს და ჩვენი სკოლაც.

ისიც ხო, ჩვენი არ იყოს, დილაადრიანად ადგა და ამ მუხლამდე თოვლში აქეთ წამოვიდა.

ჩვენთვის არ წამოვიდა?

ან ეს ჩვენთვის არ მოსულა დილაადრიანად სკოლაში, ჩვენი დარაჯი სვიმანა, მოცინარი, ძალზე კეთილი კაცი? ჩვენთვის არ აუნთია ღუმელი, რა არი, მოვლენ და სითბო დახვდეთო? მერე რა, რომ ღუმელი მაღე ჩაიწვა და შეშაც ცოტა გვაქვს, დასვენებაზე შემოვხვევით გარშემო და ვთბებით. გოგოები გვეხსუბებიან, ჩვენ მიგვიშვითო, მაგრამ ყურს ვინ უგდებს, ვიდრე ისევ მასწავლებელი არ შემოვა და არ იტყვის, კაცები ხართ და გოგოებით ეხვევით ღუმელსო. მერე ისევ ხარი დაირეკება, ჩამოვრიგდებით იმ გადახუნებულ მერხებზე და იწყება „სუფთა წერა“...

ბინდისას ყველანი ერთად გაგრივართ შინისაკენ. სიცვივა, მაგრამ ჩვენი ჟრიაშული მაინც მთელ სოფელს ედება, ნამეტნავად მაშინ, თუ ჩვენი არითმეტიკის მასწავლებელი დარო არ გამოჩნდა, სურდო შეეყარა და გაკვეთილი გაგვიცდა. ო, როგორ გვიყვარს იმ წუთებში დარო მასწავლებელი, შინაც კი ვეახლებოდით და ვკითხავდით, როგორ ბრძანდებითო, მაგრამ შინ მისვლა არ შეიძლება, შინ ხლებას ვერ გაუზებდავთ.

ჩავალ ჩვენსა, ვეცემი ერთ ჯამ ლობიოს. ბებო მეჩხუბება, ნელა ჭამე, შეირგე, სად გეჩქარება, სწავლას ხომ მორჩიო, მაგრამ ყურს ვინ უგდებს? ვიცი, რატომაც მეჩქარება, მაგრამ ხომ არ ვიტყვი? აი, გარედან უკვე სტვენა ისმის. ვიცი, ვიცი, ვინც უსტვენს. ვანიკო მობრძანებულა, ყელზე დიდის ამბით შურდული ჩამოუკიდია და მანიშნებს, ჩიტებზე სანადიროდ წავიდეთო. აბა რას დაუმაღავე და, ბებოც უკვე ყველაფერს ხვდება, გარეთ გამოდის და ვანიკოს ეალერსება, შინ შემობრძანდი, რა გარე-გარე დადიხარ, რა ხანია შენი ხმა აღარ გამიგიაო, სხვაფრივ როგორა ბრძანდები, როგორ ვიკითხოთო. ვიცი, რასაცა ნიშნავს ეს „ბრძანდები“ და საითაც უმიხნებს ბებო. ბოლოს თავით ფეხამდე შეაგლებს თვალს ვანიკოს და ხელს შურდულზე უტაცებს, ეს რაღა ჯანდაბააო? რა ოღარივით ჩამოგიკიდნია, რომელი მღვდელი შენა ხარო? აკი ვითხარი, ამ ჩიტებს დაანებეთ თავიო. მაგ ხოცვა-ჟლეტას, აიღოთ და საკენკი დაუყაროთ, არ გირჩევნიათო? ისინიც სულიერები არიან, სიცოცხლე იმათაც უხარიათო.

ვუყურებ ვანიკოს და ვიცი, საცაა, ტირილს დაიწყებს.

ნეტავი არ იტიროს!

ჩიტებს ვინ აღარ დასდევს, რაღა ჩვენ გვეკრძალება, რაღა ჩვენ გავხდით თითოთ საჩვენებლები?

ძალიანაც კარგი — ვანიკო არ ტირის... გაბუტული გაბრუნდება, ზურგს შეგვაქცევს და შინისაკენ მიდის.

სამაგიეროდ მე აღარ მინდა აღარც ამათი ლობიო და აღარც ამათი მწნილი, წამოვხტები, ტახტზე პირქვე მივეგდები და ვტირი.

რა გატირებსო?

რომელი რა მატირებს, ძმაკაცი სახლიდან გამიგდეს...

ვიტირე და გავჩუმდი. პაპამ გამაჩუმა და პაპაზე უფრო ისევ ბებომ, აი, ის რომ თქვა, დამიდგეს თვალი, იმ ბაღდს ლობიოც კი არ დავუსხი, ვინ იცის, როგორ მოუნდაო.

ახლა ისევ ძველებური ბებოა და მეტი რა გზაა, გულში ყველაფერი უნდა ვაპატიო.

* * *

მთელი ოჯახი შინ არი.

ცეცხლთან ისევ კოჭობი მიუდგამთ. კოჭობი თიხის პატარა ქოთანია, ლობიოს მოსახარშად საგანგებოდ გამომწვარი, და ახლა შიგ მხიარულად თუხთუხებს სახვალთო ლობიო. ცეცხლზე რაღა დგას? იქნებ სიმინდი მოგვეხარშა? ტარო კი არა, დარჩეული, თეთრი სიმინდი, მთელი დღე რომ უნდა ხარშვა. მეორე დილისათვის კი ისე გადაიშლება, როგორც ბატი-ბუტმა იცის. ან იქნებ კორკოტი იხარშება? მაგრამ საკორკოტე ხორბალს ახლა ღერდავენ, ხელსაფქვაზე.

ხო, ლობიო თუხთუხებს და სიმინდი იხარშება. თუ ვინმე კარზე დაიძახებს და სტუმრად შემოივლის, იმ დამარილებულ ღორს გამოაჩენენ, ღორის დაკვლის დროს რომ ჩააწყვეს დიდ კასრში, ახლა კი ცეცხლის კვამლზე იბოლება. ყველიც იქვე გუდაშია, და იმიტომ ჰქვია გუდის ყველი, მწყემსებმა ჩამოიტანეს მთიდან. კიდევ რა ჩამოიტანეს მწყემსებმა? მატყლი! და ბებომ ეს მატყლი საგანგებოდ გაასუფთავა და დაწვეწა. დაწვეწილ მატყლს ახლა ბუხრის პირას ჩეჩავს. საამისოდ მამა-პაპას საჩენელი გამოუგონია. საჩენელი ფიცრისაა. ფიცრის სადგამზე ფიცრისავე კონუსი აქვს დაკრული. კონუსის

თავზე მტკავლის სიგრძე ბასრი ლურსმნის „კბილები“ აქვს ორ რიგად გაყოლებული. ბებო ფარდაზე მოკეცილა. ცალი ფეხი საჩეხლის კონუსში შეურგავს (ასეა წესი, ასე დამაგრდება საჩეხელი) ერთი მუჭა დაწევილი მატყლი აუღია, საჩეხლის კბილებზე ჩამოაგებს, გამოწეწავს და ისევ ჩამოაგებს. ხელს ალერსით გადაუსვამს და ისევ თავიდან ჩამოაწეწავს... და ასე, ვიდრე მატყლი არ დაიჩეხება, ანუ ვიდრე ბამბასავით თეთრ ფაფუკ ფთილას ერთხელაც არ გადაუსვამს ხელს (თითქოს მართლაც მიეაღერსაო) და გვერდით მოდგმულ ხონჩაში არ ჩადებს.

სადამოა. გარეთ ცივა. ერთი ბიძა ფანდურს აჩხაკუნებს, მეორე თოფს ამზადებს. ნადირი სოფლის გარე-გარე დაძრწის და თოფი თან უნდა მქონდეს, ტყეში მივდივარო. საცაა დაღამდება და აღარც მეზობელმა შემოიხედა. მოწყენილობა ღამესავეთ შემოდის შინ. პაპა ფიქრებში წასულა. ნეტა რაზე ფიქრობს? იქნებ გაზაფხულზე? იქნებ იმაზე, ამ გაზაფხულს ან მოვესწრები და ან არაო. თუ ასეა, ორიოდ სიტყვა ვუთხრათ პაპას, ფიქრიდან გამოვიყვანოთ, გავამხიარულოთ. ან მოდით, რაღას ვუცადოთ და თავისი კბილა სიყრმის მეგობარი დაგუპატიოთ, გაერთობიან, მოიგონებენ იმ მთისას და ამ ბარისას. მაგრამ პაპა თურმე ამას ჩვენზე ადრე ფიქრობდა და სინუმეში ისმის მისი წყნარი ხმა: „წადი, ბიჭო, თედოს უთხარი, აქეთ გადმოვიდეს“. ბიჭი გარბის, ბებო საჩეხელს თავს ანებებს. თედოს გადმოსვლას პატარა სუფრა სჭირდება, იქვე, ბუხრის პირას, ტაბლაზე გაშლილი, თავისი მწნილით, შოთი პურით, ყველით, ბოლოკით და, რაღა თქმა უნდა, ერთი ხელადა ღვინით. ოღონდ სულ არ დალიონ... ბოლო ხანს პაპას ღვინო აღარ უხდება, მერე მთელი დამე წუხს და შფოთიან ძილ-ღვიძილშია. პაპას სტუმარს ვახშამი ბებომ უნდა გაუმზადოს და არამც და არამც სხვა ვინმემ. ასე იყო თაობითვე და ასე იქნება, ვიდრე ბებოს მუხლებში ძალა აქვს და ფეხზე ტრიალი შეუძლია.

რძლები დაჩეხილ მატყლს ართავენ, რათა მერე ბაწარი წინდებად, პაჭიჭებად, ჩითებად, თათმანებად, შალეებად გადაიქცეს.

უფროსი რძალი ხელის წისკვილს მისჯდომია. ეს წისკვილიც ფარდაზე დევს და ქვეშ თეთრი, ქათქათა სუფრა აქვს დაგებული. „ჩვეულებრივი წისკვილია“, ოღონდ პატარა, ჰა და ჰა, ორ მტკაველზე ცოტა მეტი სიგანე თუ ექნება. ქვაც ორია, ერთი ქვემოთა, მეორე ზემოთა. ზემოთა ქვა, ცხადია, გულამოჭრილია და ქვემოთა ქვიდან ამოჩრილ მსხვილ, მაგარ პალოზე ჩამოცმული. ხისავე სახელური აქვს, ისიც ქვის ამოდრუნტულ ნაპირში მაგრად ჩამჯდარი. პატარძალი ხორბალს ხვრელში ყრის და სახელურით ქვას ატრიალებს. მძიმეა წისკვილის ქვის ტრიალი, თუნდაც ხელის წისკვილი იყოს... იმ საქმეს აკეთებ, რასაც დიდ წისკვილში წყალი აკეთებს, დოლაბსაც აბრუნებ და ხვიმირის მაგივრობასაც შენი მუჭა სწევს. საფქვავი, ცხადია წმინდა და გამტკიცებული ვერ იქნება და ხელსაფქვავს ეს არც მოეთხოვება. საკორკოტე იღვრდება და კორკოტს სწორედ ხორბლის ღერდილი სჭირდება... ასე იფქება მარილიც, იმ ცნობილი აღზევანიდან მოტანილი მარილი, რაზედაც ქართული ლექსი ამბობს: „აღზევანს წავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო, ჯერ დედას გადავხვევი, მერე შვილსა და ცოლსაო“.

შორს იყო ეს აღზევანი და თანაც ურმებით მიდიოდნენ. ლექსი უმღერის შვინდას და გიშერას (ხარებია), რომელთაც ისეთი ურემი მიჰყავთ, ახ ქვაბსაც კი გაუძღვებს. ღერძი წიფლისა აქვს, თვლები კაკლისა, უბე კი ლართხებით და დანდლებით გადაბმული.

აღზევანიდან ურმების ქარავანი მარილის ქვებით დატვირთული ბრუნდება. ქვამარილს დამტვრევა სჭირდება, მერე კი დაფქვა... ახლა, საკორკოტეს რომ მორჩებიან, მარილის დაფქვას შეუდგებიან. ბუხარში კი ისევ ტკაცუნობს ცეცხლი, ისევ თუხთუხებს ლობიო. მწვანილებიც უკვე ჩაუჭრიათ, ხახვიც, ამოუხელიათ კიდევ და ოთახში საკმაზის საამო სურნელი დგას. კართან ხველება ისმის და აჰა, თედოც მოსულა, პაპას სიყრმის მეგობარი. პაპა ერთბაშად იცვლება, ფიქრი სადღაც იფანტება. მთელ ოთახში ხალისი შემოიჭრება. ბუხარიც გამხიარულდება. ერთმანეთს რას არ ეხუმრებიან. ჩვენ აღარავის ვახსოვართ.

ხვალ? ხვალ რაღა იქნება?

ხვალ ქალები დასხდებიან და ქსოვას დაიწყებენ, და თანაც ბებოს მკაცრი მეთვალყურეობით, რადგან, ბებოს თქმით, ქსოვა უბრალო საქმე კი არ არის, ოსტატის საქმეა. თუ ოსტატი არა ხარ ნაქსოვი კი არა, ნაჯღლარდი გამოვივა.

კიდევ კარგი, ბიჭებსაც არ გვაქსოვინებენ. ბებომ თქვა, რა ბიჭის საქმეაო და სიხარულით აღარ ვიცოდით, რა გვექნა. აი, ჩვენი დაია ნუცა კი ძალით დასვეს ფარდაზე, ხელში ჩხირები და ბაწარი მისცეს, გვერდით მოუსხდნენ და ეუბნებოდნენ, ეს თვალი უნდა გამოიღო და ის თვალიო. ნეტავი ეს „თვალი“ რაღაა? ნუცას ფარდაზე გული არ

უდგებოდა და, ალბათ ფიქრობდა, ნეტავი როდის წამოვხტები და ბიჭებს გარეთ გავყვები სათოვლაოდო.

იჯდა ფარდაგზე, თან ხელში საქსოვი ჩხირები ეჭირა, თან ცრემლი ჩამოსდიოდა, თან თვალი ჩვენკენ ეჭირა. ეს ჩვენები კი... თავზე ედგნენ და ტუქსავდნენ, აბა, რას აკეთებ, მაგრე გითხარითო?

თან საცოდავი იყო ნუცა, თან სასაცილო.

მას მერე, როცა კი ეტყოდნენ, აბა, გვერდით მოგვიჯექი და ქსოვეო, სულ სიცილი გვინდოდა და გარეთ გავრბოდით, ბებო ჩხუბობდა, დაიცათ, გაზაფხული დადგეს, თქვენც გამოგიჩენთ საქმესო, თუმცა რაღა გაზაფხული, ახლავე გაიქეცით და შეშა დამიჭერთო. შეშა დაჭრილი არ არიო? — ვეუბნებოდით. არი, მაგრამ მე თქვენი დაჭრილი მინდაო.

ნეტავი ხმა არ ამოგვედო...

ჩვენმა ნუცამ კი ერთ დღესაც დაგვიძახა, რაღაცა ჭრელი ნაქსოვი გვიჩვენა და გვითხრა: აი, მე მოვქსოვეო.

არ დავიჯერეთ!

თუ გინდათ, წინდასაც მოგიქსოვთო.

ვიციო, ვერ მოგვიქსოვს. ამწინებზე საჩქელთან დასვეს, მატყლის ჩეჩვა უნდა ესწავლებინათ და ხელი პირდაპირ საჩქელის კბილებზე ჩამოაგო. ის ტიროდა, ჩვენ ვიცინოდით და ბებო ახლა ჩვენ მოგვდა, რა გაცინებთ, თქვენი და გამწარდა და იცინითო? რად ჩამოიგო თითები, ვისი ბრალი იყო? გუშინ კიდევ თითისტარი ვერ დააბზრიალა და ახლა იმაზე გავიცინეთ და ისევ ჩვენ გავგამტყუნეს, დაიცადეთ, ქვეყანა ერთ დღეს არ აშენებულა, ნახეთ, თუ ყველაფერი კარგად არ ისწავლოსო. აბა, თქვენ წადით და ვაზი გასხალით, თუ გასატყეპად არ გაგიხდეთ საქმე და თუ ნუცამ თქვენზე არ იცინოსო.

ამაზე პაპა ამბობს:

— ვაზთან მაგათ როგორ მივუშვებო.

და ახლა ნუცა იცინის.

იქნებ მართლა მოგვიქსოვოს ნუცამ წინდები?

რა ვიციო...

კარგი კი იქნება ჭრელი წინდები.

გაგალთ ბიჭებში და ვიტყვით, ჩვენმა დამ მოგვიქსოვაო.

ვიცი, არ დავიჯერებენ.

არ დავიჯერებენ და ნუ დავიჯერებენ.

ჩვენ ხომ გვეცოდინება, რა ყოჩაღი და გყვავს.

* * *

რას არ ინახავს მახსოვრობა... ახლა, როცა ზამთარს ვიგონებ, თითქოს ხსოვნის ბურუნსიდან გამოდის ზამთრის გრძელი დამეები. სკოლიდან ბრუნდები, მოხედვაც ვერ მოასწარი და უკვე დამეა. ეს დამე გაიწელება და თუ ან მეზობელი არ გეწვია, ან შენ არ გადახვედი სადმე, აღარ იცი, რა გააკეთო. ფანდურის წკარუნი მოგწვინდა. თითქოს აღარც ბუხრის ცეცხლი ტკაცუნობს მხიარულად. აღარც კატა გართობს და აღარც ფარდაგზე კოტრიალი. ყველანი შინა ვართ. მამა ტახტზე წამოწვება. ბებო და პაპა თავიანთ ადგილზე, ბუხრის პირას ჩამოსხდებიან. ბებო საქსოვს მოიმარჯვებს, პაპა ჯოხზე ჩამოეყრდნობა. თითქოს რაღაცის მოლოდინში ვართ და აი, დედას წიგნი მოაქვს... აბა, ახლა წიგნი წავიკითხოთო, მრავალმნიშვნელოვნად ამბობს და ლამპას მიიმარჯვებს. უმცროსი დაძმები კატას ეთამაშებიან, მაგრამ იმათაც ტუქსავენ, მოდით, თქვენც აქ ჩამოსხედით, ყველამ უნდა მოვისმინოთ, ამაზე კარგს სად რას გაიგონებთო. ჩამოვსხედებით და იწყება...

რამდენი რამ წავიკითხეთ, რაც ეს ზამთარი დადგა და გრძელი დამეები დაიწყო. ან წინა ზამთარში? ადრე ხო ბებო გვიკითხავდა! აიღებდა „ბუნების კარს“ და დაიწყებდა: „დათიკოს მერცხლის ჭიკჭიკი ძლიერ უყვარდა“.

მაგრამ ლუარსაბთან და დარეჯანთან მაინც ვერავინ მოვა. რაც ჩვენ ვიცინეთ... სიცილი რომ დაცხრებოდა, პაპა იტყოდა, აბა ეგ ადგილი თავიდან წავიკითხეთო და ისევ ვიცინოდით. პაპას ყველაზე უფრო სუტ-კენინას ოინები მოსწონდა, ბებო ლამაზისეულზე ხითხითებდა, მამა ლუარსაბის ძმაზე — დავითზე ჯავრობდა, ვითომ ეგეც კაციო! და ისე ჯავრობდა, რომ ახლა მამაზე ვიცინოდით. თქვენი არ ვიცი და ბაღლებს კი ძალიან

გვიყვარდნენ ორივენი — ლუარსაბი და დარეჯანი, ჩვენი მეზობლები რომ ყოფილიყვნენ, სულ იმათსა ვიქნებოდით.

ზამთრის გრძელი საღამო კი მიდის და საცაა, შუაღამეც წამოვა. დედა კითხვას ამთავრებს. სიცილი დაცხრა. ლუარსაბი და დარეჯანი ურემში ჩასხდნენ და თელეთის გზას დაადგნენ. ლამაზისეულიც ჩასვეს და ისიც უნდა წაიყვანონ. უმისოდ ვერ გაძლებენ.

დანარჩენი? დანარჩენი ხვალდამ იქნება. ვნახოთ, გასჭრის თუ არა თელეთის სალოცავი. მერე ისევ წიგნზე ლაპარაკობენ.

ნეტავი ვინ იგონებს ამისთანა ამბებს და ლექსებს? — ვფიქრობ მე.

ბებო ნატრობს, ნეტავი ჩვენ შვილიშვილებსაც უყვარდეთ წიგნიო.

პაპა ამბობს, თუკი ჩვენ გვიყვარდაო?

და ბებო ახლა ამაზე იცინის, რომელი დიდი მწიგნობარი შენა მყავდიო.

პაპა თავს იღებს, რომ წიგნი (ანუ წერა-კითხვა) ჯერ ისევ ბაღღმა, თავადის ოჯახში, მოჯამაგირეობისას ისწავლა.

ბებო ტოლს არ უდებს და უმატებს, რომ წიგნი პაპაზე უფრო ადრე იცოდა, თვით მღვდლის ცოლმა, ფოფოდიამ ასწავლა და როცა პაპამ კითხვაც არ იცოდა, ბებომ „საღმრთო წერილი“ ზეპირად დაიმასხოვრა.

ესეც შეჯიბრებას ჰგავს და მთელი ოჯახი იცინის.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა...

მაშინ რა ვიცოდით, რომ პაპას და ბებოს მართლაც ჰქონიათ საამაყო. ვინ იცოდა იმ დროს წიგნი? ვის შეეძლო „საღმრთო წერილის“ ზეპირად დასწავლა, ან „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერა?

ეს იყო დიდი ხნის წინათ და მოგონებაც ისევ ბურუსში იძირება.

* * *

ზამთარი კი თითქოს არ იძვრის. დრო თითქოს გაჩერდა.

რატომ დაემსგავსა ერთმანეთს დღეები? რატომ იქცა მოლოდინად ყველაფერი? რატომ გვინდა, რომ რაღაც შეიცვალოს? ეს ფანტელებიც, ეს გაშიშვლებული ხეებიც, ზამთრის მთელი მხიარულებაც მომაბეზრებელი რად გახდა? თოვლს ვნატრობდით და თოვლი აღარ გვინდა, ყოველ დღით ვიხედებით სარკმლიდან და გულდაწყვეტილები ვამბობთ: ისევ თოვს...

დღეები ერთფეროვანი ხდება.

ყოველი დღეა ერთმანეთს ჰგავს და არც საღამო გვირდება რაიმე განსაკუთრებულს. ერთი რამ ნიშანი მაინც გამოჩნდეს, რაც გვაგვარდობინებს, რომ ზამთარი გადის და ახლოვდება ის, რომლის სახელსაც უკვე ნატვრით ვამბობთ: გაზაფხული.

გაზაფხული კი მაინც არ ჩანს.

სოფლის შარაზე ათასში ერთხელ თუ გაივლის ვინმე. ყველანი შინ შეეუქულებან. სოფელს გარეთ მზე თუ გამოიტყუებს, მზე კი სადღაც ღრუბლების მიღმა მიდის თავის გზაზე და ჩვენ ვერც ვხედავთ.

ვინმე მაინც გამოჩნდებოდეს. ის ვინმე სახლებიდან სხვებსაც გამოიტყუებს.

აი, ისიც... ჯერ ცხენი მოჩანს ბურუსიან გზაზე, მერე ხმაც გვესმის... მერე ცხენის პატრონიც გამოჩნდება. ვიღაცას ტყიდან სათარი მოაქვს. სათარი ვეება ხეა, ძირში მოჭრილი და ცხენზე გამობმული. ეტყობა ოჯახს შეშა არ ეყო. გაზაფხულის მოსვლა გაჭიანურდა და ახლა სათარი მოაქვთ, შეშად რომ დახერხონ, დააპონ და სახლი გაითბონ. სათარის დანახვაზე ჯერ ერთი ჭიშკარი იღება, მერე მეორე. ბაასი ხმადაბალია, ამ ბურუსის და ამ ნისლის შესაფერი: სად მოსჭერიო, ყორან კლდესთანო... დიდი თოვლებიაო? დიდია, მაგრამ ჩამოტანა შეიძლებაო. წიფელიაო? წიფელია, მაგრამ ხმელია, შეშად გამოდგებაო. ცხენმა როგორ ათრიაო? ზემოთ უჭირდა, თოვლში ფეხი ეფლობოდა, რაც ტყიდან გამოვედით, არა უშავსო.

ცხენი გზას განაგრძობს. სათარი მიხრიალებს გაყინულ შარაზე. ჭიშკართან გამოსულნი თვალს გააყოლებენ, მერე ხმაური მიწყდება და მცირე ხნით გარეთ გამოსულნი ისევ შინ შედიან.

ნეტავი კიდევ ვინმე ჩამოივლიდეს...

როგორ არა? აი, მოდის კიდევაც!

მონადირე ქორია!

ქორიას დანახვაზე ყველა ჭიშკარი ერთბაშად იღება და ჯერ შორიდან, ნისლშივე გასძახიან, აბა მოგვახსენე, რა მოგაქვს, რა მოგიკლავსო, მერე ხელცარიელი ქორიას და-

ნახვაზე სიცილი გაისმის. ქორია ჯერ იბღვირება, ნეტა შინ შეხვიდოდეთ და ძვლებს გაითბობდეთ, ნადირობა რა თქვენი საქმეაო. მერე დაიწყებს, ამ თოვლში სად ვივლიდი, საქამრემდე მწვდებოდა, განა თქვენ რო გზაზეც არ გამოდიხარა, ეგრეაო? მონადირის წესია, დღეს ხელცარიელი მოდის, ხვალ სადმე ირემს წააწყდებაო. შენ წაწყდიო — ქოქოლას აყრიან ქალები, ირემი რა შენი საქმეა, შენი მოსაკლავი ირემი სადა დარჩა, ეგე-ეგენი ხოცეო, და კაკლის კენწეროებისაკენ იხედებიან.

კაკლის კენწეროებზე ყვავები სხედან. შავად დახუნძლულან კენწეროები. ყვავები, თითქოს ეწყინათო, ერთბაშად აიშლებიან და ყრანტალით გადაიფრენენ ჭალისკენ. ცოტა ხანში ისევ მობრუნდებიან და ისევ გადაშავდება კენწეროები. ამათ დარჩათ ქვეყანაო, — ჩივიან ქალები და თან შინ ნაქსოვ შალში იფუთნებიან. მერე — ერთი-ორი სიტყვა, კარის გაჭრიალება და სოფლის შარაზე ისევ სიხუმე ჩამოდგება.

ცოტა ხანიც და ვიღაცა წყაროზე მიდის, ხელში კოკა უჭირავს. წელში მობუზულა. აქეთ-იქით არც კი იხედება. ვიღაცა გზიდან გამოსძახის, მოიცა, ქალო რა მარტო მიიბუზუები, მეც წყაროზე მოვდივარო. ქალი დგას და ელის. თან სცივა, ცახცახებს. ჭიშკარი გაიჭრიალებს და ის მეორე ქალიც გამოდის. ორნი ერთად მიდიან წყაროზე და ისინიც, როგორც ნისლიან დღეს შეჰფერის, ჩუმად საუბრობენ.

წყაროსთან არავინაა.

ქალები კოკას უდგამენ და საუბარს განაგრძობენ.

ნეტავ რაზე ლაპარაკობენ ამ სიცივეში, — ფიქრობს გზად მომავალი კაცი და ქალებისკენ იხედება.

ქალები ჩუმდებიან.

კაცი მიდის და ქალები ისევ განაგრძობენ ლაპარაკს.

წყაროს ძროხა და ცხენი უახლოვდებიან.

მათი პატრონი დაბალია, ქურქში ჩამალული და წელში მოხრილი. ძროხას აქეხებს, დალიე, ამათი ნუ გეშინიაო.

ქალები იცინიან და გვერდზე გადაგებიან.

კოკები რახანია გავსებულა, მაგრამ საუბარი მაინც გრძელდება.

ძროხა წყალს სვამს. მალე ბეზრდება და ნავს ზურგს აქცევს.

ახლა ცხენი ჩაჰყოფს ჩიჩვირს ნავეში და ხარბად ხვრებს ცივ წყალს.

კაცი ხმას არ იღებს. ცხენს შესცქერის, უცდის, როდის გაძდებაო. „ვერ დაარწყულე, კაცო, რა მოგივიდაო“, — უტევენ ქალები. „ნეტა თქვენ მაგრე გალაპარაკათო“, — ჩაილაპარაკებს კაცი, ცხენსა და ძროხას შესძახებს და გზას გაუდგება.

უფრო ბინდდება.

ვიღაცა ქალი ეზოში შემას ჭრის და თან თავის ბიჭსა სწყევლის: მაშ შეშა ვერ უნდა დაგაჭრეინო, ამოდენა ბიჭი დედის იმედათ რათ უნდა იყო? ბიჭი არა ჩანს და ქალი ხმამაღლა განაგრძობს: ვინ დამწყევლა რომ შენისთანა შეილი გამომსვლოდაო.

სახლიდან ჩხუბით გამოდის ბიჭი. რა ქვეყანა შემეყარეო, ერთხელ აიღე ცული და მაშინაც გააშარავეო? მოიტა, მამაოხრე, დაგიჭრი და იქნება გაჩუმდეთ. ქალი ცულს მიაგდებს და ახლა ბიჭი ჭრის შემას.

ჭიშკართან დედაბერი დგას და ხელში ქათამი უჭირავს.

კაცს ელოდება, იქნება გზაზე ვინმემ გამოიაროს და დამიკლასო.

ღობის გადაღმიდან მეზობლის ქალი ეხუმრება, გადმომაწოდე, ერთი წავაცალო კისერიო. ქალის დაკლული როგორ იქნებაო — ხელებს ასავსავებს დედაბერი. ნუ გეშინია, მე ჩავდები ცოდვაში, შენ ოღონდ ერთი ბარკალი ჩემთვის აახლიჩეო, — იცინის ქალი. ახლანდელები ეგეთები ხართო, — ჩივის დედაბერი. დაკალი თორემ, ეგეც პირში ჩაგაღნება, ვერა ხედავ, მიმკვდარებულიაო, — არ ცხრება ქალი. შენ აღარ გჯობიაო? — არ უთმობს დედაბერიც და ისევ გზას გასცქერის.

გზაზე კაცი არა ჩანს.

ბინდდება.

სახლებიდან კვამლი ამოდის. კვამლი ნისლებში ერევა და ხის კენწეროებზე იწეწება. თითქოს მთელი ზეცა კვამლში ეხვევა. თითქოს მთელი სოფელი ერთიან ნაცრისფერში იძირება. და ამ ნაცრისფერში ერთი კუნჭული ნელ-ნელა ნათდება: პატარა ბიჭები გამოსულან, ტყაპუჭებში გახვეულნი და კაკლის ძირში, ერთი ბეწო მომშრალეულზე, კოცონს ანთებენ. ცეცხლი ჯერ უმწეოდ აბოლდება. მერე ბუუტვას იწყებს. ცოტახანიც აბრიალდება. ცეცხლის შუქზე ბიჭების სახეები ნათდება. არც ისე დიდები არიან, მაგრამ დიდებივით დინჯად ეფიცებიან სითბოს. ვიღაცა კიდევ უმატებს ფიჩხს და ალი უფრო

ზემოთ აღის. შინ შემოდით, ბიჭო, დაიხოცებითო, — გასძახიან სახლიდან, მაგრამ ბიჭებს აქ ურჩევნიათ. მერე რა, რომ კოცონი ერთბაშად ააღდა და ისევ მალე ჩანავლდა, მერე რა, რომ ნაკვერჩხლები ხელებსა და მუხლებსდა უთბობთ, ზურგიდან კი სიცივე ატანთ? ერთად ხომ არიან, ცეცხლი ხომ ერთად ყოფნის სურვილმა დაანთებინათ? დგანან, ხელებს ნაკვერჩხლებისკენ იწვდიან და ისინიც, ზამთრის ნისლის შესაფერისად, ხმადაბლა საუბრობენ. ჰყვებიან ათასგვარ ამბავს, საკუთარი თვალით ნანახს თუ ყურმოკრულს.

ამ დროს ვიღაცა იძახის, კინო ჩამოიტანესო და ბიჭები სოფლის კლუბისკენ გარბიან.

კლუბის ეზოში ძრავა რახრახებს.

ხალხი კარებს აწყდება და ბიჭებიც იმ კარისაკენ მიძვრებიან. ცოტა ხანიც და ქრება სინათლე.

მთელ ეკრანზე მოჩანს არსენა!

ზამთარი სადღაც ქრება. არსენა განაგებს ყველაფერს.

* * *

აღარ უნდა გავიდეს ეს ზამთარი? — ჩივის დედაბერი და ეს მთელი სოფლის ჩივილია. დედაბერს ხელში „ნიტრიანი“ უჭირავს და ღია კართან დგას. ბებო შინ ეპატიუება, შემო, რასა დგეხარ, შეგცივდებო. დედაბერი უხერხულად იხედება აქეთ-იქით და ჩურჩულებს: „კაცი შინ არი?“ კაცი, რა თქმა უნდა, შინ არი, — კაცი პაპაა და დედაბერს ერიდება კაცისა. სხვა დროს შემოვიდოდა, ახლა კი ვერა. ბებოს ხმადაბლა ელაპარაკება. „ერთი ეს ლობიო მასესხეო...“ ზამთრის სარჩო ოჯახს არ ეყო და ლობიო სასესხებელი გამხდარა. ბებო ხმის ამოუღებლად ართმევს „ნიტრიანს“ და ისე, რომ „კაცმა არ გაიგოს“, მარანში შედის. განა კაცი უარს იტყვის, მაგრამ ლობიოს გასესხება საკაცო საქმე არ არი. ბებო მარანშია. დედაბერი უმწეოდ დგას და სიცივისაგან აბუზული ელოდება. საჩხეში ახლად გამოჩეკილი წიწილები წივწივებენ. კაკალზე ყვავები ყრანტალებენ. ზეციდან ნელ-ნელა ცვივიან ფიფქები და დედაბერი თავისთვის ამბობს: ჯერაც არ მოსულხარ... ეს სამდურავი ამ ფიფქებს და გაჭიანურებულ ზამთარს ეკუთვნის. ბებოს გამოაქვს „ნიტრიანი“, დედაბერი ართმევს, „ხო იცი, არ შევირჩენ“, — ჩურჩულებს და ბებოც ეჩურჩულება: „ნეტავი შენ“... ახლა დედაბრის ჩურჩული: „განა თქვენ კი ბეგრი გექნებათ“... ახლა ბებოსი: „სადამდეც გაგვწვდება, გაგვწვდეს...“ „ეს თვეა დაწყებული თორემ, მხალი შემოვა და იოლას წავაღო...“

იოლას წავაღო? — ეს სიტყვები ჩვენც გვესმის და გარეთ ვიხედებით. სად უნდა წავიდნენ? ნეტავ სად არის ეს „იოლა“? რა უნდა იქ?

დედაბერი წასულა და ბებო იცინის.

„იოლას წასვლა“ (აღბათ „იოლად წასვლა“) როგორმე თავის გატანას ნიშნავს. გაზაფხულის მოსვლამდე როგორმე თავი უნდა გავიტანოთ.

ბებო გვეძახის და, სხვენში აღითო, გვეუბნება.

ეს რა ხდება? — ბებო თვითონ გვაძალეებს სხვენში ასვლას, მაგრამ ჩვენ ვიცი, რასაც ნიშნავს ეს ასვლა. სხვენი უნდა დავათვალიეროთ და ბებოს იქიდან ჩამოვძახოთ: რამდენი ჯაგანი დარჩა, მსხალი თუ კიდევ არი, კაკალი სულ ხომ არ გაზიდეს თავგებმა, ვაშლი ხომ არ დაღპა, და თუ დაღპა, ცალკე დამპალი უნდა გადაირჩეს, ცალკე სალი; კრამიტიდან წყალი ხომ არ ჩამოვიდა, ტაშტი რომ შეუდგეს, ის ტაშტი ხომ არ აივსო წყლით, და თუ აივსო, გადაღვრა სჭირდება...

ბებო დგას და გულისყურით გვისმენს.

სხვენიდან ჩამოვიდივართ. სახლიდან პაპა გამოდის და კითხულობს, რა ამბავიაო. იცის, რა ამბავიც არი და ამიტომაც გამოვიდა. შემოგვიერთდა, ბებო აფრთხილებს, შინ შემო, არ გაცივდეთ და ეტყობა თავად უფრო სცივა. ბებო გამომცდელად აკვირდება, ცუდად ხომ არა ხარო, ეკითხება. პაპა თავს აქნევს, არაო, აკი გითხარი წუხელ, ის ერთი ჭიქა აღარ დალიო-მეთქი — ჯავრობს ბებო, — ვერ დაიმახსოვრე, ღმერთი სამობით არი, მეოთხე რაღად გინდოდაო? იმ თედომაც გააჭიანურა, შუადამემდე იყბედა, ფეხი აღარ მოიკვალაო, თაობითვე ვერე იცოდით, ყაჭივით გააბამდით ხოლმეო. პაპა იცინის და ბებოც მშვიდდება. რაკი იცინის, ცუდადაც არა ყოფილა.

ბებო ეზოსკენ იყურება.

თოვლის ფანტელები უფრო ხვარეილად მოდიან. ყველანი გასცქერიან თოვლს.

რა მოხდა? აღარც ჩვენ გვიხარია ეს ფანტელები, ჩვენც გვენატრება მზიანი დღე, ღახტი, რიკტაფელა, შარაზე სირბილი. ახლა ჩვენც ვფიქრობთ მერცხლებსა და შოშიებზე.

იქნებ გზაში არიან? ვაითუ ყინვამ მოუსწროთ, ვაითუ გაზაფხული ეგონოთ და დაგვიბრუნდნენ? ვაითუ გაზაფხული სულაც არ დადგეს...

დადგება, როგორ არ დადგება?!

გზაზე ვიღაცა მოდის და პაპაც თვალს აყოლებს.

კაცი გვესალმება. პაპა და ბებო ეძახიან, როგორა ხარო...

მეველე ყოფილა...

მეველე ღობესთან მოდის და თავადაც მოგვიკითხავს.

როგორი ზამთარიაო, — ისე, სიტყვის სათქმელად ეკითხებიან მეველეს...

ვერა ხედავთ, როგორიაო?

მეველე წამით ჩერდება და მერე იწყებს:

ამ წინებზე მგლები შემხვდნენ, კაცო...

ბებო და პაპა შესცქერიან. პაპა მამაჩემს გასძახის, აბა, გამოდი, მგელი შეხვედრიანო. მგელი კი არა, მგლებიო, ამბობს მეველე. ჩვენ შიშისაგან ვისუსებით, ჩვენ, ბალები და მორიდებით შეეცქერით მეველეს. ხუმრობა საქმეა, მგელი შეხვედრია, თანაც ერთი კი არა, და მაინც არხეინად დგას და გვიამბობს. სადაო? — კითხულობს მამა და დედაც კარს აღებს, გარეთ იხედება. იმასაც ეძახიან, გამოდი, შენი ყურით გაიგონე, მგლები შეხვედრიანო. მინდორშიო, მოვდიოდი ჩემთვის, როგორც ვიცი ხოლმეო. თოფი ხო თანა გქონდაო? აბა უთოფოდ სად წავიდოდიო? მივიღივარ, თან აქეთ იქით ვიხედები, და უცებ შლივინი არ მომესმასო? გავიხედე და გვერდზე კი არა, მე შუა მინდორში მივიღივარ, ის ტყე-ტყე მოდის, ჯერ ზედაც არ შემიხედავს, ძალღი მეგონა და დავეუძახე, რას დაძრწიხარ ძაღლო ამ ტყეში-მეთქი... გაჩერდა და მიყურებს... დავაკვირდი... მგელი არ არი? წაველ, ისიც წამოვიდა, არც ახლო მოდის, არც უკან რჩება. ერთხელაც მივიხედე და შორიასხლო ახლა მეორე არ მოსდევს? მთელი ხროვაა, კაცო! დრო უნდა იხელთონ და დამეცნენ. არა, დამე რო ყოფილიყო, მართლა დამეცემოდნენ, რა შეაშინებდათ? ხო, რა შეაშინებდათ, რომელი ბაყბაყდვეი შენა ხარო, — იცინის ბებო. მერე, ეგრე მოგყვანენ სოფლამდეო? — ეკითხება მამა. სოფლამდე რას მომყვებოდნენ, ჩამოვისხენი ეს ჩემი უკანა და ერთხელ დავცალე — არაფერი, შენც არ მომიკვდე, მარტო გაჩერდნენ და ყურება დამიწყეს... ეგრე არ უნდა-მეთქი და მეორე, ტყვიაც დავცალე... მეორეზე დაფრთხებოდნენ — ამბობს პაპა. დაფრთხენ, შეეშინდათ, ტყეში შეცვივდნენ. ბუჩქების ლაწალწაღი მესმოდა. მერე ხმაც გავიგე, ერთმანეთს გასძახოდნენ... ალბათ, თავი დაანებეთ, იაროს, რას გვიშლისო, — იცინის ბებო. შენ იცინე, ნათლიდედ და ეგრე კი იყო... — ამბობს მეველე, — ეხლა ამას იმიტომ ვამბობ, უთოფოდ არსად გახვიდეთ, დიდი ზამთარია, სოფლის გარშემო დაძრწიან, ხიფათს არ გადაეყაროთო...

სოფლის გარშემო დაძრწიანო? — გვეშინია ჩვენ.

პაპა უკვე შინ შესულა და ხელადა გამოუტანია, — შეშინებული ხარ, ერთი ჭიქა გეკუთვნის, შენი გადარჩენისა იყოსო.

მეველე თავპატიუს არ იღებს. ერთ ჭიქა ღვინოს გადაჰკრავს. შოთის წვერს მოტეხავს, აგაშენოთო, იტყვის და წავა.

— ტყუილი გვითხრა, — ჩურჩულებს ბებო.

პაპა იცინის.

დედა და მამაც იცინიან.

ის სადამო სულ მგლებზეა ლაპარაკი, ჩვენ ვლაპარაკობთ, ბალები. სად შეხვედებოდაო. სად არი ის მინდორიო. რომელ ტყეში შეცვივდებოდნენო. სოფელში რა უნდათო. ბებო ისევ იცინის, ტყუილი იქნებაო და თან წინდას ქსოვს. გორგალი ხან ბებოს წინ გარბის, ხან ოთახის ბნელ კუთხეში გავარდება, თავისით კი არ გავარდება, ჩვენ ვავორებთ. გორგალი გავორდაო და იქვე, ბუხრის პირას თველმაში ჩაძირული და ნაცარში ამოგანგლული ჩვენი კატა ტასო (ტასო მეზობლის „პატივსაცემად“ დაარქვა მამამ) ერთბაშად წამოხტება, გაედევნება და დაიჭერს. ყველანი ვიცინით და ისევ ვავორებთ გორგალს. ბებო იცინის და თან ჯავრობს — მეხი ამასაც დასცემია, თავი ჰგონია და იმიტომ დასდევს გორგალსაო, არ ურჩევნია, მართლა თავი დაიჭიროს, აკლებულები ვართო, მთელი კაკალი იმათ გაზიდეს, თხილზე აღარაფერს ვამბობო. ტასო დარცხვენილი ზის ბუხართან და თითქოს არაფერი მეხებაო, კვლავ იმ გორგალს არ აშორებს თვალს. ჩვენ ისევ გვინდა გავუგოროთ, მაგრამ ბებო ჯავრობს, აბა ახლა გამირთეთ კიდევ, წავიდეს, თავისი საქმე აკეთოსო, გორგალს წინსაფრის კალთაში იღებს და ტასოსაც ცოცხს მოუქნევს, წადი, რას უზიხარ, თავი დაიჭირეო. ტასო კნავის, წამით ბნელ კუთხეში მიიყუება და სწორედ ამ დროს ისმის თავგების ფხაკუნი. ტასო ისევ ბუხართან

ბრუნდება, ბებოს ეფერება, კუდით ელაქუცება და ამაზე უკვე ყველანი ერთად ვიცინით. შეეშინდაო, — იცინის ბებოც.

შუალამე უკვე წამოსულა.

მატარებელმა ჩაიარაო? — კითხულობს ბებო.

ჯერ არ ჩაუვლიაო, — პასუხობს დედა და წიგნიდან თავს არ იღებს.

მატარებელი ჯერ სად არის? მერე ჩაივლის, ყრუდ დაიკვივებს და ეს იმას ნიშნავს, რომ მართლა შუალამე დამდგარა და დროა, ლოგინებში ჩაგვეყარონ. ჩვენ კი არ გვეძინება. იქნებ მამამ მოიცალოს და რაიმე გვიამბოს? იქნებ პაპამ გვითხრას, სად ათევენ ღამეს მგლები, რატომ არ სცივათ ამ ყინვაში, რატომ ეშინიათ ადამიანებისა და ადამიანებიც რატომ გაურბიან მგლებს... მაგრამ ჩვენთვის არავის სცალია. დედა წიგნის კითხვას განაგრძობს. მამა ცხენის უნაგირზე ნაბადს აკრავს, გაცვდა და გაახლება სჭირდება. პაპა თვლემს. ბებო ქსოვას განაგრძობს. ტასომ კი თავი თათებში წარგო და დაიძინა.

მეტი რაღა დაგვრჩენია, ისევ ჩვენი ვერთობით, ტახტზე ვგორაობთ და რაღაცაზე ჩუმად ვხითხითებთ — მე, ჩემი და, ჩემი ბიძაშვილები და ნაბოლარა ძმა. არ ვიცი, რაზე ვხითხითებთ, მაგრამ ეტყობა, მარტო ხითხითს არ ვჯერდებით, ტახტზე თავდაყირა ვდგებით და მამა მკაცრად გვაფრთხილებს, თუ არ გაჩუმდებით, ამ წუთში გარეთ ყინვაში გაგყრიანო. დედა მშვიდად ამბობს, ახლა მაგათ დავაწვენ და მორჩებიანო.

ჯერ რომ არ ჩაუვლია შუალამის მატარებელს?

ჩაივლის, ცოტა ხანიც და ჩაივლისო.

და რაკი დედამ თქვა, ვიცით, რომ მართლა ჩაივლის.

აბა გაჩუმდით, საცაა შეჰკივლებს.

შორიდან მატარებლის კივილი ისმის.

შუალამე მართლა დამდგარა.

ოჯახი ნელ-ნელა ლოგინებს აშურებს. ბუხარში მუგუზლები გაღვდეს, ნაღვერდალი დილისთვის შეინახეს ნაცარში. ტასომ რახანია დაიძინა. პაპა და ბებო უკვე თავიანთ ოთახში გასულან. დედამ ჩააქრო ლამპა და ოთახში სიბნელე ჩამოწვა. თითქოს ამას ელოდნენო, თავგებმა უკვე დაიწყეს ფხაკუნი, მაგრამ ჩვენს ტასოს ვერაფერი გააღვიძებს. გარეთ სიჩუმეა. პაპას ხვრინვა უკვე ისმის და ბებოს ჩურჩულიც მოჰყვება, გვერდზე გადაბრუნდი, რა ახლავე გააბი ხვრინვა, რა ღვთის რისხვააო. პაპა, ეტყობა, გვერდზე გადაბრუნდა და ისევ სიჩუმე ჩამოდგა. და ერთბაშად შორიდან კივილი ისმის... ნეტავი რა კივის? კივილი კვლავ გრძელდება და თანაც უკვე სულ ახლოს, ზედ ჩვენი სახლის გადაღმა ხევში. ერთბაშად ვიღაცა თოფს გაისვრის და კივილი წყდება. ალბათ მგლები იყვნენ. მაგრამ მგლები დედაკაცებივით არა კივიან. მგლები ყმუიან. მელა იქნებოდა... არც მელა კივის... ხო, ტურები იქნებოდნენ, ტურები კიოდნენ!

დილით ბებოს ხმა გვაღვიძებს:

— გესმოდათ, წუხელ, რა დღეში იყვნენ ტურები?

მე მიხარია, რომ ყველაფერი მესმოდა.

ბუხარში უკვე ცეცხლი დაუნთიათ და გარედან სიცილით შემოდის მამა.

— თქვენ ტურებზე ილაპარაკეთ და მელამ ქვეყანა ამოაგდო...

ბებო და პაპა მამას შესცქერიან.

მამა ისევ იცინის:

— ქათამი წაუყვანია!

მელას ქათამი წაუყვანია, — ესეც ახალი ამბავი, გვიხარია, ჩვენ და გარეთ გავრბივართ. ბებო და პაპაც გარეთ გამოდიან. დედა წყალზე წასულა და ჯერ არაფერი იცის. ნეტავი როგორი მელა იყო? ეტყობა, ყოჩალი იქნებოდა, იმ შუალამისას რომ არაფრისა შეეშინდა, მოცუნცულდა და ქათამი მოგვტაცა. საიდან შესულა, კაცო? — კითხულობს პაპა. კარების ქვეშ გამოუთხრია, იქიდან შემძვრალა, ამბობს მამა. უყურე მაგ წყეულს, — ჩივის ბებო და ახლა ყველანი ერთმანეთს ვეკითხებით: რომელი ქათამი წაუყვანიაო? რომელი აარჩია, რომელს მისწვდა ის მართლა წყეულიო. მამა იცინის, ეტყობა, უკვე იცის, მაგრამ თქმა არ უნდა. ბებო ეხვეწება, მითხარი, ხო იცი, ერთი შევიხედავ და მაშინვე მივხვდებითო.

მამალი წაუყვანია!

და ბებო ლოყაში ხელს იცემს.

აღარც პაპას ეცინება.

მამა მაინც იცინის და თან ხუმრობს: ახლა ვილა გაათენებს, რა გვეშველება, სულ როდამე იქნებაო.

— რაღა ის ამოარჩიაო, — ლამის არის იტიროს ბებომ.

— ძველი ჯავრი ექნებოდა, — ისევ იცინის მამა და ბებო ტუქსავს.

— ნეტავი რა გაცინებს, სადღა ვიშოვნი მაგისტანა მამალს, მთელი ქათმების პატრონი ეგ იყოო.

თუ პატრონი იყო, რაღათ დანებდა უბრძოლველადო? სადა თქმულა ჯერ სარდალი და-იჭირონ და მერე იმისი ჯარიო? ჯარი ხო ხელუხლებლად დაგვხვდა, სხვა რაღა გინდაო. ალბათ გაამწარა მელა და იმასაც რა ექნა, ჯავრი ამოიყარაო. რითი გაამწარებდაო? წუხანდლამდე ერთი-ორჯერ მაინც მოვიდოდა... რამდენი მოვიდა, ალბათ ყიყლიყო დაიძახა და დააფრთხო, მაშ რას უზამდა, შეარჩენდაო?

ყველანი ვიცინით, მაგრამ ყველას ძალზე გვენანება ჩვენი მამალი.

და ერთბაშად ყველას გაახსენდება ის, ვისაც ეს ამბავი უნდა დაბრალდეს.

ჩვენი ბოთვერა! ზანტად რომ გამოყო ცხვირი თავისი საბრძანებლიდან და თან იზმორება, თან თვალებით გვეკითხება, რა მოხდა, ამ დილაადრიან რაზე შეყრილხართ, მეც გამაგებინეთო... რა მოხდა და ჯანდაბას შენი თავიო, — ყველანი ერთხმად ეჩხუბებიან, — ეხლა გაიგე, შე ყურებდასავსებო, ველარ გასძეხი ძილით, ქვეყანა დაიქცა და შენ ვითომც არაფერიო! მამაშორეთ აქედანაო, — ამბობს ბებო და მამას შესცქერის, — წაიყვავათ, სადმე ბაზარზე გაყიდეთ, ჩემმა თვალებმა არ დაინახონო. მაშ ისე უნდა აპარპაშოს მელა, რომ ერთი არ დაიყეფოსო? დაიყეფოს თორემ, გულს გაუხეთქამდაო, — ცეცხლზე ნავთს ასხამს პაპა. რომ მოიყვანეთ, მაშინვე ვთქვი, ამისგან სიკეთე არ იქნება მეთქი, — ამბობს ბებო. მამა ისევ იცინის და ბოთვერას ემხრობა, — აბა მწყემსებსა ჰკითხეთ, რა ძაღლი იყო, რამდენი მგელი შეაშინაო? დაბერდა და რა ქნასო.

რაკი დაბერდა, ბებოსაც გული მოუღება და ბოთვერას აღერსით მიაყარა ქოქოლა, გადი, დაიკარგე, თვალით არ დამენახო. ბოთვერა ჯერ საქათმესთან მივიდა და შეიხედა (განა არა. მივხვდი, რომ მამალი არსად ჩანდაო), მერე თავისი ბუდრუგანისაკენ წავიდა, შეძვრა და, რაც მართალია, მართალია, გარეთ ერთხელაც აღარ გამოუხედავს.

ბებო ჭიშკართან დგას და სოფლის შარას გასცქერის.

პაპა ბებოს გასძახის:

— შინ შემოდი, ქალო, შენი მტერი დაბრუნდეს, ის რომ დაბრუნდებო...

ეს რა ყოფილა ზამთარი? აღარ უნდა გამოანათოს მზემ? რას მოქუფრულა ეს ცა? ან ეს ამოდენა ნისლები საიდან მოდიან, რომ არც თავი უჩანთ, არც ბოლო? სად არი გაზაფხული? ასე რად დაიგვიანა? თუ ტყეშია, აქამდე ველარ ჩამოვიდა? თუ ცაშია, რატომ მზის შუქს მაინც არ გვიგზავნის?

და თითქოს ჩვენს ფიქრებს მიგვიხვდაო, შარაზე მეზობლის ქალი გამოჩნდა. კოკა მხარზე შეუდგამს და ხუსხუსით მოდის. თავს გვიკრავს, გვესალმება და ხმამაღლა ამბობს: აღარ უნდა დათბეს ეს ოხერი?

ჩვენ ხმას არ ვიღებთ. არც მელიას და მამლის ამბავს ვეუბნებით. ჩვენი დარდი ჩვენვე უნდა გადავიტანოთ. მეველესავით ხომ არ დავდგებით შარაზე და ყველას არ ვეტყვით მამლის ამბავს?

და მაინც, ბებო შალს იხურავს და თავის დაქალთან, მეზობლიანთ ნენესთან გადადის. შინ გული არ უდგება. მამლის ამბავს ალბათ იმას ეტყვის.

* * *

იმ დამეს ქარიშხალი ამოვარდა.

ჩვენ გვეშინია.

პაპა ამბობს, რომ უკვე დაიწყო...

ნეტავი რა დაიწყო?

გაზაფხულისა და ზამთრის ბრძოლა! გაზაფხული მოდის და ზამთარი არ უშვებს, მედგრად ხვდება. იბრძოლებენ და, რაღა თქმა უნდა, რომ გაზაფხული გაიმარჯვებს. ყველანი შინა ვართ შეყუჟუნნი. დაუბერავს ქარი და ბუხრის ნაცარს თვალებში შემოგვაყრის. ოთახში კვამლი დგება. ეს რა ქარია! ემანდ სახლი თავზე არ დაგვანგრიოს! აკი მამაც ამბობდა, საყვავე ლპება და გამოცვლა უნდაო, წვიმა რომ წამოვა, ხან ერთი კრამიტიდან ჟონავს წყალი, ხან მეორედანო. მოდი და დაიძინე ამ გრიალში. თანაც შუაღამის მატარებელსაც აღარ ელოდებიან, ლოგინებში ჩაგვყარეს, თბილი საბნები დაგვხურეს და გვეჩურჩულებიან, დაიძინეთო. ქარი კი ხან თითქოს მიჩუმდება, ხან ისევ წა-

მოუვლის. ჭრიალებენ ხეები. საჩხეში ჩახუნობს კარი. ჩვენ საბნის ქვემოდან ვიჭყიტებით და ვხედავთ, როგორ აღებს მამა სახლის კარს, გარეთ იხედება და ეზოს გასცქერის. ამ დროს ქარი ოთახშიც შემოვარდება და დედა მამას ეძახის, კარი დახურე და ლოგინში ჩაწეპიო. სხვენში რაღაცა ფაჩუნობს. ჩვენი ლეღვი ტოტებს ულაწუნებს სათონეს. ძროხა დაიზმუვლებს და ისიც ჩაჩუმდება. ქარი ისევ ღმუის, კარებს აწყდება. ბუნხის საკვამურთან ძირს ჩამოდის. ამასობაში ჩვენც თვალები გველულება...

დილა უკვე მზიანია.

ქარი ჩამდგარა და, როგორც ბებომ მოგვახარა, ცხრათვალა მზე ანათებს.

— აკი ვითხარით, გაზაფხული ებრძვის-მეთქი, — ამბობს პაპა.

— ჯერ რა დროს გაზაფხულიაო, — იცინის ბებო და წყალს გვითბობს, რომ კარგად გავიდგრიტინოთ ხელ-პირი და ისე გავიდეთ მზეში.

ჩვენ ხელ-პირს ვიბანთ, ერთ ყუა შოთს მოვიტეხავთ, თან ვილუკებით, თან აივანზე გავრბივართ.

მამა ბაღჩაში წასულა.

პაპა აივანზე დგას და მზეს ვეიცხება.

— წუხელ იტყოდი, რომ ამისთანა მზე იქნებოდა? — უხარია ბებოს.

ღობესთან მეზობლიანთ ნენე მოდგება და გამოგვძახის, გაიგეთ, რა მომხდარაო? ყველანი ეკითხებიან, რაო? ნენე იცინის და პყვება, მეველემ ამოიარა, იმან გვითხრაო. მეველეს ხსენებაზე ყველანი იცინიან. ნენე კი პყვება, ქარს მინდორში მოუსწრია და კინაღამ წაუქცევიაო. შეშინებია და უფიქრია, ესლა კი ვკვდებით. აკი მგლებისაც არ მეშინიაო? ვერ გაისროლა თოფი? დააფრთხობდა ქარსაო... ამდგარა, უვლია, უვლია და ქოჩორა მუხასთან მიბობლებულა წარაფებში. აბა, ხო იცით, რამოდენა ფულურო აქვს მუხასაო. შემძვრალა ფულუროში ციყვივით და იქვე ჩასძინებია... თურმე ამბობდა, ჩემს სიცოცხლეში, აგრე ტკბილად არა მძინებიაო.

ჭიშკარი ჭრიალით იღება და შემოდის მამა.

თაფჩაღუნულია, ეტყობა, ისევ რაღაცა მოხდა.

ბაღჩას დავხედე და ხეჭეჭურა მსხალი ძირიანად მოუგლეჯიაო. — ამბობს და წაღდს საჩხეში მიაგდებს.

ბებო ლოყაზე ხელს შემოირტყამს.

პაპა ყურებს არ უჯერებს, — მართლა კაცო?

მართლა, ახლა იქიდან მოვდივარო, — ამბობს მამა და შინ შედის.

ყველანი ვიცვამთ, ვიფუთნებით და ბაღჩისკენ მივდივართ.

ბაღჩა ცოტა შორსა გვაქვს, ხეგვადმა. არც სიცვივს ვეპუებით, არც თოვლს, და გაკვალულ ბილიკს მწკრივად დაწყობილნი მივყვებით. წინ პაპა მიდის, მერე — ბებო, მერე — ჩვენ, ბოლოს კი ის მეზობლიანთ ნენე მოხუსხუსებს.

ბაღჩა...

პაპა გამშრალი დგას.

ბებო ცრემლს იწმენდს.

ნენე ხან ერთს შესცქერის, ხან მეორეს.

ვეება ხეჭეჭური თოვლში გულადმა გდია.

— ჩემს ბიჭობაში უკვე იდგა, — ხმადაბლა ამბობს პაპა და ხეჭეჭურს ისე კრძალვით უვლის გარშემო, როგორც მიცვალებულს უვლიან ქუდმოხდილი ახლობლები.

ბებო ისევ ტირის.

ჩვენ არ ვიცით, რა ვქნათ. ჩვენც ვიტროთ თუ ეგრე, ხმისამოუღებლად საწყლად გადაქცეულ ხეჭეჭურს ვუყუროთ.

ბოლოს ბებო ხელს ჰკიდებს ნენეს, გვერდზე გაჰყავს და ჩვენ გვესმის ატირებული ბებოს ჩურჩული:

— ცუდად მენიშნა ეს ხეჭეჭური...

ნენე ჩურჩულებს, გაჩუმდით, და პაპაზე ანიშნებს...

ბებო ჩუმდება.

ჩვენ უკვე ბილიკს თავდაღმა ჩავუყვებით.

მზე კი ანათებს.

* * *

ერთბაშად პაპამ ტყაპუჭი გადაიცვა, ქუდი დაიხურა და ჯოხი აიღო.

ბებო მიხვდა, რომ პაპა სადღაც მიდიოდა და მაშინვე ლაპარაკი დაიწყო, საით გაგიწევია, ეს მზე ხო არ გატყუებს, აბა, ეხლა გარეთ გასვლის დრო არიო? რა მოხდა, თედოსთან გადავა, აქვეაო. — ამბობს მამა, მაგრამ ბებომ ყველაზე კარგად იცის, რომ ასე საგულდაგულოდ გამოწვობას პაპა თედოსთან გადასასვლელად არ დაიწყებდა. ხმა ამოიღე, კაცო, ვიცოდე, მაინც სად მიდიხარო, რომ აღარ მობრუნდე, სად გექებო? — ხმას იმადლებს ბებო და ახლა ის სათნო ბებო აღარ არი, ახლა ვიცით, რომ პაპაც მის ხელშია და მისი ბედ-იღბალიც. ვენახში მივდივარ, ვენახს უნდა დავხედო, — ხმადებლა ამბობს პაპა და ბებო უფრო ცეცხლდება: რა დროს ვენახია, სად გაგექცევა, გაზაფხულამდე ვერ უნდა მოითმინო, ჯერ ისევ მუხლამდეა თოვლიო. რა დამიშავდება, დავხედავ და წამოვალო, — ამბობს პაპა და კიბისკენ მიიწევს. მაშინ მეც წამოვალო, არ ცხრება ბებო და შალს ეძებს. მაგრამ პაპა თვალეში შესცქერის, რაც იმას ნიშნავს, რომ წასვლაც მტკიცედ გადაუწყვეტია და თუ წავა, მარტო წავა, არავის გაიყოლებს. წაუსვლელია არ იქნება, — თვალეში ეტყობა პაპას და განრისხებული ბებოც ერთბაშად ნებდება. წავიდეს, რაც იქნება, იქნება, რაკი ძალიან უნდა, წავიდეს...

პაპა მიდის თოვლიან გზაზე.

ბებო დგას და მის კვალს დიდ ხანს გასცქერის.

დღე მზიანია, მაგრამ მაინც ცივა და წუხანდელი ქარის კუდებიც ხან როდის ჩამოქროლებენ, ხან როდის.

— მალე მოდი, თავი არ მაძებნინო, — დაადევნებს ბებო.

მაგრამ პაპა უკან აღარ იხედება.

სახლის სახურავებიდან გრძელი, გამჭვირვალე ყინულის ლოლუები პანტა-პუნტით ცვივიან. კრამიტებიდან იღვრებიან პირველი წვეთები. თოვლი ტირილს იწყებს. მთელი უბანი გარეთ გამოდის. მყუდროზე მზეს ეფიცებიან დედაკაცები. აქვე გამოაქვთ სართავი და საჩქელი, საქსოვი და საკერავი. კაცები შორიანხლოს დგანან და რაღაცაზე ბჭობენ. ბაღლები ახლა მზეში თოვლაობენ. ხო, მზეს ჯერ ძალა არა აქვს, მაგრამ მაინც მზეა, მაინც მზიანი დღეა... და ერთბაშად ყველანი გაზაფხულის მოსვლაზე იწყებენ საუბარს. ზამთარი გაჭიანურდა. დროა თოვლმა დნობა დაიწყო და ხეში წყალი ჩადგეს. თუმცა ჯერ რა დროის გაზაფხულია, და მაინც დროა... დროა... შეშა გეყოფა გაზაფხულამდე? — ეკითხებიან ერთმანეთს და პასუხი იმედიანია: თუ ძალიან არ გაჭიანურდა, შეშა სამყოფია. წისქვილებში ყინვა მოლღვა და უკვე დაფქვაც შეიძლება, თორემ დაფქულიდან აღარაფერი შემორჩა. ერთი მხალი მაჭამა, ნატრობს რომელიღაც დედაბერი და ყველანი იცინიან. ნუ გეშინია, ათ მხლობას მაინც მოესწრები, — ამშვიდებენ ქალები სიცილით. შარშან მაშოსაც ეგრე ამშვიდებდნენ, მაგრამ მოესწრო? — ამბობს დედაბერი და ისევ ნუგეშს მოელის. ნუ გეშინია, მაშო ავად იყო, — კვლავ ამშვიდებენ ქალები. და ისევ ყველანი გაზაფხულის მოსვლაზე ლაპარაკობენ. ყველას თითქოს უკვე სასხლავი უჭირავს ხელში, ყველა სადღაც მიიქარის, მაგრამ მზე ისევ შედის ღრუბლებში, მყუდროზე გამოფენილებს ცივი ნიაგი დაუბერავთ, წამოიშლებიან და შინ გასძახიან, ბიჭო, ცეცხლი შეანთეო, და ვიდაცა იტყვის: ამდამ ისევ მოვა თოვლი...

თოვლი ისევ მოდის, მაგრამ მეორე დღე მაინც მზიანია.

აი, ამ დროს, როცა გაზაფხული ჯერ ისევ შორს არი, კიდევ ერთხელ მოგვინდება ტყის ნახვა. წავიდეთ ტყეში, იქნებ შევხვდეთ სადმე გაზაფხულს, გაუბედავად რომ მოაბიჯებს სოფლისაკენ.

ტყის ბილიკი თოვლიანია და თავად ტყეც ისე შიშველი, რომ მთელ გასადევარზე გასწვდება თვალი.

ავიარეთ ორღობეები და გავედით სოფლის თავში.

თვალი შევავლეთ ძველებურ კოშკებს, ქონგურები რომ დათოვლიათ და ჩაქუფრული თვალით შემოგვცქერიან. გადავუხვიეთ პატარა ბაზილიკისაკენ და ჩამოქცეულ კედლებს შორის, ვიწრო კარში შევედით.

გახუნებული, წვიმისაგან ჩამორეცხილი წმინდა გიორგი, მისი თეთრი ცხენი, გრძელი შუბი და განგმირული ურჩხული...

აქეთ ღვთიშობელი მარიამი. იქით გარდაცვეთილი წარწერის ორიოდე ასო.

ჩამოქცეული კედლების წინაშე თავს თითქოს დამნაშავედ ვგრძნობთ. და გარეთ გამოვდივართ. ცოტა იქით გუმბათიანი ეკლესიაა, სოფლის პატარა ეკლესია. აქ ჯვარს იწერდნენ, ინათლებოდნენ. აღდგომასა და შობა-ახალწელიწადს ხვდებოდნენ. ღმერთს სწირავდნენ საკლავს. აქ ხომ არ დაიწერეს ჯვარი ლუარსაბმა და დარეჯანმა? აქ ხომ არ მოატყუეს საწყალი ლუარსაბი, როცა მზეთუნახავის ნაცვლად მახინჯი და უმზითო

დარეჯანი ამოუყენეს გვერდით? რა ვიცით, იქნებ აქაც იყო, ან სულაც არ იყო აქა. იქნებ აქ ჯვარი გაბრიელსა და თამროს უნდა დაეწერათ? ასე იყო თუ ისე, აქეთ მოდიოდნენ ჩითისკაბიანები, ჩოხა-ახალუხიანები, ნაბდის ქუდიანები და იმედით ფიქრობდნენ ხვალინდელ დღეზე.

წინ კი ტყე იწყება, ზამთრის ტყე.

ბილიკი ძლივს მიიკვლევს გზას თოვლში.

კარგა ხანი გასულა, და მზეც საცაა ჩავა.

მაგრამ გაზაფხული ჯერ არსად ჩანს.

აქა-იქ შემორჩენილა შემხმარი ასკილი და კუნელი. ხან ერთ, ხან მეორე ტოტზე აფრთხილდება შეშინებული ჩიტი, ან ფულუროდან თავს გამოყოფს ცნობისმოყვარე ციფვი... — ეს არის და ეს.

მაგრამ დაიცათ!

ერთბაშად თვალწინ შემოგვენთება კაშკაშა წითელი ფერი!

წითელი ფერი, თეთრი თოვლის ფონზე...

ძახველი!

ხელუხლებელი, ზამთრის სუსხს სასწაულად გადარჩენილი.

გაზაფხული სადღაც აქვეა, მაგრამ ჯერ ვერ ვხედავთ, ჯერ არ გვესმის მისი სუნთქვა.

მშვიდობით, წითელო ძახველო!

* * *

ისევ მოლოდინი.

ერთბაშად მზის გამოხედვა და გამოცოცხლება სოფლისა. ძროხამ კვლავ მოიგო ხბო.

კრუხმა გამოჩეკა ყვითელბუმბულა წიწილები.

მეზობლის რძალს ბიჭი შეეძინა. საყოველთაო სიხარულია, ესუმრებით, სწორედ ბიჭი უნდოდათ! ნეტავი რას დაარქმევენ, რომელი პაპის სახელს? როდის იქნება ძეობა, ნათლიად ვის აირჩევენ? რა ეჩქარებათ, ცოტა დათბეს, შინ განა რამდენი კაცი უნდა დატიონ? ნუ გეშინიათ, დავგეტყვით, ბუხართან ძეობაც არ იქნება ურიგო. ღვინო თუ ჰქონდათ სააღდგომოდ შენახული? ექნებოდათ, მაშ ისე, როგორ იქნებოდა?

ბიჭი, რა თქმა უნდა, აკვანშია ჩაკრული. დიდის ამბით მოართვეს პირველი საჩუქარი — ხის შიბაქი, რომ ძილში არაფერი წასცდეს და თავი არ შეირცხვინოს. აკვანზე ზედ თვალვებთან, ქარვის მძივი ჩამოუკიდეს, რომ ათასში ერთხელ, არტახებიდან ხელი აიშვას და იმ მძივს ეთამაშოს. მაგრამ ბიჭი იმისთანა მტირალა დადგა, მძივი ვერაფერს შევლის. მაშინ „ჩხრიალას“ გაუკეთებენ, და იმასაც თავთან დაუკიდებენ, რომ როგორმე გაერთოს. უკვე მთელმა უბანმა იცის, რომ ბიჭს ტირილი უყვარს, მოდიან სანახავად და რა ზიზილ-პიპილებს აღარ უკიდებენ, რას არ დასძახიან, როგორ არ ეაღერსებიან, რომ ტირილს გადააჩვიონ. კაცმა რომ თქვას, გადაჩვევა რად უნდა, დედაბრები ამტკიცებენ, რომ რაც უფრო მეტად იტირებს, ფილტვებიც უფრო გაუმაგრდება და მაგარი ბიჭიც დადგება. რო მოვკვდე, გაგაცინებო, — ჩასძახის ძალუა და, რას არ იგონებს, რომ ბიჭს ღიმილი მოჰგვაროს. მაგას რა გააცინებს, მამის შვილი არ არისო? — ამბობს სხვა, მაგრამ ერთი-ორი დღეც და ძალუა ტაშს შემოჰკრავს:

ბიჭმა გაიცინა!

ესეც მთელ უბანს მოედება...

სიხარულია და ისევ მოლოდინი...

* * *

მაგრამ მოლოდინი მწუხარებით მთავრდება:

პაპა გარდაიცვალა...

წუხელ დაუძინია, დილით თურმე აღვიძა, აღვიძა ბებომ და ვეღარ გააღვიძა. წასულა უთქმელად და ამქვეყნად ერთი სამღურავიც არ დაურჩენია. საბოლოოდ ხომ ვენახს დახედა... თურმე რატომ მიდიოდა, რატომ არ გაიყოლა არავინ. ამ გაზაფხულს ვეღარ მოვესწრებო, — მარტო ეს უთქვამს და მეზობლის დედაკაცი თურმე ესუმრებოდა: რა დროს შენი სიკვდილია, ათი გაზაფხული კიდევ გაქვს წინაო.

ბებო ტირის, უშენოდ რაღა იქნება ჩემი სიცოცხლეო. ქალები მკაცრად ამშვიდებენ, ტუქსავენ, აბა ჯერ შენ უნდა მომკვდარიყავო? ვიღა მოუვლიდაო? წესია, ჯერ კაცი უნდა წავიდესო... მაგრამ ბებოს დამშვიდება ძნელია. ვაჟები გამშრალები, ქუდმოსდილეები და თავდახრილები დგანან ეზოში. სიკვდილი მოულოდნელად მოსულა და ჯერ არა-

ვინ იცის, რა გააკეთონ. ქალები სახლს ასუფთავებენ და გვამს აპატიოსნებენ. პაპა წევს შუა დარბაზში, დაბალ ტახტზე და გადაჯვარედინებულ ხელში სანთელი უჭირავს. ბებო არ სცილდება. რძლები ჩუმად ტირიან. პაპა ტკბილი კაცი იყო და რძლებსაც გულწრფელად ენანებათ. მოდის თედო, პაპას ბავშვობის მეგობარი და ბებო შესტირის, ამაწინათ, რომ დაგიბარა და დაგპატიო, ეგე, უკანასკნელად დაგიღვევით საფურავო. თედო ზურგშექცევით დამდგარა. პაპას ზედ არ დაჰყურებს და ჩუმად, ხმის ამოუღებლად იწმენდს ცრემლებს. მერე სხვებიც მოდიან, სხვა მეზობლები. შუადღისას უკვე მთელი ნათესაობა აქ არი. უკვე გაგზავნეს კაცი სხვა სოფელში. უკვე ლაპარაკობენ, სად იყიდონ ძროხა და ცხვარი, უკვე არჩევენ ლობიოს, საწანდილე ხორბალს. ცრიან ფქვილს. შავოსანი ქალები, წელზე შალშემოსხვეულები, სატირლად მოდიან და პაპას ათასგვარ რამეს აბარებენ იმ ქვეყანაში. სამი დღეა მთელი სოფელი გლოვობს.

მესამე დღეს პაპა უკვე მუხის კუბოში ასვენია.

თავდახრილი კაცები სახლის წინ, დატკეპნილ თოვლზე დგანან.

დედაკაცები ცალკე შეყრილან.

ყველანი ჩუმად არიან. მდუმარებას არაფერი არღვევს.

ღრუბლიანი ამინდია, ცივა და ყველა იმას ფიქრობს, რომ ზეცამ დაგვაცადოს უკანასკნელ გზაზე პაპას წაყვანა.

სასაფლაო შორს არი, სოფლის თავში და ამოდენა თოვლიანი გზა ფეხით უნდა გაიარონ.

პაპას ოთხი ვაჟი მხარს უდგამს კუბოს და ციმციმ გამოაქვთ აივანზე.

წამით იქვე დაასვენებენ უკანასკნელად, რაკი ამ აივანზე აღარასოდეს გამოვა პაპა.

შორიასხლოს დგანან პაპასკბილა ბერიკაცები — გაფითრებულნი და სანთლის ფერები. მათი ძმა მოკვდა და ბერიკაცებს თავადაც შავი ფიქრი მორევიათ.

და სწორედ მაშინ, როცა ოთხი ვაჟი კვლავ აწევს კუბოს და ნელ-ნელა სახლის კიბეზე ჩამოატარებს, ზეციდან ცვივა თოვლის თეთრი ფანტელები. პაპას უკანასკნელ გზაზე ყვავილებივით ეფინებიან თეთრი ფთილები. ეფინებიან მის გაღურჯებულ ხელებს, გასანთლულ სახეს, თეთრ უღვაშებს და ამ სიჩუმეში, როცა მხოლოდ თოვლის ჩუმი შრიალი ისმის, დაირხევა ბებოს ცივი და მშვიდი ხმა:

— ეგე, უკანასკნელად მისდიხარ თოვლში, კაცო!

* * *

სად არის ახლა ჩვენი მზე? სამყაროს რომელ მხარეში? ან არის კი სადმე დიდი ხნით, თუნდ ერთი წამით? ჩერდება კი თავის რომელიმე სადგურზე? ყველაფერი მიდის, ყველაფერი მიისწრაფვის, ერთ ადგილზე წამითაც არაფერი ჩერდება. ვიდრე ზამთრის სამ თვეს მოვათავებდით, ჩვენმა მზემ სამი თანავარსკვლავედი გაიარა: „თხის რქისა“, „მერწყულისა“ და „თევზისა“. დედამიწაზე ზამთრის სამმა თვემ ჩაიარა: დეკემბერმა — ძველი რომაული კალენდრის მეათე თვემ, რაკი „დეცემ“ ლათინურად ათს ნიშნავს; იანვარმა, რომაული ორსახოვანი ღმერთის „იანუსის“ სახელს რომ ატარებს და თებერვალმა, რომელიც აგრეთვე რომაული ღმერთის, ქვესკნელის მბრძანებლის „ფებრუსის“ სახელს უკავშირდება. ძველქართულად ამ თვეებს ჰქვია: ტირისდენი, ანუ ხალხური ქრისტიანობისთვის, აპანი, ანუ თებერვალი, სარწყუნისი, ანუ განცხადებისთვის...

მიჰქრიან ვარსკვლავები.

მიჰქრიან პლანეტები, ასტეროიდები, კომეტები.

ყველაფერი მოძრაობს. ყველანი სამყაროს უსაზღვროებაში მიისწრაფიან.

მიჰქრის დედამიწა თავის მშობლიურ მზესთან ერთად.

ჰყავს თანამგზავრი, ანუ შვილობილი, რომელსაც მთვარეს ვეძახით.

ჰყავს უახლოესი დედამიწის შვილები — მარსი და ვენერა.

ჰყავს უფრო შორეულნიც — იუპიტერი, სატურნი, პლუტონი და სხვანი, — ისინიც მზის შვილები.

მზესაც ჰყავს თავისი უახლოესი მეზობელი, სხვა „მზე“.

ჰყავს უშორესი „მეზობლებიც“...

სამყარო, სადაც ჩვენი პატარა პლანეტა — დედამიწა მიჰქრის, უსაზღვროა და მაინც ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული. ზოგჯერ თვით უშორესი ვარსკვლავი ან მთელი გალაქტიკა ჯერაც უცნობი ძალებით მოქმედებს მიწიერთა ყოფაზე. ჩვენ ამას ზეციურ ძალებს ვეძახით, რადგან სამყარო ჩვენი თვალისთვის ზეცაში მოჩანს, ვარსკვლავები და გალაქტიკები „ზეცის თაღზე“ არიან „განლაგებულნი“.

სოფელში, ჩვენი მზის ერთ უახლოეს ვარსკვლავზე — „სირიუსზე“ ამბობდნენ, როცა ეს ვარსკვლავი გამოჩნდება, მამლები იწყებენ ყვილსო.

მართალია თუ ტყუილი?

იქნებ, ამგვარ გულუბრყვილობაზე მეცნიერებს გაეცინოთ კიდევ?

ან იქნებ გვითხრან: შეიძლება, ყველაფერი შეიძლება... სამყაროში რაღა არ ხდება, ჩვენ კი სამყაროს შეილება ვართ.

ამგვარი იყო ერთი წელიწადი,

მას შემდეგ, როგორც ხალხში იტყვიან ხოლმე, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ახლა სხვა დროა და ბევრი რამ, რაც ჩვენ ძვირფასად მიგვაჩნდა, რაც გვახარებდა წელიწადის ოთხი დროის მანძილზე, შეიძლება მოძველდა, შეიძლება თქვენთვის არაფრისმთქმელი აღმოჩნდეს. ვამბობ ამას და გულში მაინც რჩება მბჟუტავი იმედი: იქნებ რაც ლამაზი იყო იმ დროს, ამ დროშიც ლამაზი და გაუხუნარი გამოჩნდეს? სამყარო ხომ იგივეა, იგივეა დედამიწა, იგივე მზე ამოდის დილით და იგივე მთვარე დაგუნათის ღამღამობით. იქნებ მთავარი სწორედ ისაა, რაც წარუდინებელია და რაც მნიშვნელობას არასოდეს კარგავს?

დრო არც დღეს ჩერდება.

გაივლის წლები და თქვენც გახდებით მამები, დედები, პაპები და დიდედები.

მერე მოვლენ სხვები.

გარდაიცვალა პაპა, მაგრამ დაიბადა ბიჭი და მეზობლებს უხაროდათ, ჩურჩულებდნენ, ნეტავი რას დაარქმევენო. ეს ბედნიერებაა, უბრალო, მაგრამ დიდი ადამიანური ბედნიერება...

სახლი. ეზო. კარ-მიდამო. სოფელი. ძველისძველი კაკალი და ძველისძველი ხეჭეჭური, რომელსაც ბოლოს ქარიშხალი გადააქცევს. წვიმა ჩვენი სახლის კრამიტზე. თოვლი ჩვენს ბაღში. შორს აზიდული მთები. ჩვენი ვენახი და ბოსტანი, ჩვენი ტოლ-მეგობრები. ნათესავები. ახლობლები. მეგობრები... ეს არის სამშობლო. აქედან იწყება დიდი სიყვარული სიცოცხლისა და სწორედ აქედან უნდა გვიყვარდნენ სხვებიც, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ, დედამიწის რომელ კუთხეში. მთიდან მოდიან ნაკადულები და მდინარეები. ქვემოთ ეშვებიან, ერთმანეთს უერთდებიან, დიდ მდინარეებად იქცევიან და ზღვას ერთვიან... ასე ერთვის დიდი ცხოვრების გზას ჩვენი პატარა ცხოვრება, რომელსაც თავისი სათავე აქვს. ეს სათავე ჩვენი სოფელია და ჩვენი კარმიდამო. ყველაფერი ამ სათავედან იწყება და უპირველესად ის უნდა იყოს წმინდა. სადაც უნდა ვიყოთ, რაც უნდა ვაკეთოთ, ბოლოს მაინც ფიქრით იმ სათავესკენ წავალთ. მისი უნახაობა არ მოგვასვენებს და ერთ დღეს, როცა ვიგრძნობთ, რომ ყველაფერი მთავრდება, მისკენ გავსწევთ, რათა უკანასკნელად შევაგლოთ თვალი და ჩვენს გულში, ისე, რომ არავის გავაგებინოთ, საბოლოოდ დავემშვიდობოთ.

როგორც პაპა წავიდა... როგორც პაპა დაემშვიდობა დათოვლილ ვენახს.

წელიწადი.

ოთხი დრო.

ეს სიტყვები ღრმა შინაარსის დამტკვია.

ეს ადამიანთა ცხოვრების ერთი ფურცელია და არცთუ ისე ხანგრძლივი ცხოვრებისა. წლის ოთხი დროს ყველასათვის ერთნაირად ვერ ჩაივლის. ცხოვრებაში მუდამ არიან ბედნიერნი და უბედურნი, გაღალღებულნი და განაპირებულნი. ადამიანთა ბედს ზოგჯერ „ზეგარდმო ძალები“ განაგებენ. ჩაივლის წელი და ერთი იტყვის: ბედნიერი იყო ეს წელი ჩემთვის, ნეტავ სხვა წელიც ასე ჩაივლიდესო. მეორე თავს დაიიმედებს: რაც იყო, იყო, ყველა ჭირი ამ წელს წაჰყვესო. ახალი მაინც სასიკეთოდ მოვიდესო.

გალაკტიონ ტაბიძე ერთი განვლილი წლის წინაშე თავის ძრწოლას ამგვარ, უბრალოებით საოცარ ლექსში გამოხატავდა:

„შარშან ჩვენი სახლის წინ

იდგა ოთხი აფთარი —

გაზაფხული. ზაფხული,

შემოდგომა, ზამთარი.

საშინელი რამ იყო

კარზე მათი მოდგომა, —

გაზაფხული, ზაფხული,

ზამთარი, შემოდგომა,
ო, ის წელი გულს გლეჯდა,
როგორც მიწას აფთარი, —
გაზაფხული ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი,
მათ გზა ჰქოდათ ლხენისა
და მე კი დაზაფრული, —
ზამთარი, შემოდგომა,
ზაფხული გაზაფხული.

განგლილი დრო მუდამ სევდას სტოვებს. სევდიანია განშორება. სევდიანია დამ-
შვიდობება, ჩვენც დავემშვიდობოთ ერთ წელიწადს, წელიწადის ოთხ დროს და დავე-
ლოდოთ მერმისს.

ჩვენი მამა-პაპებისათვის ეს ერთი წელიწადი გარჯის, ჭირნახულის მოყვანის წე-
ლიწადი იყო.

ჩვენ? მჭვრეტელნი ამ გარჯისა თუ მონაწილენი?

ნუ გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ სოფლელი ბავშვი ყველაფრის მონაწილეა,
რაც კი გარშემო ხდება. ასე იყო მაშინ და, ღმერთმა ქნას, რომ ასე იყოს დღესაც.

ჩვენ მწვემებს ვიყავით, მესხორეებიც, მენახირენიც და მეველეებიც. ჩვენც
ვკრეფდით ყურძენს, ვაგროვებდით ფიხს, დავეძებდით ტყეში პანტას და მაჟალს — რა
თქმა უნდა, ჩვენი ასაკის შესაფერისად და ვისაც როგორ შეგვეძლო.

უჩვენოდ არც თავთავი აიკრიფებოდა, არც ნამჯა ჩაიშლებოდა კალოზე; არც
ნერგი ჩაირგვებოდა და არც ვაზი შეიყვლებოდა და ეს ყოველივე ისე უბრალოდ და
ბუნებრივად ხდებოდა, რომ ასე გვეგონა, საგანგებოდ არავის არაფერი უსწავლებია.

გახსოვთ, რას ამბობს აკაკი წერეთელი „ჩემი თავგადასავალის“ დასაწყისში? სო-
ფელ სავანეში ყოფნისას, ჯერ ისევ ბავშვმა, ყველაფერი ვიცოდი, რასაც კი უფროსები
საოჯახო საქმეს ეძახიანო.

ასე იყო მთელ საქართველოში,

გაიარა შრომის ერთმა წელიწადმა, რაც ხსოვნაში ჩაგვრჩა, ისევ ეს არის —
ისევ ყანები, ვენახები პაპები და დიდებები, მამები და დედები ახლობლები და მეზობ-
ლები.

ისინი თანდათან მიდიან ამქვეყნიდან. მიდიან სწორედ შრომით დაღლილნი და
ვალმოხდილნი,

საუკუნეობრივი გამოცდილება, რომელიც მათ დაგვიტოვეს, ჩაგვაგონებს, რომ
შრომა მხოლოდ აწრთობს ადამიანს, წვრთნის მის გონებას, უნერგავს ვაჟკაცობას,
მოთმინებას და ამტანობას.

მაღე გაზაფხული მოვა, ახალი გაზაფხული. მით უფრო, რომ ცხრათვალა მზე
ანათებს, სახლებიდან ღაპაღუპით ჩამოდის „თოვლის ცრემლები“.

კვლავ გავყვეთ თოვლით დაფარულ ტყის გზას... აგერ, კვირტებიც გამობერილან
ხის ტოტებზე. იმათაც უგრძენიათ, რომ სადღაც ახლომახლო გაზაფხული ტრიალებს
და საცაა აქ მოვა. და უცებ, ხის გაშიშვლებულ ტოტზე შემოსკუპდება ჩვენი ნაცნობი
პატარა ტყის ჩიტი, რომელმაც შარშან „გაზაფხული მოიყვანა“. ჩვენ არ ვიცით, რა
ჰქვია ამ ჩიტს, ტყეში მრავლად არიან ამგვარი ერთი ბეწო ჩიტები, აი, შემოსკუპდა
ტოტზე, რაღაც დასტვინა და ბოლოც ხალისით შეათამაშა, განა რა მოხდა ისეთი, ჩიტი
ტოტზე ზის და ზემოთ, მზისკენ იყურება, ისევ დასტვინა და მაინც არ ვიცით რატომ,
ერთბაშად ვიგრძენით:

ჩიტი გაზაფხულს ელოდება!

ეს პატარა ჩიტი გაზაფხულის მოსვლას გრძნობს, მსუბუქ რტოზე ნაზად ირწევა,
დროდადრო კვლავ დასტვენს და ზემოთ, ცისკენ იყურება.

აღბათ ციდან უნდა ჩამოვიდეს გაზაფხული.

ცის გახსნა

თქვენ არ გაოცდებთ სამყაროს ჰარმონია? თუმცა ეს იმდენად ბუნებრივ ამბად მიგვაჩნია, გაოცებას ვეღარც გამოვხატავთ...

აბა წარმოვიდგინოთ უფრო დიდი ხელოვნების ნაწარმოები, ვიდრე თავად დედა-მიწაა, ვიდრე ჩვენი ცა, უსაზღვროებაში გაფანტული დიდი და მცირე ვარსკვლავებია.

მაგრამ მაინც ადამიანმა შექმნა ხელოვნება.

ხელოვნება სხვაა, ცხოვრება – სხვა.

ერთი მეორის მაგივრობას ვერასოდეს გასწევს.

ხელოვნება რომ უბრალო დანართი იყოს, მაშინ კაცობრიობა ამდენ ღამეებს არ გაათენებდა მასზე ფიქრში, მის შექმნასა და განსჯაში. მაშინ ჩვენ სადმე, ბაზარში დავსხდებოდით ამაღლებულ ადგილზე და დავტკბებოდით. მაშინ აღარ წავიდოდით თეატრში, აღარ ვეწვეოდით მხატვარს, აღარ მოვუსმენით მუსიკას.

თუმცა, ეს რა ჩემი საქმეა...

ამის კვლევა სხვებს დავანებოთ.

მაგრამ ზოგჯერ ბუნება მაინც იჩემებს „სხვისას“ და გვევლინება როგორც ვირტუოზი, როგორც დიდი

მუსიკოსი,

მხატვარი,

რეჟისორი...

ამგვარ დიდ მოვლენას ადამიანები მაინც უბრალო თვალთ ვუცქერით და უბრალოდაც ვუწოდებთ ხოლმე:

კარგ დღეს,

კარგ საღამოს,

კარგ ადგილს,

კარგ თოვლს,

კარგ წვიმას...

არ ვიცი, მიესადაგება თუ არა იმას, რაც ზემოთა ვთქვი, მე კი ერთი კარგი დღე ახლაც თვალწინ მიდგას და ვჯახირობ, სიტყვით დაგიხატოთ ის დღე.

ალავერდში ვიყავით ორნი.

შემოდგომის ღრუბლიანი დღე იყო.

ჰა და ჰა, როცა ზამთარი უნდა დამდგარიყო.

არა წვიმდა და ღრუბელს მაინცადამაინც არ გავუჯავრებივართ.

ჯერ ალავერდის შორიდან ცქერით ვიჯერეთ გული, მერე მის გუმბათქვეშაც ვიდექით ჩუმად და მე ჩემთვის ვფიქრობდი, ჩემი მეგობარი თავისთვის.

ალავერდში ჩვენს მეტი არავინ ჩანდა,

საქმე დღე იყო.

აქ მარტო კვირაობით იყრის ხოლმე ხალხი თავს, ზოგი ალავერდისთვის, ზოგი მართლა საალავერდოდ.

მერე წამოვედით.

დღე მაინც ღრუბლიანი იყო. არც გამოდარებას აპირებდა და წვიმის დაწყებაც ვერ გაეებდნა. მივდიოდით ზევით, ცივომბორისკენ. უკან რჩებოდა ალაზნის ველი და, როგორც პოეტმა თქვა, თეთრი გედით ამოწვდილი ალავერდი.

ჯერ უკან არ ვიხედებოდით.

ალავერდის შორიდან დანახვის ეფექტს ბოლოსთვის ვინახავით.

მერე მოვიხედეთ.

ცისფერ შორეთში გამოჩნდა „თეთრი გედი“.

და სწორედ იმ წუთს, თითქოს ცა გაიხსნაო, წამით ღრუბლის ფთილა შუაზე გადაიშალა და ერთი სხივი ზედ თეთრ ალავერდს დააშუქა.

არა, ეს სასწაული არ ყოფილა.

უბრალოდ იმ წუთში ბუნება მოგვევლინა როგორც მხატვარი, როგორც ვირტუოზი რეჟისორი.

მცირე ხანს დაჰნათოდა მზის სხივი ალავერდს, მერე ღრუბლის ფთილები შეერთდნენ და მხატვარი, რომელმაც ამ წუთში ჩვენ თვალწინ სურათი შექმნა, თავისი ყალბით სადღაც სხვაგან, სამყაროს უკიდვანო სივრცეში წავიდა ახალი სურათის შესაქმნელად.

ტაძრის კედელი

„შენ, ფრთამოღულუნეს
უამთა სიმადლეზე,
ჩვენი საუკუნე
გიცავს, უახლესი“

გალაკტიონი.

ბეთანია თბილისიდან შორს არ არის. ჩაჯდები წყნეთის ავტობუსში და ბოლომდე ივლი, მერე, ან პირდაპირ გააგრძელებ და სამადლომდე ახვალ, იქიდან კი ვერის ხეობისაკენ დაშვებული ბილიკები ბეთანიაზე ჩაგიყვანენ, ან არადა, რაღა ზემოდან დაუარო, წყნეთიდან დასავლეთისკენ აიღებ გეზს, ჯერ ახალდაბაში ჩახვალ, მერე ბილიკ-ბილიკ საბავშვო სახლს ჩაუვლი წინ. იქიდან ბეთანიაზე კი აღარც დიდი მანძილია, მით უფრო, რომ ბილიკი სულ ტყეში მიდის და ჩიტების იმისთანა გალობა გაცილებს, გზასაც გავიწყებს და დაღლასაც.

ჰო, ბეთანია თბილისიდან შორს არ არის. ღამით თუ იქიდან გამოიხედავ, მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი ისეა გადაწითლებული, აღმური ასდის. ცოტა ფერდობზე თუ შედგები ვარსკვლავებით მოჭედოილ ქალაქსაც დაინახავ: ეს თბილისია... ეს თბილისის ნათურები ციმციმებენ და შორეთიდან მზირალ ვარსკვლავებსაც ისინი ჰგვანან.

ბეთანია შორით შეხედვით წყურვილსაც გიკლავთ...

არის, მართლა არის იმისთანა ადგილები, შორიდან რომ ვერ დაინახავ. თუნდაც შატილი... მიდისხარ და მიდისხარ. მიდისხარ და მიჰყვები იმ შატილისწყალს. შატილიც არც ისე შორს გეგულება და მაინც არა ჩანს. და უცებ, ორ ნაბიჯზე გასცდები პატარა ფერდობს, აქამდე რომ თვალწინ გეფარებოდა, „კლდის კარი“ გადაიხსნება და ჯიქურ შემოგეჯახება შატილი.

ეს ისე უცებ მოხდება, შედრკები,

მორიდება დაგეუფლება,

მერე უეცარი შეხვედრის სიხარული გაგაღალებს,

მერე მაინც თავადვე დაგამშვიდებს დუმილით მეტყველი შატილი,

ბეთანია კლდეებს არ არის მოფარებული, ჯერ ისევ კარგა დიდი მანძილი გვექნება გასავლელი, მაგრამ ტაძარი შორიდანვე გამოჩნდება: წარმოიდგინე ფართოდ მხრებგაშლილი ხეობა. შორეთში — დიდგორები, იქით — ვერის ქარაფები, აქეთ — ტყიანი კორომები. თითქოს იისფრად ბოლავს შემოგარენი და აქ, ამ უკიდევანოდ გადაშლილ იისფერში — თეთრ-მოყვითალოდ ამოღერილი ტაძარი!..

ამგვარად ენძელამ იცის ხოლმე ამოღერება ადრიან გაზაფხულზე.

მართლაც, შორს არ არის თბილისიდან ბეთანია და ბევრსაც უნახავს იგი. მნახველი, წერილის ამგვარ დასაწყისზე, ალბათ გულშიც გაიცინებს და იფიქრებს, აქაოდა იმისთანას რას მეტყვი, რაც თავად ტაძარს არ უთქვამს ჩემთვისო. ამოღენა განზრახვისაგან ზეცამ დაგვიფაროს წინათქმა იმად გავვიგრძელო, რომ მნახველი თუ ბევრია, არც მშობელ ქვეყანაში სიარულზე უმძრახი გვყავს ცოტა. საქართველოს ტყე-ღრეში ხეტიალის ჭაშნიკი ზოგს ჯერაც არ უგემნია, ან მოსანახულებლად მარტო ის ადგილები აურჩევია, რომელზეც ყურმოკვრით რაღაც გაუგონია, ამგვარი კაცისათვის ფასანაური მარტო სახინკლეა, შუამთა — სამწვადე, თვითონ ბეთანია კი საქეიფო ადგილად თუ გამოდგება. ეს კიდევ არაფერი, სხვის საქმეში რა ჩაგვრევდა, ეგევე კაცი ცოტა რიდიანი რომ იყოს, ერის წმინდა ადგილებში ნამუსრევსა და ნაკვალევს რომ არ ტოვებდეს; იმ წარწერებს ან ფრესკებს რომ არ ჩამოამტვრევდეს, რომლის გარეშეც ვერც ჩვენი მწერლობა დათარიღდებოდა, ვერც ქართული ანბანის გზა კვალს გავიგნებდით და არც ის გვეცოდინებოდა, ვინ ვიყავით და რა ვიყავით.

კიდევ კარგი, ზოგიერთ ადგილს მცველი ადგას თავზე.

ერთ ასეთ კაცზე მოგითხრობთ ამ წერილშიც...

ბეთანიის ტაძრის მცველი ვანო წიკლაური პირველად იმ დროს გავიცანი, ტყისპირს გაფანტულ ღვინისა და ლიმონათის ბოთლებს რომ აგროვებდა. იქვე ნამუსრევი ყვარა. ქალაქებს ქარი აფრიალებდა, შუახანს კარგად გადაცილებული კაცი ბუზღუნით ასუფთავებდა იქაურობას. მოქეიფენი უკვე ბილიკს დადგომოდნენ და შუა ტყიდან

ხან ხუმრობა ისმოდა, ხან იმპროვიზებული ბლავილი, ხან ტრანზისტორიდან გამოვარდნილი აღმოსავლური მელოდია.

ტაძრის ეზოში დუმილი იდგა.

აქ სულ დუმილია, სოფლებისა და ქალაქებისგან კარგა მოცილებულ ბეთანიაში.

კაცმა მოაკრიალა ტყისპირი, ჩვენსკენ წამოვიდა, ხელი ჩამოგვართვა, მოგვიკითხა და ტაძრისკენ გაგვიძღვა.

ტაძრის იდუმალება.

თამარი — მეფეთ მეფე საქართველოსი.

გიორგი მესამე.

ლაშა გიორგი — დედის გვერდით, ჭაბუკურად მზირალი.

ამ ტაძარზე მეტი რა გითხრათ? ან ამ თვალისჩინივით გასაფრთხილებელ ფრესკებზე? ტაძარზე საუბარი ძნელია. ტაძარს აშენებენ. ტაძარს ხატავენ. ტაძარს უძღვრიან. პირისპირ ხედებიან. უფრთხილდებიან.

ბეთანიის ტაძარს ვანო წიკლაური უფრთხილდება.

და ამ კაცის პიროვნებაც დღეს მისი საქმის გამო გვაინტერესებს.

იმგვარად მოხდა, რომ ჟამთა სიავემ ბევრი ჩვენი ციხე-კოშკი, ტაძარი თუ ფრესკა ცეცხლს მისცა, ქარს გაატანა. ზოგს თავად დროთა დინებაამაც მოულო ბოლო, ზოგს — უგუნურებამ, და ბოლოს, როცა პატრონი და გამფრთხილებელი გამოჩნდა, ბევრგან უკვე გვიანდა იყო: ალაგ ნანგრევიდა დარჩენილიყო, ალაგ — პირველქმნილის ლანდიდა. ახლა ჩვენ ამ ლანდებს ველოლიავებით, ვცდილობთ ის მაინც შემოვუნახოთ შთამომავლობას, ერის სულიერი სიდიადის დასტურად გადავცეთ მომავალს.

მეშვიდე წელია ბეთანიის სიხუმეში დადის ეს კაცი.

სახლი ტაძრის ზემოთ, სოფელში უდგას.

ამ სოფელს სახელად კვესეთი ეთქმის, მაგრამ აღარც სოფელია, აღარც ხალხი. ყველა სადღაც გაკრეფილა. ეს ერთი სახლი, ვანო წიკლაურის სახლია, სოფელიც და კვესეთიც ამ სახლსდა ჰქვია.

ხანდახან ჩამოვლენ თითისტოლა შვილიშვილები — შოთა და გიორგი. და გაუდით ზარებს წკარა-წკური.

რეკენ:

დედოზარი,

შუათანა,

მრწემი — ხმაწკრიალა, როგორც სალამური.

არა, პოეტური სურათის წარმოდგენა არ გვდომებია. ამ კაცსაც და მის ოჯახსაც ძალზე აწუხებს უკაცრიელი აქაურობა.

*

ტაძრის მცველად ძია ვანო პოეტს დაულოცნია. ამბავი კი არცთუ ისე პოეტურად დაწყებულა. კვირაობით ბეთანიიდან წყნეთში აღიოდა და კვერცხებს ჰყიდდა. ნუ დაგუძრახავთ, იმ კვერცხებს მისი ეზოს ქათმები დებდნენ. ერთხელაც უძახნია წყნეთში — „კვერცხები, კვერცხებიო“ და ერთი სახლის აივანზე ვიღაც მაღალი კაცი გადმომდგარა.

კარგად უვაჭრიათ.

იმ კაცს კვერცხიც ბლომად უყიდა და დიდხანსაც ულაპარაკიათ.

სადაური ხარო?

ბეთანიიდანო.

მერე, თუ ბეთანიიდან ხარ, იმ ტაძარს ვერ უნდა მოუაროთო? იქ იცი, ვისი ფრესკააო?

როგორ არ ვიციო.

ჰოდა, თუ იცი, კარგად იცოდე — თამარ მეფისააო...

„იმ კაცის სიტყვები სამუდამოდ დამამახსოვრდაო“, — ამბობს ვანო წიკლაური.

თვითონ „ის კაცი“ კი გოგლა ლეონიძე ყოფილა.

მერე ერთი-ორჯერ კიდევ ასულა წყნეთში, პოეტიც მოუნახულებია და ლაპარაკითაც გული უჯერებიათ. იმის შემდეგ ტაძრის მცველად დამდგარა: და აი, უკვე მეშვიდე წელი გადის, ხმისამოუღებლად დადის აქაურობაში, დადის და ბეთანიის სიხუმეში ახლაც გულისტკივილით იგონებს ტკბილად მოუბარ პოეტს. ჩვენთვის გოგლა „დიდი კაცი იყო“.

„დიდ კაცთან“ შეხვედრა კი ზოგჯერ მთლიანად შეატრიალებს ხოლმე უბრალო ადამიანის ბედ-იღბალს.

ტაძრის ერთგულმა კაცმა კარგად იცის აქაურობის წარსული, ესმის აქაურობის ფასი, თუ ხამი სტუმარი ეწვევა, შეძლებისდაგვარად პასუხსაც გასცემს, უხეირო გიდივით არ გამოიდებს თავსა და წინამასწრობას არ დაიწყებს. ჯერ ტაძრის გარშემო შემოატარებს, ჩუქურთმებთან შეაჩერებს, მერე კარს მორიდებით შეადებს და შეუძღვება. მერე ფრესკებთან გაჩერდება და ერთ-ორ სიტყვაზე ხელად მიხვდება, რომ ამ კაცმა ძირისძირობამდე იცის ამ ფრესკების მთელი „თავგადასავალი“, — სად ჩამოურეცხია წვიმას, სად მისწვდენია უდიერი „სტუმრის“ ხელი... აი, ის ჩამონატეხი კაცის ხელითაა, განგებ, სამტროდ გაკეთებული“... „ეს ნაბზარი თამარის ფრესკაზე, რაც თავი მასსოვს ეგრეა, ბაღლობიდან ვაკვირდები და კიდევ კარგი არ ემატება... „აი, ის, ამოჩინქნილიც კაცის ნახელავია“.

— ეს როდის?

— წინათ...

— როდის წინათ?

— სანამ აქ მოვიდოდი... მერე კი, გინდა დაიჯერო, გინდა არა, აქ აღარაფერი გაფუჭებულა.

ტაძარში სიხუმეა.

კაცი განზე დგას და მაინც მარტოს არ გვტოვებს.

სანამ სტუმარი აქ იქნება, თავადაც ფეხს არ მოიცვლის.

მერე გამოგყვება და კარს გამოიხურავს.

ეს ხედმეტი ეჭვიანობის ბრალი არ არის.

კაცს ეშინია.

და მე მახარებს ეს შიში.

ეს სიფრთხილის შიშია, — ის მაინც აღარ გამოგვეცალოს ხელიდან, რა დღევანდლამდე მოვიდაო.

„მარტო ერთხელ, მარტო ერთხელ მოხდა“... ფრთხილად, საიდუმლოსავით გიმხელს და თვალითა გზომავს, აღშფოთებას და გულისტკივილს ელოდება შენგანაც.

— რა მოხდა?

— მარტო ერთხელ გამისხლტა, დამასწრო.

— ვინ გაგისხლტათ? ვინ დაგასწროთ?

— განა არა, მივხვდი, რომ რაღაცას აპირებდა.

ბევრნი იყვნენ და ის გაიპარა. მაინც ვიფიქრე, ვერ გაბედავს-მეთქი.

— მერე? გაბედა?

— გაბედა წამოდით, გაჩვენოთ...

კაცი ტაძრის აღმოსავლეთის კედელთან მიდის და ძველისძველ, ოქროსფერ ქვაზე ნაკაწრს გვიჩვენებს:

აქ, 1968 წლის შემოდგომაზე ბრძანებულია ვინმე ომარა და თავისი სახელი „საჭრეთლით“ ამოუკვეთავს.

გვარი ვეღარ მოუსწრია.

იქნებ შეეშინდა?

ასეა თუ ისე, მარტო სახელია, წელი და დრო: შემოდგომა, ბეთანიის ოქროსფერი შემოდგომა.

„ექვსი წელია აქ კედელი აღარ გაკაწრულა“, ისევ ხმადაბლა ლაპარაკობს კაცი, „მარტო იმან მაჯობა. გავიგე, რომელიც იყო, ვუთხარი, მაგრამ თქმით რაღა ეშველებოდა?“

როგორ არ დავიჯერებ, მკითხველო, რომ გაგიხარდა. ექვსი წელია ძველისძველი ტაძრის კედელი არ გაკაწრულა... მარტო ერთხელ... მარტო ერთხელ... ისიც გაიგო, რომელი იყო, უთხრა კიდევ, მაგრამ, აბა, თქმით რაღა ეშველებოდა...

ბატონი უნივერსიტეტი

არ ვიცი, რას ფიქრობენ ადამიანები, როცა უნივერსიტეტის წინ გაივლიან. იმ ადამიანებზე გეუბნები, რომელთაც არასოდეს უსწავლიათ უნივერსიტეტში. მინდა მჯეროდეს, რომ მათთვისაც, როგორც ჩვენთვის, ეს არის ქართული მეცნიერების ტაძარი — უძველესი და უხუცესი, რომელსაც სასოებით უყრიდა საძირკველს ილია, რომლის

კედლებშიც უკანასკნელ დღეებს ითვლიდა ვაჟა-ფშაველა და რომელსაც გვერდით მოკრძალებით უნდა ჩაუარო.

კარგად არ მახსოვს ეს ლექსები... უნივერსიტეტზე ხშირად წერდნენ ლექსებს. ერთმა პოეტმა სიმკაცრით ოთარაანთ ქვრივს შეადარა, სიუხვით — თინათინს. მეორემ დაწერა ლექსი შეყვარებულზე, რომელმაც უნივერსიტეტის ბაღში ვარდი მოწყვიტა და გამოთქვა იმედი, რომ ამას ნიკო კეცხოველიც კი აპატიებდა. იწერებოდა ლექსები შვიდ ჭარმაგ ჭადარზე... ხალასი გულწრფელი ლექსები.

მაშინ უნივერსიტეტს ჰქონდა დიდი რკინის ჭიშკარი. მის ეზოში ფეხის შედგმა ყველა გამგელეს არ შეეძლო. იყო ზღურბლი, რომლის იქით სხვა ცხოვრება იწყებოდა, ხელი უნებურად მიდიოდა ქუდისკენ და უნივერსიტეტში შევდიოდით ქუდმოხდილნი, როგორც თაღებიან, დიდ ტაძარში.

კართან იდგა გლეხკაცი, ჭადარა წვერითა და თუშური ნაბდის ქუდით.

მაშინ უნივერსიტეტთან მდინარე ვერეს ერთვოდა ვარაზის ხევი. ხევს მიჰყვებოდა წვრილი, დაკლაკნილი ბილიკი, რომელიც გმირთა მოედანთან იწყებოდა და პირდაპირ უნივერსიტეტის ბაღში მიცოცავდა. დილით შეუყვებოდნენ ბილიკს სტუდენტები, როგორც თოკზე აკინძული მთამსვლელები. შუადღის მერე დაეშვებოდნენ და სხვადასხვა კუთხივ უერთდებოდნენ ქალაქის ცხოვრებას.

*

თითქოს უბრალო ამბავი იყო: უნივერსიტეტის დერეფნებში ყოველ წუთში შესვლებოდი ადამიანებს, რომელთა სახელს მსოფლიო იცნობდა. ისინი ამ ტაძრისაგან განუყრელი იყვნენ. ვერ წარმოგვედგინა უნივერსიტეტი უიმათოდ. და ეს დიდი ბედნიერება ისევე ბუნებრივი ჩანდა, როგორც მეზობლის შესხვედრა ყოველ დილით, საყვარელ ქუჩაზე.

პირველ კურსზე ჩვენ ვგავდით სკოლის შეგირდებს. ხანდაზმულნი ჩიოდნენ, რომ უდარდელი თაობა მოვიდა, მაგრამ არ ვიყავით „უდარდელნი“. ომმა ჩვენს ბავშვობაზე გადაიარა და ომის მერე პირველი წლებიც დიდი ვერაფრით გვანებივრებდა: მაშინ უნივერსიტეტის სამკითხველოს ჰქონდა აკაკი შანიძის გრამატიკის ერთადერთი ცალი და ჩვენ მოთმინებით ველოდით „რიგს“.

ჭადრებთან ხშირად იდგა გალაკტიონი.

ზოგჯერ გამოსაუბრებას ცდილობდა და თითქოს თავისთვის ჩურჩულებდა: „საქართველოს სახალხო პოეტი... ცუდი არ არის არა? ოცდაათი ტომი დამიწერია“. გვიბლაღავდა, რომ ჩვენს წინ გალაკტიონი იდგა და ირგველივ სუფევდა აუწერელი კრძალულობა და თაყვანისცემა.

მერე გალაკტიონი დღეებს უნივერსიტეტის მეზობლად მდებარე ლაზარეთში ატარებდა.

მას შეეძლო საათობით მდგარიყო თავისი პალატის ფანჯარასთან და გარინდებულს ეცქირა აუღისტორიისაკენ, სადაც ლექცია გვქონდა, როგორც კი წამოვიშლებოდით და ფანჯარას მივაწყდებოდით, თითქოს შეცბუნდებოდა და სარკმლის ფარდას დამნაშავესავით ამოეფარებოდა. კარგა ხნის მერე, როცა დაწყნარებულებს დაგვიგულვებდა, კვლავ გამოჩნდებოდა, ფრთხილად მოადგებოდა სარკმელს და გვიცქერდა...

ასეთი იყო გალაკტიონი, ასეთი იყო უნივერსიტეტი.

ნელა ამოივლიდა უნივერსიტეტის კიბეებს კორნელი კეკელიძე. დერეფნებს მოედებოდა ჩურჩული: „ბატონი კორნელი“. მოდიოდა მართლაც თოვლივით თეთრი. ჩვენ ის გვახსოვს ძლიერ ხანდაზმული და დადლილი, შემოვიდოდა აუდიტორიაში, დაჯდებოდა წინა მერხზე და მშვიდად უსმენდა რომელიმე ახალგაზრდა ლექტორს, ისე, რომ არაფერს შეიმჩნევდა — არც კარგსა და არც ავს. ლექციის ბოლოსდა მოგვეცემა ორიოდე კითხვას. მერე თავადაც მცირე ხნით გააბამდა საუბარს ქართული სასულიერო მწერლობის სიკეთესა და სილამაზეზე. ლაპარაკობდა დინჯად და უბრალოდ, როგორი უბრალოც თვითონ იყო.

მაგრამ უნივერსიტეტს პათოსიც უყვარდა.

გვიყვარდა საამო არტისტიზმი — შერწყმული იმ დიდ ერუდიციასა და განათლებასთან.

მუხლადი, ცოცხალი სიტყვა!

სტუდენტები გარბოდნენ დერეფნებში და ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „სად არის ნუცუბიძის ლექცია?“, „სად კითხულობს ნუცუბიძე?“ და დარბაზი ივსებოდა ყველა

კურსისა და ფაკულტეტის „მოხალისეებით“. როცა შალვა ნუცუბიძის საჯარო ლექცია დაინიშნებოდა, აუდიტორია დიდძალ მსურველს ვეღარ იტევდა და მოთავენი ლექციას სააქტო დარბაზში გადაიტანდნენ. მაშინ ყურთამდე გავსებული „აუდიტორია“ სააქტო დარბაზში გარბოდა და ორიოდ წუთში სააქტო დარბაზიც ვეღარ გვიტევდა. კათედრაზე ასული მეცნიერი იწყებდა საუბარს.

ფილოლოგებს საკუთარი კორიფენი გვყავდა, ფიზიკოსებს, ფილოსოფებს, ბიოლოგებს — საკუთარი. სადამობოთ უნივერსიტეტის უკანა ეზოში ყფფდნენ ძაღლები. აკადემიკოსი ბერიტაშვილი იკვლევდა ფიზიოლოგიის ურთულეს პრობლემებს! ბერიტაშვილის კვლევის შედეგებზე წერდნენ პარიზის, ლონდონისა და ნიუ-იორკის სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთები. ის მაშინაც ხელჯოხზე დაყრდნობილი, მაგრამ საოცრად მხნე და ცოცხალი გაივლიდა ხოლმე დერეფანში. მას არ ჭირდებოდა რეკომენდაცია. დედამიწის უშიროეს კუთხეში, სრულიად უცნობ ქალაქშიც რომ გამოჩენილიყო, უკლებლივ ყველა იტყოდა: ეს არის ნამდვილი მეცნიერი!

*

მაშინ პირველად შეიკრა ახალგაზრდა მწერალთა წრე. ყოველ პარასკევს ოთხმოცდამეცამეტე აუდიტორიაში იკრიბებოდნენ პოეტები. მოდიოდა ბესარიონ ქლენტი. სტუდენტები კითხულობდნენ ლექსებს და მოთხრობებს. იყო მოურიდელები მტკიცება: საქართველოში მწერალი მხოლოდ უნივერსიტეტიდან მოვაო. ამგვარ მტკიცებას საფუძველიც ქონდა: პირველი „სხივები“, პირველი წიგნები... იყო კამათი: ხალას, გულწრფელ ლექსებს თბილად დაწერილ ლექსებს ვეძახდით. გამოდიოდნენ დამწყები კრიტიკოსები და ამბობდნენ, ამა თუ იმ ლექსში ზოგიერთი „კარგი თქმაა“, არის „კარგი რითმაც“, მაგრამ მთლიანობაში ლექსი არ ტოვებს სასურველ შთაბეჭდილებასო. პოეტები პირველ, გაუბედავ ქმნილებებს უძღვნიდნენ მშობლიურ ქუჩას, ჭადრებს, ფოთლებს, მამულს. ჩვენ ეს მოგვწონდა...

შეიქმნა სიმფონიური ორკესტრი. კვირაში ორჯერ გვეწვეოდა „მაესტრო“ და უნივერსიტეტის დერეფნებში ისმოდა „დაისის“ შესავალი. გვიხაროდა, რომ გვქონდა საკუთარი ორკესტრი, რომელიც თვით ფალიაშვილს ასრულებდა.

...უნივერსიტეტის სცენაზე გოგოლის „რევიზორს“ თამაშობდნენ.

მეორე წარმოდგენაზე სტუმრები მოვიდნენ — შალვა ღამბაშიძე, გიორგი შავგულიძე, ცეცილია წუწუნავა, ალექსანდრე გომელაური... სტუდენტთა წარმოდგენით დაინტერესდნენ, შემოიარეს პატარა სცენა და ვიწრო კულისები, სცენის თავზე მერცხლის ბუდესავით შეყუჟული საგრიმიორო, იცინეს და დარბაზი აცინეს. შემდეგ კი ჩაჯდნენ სტუდენტებში და ნახეს სპექტაკლი, და ჩვენ დიდხანს გვახსოვდა გიორგი შავგულიძის რაინდული მხერა, შალვა ღამბაშიძის ბავშვური ღიმილი, ცეცილია წუწუნავას უბრალო თავდაჭერა (ასე „უბრალოდ“ თხზავდა ის დიდებულ სცენურ სახეებს), ალექსანდრე გომელაურის გულუბრყვილო გამოხედვა...

*

გამოჩნდა სატირული გაზეთი „ჭინჭარი“.

რაზე წერდა მაშინ „ჭინჭარი“?

ჯახით გატაცებულ გოგო-ბიჭებზე, პირველკურსელებზე, რომელსაც თურმე „ბუტილა“ შარვალი ეცვა. ქალიშვილებზე, რომელსაც თმა მოკლედ შეეკვეცა, გამცდენებზე, დამგვიანებლებზე, ზარმაცებზე, უზრდელებზე, და ისევ და ისევ ვიწრო შარვლებზე.

დერეფანში ყოველი თვის ბოლოს იღვა გრძელი რიგი: „ვინ არის ბოლო?“, „თქვენა ხართ ბოლო?“, „აი, ის მაღალი ბიჭი ესლა მოვიდა და ყველაზე წინ მიძვრება“, „ქალიშვილო, ინებეთ რიგში ჩადგომა“, რიგდებოდა სტიპენდია.

*

ახლა უნივერსიტეტში სხვები სწავლობენ. ხანდაზმულთა თანაბრად კათედრაზე დგანან ახალგაზრდები, ახალი სახელები იკვლევენ თანამედროვე მეცნიერების დიდ პრობლემებს. როგორც მუდამ, უნივერსიტეტს დღესაც ჰყავს თავისი ახალგაზრდობა და თავისი კორიფენი. უნივერსიტეტიც თითქოს მიჯნებში აღარ ეტევა, მხრებს შლის, იხრდება.

სიახლე...

დროს ყოველთვის თავისი გააქვს და მოდის სიახლით. სიახლე ჟამთაშვილის გამოხატულებაა.

მაგრამ არის ცხოვრებაში იმგვარი ამბებიც, რასაც დრო ვერას აკლებს, რაც მარადიულია, ძალზე ადამიანური და ჟამიდან ჟამს უცვლელად გადაეცემა. და უნივერსიტეტიც ძველებურად დგას, როგორც თეთრი ტაძარი, ძველებურად ისმის მის დერეფნებში ჟრიაბული, ირეკება ზარი, სტუდენტებს უხარიათ „ფრიალი“ და ტირიან „ჩაჭრას“. ლექტორები კვლავ იყოფიან ორ კატეგორიად: „კარგი გამომცდელი“ , და „სიას არ კითხულობს“; ოქტომბერი კვლავ უდარდელია — სესიებამდე ბარე ორი თვეა დარჩენილი. სამკითხველო სავსეა ბეჯითებით, ბაღი — ნიჭიერებითა და ზარმაცებით...

„დეკანატიში გიბარებენ“.

რატომ აცდენთ, ყმაწვილო“.

და იქნებ უნივერსიტეტის კართან კვლავ დგას მოხუცი მეკარეც, თეთრი თმა-წვერითა და თუშური ნაბდის ქუდით. დგას იმგვარად, როგორც იდგა ათიოდე წლის წინათ.

ახლა... ამაზე ილაპარაკონ ახალგაზრდებმა, ვინც დღეს უნივერსიტეტში სწავლობენ.

ჩვენ ათი-თხუთმეტი წლის წინ დავტოვეთ უნივერსიტეტი და ისღა დაგვრჩენია, მოვიგონოთ რა იყო წინათ...

*

— გამარჯობათ, ბატონო უნივერსიტეტო!

— მაპატიეთ, მაგრამ კარგად ვეღარ მახსოვხართ...

— სათითაოდ აღარ გემახსოვრებით, ჩვენ ვიყავით თითონი და მრავალნი.

— საით ხართ, სად მოღვაწეობთ?

— საქართველოში ვართ, უკვე ჭაღარა შეგვეპარა და ახლა სხვებსა ვზრდით. ხშირად გაიგონებთ. გვიხარია, რომ ასე კარგად გხედავთ. გვეჩქარება, უამრავი საქმე გვაქვს, სახლი, სამსახური... მეტს ვერაფერს გეტყვით. გვეშინია, სენტიმენტალობა არავინ დაგვწამოს.

— ნახვამდის, იდღეგრძელებით...

ზემოთ, ფასანაურში

ფასანაურში მალე ბინდდება.

სტუმარმაც ბინდისას იცის ხოლმე მოსვლა.

ახლაც მზე უკვე ჩასულა. ხევიდან არაგვის ხმაური ისმის, მთავარი გზიდან — მანქანების გრიალი.

დაღამდება. მანქანების გრიალი მიწყდება (მთის გზაზე ღამით სიარულს ერიდებიან) და არაგვის ხმაღა გაბატონდება მთელ ხეობაში.

მე შინ ვარ.

ძალუაჩემი ეზოში ძროხას წველის. ბოჩოლა ზმუის — მეც დამიტოვე რძეო. გობში რძე ჩხრიალებს. საჩხის ბუხარში ცეცხლი ტკაცუნობს. გრილა, როგორც მთას შეეფერება.

— მობრძანდი — ერთბაშად გასძახის ვიღაცას ძალუაჩემი. წველას მორჩება, — აჰა გაძეხიო, — ეტყვის ხბოს და ისევ ხმამაღლა ამბობს:

— მობრძანდი!

ეტყობა, ვიღაც სტუმარი მოვიდა, პატივსაცემი, დარბაისელი ბერიკაცი.

— ფეხით ჩამოხველ თუ ცხენით? — კითხულობს ძალუაჩემი.

აღბათ სტუმარმა თქვა, — ცხენითო.

— მერე სად დააბიო?

ეტობა, სტუმარმა თქვა, ჭალაში, ბაღახზე მივუშვიო.

— მომიკვდეს თავი, სკამიც ვერ შემოგთავაზეო. ეტყობა სტუმარმა თქვა, სკამი არ მინდა, მაინც წასასვლელი ვარ, მენქარებაო.

— ხშირად მობრძანდი ხოლმე, რა დაკარგვა იციო.

ამაზე, აღბათ, სტუმარმა არაფერი თქვა, მარტო გაიღიმა და, ცხადია, საყვედურიც შეიფერა.

— რა გეჩქარება, ნეტავი, ხვალეც ამ კვირისა არ არიო? — იცინის ძალუაჩემი.
 ეტყობა სტუმარმა თქვა, ბინდდება, მეტს აღარ შეგაწუხებთ, დროულად უნდა ავიდე შინაო, რაკი არ დამხვდა, რა გაეწყობაო და თანაცო...
 ალბათ ბიძაჩემს ეძებს, შინ ეგულეობდა.
 — რა თანაცო, ცხენს ვინ მოგპარავსო?
 ეტყობა სტუმარმა ჩაილაპარაკა, არ იცით ახლანდელეების ამბავიო? ეტყობა, გამოცდილი კაცია და ყველაფერი იცის.
 — რა გეჩქარება, კაცო, გავახშმებ მაინც და მერე წადიო.
 ნეტავი რა აცინებს ძალუაჩემს?
 სტუმარმა კი ალბათ თქვა, ვახშმობის დრო აღარა მაქვს, საქმე მქონდა და ახლავე უკან უნდა დავბრუნდეთ.
 — შენ იცი შენი საქმისაო, — ამბობს ძალუაჩემი,
 ეს რა სტუმარია, რამდენს გვახვეწინებს, გავალ, ვნახავ, ვინ გვეწვია ამ ბინდისას-მეთქი, — გავიფიქრე და გარეთ გავედი.
 ეზოში გადავიხედე და მეც გამეცინა:
 ეზოს შუაგულში ერთი ბეწო ბიჭი დგას (წინათ, ზღაპრებში, ცეროდენას რომ ეძახდნენ), თბილი, ბოხოსა ქუდი წარბებამდე ჩამოუფხატავს, ცალ ხელში კოხტად გათლილი ჯოხი უჭირავს, ცალი ხელი ჯიბეში აქვს კაცურად ჩაყოფილი, თბილი ჯუბა მკერდზე გადაუღვლია, ეზოს ათვალიერებს და უკვე წასვლას ეპირება.
 — ჩაღხიას ძმაკაცია, — იცინის ძალუაჩემი.
 ჩაღხიაც ამ ბიჭის ტოლაა, კინოში წასულა და გვიანობამდე ვერ დაბრუნდება.
 — გააკეთილებს გაგება მინდაო, — ისევ იცინის ძალუა.
 მერე ცეროდენა სტუმარი ჭიშკრიდან გადის და ძალუა გასძახის:
 — ცოტაც მოგეცადა, ბიჭო!
 ცეროდენა ბიჭი მოიხედავს, მაგრამ არა ჩერდება.
 — თხილი მაინც ჩაიყარე ჯიბეში, გზაში აკნატუნე! — კვლავ გასძახის ძალუაჩემი.
 ცეროდენა ბიჭი გზას განაგრძობს.
 თქვენი არ ვიცი და ფასანაურში წინათაც იცოდნენ და ახლაც იციან კაცის დაფასება.

მკათათვე

ორღობეში შუადღეა. სიო არ ქრის. სოფელი სამკალში გასულა. მომთენთავი სიჩუმეა.
 უბანი თვლემს.
 გუბეში მიწოლილა ღორი.
 გაცქნაფულან ჩიტები.
 მკათათვის სიცხეა.
 უბნის დარაჯად დიდედა დარჩენილა. გარშემო ჩამი-ჩუმი არ ისმის. მარტო ჭრინა ჭრინებს, დიდედა აქეთ-იქით იხედება. მერე ამთქნარებს, მერე თავს აკანტურებს და იქვე, კაკლის ძირში, ნაბდის ძველაზე მიწვება.
 ქათმებმა დრო იხელთეს. ბოსტანში გადავიდნენ. ლაშქარს წინ მიუძღვის დეხებიანი მამალი. შეთქმულებივით კაკანებენ ვარიები. „საყდრის კარი“ დიაა, მეზობლის ქათმებსაც ეპატიუებიან.
 კაკლი ძირში, ნაბდის ძველაზე სძინავს დიდებას.
 ჭალიდან აფრიდა ქორი. გადაიარა სამკალი.
 სოფლისკენ გასწია. ბოსტნის თავზე კამარა შეკრა. მოწყვეტით დაეშვა. დააცხრა. გაბრაზდა მამალი. შეშფოდნენ დედლები. კომბოსტოს ფოთლებში გაინაბნენ წიწილები. ქორმა წიწილა წაიღო.
 სძინავს დიდებას.
 კნავის კატა, დიდებას ბაწრის გორგალი კნუტებს ეზოს ბოლოში მიაქვთ.
 ორღობეში ისევ სიჩუმეა.
 მარგილმა ლაწანი გაიღო. ბაღიდან გადმოხტა აწითლებული გოგო. ჩითის კაბით მუხლები დაიფარა. კაბის კალთაზე აჰკურია ძურწა და ბირკი. აკეცილ წინსაფარში ჩაუყრია მწვანე ლობიო.
 მუქართ წინ უხვდება თმაგაჩეხილი ბიჭი.

— დედას გიტირებ, იცოდე!
— ყურებზე ხახვი არ დამაჭრა...
— სიტყვა მაქ სათქმელი!
— მეხი შენც დაგეცეს!
კაკლის ძირში, ნაბდის ძველაზე სძინავს დიდედას...
ზღაპარ-იყო, ზღაპარ-იყო,
ჭაღას ჩიტი მამკედარიყო...